

ქართველ ეკატერინ

სამოცხება

გამოცემული

ვიქტორ შავლა ეგერეანი მეცნიერებელი





ობილი

ლ. როგორიშვილი, ხახ. № 39.

1917

როგორიშვილი ეგერეანი მეცნიერებელი.



ქართველ მაკაღიანთ

ცხოვრება

გამოცემული

ვართონ შალაგაერაპის მიერ



კოსტომა მოგადის, გადასუ.

თბილისი
სტამბა ტ. როტინიანის, სახ. № 39.

1917

21534



ქართველ გეკაერიანი

ცემ 3 რეზა

21534

აკინძული

ჭ. ჭიჭინაძისაგან

2000

თ ფ ი ლ ი ს ი

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა. ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.

1916

ქართველ მაკავდიანთა ლოცვები

ჭ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი

ა, ბ, გ, დ, ქ, ზ, ხ, ტ, თ, რ, პ, ლ, მ, ნ, ჲ, ჵ, ჸ, ჴ, ჶ, ჸ, ჻, ჵ, ჷ, ჸ, ჹ, ჸ.

დ ა ღ თ ს ღ ა ც გ ი ს წ ე ს ი:

საბახ ნამაზის ორი მუხლი სუნეთი.

საბახ ნამაზის ორი მუხლი ფარძი.

ნიეთი მიქნია საბახ ნამაზის სუნეთი.

დავდეჭი ყივლებე, მივჰყევი ყურაანს.

ღმერთის რიზაიდი, ელააჰუ ექბერ.

შ უ ს ჩ ბ ა ს

ოთხი მუხლი სუნეთი უმანდელი.

შუა დღის ოთხი მუხლი ფარძი.

შუა დღის ორი მუხლი სონღუნქი სუნეთი.

იქინდის ოთხი მუხლი ფარძი.

ახშამ ნამაზის სამი მუხლი ფარძი.

ახშამ ნამზის ორი მუხლი სუნეთი.

იასის ოთხი მუხლი ფარძი.

იასის ორი მუხლი სუნეთი.

სამი მუხლი ვითარი—ვაჯიბი.

ԱՐԱՑՄԱՆ ԲՈՂՈԾ

ԵՎԵԿՈՒ յն շսելո, ՏԵԼԱԱՏԵ ՇԵԺՐՈ ՍՄՅԵՏ.
ՍՄԵՏՈ ՈԿՈՒԴԱՆԵ ՑՈԼ ԿՄՐԱԼ ԱՑՈԹ ՎԵԼՈ
ՀՈՒ ՌԼԱՖԻԹ ԱԼԱՏԵ ԱԼԱ ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ.

ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ, ՍՄՅ ՖԱՆԵ ՀՈՅՈԼՈ ԱՑՈԹ. (ՏԱՄՋԵՐ
ԹՎԱՏ).

ՏԵՄՈ ԱԼԱՖՄԱԼ ՖԵՄՈՒԵ. (ԳԱՐՄԱՐՏՈՆ).

ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ. (ՏԵՋԴԵՑԵ ԲԱՎՈՒԵՏ.)

ՍՄՅԵՏԵ ՀՈՅՈԼԵ ԵԿԼԱ (ՏԱՄՋԵՐ ԹՎԱՏ).

ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ. (ԱԾԳԵՏ ԸԱ ԳԱՐՄԱՐՏՈՆ.)

ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ. (ԿՈԼՈ ՇԵՋԴԵՑԵ ԲԱՎՈՒԵՏ.)

ՍՄՅ ՖԱՆԵ, ՀՈՅՈԼԵ ԱՑՈԹ (ԹՎԱՏ).

ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ, ԵԼԱՖԻ ԵՔՑԵՐ! (ԹՎԱՏ ԸԱ ԳԱՐՄԱՐՏՈՆ).

ԱՐԱՑՈՒ ՇԱՏ

ՏԱԾԱԿ ՏԱՄԳԻ ՋՎԱՏ. ՏԱԾԱԿ ՏԱՄԳԻ ՋՎԱՏ

ԵԼԱԳՄԵ ԵՋԿԿԵԼԵՆՈ, ՏԵԾԱԳԵՆԱ ՏԵԾԱԳԵՆԵՏ ՏԱԼՈՈ
ՔԻՆՈՆ, ՎԵԼՈՍԱ ԵՐՆԱ, ԼՈՍԱՆՑԵ ՔԱՅՈՐՈՈ, ՎԵԿԱՆԱՎԵՆԱ ԿՄ-
ՄԵՎԵԼ ԿԱՄԿՈՆ ՎԵՐԾԾԱՆԵՆԱ, ԵԾԾԱՆԵԼ ՑՄՈՒ ԿՈՆ. ԵԼԱԳՄ-
ՄԵ ԵԿԵՈՒՆԱ ԲԵՆՇԵՐՈՈԼ ՕՆՏԱՆՈ ՎԵՇԵՐ ՑԵԼ ԼՈՍԱՑԵՆՈ, ՔԵՐԾԵՇ
ՇԵՐՉԿԱՆԱ, ՎԵՐՈՒԹԵՐԵՆՈ ԱՑԻՑՈՆ ՏԵՄԱՆՈ, ԲԻՆՑԵ ՎԱԼՈՈԼ ՕՄԱՆՈ,
ՑՈՅՑԱԿ ԿՄՐԱՆՈՈ ՑՈՐԱԿ ՑԱՏՈՒԵ ԵՐԱՄԵՐ ՀԱՅՄՈԾ.

საბახ ნიმუშის

სუბპანე ქელვაუმე, ქელვაუმე ვებიდე მედიქე, ვეთებაარე
ქეს მუქე, ვეთე ალაა ჯედ ღუქე, ვეელა ილაჲე ღეირუჯლე,
ეყუნუ ბილაში მინეშ შეიჭტყანირ, რეჯიმ ბისმილაშირ. რახ-
მანაირ რახიმ.

ელჲედულილი რობილ ალე მინეემინე ერაშმანით რაფიმ,
მალიქი ევ მიდინი, იააქენე ბიდიუ, ვეიაქე ნესთეყინ იდდინე
სირატყელ მუსტეყიმე, სვირმტყელ ლედინე ენე ეემთე, ალე-
რიმ ლერილ მელდუბი, ალერიმ ველედ დუალიინ ამინ.

ინა ეტყეინა ქელქეუ სერფე სელილი რობიქე ვენ ჰალრ
ინე შანიქე ჰუველბეირ.

ყულ ფულაჲუ ეხედ ალაჲეს სხენთე ლემიელთი, ველე
მიულედ, ფალეში ქულემუ ქუფუკენეხედ.

სფხანი ქელაჲუმე ვებიხენდიკე, ვეთე ყალააჯეთ უქე, ვი-
ჯილე სენა უქე ველა ილაეეჭ ხეირუქ.

ეთეხიათუ ლილამ ვისხილევათუ, ვეტყვიათუ სილამ,
ყალეიქემ, ევიეჰენევიყ, ვირახ მეთულაი ვე ბერქათ ეს სილა-
ამუ ყალეინა, ვიყელა ყივა დი ლასი სხვა ლახინ.

ეჭხედუ ელა ილამ ილა ელა ვეეშედუ ენე მაჲედენ
აბდუჲუ ვერესულუიჲუ.

ალაჲუმე სხველი, ყელა მუხამედ ვიყლა ალი მუხამედ,

ქემა სხვილიდე, ყელა იბრაჰიმე, ყელალი იბრაჰიმუ ვინ ეჭიჭ
ზემიდუნ მეჯით.

ალაპუმე ბარიქ, ყელა მუხამედინ, ვყელა ალი მუხამედ,
ქემა ბარიქდე, ყელა იბრაჰიმე, ვიყლა ალი იბრაიმი ინ ეჭი
ზემიდინ მეჯით.

ინ ეტყვიანე, ქელქუშერე, ფესხვილი როპიკე ვენეხერ
ინე საანი, ექე ჰუველ ებტერ.

ლილაძი ყურეისი, ილაში რიხლეთესი, თაიშვესხვეით
ფეილეხ ბუდუ რუპე, ჰაზელ ბეითილეზი, ეტყვეჭუ მინჯუყი,
ამენეპუმ მინხეუფ.

ველეუსერი ლეფიყურენი, ინედეისაა ლეფთი ნუსრინ
ინელეზინ ვმენუ ვიყი მილუსხალი ხაატი ვენევა ეხობილ. ჰურ
ვეთევა სობის სხვებრი.

წელის დაღეგის დროს ლმერთო! შემიწყალე.

და მაქნარების: ლმერთო! დამიფარე.

ცხირის ცემის ლმერთო! მიშველე.

რამე საკვრველებაზე. ელააპ, ლმერთო! ლმერთო!

პირველი ლოცვა

ლმერთი შენგან რაზი გახდა, ავი კაცის შერიდამ ლმერ-
თმა დაგიფაროს. ამ დუნიას კაი სიცოცხლე მოგცეს ლმერთმა.
საიქიოს ჯეენეთის კარზე პირ თეთრათ მიგიყვანოს და შესუ-
ლიკო, იმ ფერი იღბალი მოგცეს ლმერთმა.

სადილის წან

ბისმილაპი, დიდება შენდა ღმერთო.

მიცვალებულის ლოცვა. (ხოჯა იტყვის).

მეზობლებო! ძმანებო, ეს კაცი, იახოთ მანდილოსანი, როგორ იცოდით, ქვეყნიერობაზე, მეზობლის სამსახური იყოს, თუმცა ღმერთის სამსახური იყოს?

სადხი იტყვას

ღმერთმა აცხონოს, ჩვენი დანახულობით და მიხდენილობით, ეს კაცი, იახოთ ქალის ნაქმნარობა ჩვენ გონჯი არა-ფერი ვიცით.

ბარაზის ლოცვა (მოლა იტყვის).

ღმერთმა ბაირამი და კაი დღეები კაი ქეიფით მოგასწროთ, ბროლი წელი გაგითენოსთ.

რემეზანის (მარხვის) ლოცვა.

ღმერთის ხვეწნით ბუბერაქი კაი დღეები რემეზანი ღმერთმა მოგასწროს და ყაბულ გიქმნას.

შავშადის ლოცვა

(ხოჯა მინარიდამ იძახის)

ლა ილააჭე, ილლა მუჰამედურ, რუსულულა ეშვედუნ, ენლა ილაჭე, ილლელ ლაპუვე ეშვედუ, ენნე მუჰამედენ აბდუჰუ ვერსულუჭუ.

იჩერსინდე ოლან იფთითალ თექბირ ყიაშ ყირაანთე რუ-
ქუდ სუცუდ ყედ იეხირი ნდეთე შეჰუდი ოყიაჯალ მიუდაალი
ოთურმაქ.

ქართული

შიგნიდამაი შეერთი იფთითა თექბირის ქნაი, ფეხზედ
დადგომა, ყურანის კითხვა, რუქუზე წასვლა. შეჯდესი ქნა.
ბოლო დროს ეთეიათის ეშეჰდურის კითხვის დონეთი დაჯდომა.

ისლამუნ შეერთი ყაჩდურ ბეშდურ. ხუთი არის.

ნელინე ნელურ. რაი და რა არის.

სეუმუ სელაად ჰაჯუ სეეჭაად.

ქელი მეი შეჰადეთ.

სოვმუ ორუჯ. მარხვის თმენა.

სელათ—ლოცვა.

ჰაჯ. ქაბეს წასვლა.

ზექად. ზექადის მიცემა.

იმანუნ შეერი ყაჩდურ. ალიი დურ,

ამენეთუ ბილააში, ბენელაპე თეაალე.

ინანდუმ ვარდურ, ბირ დურ შერიქი.

ვენეზილი იოხტურ.

გექანდან მუნეჭსდურ

ამენ თუ ბილაპი. მე ღმერთი დავიჯერე, ვირწმუნე,
ერთი არს.

უმალი არა აქ, სოულუნი არა აქ, აქნაია, იქინაი, არა
მასთან, ყოვლგან ბრძანდება.

ვემელაი იქთიო ველ იქელ ერე ინანდუნ ვარ დურ ეგა-
ზლარ იჩმაზლარ.

ალარდა ელჭელქუ ვედი შილუქ ახტურ.

ვექუთუბი ჰი დეხი ქითაბლარნე ინანდუნ, იუზდორდ
ქითაბდურ იზი სუჟუფ დორდ ბოუქ ქუთუბ დურ.

ვექუთუბი-ჰი-კილოვ ქითაბები დევიჯერე, აზდა ოთხი
ქითაბი არის,
ასი სეიფე ათხი დიდრვანი ქითაბი არის. დევიჯერე.
ვირწმუნე.

ვერსულუმი, დეხი ფელამბარლე რინე ინანდუმ ჯემიიუნ
ფეილებბარლე ჰადურ ეველი ადემალ ეიშ სელამ აზირ ბი-
ზუმ ფეილებბარლუმოზ ჰამედ მუჰამედნელ მუსტეყეფაა სელაპუ
თაალა ალეიო ვესლენდურ.

ვერსულმი „ კილოვ ფელამბარები დევიჯერე, ყველა
ფელამბერები გამჩენელი ღმერთის გამოგზავნილები ბრძან-
დებიან.

უმალი, ადემალის სელმი. ბოლოს დროს ჩვენი ფელამ-
ბარები მაჰამედ, მუსტაფა, შალალაპუ, თეალა, ალეიო ბეჰლემ-
ვერჩუქ ფელამბერი ბრძანდება. ვირწმუნეთ.

ველი ეუმლი ახალი ეხი ყიამეთ უნინე ინანდუმ ყიამეთ
ოლჯადურ.

ველი ეუმლ ახლირი. კილოვ დევიჯერე, რომ ყიამეთი
იქნას, დუნია დაიქცეს უნდა.

ვებილ უდერი ხეირიში ვეშერიშ, მინელაშ თეყლა ფეხი
შლაპუ თეალალნუნ თეუდირნე, ინანდუმ ხეირიდა ელაპდან-
დურ ხეირე რიზარი ვარდუჩ შერე რიზასი ოხტურ.

ვებელე უედესი ხეირი ვეშერიში თელა. კილოვ გამჩენე-
ლი ღმერთის თეყდური დევიჯერე, ხეირიც მისგან არის, შე-
რიც მისგან არის, ხეირზე ნება აქ, შერზე ნება არა აქ.

ნამაზუნ შერთლერი ონ იქი დურ, ალთისი ტაშრასინ-
დე, ალთისი იჩერსინდე, ტაშრასინდე ოლან-ჰედესდინ ტეპა-
რედ, ნეჯაასე თანდან ტეპარედ სეთრულ ავურეთ, ისთიუბ-
ბალულ ყივლე ვახტინი ბილმაქ ნიეთ ითმაქ.

ქართული ლოცვის შერთევი თორმეტი არს, ექვსი გარე-
დან, ექვსი შიგნიდამ, გარედამ შეერთი დაპილწულიდამ გა-
რეცხვა და გაბანვა. აბდესის ალება, ტანი და ფეხის ჩაცმა.
ყივლეზე მიტრიალება. ვახტის ცოდნა. ნიეთის ქნა.

იჩრისდენ ოლან იფოითახ თექბირ ყიან ყირათუ რუჭუ
სუჯუდ ყეყდი სხირინდე თეშიპულუ ოყიაჩაყ მიილარი
ოთურმაქ.

ქართული შიგნიდამ შერთებულ უმალზე თექბირის ქნაი,
ფეხზე დადგომა, ყორანის კითხვა, რექუზე წასვლა. შეჯდეს
ქნაი. ბოლოს დროს ეთეპიათი ეშე დუის კითხვის დონეთ დაჯ
დომა.

აბდესუმ ფარამლარი თორთლურ ევლუაზინი იახმაქ,
თუბი ბითუმიმდენ, ჩემესი ალთინ ეყადარა.

ქართული აბდესის ფარძი ოთხი არის, უმაღლე პირის დაბანა შუბლიანა კისერში ჩამოსვლამდი.

იქინდის ყოლებინ იეხმაქ ბირ სეგირელ ბერაბერ.

ქართულა კლავის დაბანა დირსე მიანათ მოსაკაკვავ მის-
ვლამდე.

უჩანჯისი ბაშინუნ, დორთ ბოლუგინდან, ბირ ბოლუქინ
მესაიმიმაქ.

ქართული მესამე ფარძი თავის მეოთხედი შუბლის კერ-
ძოიანის ვიპის ჭუნაი.

თართული დორთ ინჯისი აიაელარინი, აიალლარინი,
იახმაქ, თოფულლერი ბერაბერ.

ქართული მეოთხე ფარძი ფეხის დაბანა კოჭებიანა.

ღუსულმ ფარძი ყუჩდურ, აღზინე უჩეერ ტოლი ტოლი
სუვირმაქ ბუნონე მინხერი ნეყადარ სუვარ მაქ ჯუმლე ბეღ-
ნერნ ეხმაქ.

ქართული ღუსლის ფარძი სამი არის: პირში სავსე სამი
ჯერლი. საფსე საფსე პირში წყლის მიცემა.

ცხვირში სამი ჯერლი კარგა შინხერზე მისვლამდი წყა-
ლის მიცემა. მთლათ ტანის დაბანა, ისე რომ ერთი ბეწვის
შრალად არ დარჩეს.

წელის სიშორის დროს. თემინუნ შერთი იქცურ ბირ-
დებარი იუზიჩუნ ბარდებარი ყოლირიჩუნ.

ქართული თემიმის ფარძი ორი არის, ერთი დერბი პირი-
ზა, ერთი დერბი კლავებისა.

ბონინი მეს ითმახდა, ელაპუმე ეყოიყერეყე ბეთი მინენა-
რი, ვესლასინე ლეველე ელლალ ვესლასილე ველი ელლა.

ქართული მარჯვენა ფეხის დაბანის ხანს: ელაპუმე სებით
ცუდები ელეს სირატინ გვე თეზულ სედებეი ლესი.. რატინე,
გვე თეზელ ფიზილ ეყდან სოლა იალინი ეიაჭმექდა.

ქართული მარცხენა ფეხის დაბანის ხანს. ელაპუმე ეჯყელე-
ნი სეიყინე მეშქურანე, ვეწდენებენ მეღმურენ, ვეყმელენ,
მებურელნე, ვეთი ჯარეთენ ლენთებურაა.

ელაპუმე ეჯყელინი სეიენ მეშხურენ ველზენებენ მეღ-
ურენ, ვეყმელენ, მეყბულენ ვეთიჯარეთენ ლენ თებურაა.

დუაბლურ აბდუსუნ ახირიდენ თყნაჯაუ ლუბლურ.

ქართული აბდესის ბოლოში საკითხავი. დუა აგეა. ელაპუმე
ევილინი მინეთ თებაბინე, ვეჯელინი მინელ მუთეტონე, ვე-
ჯეყლინი მინყიფალიქეს სალეიჩნე ვეჯელინი მინელედინე ლა
ხეუფუნ. ალედი ველადუმ ედეენუნ.

უჯუში ბიზუნუბი ეიუმე თუ სვიდ ჰუჯუში ეყდაიქე. ეშე-

დუ ელაა ილაპე ილელაშუ ვეჭელუენე მუჰამედენ ებდეჭუ
ვერსულუშუ საღ ყოლონი ეიაქმაჭდა.

ქართული მარჯვენა კლავის დაბანის ხანს. ელაპუმე ეყვინი
ქითაბი ბიშენი ვეპასიბინი პისააბენ სირა. სოლყოლილი ექ-
მამდა.

მარცხენაი კლავის დაბანის ხანს. ელაპუმე ლათუტყვინი ქი-
თაბი ბისმილაი ველაამინ, ვერაე ზეიჭ, ველა თუშასიბანი
პისააბენ შედიდა ბაშინინ მეს ითმახდა.

ქართული თავის მესხის ქნის ხანს ელაპუმე ღრეშინინ ბი
ვეჭელიქე ვენზილ აელეიე მიმბერქათიქე.

ყელაყლარინი მესხიაჭმაჭდა — ყურის მესხის ქნის ხანს.
ყლაჭუმე ეჯყელენი ესეთე მიყუნელ ყევლე, ფეიეთე ბიყუნე
ესენჭუ.

აბდეს დაწების დუსსი (ხელის ბანა)

ეუზუბილაში მინე შეიტპანირ რეჯიმ, ბისმილაში რამა-
ნირ რამიმ, ბისმილაში აზიმ ვარლ შამდულილაი, ყელადინლი
ისლამ ყელაოეუფიყილ იმაან ყელა იდაეთირ რამან, ელხემ-
დულილაში ყელადინლი ისლამ ყელაუთე უფიყილ იმაან, ყე-
ლა იდათეთ რდანნ ელხემდულილა ჭილეზი, ჯეყელელ მაე
ტყეჭურენ ვეჯეყელელ ისლამე ნურა.

აღზინე სუირმაჭდა. პირში წყლის მიცემის ხანს ელაპუმე,
შეინყელამ თოლავეთიქ ვეზიქიქე ვეშურიქე მინე სურმაჭდა.

ნხვირში წელის მიცემის ხას.

ელაპუმე ერივნიი რაიეხთელ, ჯენეეოი ვერზუნი მინე-
ყიმდა, ველათუიდნი მირაა ეხთინარ ნევეი თულ ღუდუე ელი-
რეფიულ ჰედეს იუზუნი ერქმაჭდა.

პირის დაბანის ხანს. ელაპუმე, ბეიდ ვეჯში ელაპუმე
ჰეიდ ვეზეი ბინეურიქე, ევმეაუბეიდ ჰუჯუში ევლაი იქე ვე-
ლათუსევიდ უჯუში ბიზუნუბი ეიუმე თუსევიდე, ჰუჯუში ეყ-
დაიქეშე დუ, ელაა ილაპე ილელა ლამუ ვეშპედუ ენე მუჰა-
მედენ, ებლუპუ ვერსულუპუ სალ ყოლინი ეიაქმაჭდა.

„ეღწემ დუღილა“ ქართულათ.

ღმერთო! ცისა და დედამიწის შემდგენელო და ყოველი
სულიერი და უსულო არსების დამბადებელო, შენ იყავ ჩემი
პატრიონი, დამიტარე და შემდეგ სიცოცხლისა მაცხონე მე. ამინ.

წმიდაო დიდო მოციქულო შაჰმადო და ყველა მოციქუ-
ლებთან თანასწორო შენ მიშველე მე.

მაჟმადის დოცვა „და იღაე“

არ არის ღმერთი თვინიერ მისი და მის ერთათ ერთის
მოციქულის მაჰმადის. დღეის შემდეგ შემოვალ მის მფარვე-
ლობის ქვეშ და ვალიარებ მის სარწმუნოებას, ამინ.

ქართველ მაჰადისა ლექსი

თამარ დედოფლის ლექსი

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმედი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამის იქითა.

(მახინჯაურელის უსეინ ბეგ ბეჟანიძისაგან გაგო-
ნილია, ძველთაგან დარჩენილია ეს ლექსი ქობუ-
ლეთში.)

ა ს ლ ა ნ ა ს ლ ე ქ ს ი

ასლანა ვარ ბაუუნ ოლლი ყოლ ფირალში გამორჩეული,
ის ხუმარა მურად ბეგი გემელაპარაკა მე ერთი;
ასლანავ თოფი დადგვი, თვარა გაგიწყრება ღმერთი,
აქამდი რომ არ მერჩოდი, ახლა რა გინდა მითხარი?
მე შენ ბიჭათ კი დაგვხდები, თუ არ მაცვია ქალის ნიფხავი.
(ჩურუქსუში გამოთქმული)

* * *

ყიზით ალა შამბაში ოლლი იგითია მეტის მეტი,
აკვნის ბალანას დაიჭირაკს ალარ გაიხსენა ღმერთი,
აკვნის ბალანის დაჭერვას ძალიან გაგიწყრება ღმერთი.
არ დამეცე ყიზით ალა, არ გეიმეტო შენი გვერდი.
ვოლლაპი დაფიცული ვარ, არ გეგიშვა ერთის მფტი.
შე გასული ვარ ფურცელში, ფიშტოს მიგანთებ მუცელში,

ოთხი մմանց ծի ტպեში ვართ ერთმანეთზე უკյოთესი;
მე მეკითხვის ყველა საქმე, ვარ უმფროსი და ხუცესი,
ბაბაისაგან ანდერძი მაქ, სირცხვილის ქვეშ ნუ მოიცდი.
ტყეშიც ამისთვის დავქუხავ, მგონია პაწა ვირცხვილს ვიხდი,
შენ თუ მურადბეგი გყავდეს, მე—ხვანთქარი, მთლად მეჯლიში,
ერთი კაი ბაბაჲ მყავდა, ლამაზი და კაი გენგიში.
მისა შომკვლელსა შვილს ერთს კი მოვაჭხვედრებ სულში,
ერთი ვესძოლე საშიშრათ, გავაკრიე ფიშედლულში,
აწ თუ გამჩენმა მრმიშვა, ჩემ თოფს კი ვკრავ კაკალ გულში,
შომიდგეს და მანც მესროლოს, კონდახი პკრას მის ცოლს გულში.
(ჩურუქსუში გამოთქმული)

ჩ ა ხ ა დ - ღ ღ ღ ი ს ღ ე ქ ს ი

ჰეიგიდი ჩახალ-ონლი ერთხანაც გიქრიდა ქარი,
შემოხუევი ოლქაობა ხომ არ ქენი კაი ქარი.
ფაშას ყულე დეუმგვრიე, სასახლე გეულე მხარი,
სელომ-ფაშამ რომ შეიტყვა, ხომ შეინჭნა ჰერსით მთვრალი.
ჩახალ-ოლლი შემირივდი, გავაკეთოთ ბარიშალი,
ასრე ვნახოთ ერთმანეთი ვითარცა რომ და და-ძმანი.
თუ რომ მე არ მემენლობი, ბროლათ შეიყარე ჯარი,
შუატეზე რომ გადმეხარე, იქ გადმეიტანე თარი,
ადიგვე რომ ჩამეხარე, მეიდანს ჭამე სამხარი.
ქალაქში რომ შემოხვედი, ვით ფალიშა სერესკერი,
ფაშამ საჩუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი.
ფაშა ვალეს წამოვიდა, ხომ არ გამოვიდა ხანი,
ჩივთეები დეუწყვილეს, ზაკას ადის მათი ალი.
სამრ ფეხის გადადგმაში ჩამოართვეს ორივ მხარი:
სამივ ერთად დაერწყვილეს, ორი ძმა და ბათრახტარი,
სამსავ ერთად დასჭრეს თავი, ვითარცა ყასაძმა ცხვარი,

ყველა იმას ეხვეოდა, ვითარცა სკაში ფუტკარი.
აქარას დაწვა დადაგა, ზეცას აღის მათი აღი.

ჩაწერილია 1859 წ.

ს ა ლ ი დ ა ს ლ ე ჭ ს ი

(ა ჭ ა რ უ ლ ი)

სოლოლა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის ბარზეა;
რვა დღე და ღამე იარა, ჩევიდა ხონთქრის კარზეა,
ვეზირ კოცნის კალთასა, სოლოლა კოცნის თავზეა,
ჩევენც ერთი არაბი გყვავს, განთქმული გურჯისტანზეა,
შენ თუ იმას ეჯირითო, თულებ დაგადგამ თავზეა,
ფაშიობას შენ გაჩუქამ იმ ახალციხის კარზეა.

სესიები გამოცვივდნენ, რა გადახდება თავზეა?
სეისებო, ნუ გეშინია, ცხენი მომგვარეო კარზეა.
ოუშვეს და გამეიყვანეს, ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა.
ხუთსა სეისსა უჭირავს, ვერ იმაგრებენ გზაზეა.

გედარა და გემედარა იმ ჯირით მეიდანზეა.

შავარდნულებ შემოკივლა, ხონთქარი დაძრა ტახტზეა;
არაბი მოდის, მოკივის, ვით ნიავჭარი მთაზეა,
სამი ჯირითი უძევს იმ გაშავებულ მკლავზეა.

სამსავ სოლალას აქალნის, რა გადახდება თავზეა?

აბა გამექეც სოლალა, მოგყვე ულურის კვალზეა.

ერთი ჯირითი ესროლა, არ წეიკარა ტანზეა,

მეორეც რომ გეისროლა, მოხვდა ცალ აბჯანდაზეა,


ცალი აბჯანდა შეწყვიტა, გადგა ცალ აბჯანდაზეა,

„რას შვრები ოხერო მკლავო, თვალი მეჭირა სხვაზეა,

აბა მოპრუნდი არაბო, მოგყვე ღვთის სამართალზეა.“

ერთი ასეთი დაკივლა, ფერი უკალა ტანზეა,

21534



ცხენი ცხენზე შეაცდინა, ჯირითი დაკრა ბეჭზეა,
არაბი ძირს გადმოვარდა, სული არ დაჰყვა ტანზეა.
მოლიები, ხოჯიები ქითაბსა ბერტყენ თავზეა;
„ქათაბ-მითაბი ქარს არ იქს, ქურქი წაბურვით თავზეა,
სოლალას კი შეეშინა, პაპუცებს ყრიდა გზებზეა.
„შენ სოლოლა ნუ გეშინია, თულებ დაგიდგამ თავზეა,
ფაშიობას შენ გაჩუქამ იმ ახალციხის კარზეა.“
მურად მურადის ჭირიმე, კარგა ისაჭმე გზაზეა,
საკალა მიგიყვან თემსა, ქილიკით დაგიდგამ ქერსა,
აბრეშუმის თორბას მოგცემ, საპნითაც დაგიბან ფეხსა;
ყოვლის ვახტის ლოცვაზე შენ შეგახვეწიებ ღმერთსა.

ჩაწერილია 1859 წ.

* * *

უწინ დროში ბრძანებულა ჰეზრეთია სულეიმანი,
ნესვიეთსა ყურიმ მიე, თუ გწამდეს ლინი, იმანი,
გამჩენელმა ბრევლი მოგვცეს თადარიკი იალი, პური,
რეჯებ შავბანი მობრძანდა, სელავათსა მივცეთ ყური.
სელავათის მომტანელსა მეზერში ჩაუხტება ნური,
სელავათსა ვინც არ იტყვის, გინდამც რომე ბრეში ლორი.
რემეზანსა ურევია მუბარექი სამი დღეა;
სამი დღის გულისათვის არ გვაჭამა ერთი თვეა,
მოწყენილიც კი დაგვტია, არ მობრძანდა ათი თვე,
მობრძანება ვისაც უნდა, მისი სახლი სამოთხეა.
ლაშაზია სანახევი კი ხალხის სამარზავი,
ჯენეთის კარგს თუ კი მკითხავ, მაღალია და პტყელი,
ისრამში ერთი ვინც არ იცის, მუსლემანობა თხელია.
ხუთი ვახტის ულოცავი ჯეჰენეთში ქვა ცხელია.
სელავათსა თუ კი მკითხავ, ჯენეთის კარზე ჰკიდია.

(ბუჭანა ბაირახტარ შავიშვილისაგან გამოთქმული)

Բ օ Բ ե օ ն ճ օ (ՔօԾօ)

ավելի շարժ ցաւոեց, քյզոնաեց հոհենակո,
յրտո տռուու կո զեսրուու, ցալազարտու կոկնաեո,
հոհենակութա ցըոպուրա, տավից դամացու ոալո,
ավելի դա իւ մուտանց կարյո ոաեո.

„մացո ոաեո ովու ցանչո, մյ զելար մովրից օելո,
„հյմա Ռյալամ, հյմա Կուզամ չոշշուետ՛նո ամոցիարելո,
„պալաղթատ Ռամուզելո, ոլլութալու մովուուրա,
„յէրայլո տավից մեջգա, ո մեմալումու հա պնդուա
„ու մամալո մոմուցու, ամուց պնդու համեցո.
„ցամինելու ցուլուսատցու ցրտո վակու Ռյալո մաւո,
„հյմո վոնո ցամոեաց, Շեն տռուու կոնդաեսաւ պնդու;
„ցաքմյ Շզուլուց, սալո եւր, հայեր ուտոմո դեմուի,
„հյմո եռալու սաեարնաց վածեց ցալցլուսց նյհի,
„յս ոցուոնձա ռոմ վենո, պորալո ցալցիացն յըլի,
„սելազատու մոմունց լու մոյլո Ռազա չյենց տ՛նո:
„հյմո տայու սոմբարուսցան Շեն յու դարից յարնո!

(Ցանա ծանրաերար Շացունուու ցամրույմուլու և մյրուսնու սաելո դայիցա դա զելար դաջգա, ցալասաելու նու այսարու սեցա և ուղարկու ամուսնու վառու, սուրարու և միջեարեց ծեցրո նաեա, յս լոյթու ոմ ենցեցնո 1859 թ ցամուտյաւ Շացունուու լոյթու ծամբուրա Այրու պնդումունա մարումունուտցու, 1879 թյու և սու զարու Շացունուու կարնաեու. ոմազ վլու դամլուց մոլոյթու նամտարնո ցարդարուցալո.)

ծ ա ռ յ թ օ ն և լ յ ժ ե ս օ

(մարուու մոկայտանյ)

ցալամինց լուու ըուլու մոսացցի նեշյուրու,
յալոյթու դազա Շզենու ծառումուսա Շեշյուրու,

სტამბოლილგან დეიძრებთ, გეიხსნება დენგებიო,
ალთუნ წყალში გავლებული მიცხებული დემებიო,
ზღვაის პირზე მოგდომია დალაგმული გემებიო;
გამფრინვალეც ვერ უსწორებს, მუცელზე აქვს ეირიო,
სიარულსა თუ კი მკითხავ, ქოჭლანისა იარიო.

ზღვაის პირზე ეფინება შავი-თეთრი ჩიტებიო.

თუ ჯარებსაც მოუტანია ფრანგისტანის ჩითებიო,
მუშტერიც ვერ ჟამუნია, თავ-შეუდვია თითებიო.

ამ დამზალის ფრენგის ჩითით დუქნის პირი ავსილია;

თვალ დამდგრებს ვერ შეუტყვია, ფუხარა რომ დავსილია;
ფარიშავმაც მოგვიძულა, მოგვიკვეთა მარილიო,
მუბარექსა რათ სჭირია ამ ფუხრისა ტირილიო.

ზედა მცაში აწეული პავნანათის ყვირილიო,
ფალიშავის ასი თუ ვართ, წამეილოს სეფერიო,
ყიამეთით მორჩომისა წეგვიშინოს თებერიო,
ეფენდებია რიჯა უყოთ, ასთე მისცენ ხებერიო.

(გამოთქმული ბუჭანა ბაირახტარ შავიშვილისაგან. 1860 წლებში,
სოჭ. მერისში.)

ქ ა მ თ ა რ ი

გამჩენიდამ უმუდი გვაქ მოვლა ფუხრისა მთელისა.
დაბძანდი და ყური მომე, ვიკითხო ბეჭთი ფოვლისა.
ამ ზამგარმა გაგვისერთდა, გამოგვყარა მშრალი მტვერი,
ლობის დაწვა რას კი გავხდი, ვეღარ ვნახე სარი წვერი,
ალაფი ბევრი დემირჩა, შეშას თუ კი მკითხავ, მთელი,
უკაცრავათ, გიახლები, დემელია აღი-ყველი;
ხელი-ფეხი ვერ გევიღევთ, შეგვაწუჩა დუნია მთელი,
მოვიდა, თვალში დემიდვა ეზრომისა სერესკერი,
თებერვალი რომ დადგება,

შუბარექი ყიბლიდამა რომ გამოვა ჰაჯიელი,
შენს აჯილას მაშინ ვიყრი დეგეზვევა თავზე ქელი,
იგითი ხარ მაშინ დამხვდი, რომ გამოვა ხის ფოთელი,
გამჩენის ეშრი დეილოცა, მისიდამ არს სუ მთელი.

ქობულეთური დექსი

ოლქობაზე

(თქმული ჰუსინ მუავანაძისაგან)

გოთაულები შეიყარა ქობულეთური და დაგვია,
ხუცუბნელი, ჭახათელი, რომ ვსიტქათ ერთი არ გვაკლია,
ჯორის კვალზე რომ გავედით, ჩვედექით ყველამ გზაშია,
საკაციაზედ გავედით, წინა გავგზავნეთ ბარგია,
ბეგიებმა ის არჩია, გალაზ მოუხდეთ სახლშია,
ბაირახტრებმა იწყინეს: სახლზე მოსვლა არ გვარგია.
ჯობს, რომე დაბლა დაუჯდეთ, არ გამოუშვათ გზაშიო...
წავედით და ჩევნ დავჭედით ნატანების თვალშია..
რომ გათენდა, დავინახეთ სამი ჩამოჯდა ნავშია;
სამშა ნავით გამოვიდა, ერთმა წელთამდი წყალშია;
გავექანეთ და, ვეტაკეთ, შევდევით მაღალ ბარდშია.
გურიანთლებმა შეიტყო, შეყარა ჯარა ხალხშია,
როკნალზე წამოგვეწიენ, შეგვექნა თოფის ტკპია;
დაღალული ჩამოგვყარეს იქ აჩხამურის წყალშია.
ნაკაშიძე დაგვიძიხა: „რათ აშომაგდეთ სახლშია!..
ნაკაშიძე და ართომლიძე ნაქებია სროლაშია;
„მაგრამ ჩემი დამსებისთვის სამსაც მოტეხეს ბაყვია!“
მექორწილემ მოგვეგება: ბიჭი! რა გიჭირს, რა გაკლია?
თუ ძეობა გწამს, დაგვეთხვე, სული ხორციან არ აგდია.
გავექანით და ვეტაკოთ, დავინახით ანკრია!..
დაჭრილებსა გვიშინჯიდნენ, ზოგს აქვს მხარი მოტეხილი,

ზოგსა მხარის დავიწია, მოთხრობლათ გასვლა არ გვეგონა.
ყველამ ვლოცოთ დავითია.

**ქობულეთელი ზომის ქალასაგან ხასან-ბეგ თავდგენიმისადმა
პ. წერილი 1850 წ.**

ბატონს ხასანბეგს მიერთვას, უჭორჩილებით, თავ მდაბლით,
ბროლის ხელსა დაიკიროს და წაიკითხოს ტკბილის ხმით...
გონიერი, მეცნიერი თქვენ ბრძანდებით აგრე მღვთით.

ჩემო სიცოცხლის მომცემო, გამატეხელო ძალისა,
ნიავ ყოველად შემკულო, ვარდო გაშლილო ქარისა,
თათრის ქართლამდის ნაქებო, მაშვენებელო გვარისა.

რა რომ გთხოვოს სულიერმა, შეთვის უნდა თავი ნაცვლათ,
დღეი მხერით ვერ გავძეხი, ღამე ვიწვი შენთვის სანთლათ;
რამაც დედამ შენ კი გშობა, მას კი წაჰუდა სული ნათლათ.

ვინც კი გნახავს, თქვენ გენატვრის, სხვა არ უჩნა თვალებსა,
ღმერთო, თუ იმას შეგვყარო, საწყალთ გავცემო ფარებსა!
ნეტა რა დროში ვიქნები, გიდიდებ თავ-ქვეშ მკლავებსა,

ბასუხა ხასან-ბეგ თავდგინიმისაგან

ქალო, შენ გაქებს ყოველი, ადამიანთა ენები,
ზიხარ გონივრად გაზღილი, ადვილათ არ იხსენები,
თვალ-წარბზე ია ჩამოვჯევს, ლოყაზე ვარდის ფერები,
მღვთის მაღლმა გულით მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!

ქობულეთელი ასლან მესხამას მჟერ თავის მეჭობლებზედ
გამოთქმული სამტკვეთშა 1869 წ.

გენაცვალეთ მეზობლებო თქვენდა ნაცვლად ჩვენ წავედით,
თითო საწყალი ძმები გვყავს, თქვეთვინ ჩაგვიბარებია,
ხასან აღას მივენდენით, მივეხვიერ ორნივ ხელზე;
გვილალატეს და დაგვკარგეს, გაგვზავნეს შუა გულ ზღვაზე.

შუთ შაპათს სიზმარი ვნახე, შემაჯდინეს ვითომ ცხენზე,
პარასკევი რომ გათენდა, შეგვიყვანეს ხონთქრის გემზე,
რაც ქალქში კაცი იყო, ისეირეს ყველა ჩემზე,
დეინახეთ სასამართლო, რას ოკიდებთ ყილფის წელზე?
ბათუმში რომ ჩაგვიყვანეს, ფაშა წამოგვიფგა ფეხზედ,
რაც კი იყვნენ იქ კაცები, დაგვაყენეს ყველა წკაპზე;
ოცდა-ათი ვაჟი კაცი მუთი აღას მიგვცეს ხელზე,
შეგვიყვანეს სამტკვეთში დაგვაჭედეს რკინა ფეხზედ.

უდაბნოში შეგვიყვანეს, ველარ დადგა კაცი ფეხზე,
სტამბოლს გზავნას გვიპირებდნენ და საგძალი გვინდა ზურგზე,
კაცი გულით კერპი არის, ნეტამც ვიყოთ ჩვენს ადგილზე,
ღმერთო, იგი მოგვასწარი ვლოცულობდეთ ჩვენს ბინაზე.
აღი ეფენდ ხოჯათ იყოს, მუხურს დაკრავს ტყუილ საქმეზედ
მან სიცრუე იკადრა და ხარობს მტერი კიდევ ჩვენზე,
ჩვენო დედავ და მოყვარევ, ჩვენ ბრალდება არ გვაქვს თქვენზე,
იშალა გვემსახურეებით, თუ შევიძრეთ რკინა ფეხზე.

უსუფ ბეჭა ოდღის ამბავე

ბატონის წყალობა მქონდა;
 ოთხი ქოშე ოდის ძველი,
 უნდომობა შემეჩვია,
 შიგ ვიწერი ბიჭი ძნელი,
 სილალი შიგ ბევრი მქონდა,
 კალევა და ჭილაზენი.
 ავდექ და კარს მივადექი,
 სად მოსულან ეს თბლები?
 მურვანის ძეს თოფი ვკარი,
 გადაუგდე გუდის ძველი.
 ნაკაიძე გაიძახის:
 — ბეგო, მოკვდი წყლის უსმე-
 წყალი მაქეთ ჩამოვიდა, [ლი,
 არ წამიხდინო ჭურჭელა.
 შაბათი დილა გათენდა,
 სროლაც იქმნა საკურველი,
 უსუფისა დამცემელსა,
 ბიჭი უნდა დარჩეული,
 თოფის ცემა რომ შეიქმნა,
 ზოგი მირბის გაქცეული,
 იგი როგორ არ იცოდი,
 ფინთი ოჯახ დაქცეული.
 ოჭოფ უფსაც დაეცნენ,
 ალიბეგისა ბიჭები,
 ყურშუმ ბარუთ დეელიენ,
 ზეღ მიაყარეს ჭინჭები.

ერთი ბიჭი მე ვიყავი,
 მერქვა უსუფი სახელათ,
 უნდომოდა შემეჩვია,
 დავაკავე ფიშტო ხელად,
 ვა თუ უნდომს მიღალატეს,
 მომეხმარე ღმერთო შენცა;
 ეზრაელი ჩამობრძანდა,
 მაღლიდამ მეძახის სელას:
 სული უნდა ამოვწადო,
 ნულარ აქნევ მაგის ენას,
 რიზმან აღავ, ჩემო ძიავ!
 ნუ მიუშვებ დუშმანს ჩემსას,
 ბრევლი მყავს მე დუშმანები,
 ვამე სასაჭმელა ჩემსას,
 ხელთა რომ ველარ მიზმეს,
 შვილებისთვინ ლესენ ყამას,
 მე კვდარი და შენ ცოცხალი,
 შემაჭრიან გულზე ნიშანს,
 პაწაწალა დაუყვიროთ,
 მოგკიდებენ ზურგზე თრიმას,
 წუხელი სიზმარში გესიზრმა,
 მოდენიდენ ძროხას ჩემსას.
 იმას მკვდარიც კი ვეყოფი,
 დაღამდება მივალ მისას.
 სიცოცხლეში ვჭამდი სხვისას,
 ვატრიიალებდი ხელში მუსას.

ასლან ბეჯან თდოლის ამბავი

მე ვარ ასლან ბეჯან თლლი, ყოლფირალში გარჩეული,
რომელი არის ჩემთანა აღარ არის ჩურქესუში:

თუ დაშეცა მურად ბეგი მეტად გაუწყება ღმერთი;
შენ თუ ასი ბიჭი გახლავს, ჩემკენაა დიდი ღმერთი;
ყონახზე შემოშესია, შიგნით ქე დავრჩი ტყვესავით,
არა კაცს არ გაწყენიეთ, ჩემთვის ვიჯექი მტრედსავით,
გასაჭირში მომეხმარეთ, ყველას გეხვეწეთ ღმერთსავით,
თხუთმეტი ბიჭები დამდევს, არბათიოს მგელებსავით.

ბაბავ (მამავ), ერთი შინ შემოდი, ქალი გარეთ გაიყვანე,
ნენეს სალაში მიმართი და უთხარი. სიტყვაც თანა:

ბრევლი ქნოლა ქვეყანაში საცოდავი ჩემისთანა,

მურად ბეგ, არ გეკადრება. ჩემი ასუ აზარება,

მეზობლებო! დაუყურეთ, ნობელით თოფი ვარდება,

თუ მოვკალი ბეჟი-ოოლი, აქვს სილალი თავის ფასი,

აფხანაგობა თუ იცით, პაპუნაშვილის წყალი ასვით;

მორგონა ყირსსადლობა ჩემსას კარის ძირში დავსვი.

ყაზახობა დაინახა, აუტირე, დედა მისი.

წარსულს თმიანობაზე

გაგზავნესა საჩეუბაროთ ურუმელში. სამი ფაშა,

ორმა ფაშამ უღალატა, ქე გაყიდეს ლსმან ფაშა,

ლსმან შაშამ ჩეუბი რო ქნა, მისი უში აღარ დარჩა,

იმას უფრო რაღა ექნა, მომხმარე აღარ დარჩა,

ოთხივ კედით რომ მივიდენ, შემოესია ჯარია,

დაიკოდა ლსმან ფაშა, ხელთ დაიჭირა ხმალია.

გენერალშა დაუძახა: — „დადევი მაგი ხმალია.

შენ თუ რამე გაგიჭირდეს, მე ვარ შენი მომხმარეა!“

ხემწიფესთან წაიყვანეს, მან შეაძლია ხმალია,
ხემწიფემ ასე უბრძანა: არ აგერთმევა ლეკური,
შვიდ ყირალში არ მინახავს, შენისთანა მოწიფული,
შემშვენდება, უნდა მოგცე, უნდა გიჩვენო სტამბოლი,
წამხდარ საქმეს გააკეთებს, ლაზი ოსმან ფაშის ხმალი,
დაუძახა თორმეტ ფაშას, ერთათ მოსჭრა ყველას თავი,
ზოგსა ფაშას თავი მოსჭრა, ზოგს მოაბა წელზე ქვაი,
გემიჯებსა გაატანა, მოანახვა შავი ზღვაი,
ცის კიდეში გასულა, მისი ყაზახობის ხმაი,
რუსებს ჯარათ კი ეყოფა, ალარ უნდა ფაშას სხვაი,
ურუმელში წაიყვანა დიდი გამოთხრილი გზაი,
„ნამესნიკმა შეუთვალა: რაიზ გამოთხარე გზაი?“
იგი მტერებიზდა მინდა, მივყარო გულზედ ვაი,
აფროფიდშან უყიდნია მილიონის ზარბაზნები,
რუსის ყირაის შეუთვალა: თუ ბიჭი ხარ დამაგრდები,
ხაზეთას რო წაიკითხავ მაგ ბათუმში გესტუმრები,
ლმერთით მაშინ მოგერიო, დაგასიო ყურალები,
მე გახლავარ ოსმან ფაშა, გაგიწყვიტე სალდათები.

* * *

ლოლის ველზედ ყანა მქონდა, ყანაშია დიდი ლოდი,
ლოდის ქვეშე დიდი გველი, გველსა ჰქონდა ორი თვალი,
ერთი თვალი ცეცხლი იყო, მეორე კი წყლისა იყო,
გამოდიოდა წყლისა თვალი, დემინელა ცეცხლის თვალი,
შენსა თვალსა მცემარესა, დაუქროდეს ორივ თვალი.

* * *

ქართლის ქალებმა მოგწერე თათრის ქალებს კურნებით,
— „ჩვენც ქალები, თქვენც ქალები, მაგრამ არ გვევხართ სრუ-
ლებით; მღვთისა ნამგზავრს სახეს ჰქარავთ, გაქვან ფარული ჩადრები,
რაც კაცმა იგი ასწავლა, ნუ რა გზით ნუ ეთანხმები.

თათრის ქალებმა მოგწერე, ქართლის ქალებსა კალმები:


„—ჩვენ ჩვენთვის თითო მალი გვაქვს, ქმარებისთვის უვარები, თქვენ თქვენ ქმარებს ვერ ცნობილობთ, ხშირათ ფოთში იარებით, საცოდავსა თქვენს კაცებსა, რა ტყუილათ ემადლებით?„

ქართლის ქალებმა მოგწერე, თათრის ქალებსა ვართები:

„—ცხადათ კაც რომ დამინახავთ, კარსა უკან დაეფარებით, საცოდავსა თქვენს პატრონს კი სამჯვიდროთ ეპრიანებით, თათრის ქალებმა მოგწერე; — „კი სჯობს თქვენი ხაბარდები, შარაში კაცს დაინახავთ, მიხვალთ, ხელთ ჩაუარდესით, გლეხი რავა გავაძლიყუნოთ შეარცხვინა თავადები.

ტანციობა დაგიწყვიათ, ჯოჯოხეთში ჩავარდებით.„

ქართლის ქალებმა მოგწერე: — „ხოლოდ ლაშაზი ბრძანდებით, პირადობას თქვენ გიქებენ, რთვორც ზეცაში მთავრებით, იგი ქვეყანა გაბრწყინდა, სადაც თქვენ დაიარები, ჩვენი კაცი ვერ მოსულან, გადმოგიწყვიან თავები, თათრის ქალებმა მოგწერე: — “თქვენს ლარღლის ვენაცვალებით, თავით ბოლომდი შემკული, ალმასით თქვენი ტანები, პატარა ლა ხათრი გვრჩება, რომ წაგვართვით ქმარები, იმისთვის ხომ არ მოგწონან, შოპარსული აქვსთ თავები.



ბუნებინ ხაგაზის ლექსეგი

* * *

მე სიმღერას დავეთხოვე, ვერ მივაფარე იდო,
უსუფ აღა, გენაცვალე, რაუერ დაკარგე სვიაო,
ალრ აღამ თუ გაგლახა? მუსტა აღია ძიაო.

დაკარგული არ იფიქრო, წისქვილის კარი ღიაო.

დღეის იქით დავემტეროთ, ვინდამ რომ გიქმნა ურუში,
დიდი არაფერი არის, ფასი არს სამი ყურუში.

ამ ფერარაც დავიფიქრე: ბელქი ჩაიქრა რეშიდა,
მუსულმანი მაინც არ სჭამდა, კორხალო ჰქონდა ზურგშიდა.

ვაი თუ კაძახმა აწვალა, განზე დაუნთო ალები,
სვიას დერდი ეყოფოდა, მოცმული ჰქონდა თვალები.

საჭმლათ მაინც არ მინდოდა, უნდა მენახა ერთია,
მონაცვალზე თუ წავიდა, ხიდზე რა ფერ გაეთრია!

* * *

დიარბექირს გიახელი, უნდა მეშოვნა ფარები,
რომ დამემართა ყვავილი, კიღამ შემძრა ტყავები.

საცოდავათ მოაქცია ქი დამიწმიდა კუავები,
მუხლში ძალა გამომერთვა, ქაფშია გიგავს თვალები.

სულის დერდში რომ შევედი, გამძულდა ყველგან ქალები,
რაცხან რომ მე ავდექი, ცხენსა დავაჭდე ნალები,
ქურთებში რომ მოვიხედე პირ დაუბანელ ქალები.

კაი ნახში რომ მოვედი, სახლზე არ ჰქონდა კარები,
რა უჭირს რომ გაიკეთოს, ქურაებს დაუჯგა თვალები.

მათი ცოლები ჩივიან: ძალიან კაი ვართ ქალები;
ფეხი დაუბანელი აქვს, მურიას უგავს თვალები,
ერთი შეხედვით შევშინდი, საძაგელი აქვს თავები.

ს პ გ ი ნ ჩ ა (ჩიტი)

ჩიტის ხელმწიფესთან მივალ,
 საჩივარი მაქვს ერთია, .
 სკვინჩამ ყანა შემიჭამა,
 თახსოლის მქნელი ღმერთია.
 გათენებამდე ვკიუინუბ,
 შესეული ძყავს გოჭები;
 სკვინჩამ რაიზე დამაგდო,
 ნემსის ოდენ აქვს ჭოჭები.
 ნეტა ეგე მაცოდინა:
 ჩიტი რომელი მამალი,
 დღეის იქით გავამზადო,
 ბარბი და ბევრი წამალი.
 თოვლი რომ გათოვლდება,
 მაშინ რას მეტყვის ზავალი?
 ჩიტის დედმამა ხომ არ ვარ,
 რომ გავასუქო სკვინჩა.
 ყანის თავში რომ მივედი,
 სულ ყველა შეძვრა ქვინცხშია.
 თავზე ხელი შემოვიდევი,
 ვერც შემატყო კაცმა ფერზე,
 ჩემი ღუშმანი სკვინჩები,
 ჭახათს კეკლუცობენ ბრეზე:

დ ა ქ ა რ გ უ ლ ი ც ხ ე ნ ი

წიგნათ უნდა დამეწერა ქალალდების ერთი ფარჩა,
 სიზმარებმა ამიანცა, დამეკარგა ჩემი ბაჩა,

ვეძებე და ვერსალ ვნახე, ძალიან ხათრი დამარჩა,
ნაბარგალზე რომ მიველი, ტანზე გამიჩნდა ალები,
საძაგელი მოვინახე, მგლებს დაუდგათ თვალები,
მწუხარებით მოვიხედე, ოხრათ ეყარა ნალები.
საყვარელო ჩემო ბაჩავ, მერჩიე თავის მამასა.
შენი ხმა რომ გამეგონა, მაშინ ვიხვარდი ყამასა,
რომ წადი და აღარ მოდი, რაზე მიეჭინი ინათი?
შენთან უკაცრავათ დავრჩი, ბაზარი ვქენი ყირათი,
პოლიციას აზრს ვაძლევ, ბაჩა გაუშვი ქალაქში.
საქათმეში გაველი, ვნახე ფაფარი ტალახში,
მაშინ ტირილი ვიფიქრე, მღვდელი მყოლოდა, ბერები.
სულიაში გამაგზავნეთ, თან წამატანეთ მგელები,
მე რომ ბაჩა გაუშვი, რატომ არ შემახმა ხელები.
აქ სამყოფათ აღარ ვლირვარ, ჩემი აღვილია აქარა,
მარტო მგელს არ ვედავები, ზოგი ტურებმა დაჭამა.
სახლში ბალნები მიტირის, იმის შეხედვა მრცხვენია,
ღმერთი ბატონის წყალობით უნდა ვიყიდო ცხენია.
ყოვლი კაცი რომ იცინის, მოწყინელი ვარ ერთია,
რაც კაცი ხელს მომიწყობს, იმის გაშმარჯვე ღმერთია.

ს ი ზ მ ა რ ი

სიზვარში კაბა დამეწვა, ყანაოზი ვითამ ფარჩა,
მივალ-მოვალ ყოვლთვის მახსოვს მშვენიერი ჩემი ბაბჩა.
ვინცა სებები გამიხადა, იმას არაფერი დარჩა.

ხუსეინ ხაგაზი

ამ ლექსების მთქმელი, ხუსეინ ქამჯარაძე, ბათუმის ოლქის, ქობულეთის ნაწილის სოფ. აჭყვისთავში სცხოვრობს. ამ რამდენიმე წლის წინეთ, მე ვიყავ მასთან და ეს ლექსები მაშინ დავწერე. ხუსეინ ხაბაზი 70 წლებში მიღწეული გახლავსთ, ქართული წერა-კითხვაც იცის და ქართულ წიგნებაც კითხულობს. 10 წელიწადი დიარბექირს და ჭურთისტანს ყაჩალათ ყოფილა გავარდნილი. რუსთავან დასავლეთ საქართველოს აღების შემდეგ, ხუსეინ ხაბაზს უფლება მიეცა შინ დაბრუნების, ეს მაღა მოვიდა შინ, დასახლდა და დღემდე მყუდროთ სცხოვრობს თავის ცოლშვილში.

ამ მოხუცის მამამ დიდხანს იცოცხლა, მეც მოვესწარ მას, ვიყავ მასთან და ბევრი რამ ცნობები მიამბო ქობულეთის შესახებ, ნამეტურ ოსმალთაგან ამ კუთხის გათათრების. ამბები, ეს მოხუცი მომსწრე ყოფილა სოლომონ იმერთა მეფის. მიამბო: მე მაშინ კაი დელეყანდი ვიყავი, როცა სოლომონ მეფე სტამბოლს გიახლათ ხონთქართან, ტრაპიზონამდის ჩვენ გავაცილეთო, იმერეთში რუსების მოსვლაც კარგათ შესვესო. ჩვენი გათათრების შემდეგ 100 წელი იქმნება გასული. მე პატარა ვიყავ, როცა ქობულეთში თათრობა შემოვიდა, პირველათ ბევრი ვიმაგრეთ, მე ჩემა ბებიამ გურიაში გამაქუია და გურიელის სახლში დამტოვა, რომ არ გავეთათრებიეთ, მაგრამ ბოლოს მაინც არ ამცდა, დაშვიდების შემდეგ, ოსმალებში მოლები გამოგვიგზავნეს და გაგვათათრ ეს

ძალით. მე კარგათ მახსოვს, რომ როდესაც მოლებმა პირველათ დაიწყეს ოქტომბერის თქმა, ჩვენ ქრისტიანებს ძრიელ გვეჯავრებოდა და ამიტომ ქვებს და ტალახს ვესროდითო. ნელ-ნელა ისე მოგვიხერხეს, რომ აქედამ ხუცები გარეკეს, ეკლესიები დაკეტეს და ჩვენც გათათრება გამოგვიცხადეს. რამდენსამე წლის განმავლობაში მთლათ გათათრდა ოსმალეთის სამფლობელო ქობულეთი. ჩვენ, ქაჯარაძეები იმერეთიდამ ვართ ძველით ოქტომბერი. ჩვენი მეგვარეები ქუთაისის ახლოს უნდა სჯხოვრობდნენ. მე მოვესწარ კარგათ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს, მის მამა აბდულ ბეგს, ახმედ ფაშა ხიმშიაშვილს და მრავალთაც სხვებს.

60. 01282 2039

ღმ. თამარ გეოვე*).

როგორც ქვა ლა რკინის ერთმანერთთან შეტყორუნით
გამოკრთება ცეცხლი, ანუ ნაბერწყალი, უეგრეთვე აღმობრ-
წყინდება თამარ მეფის ცხოვრების ამბავი. „ქართლის ცხოვ-
რების“ თქმით ამ მეფის ცხოვრების აღწერა შეუძლებელია,
ძნელი, მიუთხრობელი, ენით გამოუთქმელი. მის მომთხრო-
ბელს ბერძენთ ფილოსოფ პლატონის და არისტოტელის ენა
უნდა ჰქონდესო, ანუ ქართველთ დიდებულის რუსთაველის
კალაბი.

„თამარს ვაქებდეთ მეფეს, სისხლისა ცრემლ დათხეული“
„შედნად ვიხმარე გორის ტბა და კაჭმად მისა რჩეული“.

თამარ მეფის ცხოვრების აღწერის სიძნელე ძველადვე გამო-
ჟავეს, ქმრთველთ ნასწავლ ფილოსოფებმა. მაგალითებრ: თა-
მარ მეფის დროის ქართველთ ფილოსოფ ივანე შავთელი ამბობს:

„შემოკიდათ ბრძეონთ, ათინელთ ძენთ,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულია,
კრიტს, ტაბს, მაღრიბს, ეგვაზტეს, მაშრიბს,
ჩინეთ-ჩინეთსა, თარშის ქებულია“.

იმავე დროის ქართველთ მეორე გამოჩენილ ნასწავლმა
ფილოსოფ ერიგოლ ჩახრუხაძემაც მიმართა თამარის სიბრძნის
აღწერას აცე:

„მთ, ფილოსოფით, სიტუვითა არსნთ,
თამარს ვაქებდეთ გულის ხმიერსა,
არისტოტელთ, ბრძენთა ტოშეულო,
თუ რას არ შესძლებს ენა ძლიერსა“.

ჩვენ ყველას ვერ მოვსთვლით აქა ნამეტურ შეამკეს და
აღიდეს შემდეგ დროის ქართველთ კათოლიკოზებმა თავიანთ
ლექსებ—იამბიკოებში.

*) ბათუმში ეს წერილი რუსულად სთარგმნა და დაბეჭდა ცალკე
წიგნათ ქართველ მოღვაწე კოშია მაჭავარიანმა.

თამარ მეფე ბრძანდებოდა გიორგი მეფის ქალი, გიორგი
მესამის მამა იყო დიმიტრი მეფე, დიმიტრის მამა დავით მე-
სამე, შემდეგ დავით ალმაშენებელი წოდებული, რაღანაც
ამ მეფემ გაანთავისუფლა საქართველო არაბებისაგან. მაშინ
საქართველო არაბებს აძლევდენ სახელმწიფო ხარჯს, არა-
ბებს ორასი წელიწადი ეჭირათ საქართველო. ამ ღვაწლის-
თვის დავით ალმაშენებელი ქართველთა კათალიკოზების
ბრძანებით წმინდანთა იქმნა მიღებული, ამის შვილი დიმიტრი
მეფეც ბრძენი მეფე იყო, ეს ბერათ შედგა, სახელი დამია-
ნე დჟარქვეს, ქართულს მწიგნობრობასაც მისდევდა, — მეტოუ-
ბა შვილს, გიორგი მესამეს ჩააბარა. როგორი ბრძენ მეფე-
ნიც დავით და დიმიტრი ბრძანდებოდნენ, ასეთივე ბრძენ
იყო გიორგი მეფეც, გიორგის ქალი ბრძანდებოდა თამარ
მეფე, ანუ თამარ მნათობი, რუსთაველის სიტყვით მზის საღა-
რი, ბინდის გამსხივებელი, ქვეყნის მზე-თინათინი.

თამარ მეფის დედა ბრძანდებოდა ოსეთის მთავრის
ხუდანის ასული ბურდუხან, დედოფალი მეტად ჭკვიანი.
ჩვენის ისტორიის თქმით ეს დედოფალი უმაგალითოს კარგის
თვისების ყოფილა, მას დიდათ ებრალებოდათ ლარიბნი, ლა-
ტაკნი, ბრალეულნი, დამნაშავენი, ყველას ქომაგი, ყველას
მომხრე, ლატაკებს თვით თავის ხელით ურიგებდ სარჩო-საბა-
დებელს, მოწყალებას. გიორგი მეფეც ასეთივე კეთილის თვი-
სების ბრძანდებოდა. ამათ ასწავლეს თამარ მეფეს ნაზი კრძა-
ლულება, მაღალი სათნოება, დამნაშავეთა საქმეებისკარგათ
განსჭვრეტა, მერე მის გარჩევ-განბჭობა, ყველას შეწყალება,
ყველას პატივი, დიდთა და მცირეთათვის ერთი სამართალი.

მეფე გიორგიმ, დიმიტრიმ და დავით ალმაშენებელმა
თვის ჭკვიანის მოქმედებით საქართველო ყოველნაირის მხრით
აღამაღლეს, დააწინაურეს, თანაბარ გახადეს იმ ღროის ყველა
განათლებულ სამეფოების, რომლებიც დიდის დიდებით
ბრწყინავდენ, ასეთ განათლებწლთ ტომთა ეკუთვნოდენ
ელინი (ბერძენი), რომაელნი, ფრანგნი და ზოგი ერთიც

სხვა განათლებული ქრისტიანთ სამეფონი. მაშინ საქართველო ამათი ცალი და სადარი იყო, ამიტომ ეწოდა ქართველთ პრეზ კაცაგან ხსენებულ დროის საქართველოს „თქოს საჟუნე“ ასე რომ დიდებულ და ბრძენს თამარ დედოფალს მაშა-პაპათაგან ჩაბარდა ძრიელი საქართველო, ძრიელ სამეფოს მოევლინა. ჭკვიანი დედოფალი და ამან უფრო გააძლიერა ბევრ ნაირის ძლიერებით ამაღლებული საქართველო.

ასეა ყველგან სადაც კი დედ-მამას კაი შვილები გამოსდით, უხეირო შვილების მეოხებით ბევრი ოჯახი დაცემული, ბევრი სამეფოებიც მოსპობილა, ბევრს მამასახლის დაუკარგავს თვისი მამასახლისობა, ბევრს მეფეს მოპლებია ბოლო, წართმევია გვირგვინი და ტახტი. ჩვენ ქართველნი ძლიერნი და ბეღნიერნი ვიყავით მაშინ, ვიდრე კარგი მეფეები და თავადები გვყავდნენ, დავეცით მას შემდეგ, როცა უძირველესად ესენი წახდენ, როცა ამათ უძლური ხალხის საქმეს გული აჰყარეს, თვალი მოარიდეს, დიდ პატარაობა დაარსეს,, მაღალი წოდება გაამედიდურეს, ხელში მათ უძლურთა მომრეობის ძალა მისცეს, ბევრნაირის უსამართლთების ძალოვნებით შემოსეს, დიდია და მცირეთ შორის . დიდი განსხვავება და გარჩევა დააფუძნეს.

საქართველო ამაღლდა რიგიანის გამგე პირებისაგან,— საქართველო დაეცა ურიგო მეფე-თავად-პირებისაგან.

თამარ მეფე დაიბადა 4159 წ. იგი მეტათ ჯან საღი პრძანდებოდა. შესახედავობით ყოფილი მეტათ ნარ-ნარი, შშვენიერის თვალ ტანადობის, ყმაწვილის ხილვას ყველა განცვიფრებაში მოპყვანდა. თამარის დაბადება მთელმა ქართველობამ დიდის დოდებით იდლესასწაული. თამარის დაბადების დღესასწაულის მიზეზათ ისიც იყო გამხდარი, რომ გიორგი მეფე, ე. ი. მამა თამარ მეფისა და მეუღლე გიორგი მეფის, დედა თამარის,— დედოფალი ბურდუხანი ქართველებს დიდათ უყვარდათ. ამ სიყვარულს ნათლათ აცხოველებდა მათი კარგი მოქმედება, ერის უზადოთ სიყვარული, მათი უმანკო

პატივის ცემა და ქართველთ ტომის წარმატების საერო ღა-
ლადი. ერის უზადო სიყვარულს უარესათ აფართოვებდა და
ამძლავრებდა იმ ღროის ქართველთა ტომის სიუხვე, სიდია-
დე, მაშინ ქართველი ტომის ორივე სქესის რიცხვი ითვლე-
ბოდა 10 მილიონზე მეტი. ამას გარდა მაშინდელს ქართვე-
ლებში სხვა ბევრი კეთილი რამ წარმატებით მხარეებიც არ-
სებობდა, მაგალითებრ: მაღალსა და დაბალს წოდებაში არ
იყო ისეთი ზიზღი და მტრობა გავრცელებული, რაც ჩვენდა
საუბედუროთ ეს შემდეგ დროის ქართველებში გავრცელდა,
მაშინ დავადი, აზნაური, მღვდელი და გლეხი ყველა ქართ-
ველ იყო, ყველას თავის თავი ქართველად მიაჩნდა, ყველა
მით ნეტარებდა, რომ იგი საქართველოს შვილი იყო, ერთის
ტომის-აკვნის ძენი, ერთის კერის წინაშე ყველა ერთობით
მსხდარი. იცოდნენ მათ ისიც კარგათ, რომ ვიდრე მათ შო-
რის იქმნებოდა მტკიცე ერთობა, მინამდის მათ მტერი ვერას
დაკლებდა, ვერ გასტეხდა, როცა ეს ლირსება დამცირებულ
შეიქმნებოდა მათ შორის, მაშინ მათ მტერიც აღვილად მო-
ქრეოდა. ამ ბრძნულს ანდაზას ასაბუთებს შემდევი თქმუ-
ლებაც:

„შერმან ქართველის გაცისამან დაქცია თჯახი თვით ქართვე-
ლთა, ფერფილათ აქცია ჩვენი მამული“.

როცა ქართველთა შორის შურმან იწყო მაღლა წევა
და გაფართოვება, მას შემდეგ ქართველი ერიც მიეცა ვრდო-
შილებას და უძლურებას ამ მოსავალს ის გარემოებაც უფრო
უწყობდა ხელს, რომ ჩვენს გარშემო მაჰმადიანებმა იწყეს აღო-
რძინება და გამაგრება, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ
საქართველო ვერ აღორძინდებოდა და ვერ დაწინაურდებო-
და იმ სახით, როგორც იგი დაწინაურდა მშვენიერის დაბე-
ბით, სოფელ-ქალაქებით, გზა და ხიდებით, მეურნეობით,
ხელოსნობით, ეკულესიების შენებით, სწავლით და ზალის.
რიცხვით, მაშინ იმოდენათ ძლიერი იყო ქართველი. რომ
მარტო, ახალციხის შხარეს ერთი მილიონი ქართველობა

სცხოვრობდა, მაშინდელ ქართველთ ძლიერებას განცვიფრებაში მოჰყავს თვით დღევანდელ ქართველს გარეშე უცხო მოგზაურიც, ჩვენ-კი დაბრმავებულები ვართ.

თამარ მეფე პატარაობიდგან იზრდებოდა სამეფოს სახლში, მას ზრდიდნენ იმ დროის ქალების სწავლის წესდების კვალათა. უმეტეს ყურადღებას აპყრობდა რუსუდან დედოფალი, მამიდა თამარისა. ეს დედაკაციც მეტათ ჭკვიანი ყოფილა, შორს მხედველი, მცოდნე იმ დროის ყველა სწავლა მეცნიერების, მასთანვე ხელსაქმეშიაც დახელოვნებუი, ჭრა, კერვა და ქარგვა უმაღლესის ზომით სცოდნია. ამ ქალს დიდათ სურდა საქართველოს სიძლიერე და სიდიადე, თავის ძმა გიორგი მეფეც დიდათ უყვარდა. თამარ მეფე სწავლაში მეტათ ხალისიანი - ყოფილა, ყველა საგნებს იგი უადვილსად ითვისებდა. თამარმა ქარგათ შეისწავლა ქართული ენა, საქართველოს ძველი ისტორია, სამღრთო წერილი, სხვა-და-სხვა საგნები, ბერძული ენა და მათი მწიგნობრობა, ლათინური ენა და წერა, თათრული, სომხური და რუსულიც, რადგანაც მაშინ რუსნი ქრისტიანები იყვნენ, მასთან ძლიერნი-მართლმადიდებელნი. ყველაზე მეტი გონიერბა ამას ეტყობოდა სახელმწიფო საქმეების მართვის გონიერებაში.

თამარ მეფეს მშობლები ადრე დაეხ-ცა, მცირე დროს მის მამიდაც მართავდა საქართველოს ტახტს. თამარი მოწიფულებას მიეცა, მას გათხოვება დაუპირეს, მაგრამ იგი არა ნდომობდა, მამის თხოვნას გარდა მამიდამაც სთხოვა გათხოვება, თამარმა შეისმინა მათი თხოვნა, მალე საქმროთ რუსეთის მეფის ანდრია ბილოლძესკის ვაჟი მოიყვანეს და მასზე დააქორწინეს, მაგრამ ამითი ცოლ-ქმრობა მცირე ხანს დარჩა, იგინი მალე განქორწინდენ, რუსი გიორგი სტამბოლს გაიქცა, იქ ბერძენთა იმპერატორს შველას სთხოვდა, ჯარი მომეცი, წავალ საქართველოში და თამარ მეფეს შევებშები და მე გავმეფებიჲ, მაგრამ ბერძნებმა დახმარება არ მისცეს, იგი მოვიდა მაშინდელს ერუშეთში, (არტაანის ოლქი) იქა-

ური ქართველების ზოგიერთი მთავრები შიიმხრო და თამარს
ომი დაუწყო, მაგრამ იგი მალე იქმნა ძლეული, საქართვე-
ლოდგან გააძევეს, ამით გათავდა თამარის საქმე.

თამარ მეფე და დიდებულთა თხოვნით რუსზედ დიდუბის
უველა წმიდის ტაძარში დაგვირგვინდა. დანიშნულს დღეს
დიდი ხალხი შეიკრიბა. ეკკლესიაში დაიწყეს წირვა და გალო-
ბა, მგალობელნი გალობდნენ შესანიშნავის იმ დროის გალო-
ბით. გვირგვინის კურთხევას შესრულების დოს, თამარ მე-
ფესთან მიბრძანდა ქუთათელი, მთავარ ებისკობოზი, ანტონ
სალირის ძე, კაცი თავის დროის კვალად მაღლის სწავლით
შემოსილი, ამან დაადგა თამარ მეფეს თავს გვირგვინი. შემ-
დგომ ამის მოილეს ხმალი: ვარდანის ძემ, ამანელის ძემ და
სხვათა შემოსეს თამარ მეფე. ამავე დროს, სამეფოს მხნეო-
ბისა და ერთგულობისათვის დალოცეს დიდის დიდებით კა-
ხაბერი კვირიკის ძე ერისთავი რაჭისა და თავკვერისა, წირ-
ვაზე შეაქეს ქართველთ მღვდელ მთავრებმა, მათ ადიდეს დი-
დებული თამარი, მელექსეებმა აქეს ლექსებით თამარ მეფის
ჰკუა და გონიერება.

ამ დღისთვის და შემდეგაც დიდუბეში იკვლოდა დღეში
ათასი ცხვარი, ძროხა, ხბო, თხა და გარეული ნაღირი, ქარ-
გათ მომზადებული საჭმელები მიერთმეოდათ სტუმრებს და
მოწვეულთ უცხოთა, ამათ გარდა ყოველ დღე ურიგებდნენ
საჩუქრებს, მისმა უხვმა საჩუქრებმა დაამდიდრა ღარიბ-ღატა-
კნი. ობოლ ღატაკებთ მიუჩინა გამზდელნი, მოხუცებულთ
მათხოვართათვის გააკეთებინა სამაღლო სახლები. გააკეთები-
ნა უცხოელთ მოგზაურთათვის სასტუმრო სახლები, ქარვას-
ლები. ერთის სიტყვით თამარ მეფე სრულის სიუხვით მიე-
გება დაგვირგვინებას. მაშინ დურმე დიდუბის ეკკლესია დი-
დი ეკკლესია ყოფილა, მიტომ დაგვირგვინებულა აქ, რომ
უველა უმაღლესი პირი მოთავსებულიყო ეკკლესიაშიო. შემ-
დეგ საუკუნოებში ეს ეკლესია მტრისგან მთლად დაიქცა,
მერე დაქცეულის ნაშთები უამთა მიმდინარეობის ქარმა წვი-

შამ და სეტყვამ სრულიად მოსპეს, გააქრეს სამუდამოთ. ამ ეკლესიის აღაგას შემდეგ აღგებულ იქმნა პატარა ნიში, რომელზედაც ამ XIX საუკუნეში აღაშენეს ახალი ტაძარი.

დაგვირგვინების შემდეგ თამარ მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია სამეფოს საქმეებს, ჯარის ცხოვრებას, ხალხის საჭიროების ვაცნობას, ეკკლესიების შენებას, არხების გაყვანას, სასწავლებლებმა ერთი ათად იმატეს, კარგათ გაჩაღდა ქართული მწიგნობრობა, გამოვიდენ შასანიშნავი შოთა რუსთაველი „ვეფხის ტყაოსნის“ დამწერი, იოანე შავთელი, ფილოსოფი, ვრიგოლ ჩახრუსაძე, დავით სათაბაგოელი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, სარგის თმოვველი „დილარიანის“ დამწერი და ზოგიც სხვანი სამხედრო და სასულიერო გვამნი, შოთა რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსანი“ საქართველოზედ დაწერა. როგორც როსტევან მეფეს თინათინის მეტი სხვა შვილი არ ჰყვანდა, მან დაგვირგვინა თინათინი მეფედ, ესევე იყო თამარიც. ამის მამას თამარის მეტი სხვა ძე არ ესვა. როსტევან მეფე—გიორგია, არაბეთი—საქართველო, თინათინი-თამარი. ინდოეთი-იმერეთი, ქაჯეთის ციხე—ახლანდელი ქაჯეთის ციხე, ქაჯელნი-სამცხელნი. ხატაველნი-ოსები.

თამარ მეფეს სამეფო მოვალეობის გარდა მეტათ კარგად ჰქონდა შესწავლილი ხელსაქმეც, სამეფო საქმეების გარჩევის და განბჭობის შემდეგ იგი ჰკერავდა და ჰქარგავდა, სხვა და სხვა სამლენელმთავრო სამოსს, უმეტეს ეპისკოპოზების სამოსს ჰქარგავდა, მერე მათ ეპისკოპოზებს სწირავდა, მისის თითებით შეკერილ და მოქარგულ დაფარნებით სავსე ყოფილა ძველათ საქართველოს დიდრონი ეკკლესიები. დღევანდლამდე იხილვება სურათი მისის გულსაკიდის ჯვარისა, ქართული წერაც ქარგვასაებ სცოდნია, მისგან დამტკიცებულ-სიგელ გუჯრებმა ჩვენ დრომდინ მოაღწიეს, ამ გუჯრებზე თამარ მეფე განსცვიფრებელის ოსტატობით იწერს ხელს, სულ ორს ასოში იხატება მისი სახელი—თამარ მეფე. თამარ მეფის საბედნიეროთ, მის მეფობის დროს, შეესწრენ მეტად ჰკვიანნი ბედნიეროთ,

და ბრძენ სამეფო ქართველთ გამგენი, ეს პირნი იყვნენ თა-
მარ მეფის მარჯვენა მკლავნი. ამათმა უზადო მოქმედებამ, სა-
მეფო საქმეების ღრმად ჩაკვირვებამ ქართველთა შინაურსა და
გარეულს საქმეებს მეტათ კარგი, სრული, დიალი მიმდინა-
რეობა მისცეს. ასეთ პირებს ეკუთვნოდნენ ზაქარია მხარგდე-
ლი, ივანე მხარგდელი, ვარამ გაგელი, შალვა თორილი და
სხვანი.

ამათმა ძლიერმა მკლავმა და მიწის მგელობამ საქართვე-
ლოს მისცეს თვის ადგილებთა სიმტკიცე, სამეფოს სამფლო-
ბელო ადგილების შემოხაზვა, ამათ განავრცეს და მტკიცეთ
შემოფარგლეს ქართველთა მიჯნები, გაოხრებული ჰაოსიანთ
ქალაქებიც ამათ დაუკავშირეს უფრო მტკიცეთ ქართველებს,
ქართველ მეფეთა სამახსოვროთ ანში რამდენიმე ქართველთა
ეკკლესიებიც აღაშენეს. რომლებმაც შემუსრვით ჩვენ დრო-
დისაც მოაღწიეს. ერთ ამ გმირთაგანი სარწმუნოებით მართლ-
მადიდებლობას დაუკავშირდა, რადგანაც იგი გრიგორიანი იყო
ამ გარემოებამ ჰაოსიანთა და ქართველთ შორის განხეთქილე-
ბა ჩამოაგდო, მაგრამ თამ რ მეფემ ეს მალე დააწყნარა. მაინც
უნდა ვსოდეთ, რომ ზაქარია და ივანე მხარგრძელნი სარწმუ-
ნოებით იყვნენ გრიგორიანი, თორემ გვარ-ტომობია, ენით
და ხასიათით ნამდვილ ქართველები იყვნენ. ამათსავე დროს
ქართულს მწიგნობრობას გარეშე ბრწყინვალეთ მოქმედებდენ
ივანე შავთელი. კაცი ფილოსოფი, მაღალის გონების მექონი-
გრიგოლ ჩახრუხაძე, კაცი გამოჩენილი გამგე და მოსე ხონე-
ლი, ამირან დარეჯანიანის დამჭერი, ჭვიანი მოსამართლე და
რამდენიმეც სხვა სასულიერნო პირნი.

ამათ დროს საქართველი ირიცხებოდა რკინის პალოდგან
დარუბანდამდე. თფილისი მაშინ სამეფო ქალაქათ ითვლებო-
და, მცხეთა საკათალიკოზო დედა ეკკლესიად, კათალიკოზი-
ცხეთაში ბრძანდებოდა, ტფილისში თფილელი მიტროპოლიტი
განაგებდა. თამარ მეფეც უმეტეს ტფილისში სცხოვრებდა,
განვლო დრო უაშმან და ქართველთ დიდებულთა შორის დაი-

ბადა თამარ მეფის გათხოვების აზრი, მალე დანიშნეს კრება, თაბაბირი ჰქმნეს და გარდასწყვიტეს თამარ მეფის მეორე ქარზა გათხოვება, მოციქულათ მიუგზაინეს მამიდა — რუსულან დელოფალი, ამან აუწყა თამარ მეფის ერის წადილი და თვითაც დაავალა გათხოვება. თამარ მეფემ შეისმინა მამიდის რჩევა, გათხოვებაზე თანხმობა განაცხადა. სასიძო მალე გამოსჩნდა, ეს იყო ოსეთის მთავრის შვილი — დავით სოსლანი.

დავით სოსლანი თავის ღროვის კვალათ განვითარებულ პირი იყო. იმ ღროვის ოსები მთლათ ქრისტიანები იყვნენ, მათში, გავრცელებული იყო ქართული ანბანი, ქართული წიგნები, იგინი მაშინ მკაფიოდ ქართველობდენ, შემდეგ კი უბედურმა გარემოებამ და უამთა ვითარების პირობებმა ოსები გაათათრა, განათლების წარმატებას მოაცილა, უკანასკნელი იგინი გადაასხვატერა. დავით სოსლანი იყო იმ ღროვის ერთ განვითარებულ მთავართაგანი, გვარად ესეც ბაგრატოვანი ძველი შტო და ბაგრატოვანებისა, შთამომავალი დავით ყველაფრით მოსაწონი ყოფილა, თანხმობის შემდეგ ქორწილი მალე მოხდა, ქორწილი დიდუბის ეკკლესიაში მომხდარა, რადგანაც ამავე ეკკლესიაში დაგვირგვინდა. ამ დაგვირგვინების სახსოვრად იოსებ დავით შვილმა სახალხო კილოთი სთქვა შემდეგი ლექსი:

„საქართველოს დედეოფება, დედა ქართლისა თამარი, სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,

დავით სასლანის მეუღლე, რომელს უმშვენა მან მხარი დიდუბები იქთხუინა, სადაც რომ საუდალი არი, ასი სულთ ცხვარი დაჭვლა და როასი ნიშა ხარი,

ქვრივ-აბლებს უწყალობა თქოთ, გერცხლი ზიდი მაღი, სიბრძნით, სიუხვით „ქებული, დილის ცისკარი სიდარა;

ის მნათობი ქვეუნიური, მკვდარიც გერ უბოგეთ სად არი?“

„მკვდარიც ვერ ვპოვეთ სად არის“ ხალხის სიმტკუნეა, ისტორიით ვიცით, რომ თამარ მეფე გელათში ასაფლავია. ეს სწორეა და ნამდვილი.

ქორწილის შემდეგ თამარ მეფემ დიდი წყალობა გასცა
ლარიბებზე, როგორი მოწყალეც თამარ მეფე ბრძანდებოდა,
სწორეთ ისეთივე აღმოსჩნდა დავით მეფეც, ამათ ქართველთა
შორის დაამყარეს მშვიდობიანი წესები, ურჩი დაამუხლეს,
მჩაგვრელნი ალაგმეს, სამეფოს საქმეები ოსტატურათ განა-
წყეს, ყველა სახელმწიფოებთან ოსტატურათ იწყეს კავშირი,
უმეტეს ამათ ყურადღება მიაქციეს დასალეთ-სამხრეთ საქარ-
თველოს კუთხეებს, ოლთისისკენ, ყარსის, ერუშეთის (არდა-
განის), და სხვა ასეთ კუთხეებში მრავლათ იწყეს ციხე, კოშკ-
ხიდების გაკეთება, მათგან გაკეთებული ხიდები აჭარა, ლივანა,
შავშეთში დღესაც მრავალია, ხალხი ამბობს, რომ იგი თამარ
მეფის ნაკეთებიაო, ამათ იცოდნენ ამ კუთხეების მნიშვნელო-
ბა და მიტომ მიაქციეს მას ყურადღება. პირველად თამარ მე-
ფეს ამ კუთხისაკენ მოუხდა ომი ნუქარდინთან, ნუქარდინ
ძლეულ იქმნა. ამაზე გამოითქვა შემდეგი ლექსი გადასხვაფე-
რებით:

„თამარ მეფე და ხონთქარი, მაღალმა დმერთმა წაჭყიდა, ზღვა-
ში ჩაუშთ ხომალდი, ზედ ალმასები დაჭყიდა, ზედ დასხა ქართველი
ჭამქარი მრავალ წყალობას დაჭყირდა“.

ნუქარდინის ომის დროს, ქართველებმა იპოვნეს ერთი
ძველებური „კარაბადიმი“ არაბულს ენაზე ნაწერი, ნუქარდი-
ნის ჯარის ექიმს ჰქონდა ეს „კარაბადიმი“, ჯარში თან წამო-
ლებული. თამარ მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია ექიმობას,
ეს „კარაბადიმი“ ათარებინა ქართულად, გაამრავლა ექიმები
და დოსტაქრები, „წამალხანები“ და საექიმო წიგნები, ასეთის
დიდების სამასოვროთ ლექსი სთქვა იმ დროის ბრძენ გრი-
ჭოლ ჩახრუხაძემ:

,,თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარ-ნარი, პირ მცინარი;
მზე მცინარი, საჩინარი,
წყნარი, მთქნარი მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი;

არსედ მთქნარი, უჩინარი,
გარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ლაწვ-მწევზარი, ჰირ მცინარი”.

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ამავოდ, ადვილად არ მოგვი-
თხრობს, რომ თამარ მეფის მშვენების და კაცთაოვის კარგი
საქმეების ცნობების აღწერა მეტათ ძნელია,, შეუძლებელიო.
ამასვე მოგვითხრობენ თამარ მეფის მელექსენიც, ბევრს ღირ-
სებასთან თამარ მეფეს მეტათ კარგი მომთხრობელი ენა ჰქო-
ნია, შესანიშნავი მეტყველ მქადაგებელი ყოფილა, ამასვე ასა-
ბუთებს იმ დროის რეანე შავოცელის ეს სიტყვა ლექსად:

თვალი ხარ ბრძანა, თვით მზადეჭი ურმათა,
მშიურთა პური, უსახლ-სართული,
მამა თბილთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მოვლინებული,
შოთუცებულთა, შორით რებულთა,
სიმტკიცის კვერთხად, მისაყრდნობული,
მოგვიფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განვვიმარტებ მაღლთა მთხრობელი”.

თამარ მეფეს კარგად იცნობდნენ და ოქებდენ: ბერძნე-
რ. თათრები, ფრანგნი, რუსნი, სომეხნი, სპარსნი, ეგვიპ-
ტელნი, პინდნი, სლავიანთა ტომნი და მრავალიც სხვა ტომ-
თა ძენი, თამარ მეფის სახელს ყველგან ქებით იხსენიებდენ,
ამის სახელს ამოსკრიდნენ დანებზე, ხმალს-ხანჯალზე, საეკ-
კლესიო ნივთებზე, ჭურჭელზე, სახლის კარებებზე ყვავილი-
ანის ასოებით, ძვირფას ნივთებზე, ხალებზე და სხვაგან. ქარ-
თველნი ამოსკრიდნენ უფრო შოთა რუსთაველის შემდეგ
სიტყვებს:

„თამარს გაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული.

გას შეენის ლომსა ხმარება შებისა, ფარ მიმშერისა,

მეფისა მზისა თამარის, ლაწვ-ბადახშ თმა გიშერისა“.

თამარ მეფე ხშირად ხედავდა ქართველთ ლაშქართა,

მას სამუდამო მორიგი ჯარისა ჰუვანდა კაცი ოთხ-ასი ათასი“

ჯარს ინახავდენ კარგათ, ჯარის კაცთა სამსახური დროები-
თი იყო, მათ ეძლეოდათ კარგი სასმელ-საჭმელი, მიტომაც
სძლევდენ იგინი მტერს. ყველა ჯარის კაცს იგი შვილს
ეძახდა, ყველა ჯარის კაცს მას დედას უწოდებდა. დავით
სოსლანის ხელში თამარ მეფეს მიეცა ორი შვილი, ერთი ქა-
ლი, რომელსაც მამიღის სახელი - რუსულან უწოდა, მეორე
ვაჟი, ლაშა-გიორგავ წოდებული, ლაშა აფხაზურს ენაზე
ბრწყინვალეს ნიშნავს. ორის შვილის მიცემის შემდეგ თამარ
მეფემ თავის ქმარს მიმართა და ასე უთხრა.

„რაც საჭირო იყო ჩვენთვი, ის მე უკვე მოვეცი ჩვენს
ქვეყანას. დღეის შემდეგ ლოგინი ჩემი შეუგინებელ უნდა
დაშთეს, დღეის შემდეგ მე ჩემის ლოგინით თავისუფალ უნდა
ვიქმნე“, ქმარმა შეისმინა თამარის თხოვნა, მას შემდეგ ლო-
გინი მისი დარჩა განმარტოვებულ. ამ გარემოებამ ბრძენ
ქართველ სამღვდელოთა წინაშე დაბადა აზრი, რომ თამარ
მეფე სიკვდილის შემდეგ ქართველ წმინდანათ უნდა ჩაითვა-
ლოს, ჩათვალეს კიდეც, მაგრამ შემდეგ კი მივიწყებულ
იქმნა ეს მრავალთაგან. თამარმა დიდი ყურადღება მაბყრო
მთიელ ხალხთა ცხოვრებასა, მათში გაამრავლა ეკკლესიები
და სკოლები, განამტკიცა ქრისტიანობა, ლეკებში მთლათ
მოსპო კერპობა და გააქრისტიანა ყველა, აუშენა მათ ტაძ-
რები, ეკკლესიები; დევნილს სომხებს მხარს უჭერდა, ყველის
ქომაგი იყო, ყველა ქრისტიანი სიხარულით უმშერდა, აფხა-
ზებშიაც ერთი ათათ წინ წასწია განათლების საქმე, დახსნა
სკოლები, წერა-კითხვა დიდის პატივით შეიმოსა აფხაზთაგან.
არც ოსეთი დასტოვა უყურადღებოთ, ოსებსაც დიდი
სამსახური გაუწია, იგინი განვითარების გზაზე დააყენა, დახს-
ნა მათში სასწავლებლები, მონასტრები და ეკკლესიები. თა-
მარ მეფის რჩევითვე ტრაპიზონში დაარსებულ იქმნა ბერძენ-
თა იმპერიის მეორე ნაწილი, რომელსაც ყრადღება, უნდა
მიექცა ტრაპიზონს იქეთ და აქეთ შავი ზღვის ნაპირას მდე-
ბარე ქალაქთა და დაბა სოფლებში მცხოვრებ ბერძენთათვის,

რომ მათ თვის საქმე არ გასჭირებოდათ, რადგანაც ბერძენთ-
რიცხვი აქეთაც დიდი იყო და მეორე, ბერძენთა ძლიერება
ქართველთათვისაც კარგი იქმნებოდა, რადგანაც თამარ მეფე
იყო მეტად მღვთის მლოცვი, მასთანვე ბევრის უმაგალითოს
თვისებით აღვისილი, მას თავის სიკეთე და შრომა რავის-
თვის არ შურდა, სამეფოს და ერის დიდის სამსახურით იგი
დიდათ ამაღლდა, მისი ამაღლება იყო საქართველოს დაწინა-
ნაურება, საქართველოს დაწინაურება გახდა ოვით ქართველი
ერის სიძლიერეთაც, ასეთ დაწინაურებულ ერის მეფეს უფრო
დიდი შრომა და სამსახური უხდებოდა, დიდის შრომისაგან
იგი მაღა მოუძლურდა და ჯერედ ისევ ხანში არ შესული
გარდაიცვალა 1212 წ.

ამის გარდაცვალების ცნობა მთელს საქართველოში
მოიფინა, ქართველთ გარდა, სომხებმაც მწარედ იგლოვეს,
რადგანაც სომხეთი ამ ღროს დაცემული იყო, მის ერი გან-
ბნეულ-დევნილი, მაჰმადიანები სასტიკად სტანჯავდენ, თამარ
მეფე დიდათ მფარველობდა მათ. მიცვალების გამო ქართ-
ველთ მღვდელ-მთავრებმა წარმოსთქვეს შესანიშნავი სიტყვა-
ნი ქადაგებით და იანბიკონი ლექსათ, მეისტორიეთა აღწერეს
მისი ბრძნული ცხოვრება დიდის პატივის ცემით. მელექსე-
ბმა წარმოსთქვეს მშვენიერი სამგლოვიარო ლექსნი და ქება-
თა-ქებანი. დასაფლავების დღე დანიშნეს, თფილისიდგან დი-
დის ამბით და საერთოს პატივსცემით ცხეთას მიასვენეს, ღრო-
ებით აქ დაასვენეს, როცა ხალხი მოგროვდა და შესრულდა
მთელი ხვედრი, მერე მცხეთის ტაძრიდგან წაასვენეს იმე-
რეთს, გელათის ტაძარში და იქ დაასაფლავეს, თავის მამა-
პაპის ახლოს. ამის გარდაცვალების შემდეგ ღროებით ჰმართა
რუსულან დედოფლალმა, მისმა მამის დამ, მაგრამ ლაშა გიო-
რგიც მაღა გამეფუდა. თამარ მეფის გარდაცვალება იგლოვეს
ნაშეტურ სნეულთა და უძლურთა, რომელთა დიდს ქომაგა-
თაც ბრძანდებოდა. თამარი თუ რამოდენად ძლიერი იყო
და რამოდლად პატივცემული ქართველთაგან, ამას გამოა-

ჩენს შემდეგი ამბები, რომლებიც ხალხშია ზეპირ დარჩენილი,

თამარ მეფეს დიდათ უყვარდა საქართველო, მაგრამ თავის სიყვარულს არც სხვა ქართველებს აკლებდა. ნამეტურ ხშირათ დაბრძანდებოდა ხოლმე ბათუმის ახლო მახლო, ამიტომაც არის რომ აჭარელ ქობულეთელ გათათრებულ ქართველებს დღესაც კი ახსოვთ თამარ მეფის ცხოვრების ცნობები. ეს ცნობები მათში ვერაფერს მუსულმანურს მახვილს ვერ ამოუგდია. დღესაც უკვდავათ ახსენებენ თამარ მეფის სახელს. ქველათ, ქობულეთელს, ქართველ მაჰმადიანს ბეჭანის ძეების ერთს წევრთაგანს გამოუთქვამს შემდეგი. ლექსი:

„ათასი ქაბა ქმა მევანდა, უვეჯანი თქონს დაჭითა,
გაჭმევდი დედალ ხოხობსა, გასომდი ბრთლის ჭიქითა,
გინც რომ შემება შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეივენთ, გინც დარჩით ამას იქითა“:

ეს ლექსი ქართველ მაჰმადიანებმა ზეპირათ იციან, მათ ძლიერ უყვარსო თამარ მეფის ცხოვრებიდგან საუბარი, ამის მიზეზათ იმ გარემოებას აღიარებენ, რომ თამარ უმეტეს ბათომისკენ ცხოვრობდათ. /თვით ლექსის გამომოქმედის ბეჭანისძეების ძველნი იწოდებოდენ პირშესახურის ძეთ. პირმსახურათ ჩვენში თამარ მეფეა მხოლოდ ხმობილი, ამბობენ, აჭარაში ბეგები — ბეჭანიძეები, რომ დიახო, დღევანდელი ბეჭანისძეებთა ძველნი თამარ მეფის მსახურნი ყოფილანო.

ქართველი მდაბიო ხალხი ლაპარაკობს, რომ თამარ მეფის საფლავი დაკარგულიაო. ზოგნი ამბობენ ვარძიაში ასაფლავიაო. ზოგნი ამბობენ მცხეთასო, ზოგნი ამბობენ რაჭაში, ერთს კლდის გამოქვაბულს კუბოში ასვენიათ, ეს ამბავი ერთმა ტვინით ავათმყოფმა აინიუა და მის გამო მკითხაობაც დაიწყო, ტვინით ავათმყოფმა კინალამ მთელი ქართველობა

აიყოლია და თამარ მეფის საფლავი რაჭის ერთს გამოქვაბულში აძებნინა, მაგრამ ეს არ არის მართალი.

თამარ მეფე ასაფლავია გელათში, დავით აღმაშენებლის ახლოს.

ამ ტყუილ ამბების გავრცელებას დაეხმარა ის გარეშოება, რომ თამარ მეფის დასაფლავების შემდეგ, ქართველთა მტერთა თავ დასხმის მეოხებით გელათი რამდენგზისამე იქმნა აოხრებული, აოხრებული ისე, რომ ეკკლესიაში იატაკის ანუ საფლავის ქვებიც აღარ დარჩენილა მთლად. ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო, ქართველთა ცხოვრების საქმე ისე გაუჭირდათ, რომ მათ აღარ სცალოდათ მეფეთა საფლავების პატრიონობა, მათ საქმეს უჭირებდა თვით სიცოცხლის დაფარვის მზრუნველობაც. მათ მივიწყეს მრავალ მეფეთა საფლავები, მიივიწყეს თვით თამარ დედოფლის საფლავიც, რაღაც საფლავის ქვები აქა იქ ეკკლესიებში შემუსვრილ იქმნენ. ხალხმა მიივიწყა, მაგრამ ისტორიის მწერლებმა კი არ დაივიწყეს იგი, მათ მაშინვე დასწერეს „ქართლის ცხოვრება-ში“, თუ სად დაკრძალეს გვამი თამარ მეფისა. ეს ისტორიული ცნობები მდაბიო ხალხისათყის მაშინ სულ არ არსებობდა, მათში წერა-კითხა დაცუმული იყო, იგინი ვერას წაიკითხავდენ და მაშასადამე ვერც არაფერს რიგიანად შეისწავლიდენ. ამ უკან ვრდომილების მეოხებით ქართველთა მდაბიოს სამურამოდ მიავიწყდათ თამარ მეფის საფლავი, ნამეტურ ქართლის გლეხმა არც გელათი იცოდა, არც კიდევ სხვა ასეთი შორი კუთხეები, რომ მას მის მეოხებით რამე სცოდნოდა, სადმე მისულიყვნენ და თამარ მეფის საფლავის ამბავი ან ამოევითხნათ, ან ვისგანმე ზეპირ ნაამბობი მაინც მიეღოთ და გონების კვალად დახსომებოდათ რამე. ამის ძალა მათ არ ჰქონდათ და ამიტომაც მათ თავიანთის ხსოვნით თამარ მეფის საფლავიც დაკარგულათ გავრცელეს, მაგრამ ეს არ არის მართალი.

თამარ მეფე გელათში ასაფლავი, იქ არის ამის საფ-

ლავი, ამასვე გვიმტკიცებს „ქართლის ცხოვრება”-ც უმეტეს ეს მისი ბრალიც არის, რომ რაც ერთის თავობისაგან და-
ვიწყებას ეძლევა, ის შემდეგ თაობისათვის საზღაპროდ ხდება.

მურლულში, ართვინის ოლქის ქართველ მაჰმალიანები.
ლაპარაკობენ შემდეგს:

— თამარ მეფე მურლულში ასაფლავია.

მხოლოდ სადა, ეს კი არავინ იცის, ყველა კი იმას ამ-
ბობს, რომ თამარ მეფე აქ ასაფლავია. ზოგნი ამბობენ:

— ვინც თამარ მეფის საფლავს ფეხს დადგამს, ის მა-
შინათვე გაგიუდებაო.

მაგალითებრ: ერთ სალამოს, მის საფლავზე დასძინებია,
ერთს მწყემსს, გათენებისას ამდგარა, მაგრამ იქვე გაგიუებუ-
ლა, გაგიუების შემდეგ იგი ტყეებში დადიოდა, დღე და ღა-
მეს იქ ატარებდა, ტყის გარეული სასტიკი ნადირი არა
ერჩოდა, ბევრჯერ ჰკითხა მას ხალხმა:

— ბიჭი, აბა გვიჩვენე ის ადგილი, საცა შენ დაგეძი-
ნა, რომ ჩვენც ვნახოთ, ოჯესმე ჩვენებსაც არაუერი დაე-
მართოსთ.

ბიჭი ვერაფერს პასუხს აძლევდა, რადგანაც მას ის ად-
გილი კარგად აღარ ახსოვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს
ბიჭი თამარ მეფის საფლავთან მლვთის ბრძანებით მისულა,
იქ გაჩერებულა და თამარ მეფის საფლავისათვის პატიობის
მუდარება დაუწყია ასე:

— დიდო მეფეო, მაპატიე, შემინდე ჩემი დანაშაული,
შემიბრალე, კარგად გამხადე.

ასეთი ხვეწნა თამარ მეფის საფლავს შეუსმენია და ის
მწყემსი მაშინათვე კარგად გამხდარა. ხალხს მიუმართავს
მწყესისათვის და უკითხავთ:

— აბა, გვიჩვენე ის ადგილი, სადაც გეძინა, სადაც ჭა-
ვიუდი და სადაც ბოლოს მორჩი, რომ ჩვენც მივიღეთ და
ვილოცოთ.

მწყებს ვეღარ მოუგონია, დავიწყებია, ისე, რომ იმ
ალაგის მხრის შოსაზრებაც კი ვერ შესძლებია.

იქვე, მურლულში, ამბობენ შემდეგსა—თამარ მეფე არ
მოკვდარა, იგი ცოცხალია, ოქროს კუბოში ასვენია, ის კუბო
ერთს გამოქვაბულს გლდეში დგას და თავფეხით უქრობელი
სანთლები უნთია, ის როდისმე აღსდგება, ისევ მობრძანდება
მურლულშიო.

კარჩხალის მთის ახლოს, სოფელს ბაძგირეთთან, საიდგა-
ნაც აჭარა-მაჭახლით შავ შეთის გზა გადის, მის მახლობლად
არის ერთი ადგილი, რომელსაც სახელად ნინო წმიდა ეწო-
დება, ამ ადგილის მახლობლათ არის ერთი მშვენიერი ხეობა,
შრავალნაირის ხე და ყვავილებით სავსე, ცივის წყაროებით
უხვი, ამ ხეობას თავის საკუთარი სახელი არა ეწოდება რა.
აღრე, მაჭახლელებს ამ ხევში უნახავსთ ერთი ქვის კუბო,
ეს კუბო ერთს დიდს ქვაში ყოფილა ამოჭრილი, სახურავიც
ქვისა ჰქონია.

მცხოვრებთ კუბოს სახურავი გარდუხდიათ და შიგ უნა-
ხავთ კაცის საოცარი დიდი თავი, ძვლები და სპერ-სხვა
ძვირფასი იარაღი და ნივთები. მნახველთ შეშინებიათ, უვე-
ლაფერი სელ-უხლებლივ დაუტოვებიათ, კუბოს ხუფი დაუ-
ზურავთ, ერთ ალაგის დაუმარხავთ, ზედ მიწა დაუყრიათ და
სამასხაროთ გარს ძეძვი შემოუკრავსთ, რაღგანაც იქ მყოფთ
ძველ კაცებს უთქვამსთ, რომ ეგ თავი, ძვლები და ნივთები
თაშარ მეფის ერთის გმირისა არისო, მისი შერყევა და და-
ვრა თამარ მეფეს ეწყინებაო.

კარჩხალის მთის ახლოს, ერთს მთაზე, სჩანს ერთი დიდი
ქვის მისაბმელი, ძველად, ზოგნი ამბობდნენ, რომ თამარ
მეფის დროს, შავი ზღვა კარჩხალის მთამდის იყოვო, კარჩ-
ხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გე-
ხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გე-
ხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გე-
ხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გე-
ხალის მთის კალთები შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გე-

თვით ეს „გემების საბმელი“-ც თამარ მეფეს გაუკეთებიან. შემდეგ ღროებში ეს აღგებული მთა ისე გადასხვაფერებულა, ისე შეცლილა, რომ დღეს იგი კაცის ხილვის დროს მღვთისაგან აღგებული გონია და არა კაცის ხელით გაკეთებული.

თამარ მეფეს, ოსმალნი, ხშირად ეომებოდნენ, თამარ მეფე მრავალ გზის მოერია ჟათ. ერთხელ შეუთვალა ასე:

— გირჩევნიათ ჩემთან ქურდულად ომს თავი გაანებოთ, თორეშ ოდესმე დაგამუხლებოთ და დედა-კაცის ლეჩაქსაც თავზე დაგხურავთ.

ოსმალთ არ შეისმინეს ქართველთ განცხადება, იგინი კიდევ აეშალნენ თამარ მეფეს. ომი დაიწყეს, რასაკვირველია ისევ თამარ მეფემ სძლია, საქმე ერთობ გაუჭირა ოსმალებს მალე მოლაპარაკებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, თამარ მეფემ ასე შეუთვალა:

— მე, მოგირიგდებით იმ პირობით, თუ დღეის შემდეგ თქვენ დაიმუხლებით ხოლმე, ფესსაც (ქუდი) შუაზე ჩაკეცილს ატარებოთ და თავზედაც დედა-კაცის მსგავს რასმეს შემოიხვევთ.

ოსმალთ მეტი გზა არ ჰქონდათ, პირობა ფიცით მისცეს, ომი შეჩერდა, ოსმალნი ძლეულნი წავიდნენ და ნიშნათ თავიანთის ფიცისა, მას დღეს შემდეგ ჩაკეცილ ფესებს ატარებენ, თავზე თეთრს ლეჩაქს იხვევენ და მუხლდებიან კიდეც.

თამარ მეფეს კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდათ უყვარდა, ამ მთაზე ხშირათ დაბრძანდებოდა, აქედან დამზერდა მთელს დასავლეთ საქართველოს, მთელს შავ ზღვას. თამარ მეფის მამა-პაპასაც ძლიერ ჰყვარებია ამ მთასა და მთის კალთებზე ცხოვრება. ამის მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ დასავლეთ საქართველოში, ეს მთა ყველა შთებზე მაღალია, გარდა ამისა მთაზე ვაკეებიც ბევრია, მასთან, ყველგან ვრცელია, არსიანის მთასავებ.

ერთს ვაკეზე თამარ მეფის ბრძანებით გააკეთეს კარგი, შშვენიერი სამეფო სახლი, ეს სახლი მეტათ კარგის გეგმის ყოფილა, ასეთი შშვენიერი სახლი უცხო სახელმწიფოებშიაც არ ყოფილა, ამ სახლის ქება მთელს ხმელეთზე მოვენილა, სწორედ ამ ძვირფას სახლში ისაღვურებდა თამარ მეფე, როცა კი იგი აქეთ მობრძანდებოდა, ამავე სახლში იყო მისივე ტანტი და მდივა-ხანაც. სამეფო სახლის გაკეთების შემდეგ, იმავე ვაკეზე ქალაქიც გაუშენებიათ, მასთან კაი დიდი საყდარი. მალე ვაჭრობა, აღებ-მიცემაც. გაჩალებულა, რამდენიმე ხნის შემდეგ, თამათ მეფის ბრძანებით, იმავე მთის ახლოს, გაუშენებიათ ერთი კარგი ტბა და ამ ტბაში გაუმრავლებიათ თევზი, თევზი ისე გამრავლებულა, რომ იქ მცხოვრებთაც ჰყოფილათ თურმე და სხვაგანაც გაპქონდათო. მაშინ კარჩხალის მთას სხვა სახელი ერქვა. კარჩხალი შემდეგ დარქმევა, ამბობდნენ ძველი კაცები, რომ მაშინდელ ამ ტბის ერთ-ნაირს დევზსაც სახელათ კარჩხალი უწოდესო, ამ ტბის ნიშანი დღგვანდლამდე იხილვებაო.

კარჩხალის მთის ძირს, სოფ. ეფრატის ახლო, ერთს შშვენიერს ალაგას, თამარ მეფის ბრძანებით გააშენეს ერთი დიდი შშვენიერი სასახლე. ამ სასახლეში გააკეთეს ერთი დიდი ლამაზი დარბაზი, შიგ მორთეს კარგის ძვლის ტახტებით, განჯინებით, კიდობნებით, სკამებით და მაგიდებით, ამ დარბაზის მახლობლივ სხვა ოთახებში დაწყობილ იჭმნა სხვა-და-სხვა ძვირფასის ტანთ-საცმელი, იარაღი და ვინ იცის რა გინდა რა, თვალით უნახავი, ენით დაუთვლელი, დაუფასებელი.

ვინც კი ქართველთაგან თამარ მეფეს ეახლებოდა, ის პირველად ამ სასახლეში მოვიდოდა, იქ, ერთს ოთახში შევიდოდა, თავის ტანთ-საცმელს გაიხდიდა, სამეფო ტანთ-საცმელით შეიმოსებოდა, იარაღში ჩაჯდებოდა და ისე იახლებოდა თამარ მეფეს. მეფის ხილვის და საქმიანობის შემდეგ

ისევ ამ სახლში მოვიდოდა, აქ გაიხდიდა სამეფო ტანთ-სა-
ცმელს, იქ მყოფ გამგეს ჩააბარებდა, თავის ტანთ-საცმელს
ჩაიცვამდა და მერე დაბრუნდებოდა თავის სახლისკენ. ამ სა-
სახლის მცველებათ თამარ მეფისაგან კაცები იყვნენ დადგე-
ნილნი, ესენი მიმსვლელთა და მომსვლელთა დიდის თავაზით
და პატივის ცემით ეპყრობოდენ, თამარ მეფეს დიდათ ეხა-
როდა, რომ ქართველი ხალხი კარჩხალის მთაზე სიარულს
ეჩვევოდა, მასთან მოდიოდენ საქართველოს ყველა კუთხის
ქართველნი, არც უცხოები აკლდებოდა: ოსმალ-სპარსნი, ბერ-
ძენ-სომეხნი და სხვანიც ხშირად მოდიოდენ, ყველას დიდს
წყალობას აძლევდა, მისგან ერთი კაციც არ წასულა, ისე რომ
მეფის უხვი მოწყალება და თავაზი არ მიეღოს, ამბობდნენ,
რომ მაჭახლელებს მაშინ აჩუქა საკუთრებათ მთელი მაჭახლის
ტყეები და ადგილებით. მაშინ გაჩნდენ თურმე მაჭახელში
კარგი ხმლისა და ხანჯლის მკეთებელნით, ისეთი ხელოსნები,
რომ მაჭახელი სტამბოლშიაც კი იქებაო.

— ერთ საღამოს, თამარ მეფე, თავის თანხლებულებით,
ბონოვნებით და კარის კაცებით სამეფო სახლიდგან ერთს
შშვენიერს მაღალს მთაზე ავიღნენ, იქ გაათიეს, ღამე, თამარი
აქეთ იქით იმზირებოდა. სოფ. ევფრატის ახლოს, ერთს აღა-
გას, შენიშნა მან შშვენიერი შუქი, სამთლის მსგავსი, მაგრამ
უმაგალითო. თანახლებლებს მიმართა და ჰკითხა:

— აბა, შეხედეთ, ევფრატისაკენ, რა შშვენიერი სამთ-
ლის სხივი ანათებს.

ყველამ შეხედეს, კარგათ ნახეს ბრწყინვალე შუქი, ყვე-
ლი გაჰკვირდა, ერთმანერთს ეკითხებოდნენ.

— ნეტა რა არის ეს ბრწყინვალე შუქი, რა ანათებს
მას?

შუქი მეორე, მესამე და შეოთხე საღამოსაც შენიშნეს.
ამას თამარ მეფეც კარგათ ამჩნევდა, ეს შუქი არც შემდგა
მოსპობილა, მხოლოდ ლამათ ანათებდა.. თამარ მეფემ კრ

ლამეს კაცები გაგზავნა და სთხოვა ნახვა იმ აღვილის, საღაც შუქი ანათებდა. კაცები წავიდნენ, ნახეს ის აღვილი, იქ აღმოსაჩნდა ერთი ქვა, რომელზედაც სჩანდა ის მნათობელი სხივი, ხოლო რა ანათებდა იმ სხივს, ის კი ვერ შეიგნეს. წავიდნენ მალე და ცნობა თამარ მეფეს მოახსენეს. ხანი გადიოდა, მაგრამ ის მნათობელი სხივი კი მაინც არ ქრებოდა, იგი ოთხსავ კუთხივ დიდს მანძილზედ ანათებდა.

მცირე ხნის შემდეგ, იქავ, ვეფრატის ახლოს, სოფელს ხერთვისში, უკკლესის შენება დაიწყეს, შენების დაწყების პირველ დღეს, მუშაობის შემდეგ, ხელოსნებში მუშაობას თავი დაანებეს და საღამოზედ თავ თავიანთ სახლებისაკენ წავიდნენ. გათენდა დილა, ხელოსნები მოვიდნენ აღნიშნულს ალაგას სამუშაოთ, მაგრამ იქ მათ აღარა დახვდათ რა; ნამუშავარი დაქცეული სრულიად და იარაღიც დაკარგული, დაიწყეს ამათ ლაპარაკი, ჩივილი, თუ ეს ვინ დააქციო, ან იარაღი ვინ მოიპარაო, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო. მეორე დღეს მოვიდნენ დანიშნულს ალაგას და ნამუშავარის და იარაღის მდგრამარეობა იმ გვარათვე დახვდათ როგორც წინეთ. დაღონდნენ ამაზე იგინი, მაგრამ რას გააწყობდენ, ვერაფერს, ბევრის წუხილის შემდეგ მუშაობას ხელ ახლა მიეცნენ, ეს ამბავი თამარ მეფესაც მოხსენდა, დაღამდა დღე, ხელოსნებში მუშაობას თავი გაანებეს, იარაღი შესანახად დააწყეს, იმ ლამეს შენობას და იარაღს მცველიც მიუჩინეს. თვით შინ წავიდნენ დაიმედებულნი, რომ ამაღამ აღარავინ რას გვიზამსო, რადგანაც აქ კაცებს ვაყენებთო. გათენდა დილა, წავიდენ სამუშაოზე მალე, მაგრამ მათ დღესაც იგივე სურათი დახვდათ რაც წინეთაც ნახეს რამდენ გზისმე, ესენი გაჰკვირდენ ამაზე, ჰკითხავენ იქ ყოფილთ ბიჭებს:

— ზიჭებო, ჩვენი იარაღი რა იქმნა?

— რა ვიცით თქვენი ჭირიმეთ, ჩვენ წუხელის არ გვძინებია, და ვინ წაილო, ამაზე ვერას მოგახსენებთ.

ხალხი გაჰკვირდა ამაზე, ესეთი შემთხვევები რამდენგზისმე განშეორდა, ხელოსნებმა ველარ გააწყეს რა, მოთმინებიდგან გამოვიდენ, კვალად აცნობეს თამარ მეფეს, თამარ მეფე ამაზე დაფიქრდა, ფიქრის შემდეგ ბრძანა:

— ხერთვისში, ეკკლესიის კეთება შეაჩერეთ.

ხელოსნებმა შეაჩერეს მუშაობა, მოცლილთ ხელოსნებმა აქა იქ იწყეს სიარული, დაკარგული იარალის ძებნა, მათ ნახეს თავიანთ იარალი დაწყობილი იმ ალაგას, საღაც თამარ მეფე თავის თანხლებულებით მშვენიერ ნათლის სხივს ხედავდა. ეს ამბავი თამარ მეფეს ერთობ დროით მოხსენდა, თამარ მეფე მალე მიხვდა საქმის ვითარებას, ამიტომ ხერთვისის ეკკლესიის ადგილის სანაცვლოთ ეკკლესიის შენება დააწყებინა სწორეთ იმ ალაგას, საღაც იგი ბრწინვალე შუქს ხედავდა ხოლმე. ხელოსნებმა მალე დაიწყეს აღნიშნულს ადგილის ეკკლესიის შენება, მაგრამ მათ აღარც არავინ კედლებს უქცევდა და არც იარალი ეკარგებოდათ, საქმე დაშოშმინდა ყოველისფერი კარგათ გამოირკვა.

ეკკლესია მალე აღაგეს, იგი შეამკეს ძვირფასის ნივთებით და თამარ მეფეს ბრძანებით ამ ეკკლესიას ევფრატი ეწოდა, შემდეგ დროებში ამ ეკკლესიის სახელი სოფელზედაც გადავიდა, თორემ ამ სოფელს წინეთ სხვა სახელი რქმევია. ეს სახელი ევფრატი იმიტომ დაერქვა იმ სოფელს, რადგანაც კარჩხალის მთის ძირობაზე იგი მეტათ შესანიშნავ კუთხეთ ითვლება, ყოველნაირს ღირსებით დაჯილდოვემულ, მაღალი მთები, ტყით დაბურვილნი, ცივი წყაროები და სუფთა დელები, ათასნაირი ყვავლები, ფრინველები და ბევრიც სხვა ასეთი ღირსება თამარ მეფის წინაშე ამ ხეობას ღირს ხდიდენ ევფრატის სახელ-წოლების. თამარ მეფემ ისურვა ამ კუთხის კარგის სახელის წოდება და მისის წყალობით ეს წოდება მას არც მოესპო, არ დაეკარგა. მან კანონიერათ მიიღო ეს სა-

ხელწოდება. დღესაც არს ევფრატი მაჭახელში და უნდა ითქვას, რომ იგი დაჯილდოვებულია ბევრნაირის ღირსებით.

ეკკლესია ალაგეს, შეამცეს ყოველნაირის ღირსებით და წევთებით. ის სხივი ეკკლესის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკკლესის ქრის კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებული იყო იმ ქვის ალაგას, საღაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი ლამპარი. ძველათ თურმე ამ ეკკლესის მთელი მაჭახლის ხალხი დიდის მოწიწებით სცემდა პატივს, მათ ახსოვდათ, რომ იგი ეკკლესია თამარ მეფის ნაშენი იყო და მიტომ უფრო აღიდებდენ მას. საქართველოს უბედურის მდგომარეობის შემდეგ, რაც ასმალთა დასავლეთ საქართველო დაიმორჩილეს და ხალხი გაათათრეს, იმ დროსვე, გათათრება დაუწყეს მაჭახლელებს, ესენი მეტათ მტკიცედ იღვწოდენ თათრების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს მაინც საქმე გაუჭირდათ; ძლეულ იქმნენ, ამ ძლევის შემდეგ კი მუსულმანებმა მედგრად უწყეს დევნა და რამდენიმე ხნის განმავლობაში იგინი გაათათრეს მთლად. მაგრამ მაჭახლელები საიდუმლოთ მაინც ქრისტიანობდენ. შინათ გამცემთა მეოხებით ეს ამბები ასმალებმა შეიტყეს, მათ სასტიკათ სდევნეს მაჭახლელები და უკანასკნელ ეკკლესიებს. ქუევა ნგრევაც დაუწყეს, საქმე როცა ევფრატის ეკკლესის დაქცევაზე მივიდა, მაშინ მაჭახლელებმა ალარ მოითმინეს და პირდაპირ მიმართეს თათრის ბრძანებელს ასე:

— ჩვენ, თქვენს ბრძანებას ყველასფერს შევასრულებთ, აღონდ ერთი ამას გთხოვთ, რომ ევფრატის ეკკლესის დაქცევის დროს ერთი კედელი არ დაგვიქციოთ.

— რომელი კედელი? ჰკითხეს ბრძანებლებმა.

— სამხრეთის კედელი, რაღანაც ამ კედელზე, აღრე, სამთელი ენჟებოდა და ამ სამთელს თამარ დედოფალიც ხელავდა ხოლმე.

ასმალთ შეისძინეს მუდარება, დააქციეს მთელი ევფრატის ტაძარი, მხოლოდ არ დააქციეს ის კეოელი, რომლის მფარველობაც მაჭახლელებმა დაავალეს. მას შემდეგ მაჭა-

ლელთა მოხუცებფლნი ხშირათ შეიკრიბებოდნენ ამ კედელთან და ცხარეს ცრემლების ღვრით სტოროდენ, თან ლოცულობდენ. იგინი ევედრებოდენ ღმერთს, რომ ის კედელიც არ დაჭულიყო, ოომელზედაც მათი მამა-პაპა ოდესმე მღვთიურს ბრწყინვალე შუქსაც ხედავდა, ერის წმინდა საქციელი და მიღრიკილება იქამდის. დიდის ძლიერებით იყო სავსე, რომ დღევანდლამდისაც კი ევფრატის ეკულესის ერთი კედელი დაურდვეველი სდგას ობლათა. ეს კედელი მეც ვნახე. მაჟახლელები ამბობდენ, რომ თამარ მეფე კარჩხალის მთაზე გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათო.

მღვთისაგან კურთხეულის და ამაღლებულის საქართველის შესანიშნავის დედოფლის თამარის მამამ, დასავლეთ სამხრეთ საქართველო ამიერ საქართველოს შემოუერთა, მამის ანდერძის ძალით, თამარ მეფე, ყველაზე უფრო ხსენებულ ადგილებისკენ დაიარებოდა. ქაჯეთის ციხეც თამარის მამას გაუკეთებია.

ერთხელ თამარ დედოფალი თვის წარჩინებულის სამეფოს კაცებით და კარის კაცებით ერუშეთისკენ მოგზაურობდა, ერუშეთიდგან ოლთის უნდა გადასულიყვნენ. მგზავრობის დროს, ამათ ერთ ალაგას დაულამდათ, იმ დამეს იქ უნდა გაეთენებინათ. მაგრამ ცხენიდგან ძირს ჩამობრძანების უმაღთამარ მეფემ რაღაც სუნი იგრძნო და ამიტომ კარის კაცებს მიმართა.

— უჰ! აქ როგორ შეიძლება ღამე დაშთენა და გათევბა, ვერ ხედავთ რა ამბავია, წავიდეთ, წავთდეთ, აქ ვერ დავდგები, ყარს, ყარს, ძრიელ ყარს.

ამ სიტყვის გაგონებაზე თანახლებულათაც შექნეს ერიამული ასე:

— უჰ მართლა რა ყარს, ყარს, ყარს, და ყარს, წავიდეთ, წავიდეთ, ყარს, ყარს და სხვანი თამარ მეფე საჩქაროდ აბძანდა ცხენზე, თანხლებულნიც მოემზაღნენ და სხვა

გან წავიდნენ, ნიშნად თამარ მეფის იმ ალაგას მიბრძანების, ჩამოხდენის, მაგრამ იქ ალარ დარჩენის, იმ ალაგას სახელათ ყარსი დაერქო, შემდეგ იქ ჭალაქიც გაშენებულა, სწორეთ დღევანდელი ყარსი ეს მაშინდელ ყარსი არისო.

ეს ხალხის გარდმოცემა არის, თორებ ყარსს ძველათ რაც
უნდა რქმევოდა ქართველთაგან, ის ჩვენ ჩვენის გეოგრაფიუ-
ლის, ეტნოგრაფიულის და ისტორიულის მწერლობითაც ვი-
ცით.

თაბარ მეფის დროს, საქართველო ვრცელი ქვეყანა იყო, ხაშინდელი საქართველოს იჯნები იყო ოკინის პალო დასავლით, დარუბანდი — აღმოსავლით, ასპირი სამხრით და ოსეთი ჩრდილოთ. მაშინ ქართველთ რიცხვი 10 მილიონზე მეტი იყო. ასეთ მრავალ ხევიან და მაინა ადგილებს ქართველი მეფები კარგათ განავებდენ. ამათვე განავრცეს ქართველთ შორის ვაჭრობა, ხელოსნობა.

მათ ქართველებს ეგ არ აკმარეს. ზღვაზე ცურვა და ნა-
ვოსნობაც წინ წასწიეს, ქართველნი მიეჩივნენ ნაოსნობას,
აი თვით თამარ მეფეზედაც რომ ამბობენ: — “ზღვაში ჩაუშო-
ხომალდიო”, ნავოსნობა და გემოსნობა გამოწვეულ ჰყო-
რო ვაჭრობის წარმატების საქმემ, ბერძნებთან და სხვა ხალ-
ხებთან ქართველების ვაჭრობით დახლოვებამ, ამ მოძრაო-
ბისთვის რასაკვირველია სღვაზედ კარგი ნავთ საყუდარის მო-
ძრებნა იყო საჭირო, მცოდნე კაცებმა მალე მოძებნეს და ყვე-
ლაზე სამჯობინრათ მოხდენილათ და გემების აღვილათ მი-
სადგომ ალაგათ დღევანდელი ბათუმის მიდამოები სცნეს. მა-
შინ ბათუს სახელად ვახაბერი ერქვა, იმიტომ რომ ბათუმის
იქით, სოფ. ერგემლის, საყანე დიდს აღილებს, ჭოროხს აქეთ,
უველას კახაბერი ერქვა, დღეს კი მარტოთ ბათუმის იქითა
კუთხეს ჰქვიან კახაპერი, სადაც დღეს კარგი საბოსტნე და
საყანე აღილებია. ბათუმს აქეთ საგურიელო იყო, მხოლოდ

თვდგერიძენი ჰპატრონთბლნენ, ბათუმს — აბაშიძეები. იქითა
მხარეს ცველას კახაბერი ერქვა, აქეთა მხარეს გურია.

მოხდენილის ნავთ საყუდრის აღგილის მოძებნის შემდეგ,
ნასწავლ კაცებმა თამარ მეფეს მოახსენეს, რომ ვიპოვეთ კარგი
აღგილებიო, თამარმა ჰკითხა:

— სადა, რომელ კუთხეს?

— სწორედ იმ კუთხეს, სადაც პაპის თქვენის მამისაგან
ქაჯეთის ციხე გახლავსთ გაკეთებული, მის ახლოს, ვაკე ალა-
გას, სადაც სოფელიც არის და გარეშემო შამბით და ეწერით
არის სავსე.

— ძალიან კარგი, იქ მთებიც ახლოა, ზღვამაც არ იცის
იქ მაინცა და მაინც დიდი ლელვა.

— დიახ ის გახლავსთ, მოახსენეს მულნე კაცებმა.

— კეთილი, მეც იქავ, ერთს პატარა მთაზე, პატარა
ეკკლესიას გავაკეთებ. ძალიან კარგი, მაშ წაბრძანდით, გაეცით
ყოველივე ბრძანება, სოფელი დაბათ გარდაკეთდეს, გაკეოდეს
დუქნები, გაჩალდეს ვაჭრობა და დაინიშნოს ზღვით იქიდგან
გასვლა გემების და იქვე შემოსვლა.

ნასწავლ კაცებმა მალე აღასრულეს ბრძანება. სოფელი,
ქალაქათ აქციეს, ყოველისფერი მოაშენეს, გემის საბმელები
გააკეთეს, ეს კუთხე გააჩალეს. თამარ წეფემაც თავის სიტყვის
თანხმად, ახლანდელ ბათუმის პირდაპირ ერთს პატარა მთაზე,
გააკეთებინა. სამების ეკკლესია და თვით ბათუმში დიდი ვრცე-
ლი თლილი ქვის ეკკლესია, თათრობის დროს, ეს დიდი ვრცე-
ლი ეკკლესია დაქცეულ იქმნა ქართველ მაჰმადიანებისაგან და
მის ალაგას ჯამე გააკეთეს. დღევანდელი დიდი ჯამე სწორედ
იმ ალაგას არის გაკეთებული, სადაც თამარ მეფის ბრძანებით
დიდი ეკკლესია გაუკეთებიათ. სამების პატარა დაქცეული
ეკკლესია კი დღევანდლამდე სდგას.

რადგანაც თამარ მეფეს აქ ხშირათ არ შეეძლო მიბრძა-
ნება, მიტომ ბათუმში, მან დაადგინა ერთი ქართველი გამგე
პირი, რომელსაც მაშინდელი ქართველნი ამ გამგე პირს ბა-

ტონს უხმობდენ. ამ მხარეზე ვაჭრობისთვის ოსმალ-სპარს-ბერძნები და სხვებიც ხშირათ მგზავრობდენ, ესენი სიტყვა ბატონს ვერ გამოსთქვამდენ თავისუფლათ, მათ ტანის მაგიერ უფრო თანი ემარჯვებათ, ამიტომ ბათომს უხმობდენ, შემდევს დროში, ამ დაბასაც სახელათ ბათონი, ანუ შემდეგ, როცა ქართველებს დევნა უწყეს ოსმალებმა, მაშინ იმას ბათომი დაერქო. ასე, რომ დღევანდელი ბათომის ქალაქათ გადაკეთება ეკუთვნის თამარ მეფეს და სიტყვა ბათუმიც მისის წყალობით დაერქვა.

ლივანის ქართველ კათოლიკები, რომელთაც უამთა ვითარების მეოხებით დაკარგეს ქართული ენა და დღეს სომხურს ენაზე ლაპარაკობდენ, აი რას მოგვითხრობენ ჰეპირ სიტყვაობით:

— თამარ დედოფალმა როცა თორთომის ხეობის, იშხნის, ხახულის და პარხალის ეკკლესიის კეთება დაწყებინა, მერქ შენების დასამთავრებლათ ფული დააკლდათ, თამარ მეფემ არ ისურვა ხალხის შეწუხება, მან თავის თავიდგან გამოიღო ოთხი თმა, ეს თმები მისცა ქარის კაცებს და ასე უთხრა:

— მე ხალხის შეწუხება არ მინდა, წაიღეთ ეს ოთხი თმა, გაყიდეთ და ამაში აღებულის ფულით დაამთავრეთ ეს ეკკლესიებით.

ქარის კაცებმა წაიღეს ეს თმები და მართლაც მაღლე ისე ძვირფასათ გაყიდეს, რომ მასში აღებულის ფულით ყველა ეკკლესიები დაამთავრეს.

ესენი, მოგვითხრობენ ასე, თორემ ჩვენის ისტორიით ვიცით ამ ეკკლესიებთა აღშენება ვისგან, როდის იყო.

დიდუბეში, საღაც ყველა წმიდის ეკლესია არის აღშენებული, მის მახლობლივ გაკეთებული ყოფილა თამარ მეფის მშვენიერი სასახლეც, იქვე ყოფილა მშვენიერი ბალი; ბალი შემკული ყოფილა ყველა ნაირის ყვავილებით, სხვა-და-სხვა

ხეხილებით, მრავალნაირის ფრინველებით და მარმარილოს ჰაუზებით.

სასახლის ერთს ოთახში, საღაც დღისით თამარ მეფე ისვენებდა ხოლმე, ძილის დროს, საღაც მარჯვენა მაჯას დააკურდნობდა, მის ახლოს, კედელში დიდის ხელოვნებით წყაროს ლულა იყო და წმინდა ანკარა წყარო გადმოდიოდა, იქვე ფირუზის ჰაუზში ჩადიოდა, მერე იქიდგან ბაღში გადიოდა და ერთ მარმარილოს ჰაუზში ჩადიოდა, წყაროს ლულასთან ეკიდა ლალის ჭიქაც, თამარ მეფე როცა გაიღვიძებდა და წყალს ისურვებდა, წყლის მიტანისათვის ბანოვანთ არ შეაწუხებდა, თვით აიღებდა ჭიქას და წყალს მიირთმევდა. ეს წყარო ავჭალიდგან ყოფილა გამოყვანილი, დღევანდლამდისაც კი სჩანს ლულების ნაადგილარით. იგი გამოყვანილი იყო ავჭალიდგან დიდუბებრივის ვაკის თავ-თავს ფერდოების გვერდზედ, აღმართ აღმართის ავლით, რომ მას კაცის ფეხი არ მოხველროდა.

თამარ დედოფალი, ერთ დროს ბაზალეთის ტბისკენ ბრძანდებოდა, მთის ხალხი დიდად გაუმასპინძლდა. სამასპინძლო აღგილათ ბაზალეთის ტბის მიღამო ამოირჩიეს, რაღანაც მაშინ ეს ტბა დიდი ტბა იყო, მასთან ლურჯი ლილისავებ, წმინდა ანკარა, მეტათ სასიამოვნო სანახავი. მაშინ ტბაში აქა-იქ ბევრი ხეებიც ყოფილან დაშთენილი, რომელნიც ტბაში უვნებლად ჰვევალნენ ზაფხულს.

ნადიმის გათავების შემდეგ, თამარ მეფე თავის კარის კაცებით ტბისკენ იმზირებოდენ, თამარ მეფეს, ამ დროს, ხელზე თავის საყვარელი მიმინო ეჯდა, მიმინო უცებ ხელიდგან გაჰტრენია, წასულა ტბაში და ერთ ხეზე დამჯდარა. თამარ მეფეს სწყენია ეს, მალე უთქვამს შემდეგი:

— ვინც იმ ტბაში შეცურდება, მიმინოს დამიჭრს და მომიყვანს, იმან რაც უნდა მოხვეოს საჩუქრად მე ყველაფერს ავუსრულებო.

საჩქაროთ ერთი დიაკვანი გამოსულა და თამარ მეფის-
თვის მოუხსენებია:

— მე, ავასრულებ მეფეო, თქვენს თხოვნას.

— კეთილი, მეც ავასრულებ დაპირებას.

დიაკვანი საჩქაროთ შეცურდა ტბაში, მიუახლოვდა იმ
ხეს სადაც მიმინო იჯდა. თამარ მეფე თავის კარის კაცებით
შორიდგან უმზერდა. ამ დროს, უცეფ თამარ მეფეს რაღაცა
ჰაზრმა გაუელვა გულში და თავისით სთქვა:

— ღმერთო, თუ იმ დიაკვანს ცუდი რამე აქვს გულში
ჩანერგილი, აქ ნუღარ გამოიყვან.

დიაკვანი სიხარულით მოცურავდა, მაგრამ შეა ტბაში
მიმინო ხელიდან გაუფრინდა და თვითონაც შიგ დაიხრჩო,
ვეღარ გამოვიდა. ცუდი რამ გაეფიქრა თურმე იმ ბედ-შავს.
თამარ მეფემ ბერი იწუხა ამაზე, ბოლოს მიმინო თავისით
მოუფრინდა და ისევ კულანდებურათ ხელზე დააჯდა.

თამარ მეფის დროს, ჯვარის მონასტრიდგან ცხეთის
ეკკლესიის გუმბათამდის ერთი ჯაჭვი ყოფილა გაბმული, ერთი
მწირ ბერი ამ ჯაჭვზე ისე დაიარებოდა, როგორც კარგს ში-
ლიკს გზაზე. ამბობდნენ, რომ ეს მწირ ბერი ჯერეთ ცხეთის
ეკკლესიის ზარს დარეკდა აქ ცისკარ-წირვა დადგებოდათ,
მერე ჯაჭვით ჯვარის მონასტერში გავიდოდა, იქ დარეკავდა
ზარსა და იქ დადგებოდა წირვა-ლოცვა. შემდეგ ისევ მცხ-
აში გამოვიდოდათ. ამ მწირ ბერის სახელს მოელი ქართვე-
ლობა იცნობდათ.

ერთხელ თამარ მეფე, ცხეთის ახლოს, ბებრის ციხეში
პრძანდებოდათ. აქ ჩამოვარდნილა ლაპარაკი:

— ეს ჩვენი მწირ ბერი წმიდა კაცია, რომ ასე ადვილათ
გადის ჯაჭვზე და გამოდის!

ერთს იქ მყოფ ბერს უთქვაშს

— არა ბატონებო, რის წმიდა კაცია, ამ ჯაჭვზე ყველას
შეეძლება გავლა ადვილათ, აქ ოსტატობა გახლავსთ საჭირო.

და არა სიწმინდე. იმაზე წმინდა მე გახლავართ, გნებავთ მეც
გავალ.

— აბა ერთი, გაბრძანდით და ვნახავთ, ამის სამაგიეროთ
რასაც ითხოვ,, იმას გიბოძებ, მიუგო თამარ მეფემ.

— ძალიან კარგი, ეხლავ გიახლებით.

ბერი მოემზადა მცხეთიდან ჯაჭვზე გასვლას, მალეც ავი-
და და დაიწყო ნელ-ნელა გასვლა.

თამარს გულში ჰაზრმა გაუევლა და თავისით სთქვა:

— ყოველი დედა-კაცი უძლურ არს, თმა გძელ და ჰკუა
მოკლე, ეს მეორედ შევပდი, ღმერთო, მაპატივე ცდომა, თუ
იმ ბერს ცუდი რამ დავალება სურდეს, აქეთ ნულარ გამოიყვან.
ბერი მივიდა თუ არა შუა ჯაჭვზე, უცებ გადავარდა და ადა-
დებულს არაგვში ჩავარდა და დაიხრჩო.

— ამ შემთხვევის გამო თამარ მეფემ მცხეთელებს დიდი
საჩუქარი მისცა, აჩუქა მიწები, შეაკეთა ხილი და ბებრის
ციხე, მცხეთა მორთო ლამაზათ?

მაშინდელი გაბმული ჯაჭვი დიდხანს იყო ასე დარჩენი-
ლი, ხოლო იმ ბერის შემდეგ კი ალარავინ გავიდოდაო. ბო-
ლოს დამტკიცდა რომ მართლაც ის მწირ ბერი მეტათ სუფთა
წმინდა კაცი ყოფილიყოვთ.

ქართველ ხალხს თამარ მეფე წმინდანათ ჰყავს მიღებული,
რადგანაც ძველათ ქართველთ ეკულესიამ თამარ მეფე წმინდა-
ნებთან შერაცხა, ზოგიერთ ქართველს მიტომ არ სჯერა, რომ
თამარ მეფეს ქმარი ჰყანდა, ეს რომ ვისმეს უთხრა, იგი
შეურაცხყოფათ მიიღებს, ეწყინება და გეტყვის:

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, რომ თამარ მე-
ფეს ქმარი ჰყანდა.

ასეთი ამბის დასამტკიცებლათ აი რა გვარი მოთხრობაა
ხალხში დარჩენილი:

თამარ დედოფლის მამა რომ გარდაიცვალა სარდლებმა
და თავადებმა. თამარ მეფეს გათხოვება სთხოვეს, მაგრამ თამარ

მეფე გათხოვება არ ინდომა, უქრმოთ დარჩა, ქალწულებრივ გარდაიცვალა. ხალხი ძრიელ დარღობდა, რომ თამარ მეფე არ თხოვდებათ. ღმერთმა ერის წუხილი შეისმინა, თამარ მეფე მღვთის ბრძანებით დაორსულდა და ვაჟის შვილი მიეცა. ეს ვაჟის შვილი იყო ლაშა გიორგი. დაბადების უმაღ. თამარ მეფეს ლაშა ძვირფასს სამოსში გაუხვევია და ძიძისთვის გაუბარება, ძიძას გაუზღია, როცა გაზღილა, მოჩიტებულა, მაშინ თამარ მეფეს თავის თითებით ლაშასთვის ტენისაცმელი შეუკერავს, ბანოვანი გაუგზავნია, ტანისამოსი წაულიათ, ლაშა მოურთავთ და თამარ მეფესთან მიუყვანიათ, მის შემდეგ იგი თამარის გვერდით ყოფილა და იქ გაზრდილა.

თამარ მეფეს ეს ყმაწვილი მიტომ მიუცია ძიძისთვის, რადგანაც ამის მოვლა სამეფო საქმეების სამსახურისთვის დროს წამართმევსო. ესეთი სიბრძნით სავსე იყო თამარი. კარის დიდებულებმა უთხრეს თამარ მეფეს:

— ნუ ინებებთ მაგას, მღვთის მოცემულს ნუ გააბრინ სხვაზე. ნუ იკალრებთ, ღმერთმა არ გიწყინოთ.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთ, ვინც გააჩინა იგივე დაარჩენს მას, ღმერთი თავის გაჩენილს არ გასწირავს, ეგ მე სამსახურის დროს წამართმევს, მე ასე ვარჩიე, ეგეც კარგად იქნება, მეც ხალხის სამსახურის საქმეს არ დავაკლდები.

თამარის ასეთი განცხადება ყველას მოეწონა; ყველა ლოცვადა მის სიბრძნე გონიერებას.

ოსეთში ვერ ნახავთ ვერც ერთ ოსს, რომ იმან თამარ მეფეზე რამჯ გარდმოცემა, ლეგენდა, ან ლექსი არ იცოდეს. სხვათა შორის მათში დარჩენილია შემდეგი ლეგენდარული გარდმოცემანი.

თამარ მეფის დროს, იალბუზის მთაზე, თოვლი არ მოდიოდა, იგი სანაქებოთ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თავის ერთი მშვენიერი სასახლე აქ მთაზე ჰქონდა გაკეთებული, სასახლეში სხვათა შორის თამარ მეფისთვის საკუთრათ

აღგებული იყო თორმეტი ოთახი, თორმეტივე სულ გარეულის
ნადირთა ძვლებით შემკობილნ, ძვირფასის ხალებით და ფარ-
ჩეულობით მორთული. ამ სასახლეს გარშემო დიდი გალავანი
ეკრა, გალავანში ერთი დიდი თორმეტი ოთახიანი კოშკი იყო,
ერთიც სხვა სასახლე, გალავანს შეა მშვენიერი ბალახი იზრ-
დებოდა. თამარ მეფის გარეულ თხა, კანჯარი და ირმის ჯო-
გიც შიგვე იყო გაშვებული და ბალახს სძოვდენ.

უმეტეს ნაწილს, თამარ მეფე ამ მთაზე სცხოვრებდა,
უყვარდა აქ ამოსვლა და აქედგან მზერა თხხ კუთხივ. ერთ-
ხელ თაძარ მეფე სხვაგან მიბრძანდებოდა, საქართველოს ადგი-
ლების დასათვალიერებლად. მალე წაბრძანდა კარის კაცებით
და თავის თორმეტი ოთახიანი სასახლის მფარველათ თავის გამ-
დელი დასტოვა, გამდელს პატივს სცემდა, წაბრძანების დროს
გასაღებები გამდელს გარდასცა და უბრძანა ასე დავალებით:

— გამდელო, ეს გასაღებები შენ გებარებოდეს, ჩემ
მოსვლამდის, შენ გაალე მხოლოდ თერთმეტი ოთახი და სუ-
ფთა პაერისა და მზისთვის სანათურები. ლია დასტოვე. მხო-
ლოდ გთხოვ, რომ მეთორმეტე ოთახის კარები კი არ გაალო,
ეს არ დაივიწყო.

— პატიოსანი. მიუგო გამდელმა.

თამარ მეფე წაბრძანდა, მცირე ხნის შემდეგ დედაკაცს
ცნობის მოყვარეობა აღეძრა მის, თუ ნეტა თამარ მეფემ მე-
თორმეტე კარის გალება რათ ამიკრძალი, ნეტა აქ რა უნდა
ჰქონდეს დამალულიო, სულმა ვეღარ გაუძლო, ვერ მოით-
მინა და პირველათ შეთორმეტე ოთახის კარები გაალო.

ამ ოთახში თამარ მეფეს თოვლის ვარსკვლავი ჰყოლია
დამწყვდეული, კარების გალების უმაღლ თოვლის ვარსკვლავი
კარში გაფრენილა. დედაკაცი შეწუხებულა, მაგრამ ვეღარა
უშველიარა.

ეს ამბავი თამარ მეფეს მალე შეუტყვია, იგი საჩქაროთ
დაბრუნებულა შინ, მაგრამ ვარსკვლავისთვის ვეღარ უშველია-

რა, თამარ მეფეს დიდად სწყენია, ფიცის გატეხისათვის გამ-
დელი დაუწყევლია.

ამ ამბის შემდეგ, მყინვარზე შუღამ წელს დიდი თოვლი
მოდის ხოლმე, თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები,
მერმე ეს ზვავი მოსარღვევათ ნელნელა ემზადება, გაზაფხუ-
ლის პირზე, დიდის ჭექა ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და
მის მეოხებით გამვლელსა და გამომვლელსაც საშინლათ ლუ-
პავს, ბევრი უბედურება მომხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხ-
დება.

თამარ შეფისაგან დაწყევლილი გამდელი ტარტაროზათ
ქცეულა, სასახლიდგან გაქცეულა და კუდიანების დასში შე-
რაცხულა, მათში ჩარეულა საყოველთაოთ, თამარ მეფის
ჯავრი კი მაინც გულში ჩაყოლია, სამაგიეროს გარდახდა მო-
უნდომნია.

განვლო ტრო უამან და თამარ მეფე გარდაიცვალა, რამ-
დენიმე ხნის შემდეგ დიდის გლოვით და გოდებით დაასაფ-
ლავეს ერთ ალაგას. თამარ მეფეს გარდაცვალების აშშავი ტარ-
ტაროზ გამდელს მალე შეუტყვია.

ეს გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლა-
ვი, ამოულია და იალბუზის მთაზე წაულია, თავის სადგომ ბი-
ნასთან და ერთ ალაგას დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას,
რომ ვაი თუ გაიგოს ვინმემ, მოვიდეს, მოსძებნოს, იპოვნოს
თამარის სამარე, ამოიღოს და წაიღოსო.

ამიტომ ამ ტარტაროზ დედაკაცს გაუკეთებინებია რამ-
დენიმე მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია რომ აქ მარხია
თამარ მეფე, მეორეზე დაუწერია, რომ აქ არ მარხია თამარ
მეფე, მეორეზე დაუწერია, ეს მეფე და ასე და ამ გვარათ სხვა ქვებიც. მერე წაულია ეს
ქვები და ერთ ალაგას, სადაც თამარ მეფე არ ყოფილა და-
ქვები და ერთ ალაგას, სადაც თამარ მეფე არ ყოფილა და-
ქვები და ერთ ალაგას, იქ მოუფენია და მით დაუბნელებია თამარ
მეფის საფლავის ცნობა.

ერთ დროს ხალხს თამარ მეფის საფლავის ძებნა დაუწ-
ყვით, მერე მიუგნიათ იმ ადგილისათვის, სადაც მოსატყუებ-
ჟივიათ, მერე მიუგნიათ იმ ადგილისათვის, სადაც მოსატყუებ-

ლათ მარმარილოს ჭვები ყოფილა შოთენილი, უთხრიათ მრავალი საფლავები, მაგრამ ვერსად რა ფპოვნიათ. ტარტაროზს დედაკაცს სულ უცხო ხამსალაგას დაუკრძალავს თამარ მეფის გვამი.

ეს ხალხის გარდმოცემა არის, თორემ ისტორიით ჩვენ კარგათ ვიცით; რომ თამარ მეფე გელათში ასაფლავია. დავით აღმაშენებლის მახლობლათ, რაზედაც ზემოთაც ვისაუბრეთ.

საქართველოს კუთხეებში, თითქმის ყველა მხრის ქართველი ამბობს, რომ თამარ მეფე ძლიერი მეფე იყოვო, მან სპარსეთის ზოგიერთ მთავრებს ხარჯი დაადოვო, ასევე დიდი გავლენა ჰქონდა სტამბოლზეთ. ამ ძლიერების საქებრათ შველათვე გამოთქვეს შემდეგი ლექსით.

„ურბნის აგაგე საუდარი, უწელოსა წეალი გადინე,
ისპანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარჯა ავიდე,
თეთრ სდვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ამდენი საქმის მომქმედმან, ცხრა აღლი ტილო წავიდე“.

რკინათ იგულისხმება ხომალდის ლუზა. ქართველთა გარეშე თამარ მეფის ძლიერების შესახებ ლეკებშიაც ძრიელ ბევრი ცნობებია დაშენილი.

აჭარაში, ზოგიერთი ბერი ფანატიკი ხოჯა მოლები ბრძანებენ, რომ თამარ მეფე თათარი იყოვო. ამის მინაგვარი ცხინვალშიაც ყოფილა, აი მაგალითებრ. თამარ დედოფალი იყო ერთი ძლიერ თათრის ხელმწიფის ქალი. ეს ქალი ძრიელ ლამაზი იყო, მამამ გათხოვება დაუპირა, ქალი არ თხოვდებოდა, უარი სთქვა, მამას ჯავრი მოუვიდა, ერთს ოთახში დააპატიმრა, მოინდომა მისი ტანჯვა, მაგრამ თამარი მაღლე მიხვდა ამას. ღმერთს შეევედრა ოლონდ ამ ციხიდამ დამიხსენდა მე მაშინვე მოვინათლებით. რაც ინატრა, ღმერთმა შეისმინა, თამარი ვარსკვლავათ იქცა, ციხიდან გაფრინდა. ერთ

დიღს მთაზე ეკულესია გააკეთა და იქ დაიშუო ცხოვრება. მამამ ველარა აკადრა-რა, თამარმა ეკულესის ვეერდით ერთი კარვი სასახლეც გააკეთა, ერთ ოთახში ვარსკვლავი ჰყვანდა დაჭერილი, ერთხელ თამარ დედოფალი დასავლეთ საქართველოში მგზავრობდა. ამ დროს მისმა გამდელმა დაკეტილი ოთახის კარი გააღო, თოვლის ვარსკვლავი გაფრინდა, მის შემდეგ ცა ნისლით შეიკრა, თამარ იეფემ ეს აშბავი მალე შეიტყო, შინ დაბრუნდა, მაგრამ ვარსკვლავს ველარა უშველა-რა, მას შემდეგ ეს მთები სულ ნისლით იკვრის და ჯერეთ ერთი წლის თოვლი არ არის გამდნარ გათავებული, რომ მეორე წლისაც ზედ ემატება და მის მეოხებით იქაურ მიღამოებთა ხეებსა და ყვავილებს სასტიკათ ახმობს. ამ შემთხვევის შემდეგ ჩამოვარდა ოსეთში ზამთარიო, ამ ზამთარმა დიღათ ავნო ასის ხალხსაო.

ძველად, ქართველებმა შემდეგი ჩვეულება იცოდენ: სადმე ავადმყოფს რომ გაუჭირდებოდა,, მას შეათქმევინებდენ, რომ ოღონდ კარგად გახდეს და მის შემდეგ თამარ მეფის საფლავს მოვსძებნით. მის საფლავის მიწას თვალებზე წავისოთ. საფლავს პატივს ვსცემთო.

ქართველ მაჰმადიანებს, ადრე, მეონი ქრისტიანობის დროს და შემდეგაც, თამარ მეფის ლოცვა სცოდნიათ. ლოცვაში გამოხატული ყოლილა, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის ლმერთთან ზის, წმიდანებთან იმყოფება; ის კიდევ მოვა თდესმე, ჩვენს თხოვნას შეისმენს, აჭარას ნახავს, თავის ბეგიებს დაემდურება. სწორეთ ასეთის საოცნებოს მიმართვით შესდგა ხალხში მრავალი სახალხო ლექსი.

ბევრს ალაგას ფშავ-ხევსურეთ-თუშეთშიაც ასევე ჰქონიათ, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის საკალა დაძინებული არის და ჩვენ თუ კარგად შევევედრებით, მაშინ იგი ადგება და მოვა ჩვენთანაო. იქვე იტყვიან:

თამარ მეფე ამირანს იცნობდა, იალბუზე ამირანი ნახაო. როსტომ და ბეუან თამარ მეფის გმირები იყვნენ, თამარ მეფეს

ესენი წაუძლვნენ წინ, როცა იგი ამირანთან წაბრძანდათ.
მთის ხალხს თამარ მეფე ხატათ აქვსთ გამოსახული.

თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდათ, ომში ქართველებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ, პყრობილი თამარ მეფეს მიჰვარეს, როცა პყრობილი თამარ მეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბათ შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო:

— მიშველეთ, მიშველეთ.

იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს.

— რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა?

— მე იმის შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხლმით მოღებული კაცი უვლის და იმ გალესილ ხმალს სულ აქეთ იქეთ ატრიალებს მტრის წინააღმდეგ.

მოხევებში გაგონილი. თამარ მეფეს ქრმის შერთვა არ უნდოდა, მაგრამ ხალხმა დაატანა ძალა და მიტომ გათხოვდა. ორი წლის შემდეგ, მთელს საქართველოში ასეთი ბრძანება განაცხადა: მთელს საქართველოს კუთხეებიდან, საღაც კა მღვდელი, ბერი, დიაკვანი, ლარიბი, მოხუცი, ობოლი და ქვრივნი არიან, ყველანი ჩემ წინ წარმოდგნენო და მოწყალება მიიღონ. ბრძანების თანხმად, თამარ მეფის სასახლის კარზედ დიდი ძალი ხალხი მოგროვდა, თამარ მეფემ ხაზინა გახსნა და ლარიბებს მოწყალებას თვით ურიგებდა. მოხევებიდამ ერთი მღვდელი წარსდგა მოწყალებისთვის, ამას მოწყალება რომ მისცეს, მღვდელმა ჰკითხა იქ მყოფთ.

— ამას რაზედ მაძლევთ, რა უნდა უყო ამას, ეს მე რათ მინდა!!

— რა უნდა უყო და მოიხმარე, ხოლო მის სამაგიეროდ თამარ მეფისთვის ილოცეთ.

— რა ვილოცო, მიბრძანებ თქვენა.

— ილოცე, რომ თამარ მეფეს წვერი და ულვაშები გამოესხას.

— კარგიო. უთხრა მღვდელმა და თან იგი წავიდა თაუ ვის სასახლისაკენ. მეორე დღეს წირვაზედ ღმერთს შეევედრა, რომ ღმერთო, თამარ მეფეს! წვერი და ულვაშები გამოასხიო, ეს მღვდელი მეტად წმიდა კაცი ყოფილა, მისი ვედრება შეისმინა და თამარ მეფეს უცფათ წვერი და ულვაშები გამოესხა. რამდენიმე დღის შემდეგ თამარ მეფემ პირს ბალდალი ახალა, წარსდგა თავის დადებულების წინაშე და სთხოვა დაბარება ყველა იმ პირების, ვინც-კი მას ეახლნენ და თვით მისგან მოწყალება მიიღეს, ბრძანება მალე შესრულდა, მოწყალების მიმღებთ მალე მოიყარეს თავი თამარ მეფის წინა, მაგრ სათი-თაოდ გამოჰკითხეს თუ ვინ როგორ ილოცა, შემდეგ წარსდგა მოხევი მღვდელი, ამას მისცეს კითხვა, მან უთხრა:

— ღმერთო! თამარ მეფეს წვერი და ულვაშები გამოასხიო.

— რათ ილოცე მაგრე, ვინ გითხრა მის ლოცვა.

— აქ მითხრეს ბატონო, მოწყალების მიღების დროს. თამარ მეფემ ეს მღვდელი თავის სასახლეში მი ხმო, საჩუქრები მისცა, საქმე გამოჰკითხა და შემდეგ უბრძანა.

— წადი, მამაო, შენ წმინდა ჭაცი ყოფილხარ, ეს საჩუქრები შენთვის წაიღე, არავის ვი უთხრა. ხოლო ახლა კი ილოცე რომ შე ეს წვერ-ულვაშები გამცვივდეს. მღვდელმა მოისმინა უოველისფერი, გამოეხოვა მეფეს და თავის სასახლისაკენ წავიდა, მეორე დღეს, წირვაზედ ღმერთს შეევედრა: თამარ მეფეს წვერ-ულვაში გასცვივდეს სახიდამაო. დშერთმა შეისმინა მისი ლოცვა და წვერ-ულვაში გასცვივდაო. ამის შემდეგ ეს მოხევი მღვდელი თამარ მეფემ კვალად მიიხმო თვისკენ და წყალობა მისცა, იგი მღვდელი წმიდანი იყო თამარმა თავის კარის ეკულესის მღვდლად დანიშნა. თამარ მეფის ჯარმა რომ ნუქარდონს ომი დაუწყო, იმ დღეს, ამ

მღვჟელმა ვარძიაში სურა, იქვე წირვაზედ ბრძანდებოდა
თამარ მეფე, წირვაზედ მღვდელმა შეიტყო რომ ქართველმა
ჯარმა გაიმარჯვაო, მალე გამოვიდა საკურთხევლიდამ და თა-
მარ მეფეს ლოცვა კურთხევით ასე მიმართა.

— დიდებულო მეფეო, მოგილოცავთ, მოგილოცავთ,
ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მტერს დამუხლებულებს მოვიყვანენ,
თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ, ეს მე წირვის დროს ცხადლივ
გამომეცხადა.

მართლაც და ამბავი მალე მრუვიდათ, რომ ქართველთ
შეედრობამ მტერი სასტიკათ დაამარცხავო. იგინი გააქციეს და
თვით გამარჯვებული მოდიან თამარ მეფის წინაშეო.

— **ჯავახელთ ნაამბობი.** საოცარია საქართველოს ხალხის
თვისება, ყველა კუთხის ქართველი ლაპარაკობს, რომ თამარ
მეფე ჩვენი კუთხის დიდს ეკულესიაში მარხიაო. მურლელელნი
ამბობენ, რომ თამარ მეფე მურლულში მარხიაო. მაჭახელელ-
ნი-მაჭახელში, რაჭველი-რაჭაში, ჯავახელნი-ჯავახეთში — თმოგვს.
ამაზე ამბობენ, რომ ვითომც თმოგვის ახლოს, მტკვრის პირს,
ერთ ალაგას კუნძულის მსგავსი ჭალაკია. ადრე ამ ჭალაჭზედ
მტკვარი მდინარებდა, ერთ ალაგას მტკვარს გადურეცხია და
როცა დამშრალა, იქ გამოჩენილა ერთი საფლავი, სადაც თა-
მარ მეფის კუბო და აკვანი მდგარა. კუბოს დამარხვის დროს,
აკვანიც შიგ ჩაუტანებიათ თურმე, ამ კუბოს და აკვანს ხალ-
ხი დიჭხნს ხედავდა თურმე, მერე კი საცალა გაქრა, ჭეცის-
კენ წაილეს ანგელოსებმათ.

— **ქართლში დაშთენილი.** თამარ მეფემ ბეთანიის ეკულე-
სიის შენება დაიწყო სოფ. სამადლოს. ამის შესახებ ბრძანება
დროით გამოაცხადა ეკულესიის ალაგი, დანიშნეს, მალე ქვა,
კირი, ხე, ტყეც მოზიდეს, მაჭალაც შეკრიბეს, მალე საძირ-

კველიც ჩაყარეს, მალე საძირკველის თავიც აამაღლეს. ერთ
დღესასწაულ დღეს, საძირკველის კედლებს მტრედები, შო-
შიები და სხვა ფრინველები დაესივნენ, კედლის ნაწილები
სულ კენჭებათ აქციეს, ფრთებ კვეშ შეიწყეს და გაფრინდნენ
უზაბურ ტყეში და მიიტანეს და იქ დააწყეს საღაც დღეს
ბეთანიის ეკულესია არის. ფრინველთაგან ამ მასალების ზიღვა
რამდენსამე დღეს გაგრძელდა. ეს ამბავითამარ მეფესაც დროით
მოხსენდა, თამარ მეფე მალე მიბრძანდა და თავის თვალით
ნახა ფრინველთაგან ქვების მოტაცება და ზიღვა, ის ადგი-
ლიც მალე ნახა, საღაც ეს ფრინველები მასალას. ზიღავდენ
თამარ მეფე მალე მიხვდა საქმის გარემოებასაო.

იმ დღეს თამარ მეფე დაღლილი ბრძანდებოდა, ცოტად
მიეძინა, ძილში სიზმრათ გამოეცხადა, რომ დიდებულს ბეთა-
ნიის სასახელოთ აღაშენა ეკულესია და მით აღიდეთ სახელი
ოვისიო. თამარ მეფემ ასეთ ჩვენებას დიდი ყურადღება მიაქ-
ცია, სამადლოზედ ეკულესიის შენება დაიწყეს იმ ალაგას,
საღაც დღეს ბეთანია არის. თამარ მეფეს ბეთანია დიდათ უყ-
ვარდა. ამიტომაც დახატეს შიგ მისი სურათი. ბეთანიას თა-
მარ მეუეც დიდს დახმარებას აძლევდა, იგი მონასტრათ იქმნა
დანიშნული.

თფილისში დაშორენილი. თამარ მეფე წმინდა ქალი იყო,
რგო წმინდანათ არს შერაცხული. იგი რომ გარდაიცვალა, ზე-
ციდამ ორი ანგელოზი ჩამოვიდა ოქროს აკვანი ჩამოიტანეს,
შიგ ჩააწვინეს, ზეცას გაფრინდნენ და თამარიც თან წაიყვა-
ნეს, ამიტომაც არის, რომ მისი საფლავი დედამიწაზედ არავინ
იცის, იგი არსად არის, საღაც თამარ მეფე გარდაიცვალა. იმ
ალაგას რამდენსამე ხანს ნათელი იდგა.

შაჟახლური ცნობა. შაჟახელში დაშორენილი ცნობა. თა-
მარ მეფის ლროს მისის ბრძანებით საყდარს ევფრატი მიტობ

დაარქვეს, რადგანაც როცა აკეთებდენ, მაშინ იტყოდნენ
ხოლმე, რომ ეს ეკულესია იმ ფრათ უნდა გავაკეთოთ, რო-
გორც ესა და ეს ეკულესია არის გაკეთებულიო. ამიტომ ევ-
ფრატი სიტყვა „იმ ფრათ“-იდამ გადაუთდაო, სოფ. ხერთვი-
სი მიტომ დაერქვა, რადგანაც აქ ორთ ხეობის წყალი მაჭა-
ხელა მეორე ხევის წყალს ერთვის, და მიტომ იტყოდენ იტ-
ყოდნენ ხევთ ერთვისო და აქედგან წარმოსდგა ხერთვისიო.

1871 წ. გაზ. „დროება“-ში სწერს დ. წ. შემდეგს:—
მაჭახელში ვიყავ და შევიტყე, რომ ერთს ოჯახში მოიპოვება
თამარ დედოფლის წიგნიო, ოსმალურს ენაზეო. მე ამ წიგნის
თარგმნა მინდოდა ქართულს ენაზედო, მაგრამ ჩემდა სამწუ-
ხაროდ, მის პატრონმა ეს წიგნი არ მათხოვა და ამიტომ ვერ
ვსთარგმნიო.

**გასილი სიმონის ძე თელეშვილის ცნობებით დაწერილი
ოსებში დარჩენილი ამბები და ლეგენდები.**

თამარ მეფე ისეთი ძლიერი და წმინდანი იყო, რომ სა-
დაც იგი ფეხს დადგამდა და სიტყვას იტყოდა, იქ მაშინათვე
უველაფერი გაკეთებოდა, მაგალითებრ იტყოდა, აშენდეს
საყდარი და იგი აშენდებოდა, — გამოვიდეს წყალიო და ესეც
გამოვიდოდა.

სოფ, მთარაროში არის ერთი ქვა-ბათლონე (ბეთლემი),
მეორე ქვა არის სოფ. ყემულთაში, ეს ორი ქვა იერუსალი-
მიდამ არის მოტანილიო. ერთი ქვა თამარ მეფის არის და
მეორე დავით სასლანისაო. აქეთვე რაროს მთაზედ, თამარ მე-
ფის ჯარისათვის სააგარაკო ყოფილა, ზაფხულს, ზამთარს ჯარი
დიღუბეში მდგარა.

თერქი და ტუროკი დაშვრაო. ამიტომ დიგორელნი წმინდა კაცს ეძებდენ. რომ იქნება მისის ლოცვით წყალი ისევ გამოვიდესო. სხვა და სხვა ტომთა რჩევით, ამათ თამარ მეფეს სთხოვეს ლოცვაო. ეს მივიდა, ილოცა და მის მერე თრივე წყალი ხელ ახლა გამოვიდაო.

ამბობენ, რომ თამარ მეფეს თავის ძვირფასი სახლი მარტოდ იალბუზის მთაზედ კი არა აქვსო, არამედ მას მეორჯ სახლი არარატის მთაზედ აქვს და მესამე ყინვარის და ყაზი ბეგის მთაზედო, ამას ისეთი ძალა აქვნდა, რომ ერთის მთიდამ მეორე თავის მთის სახლს ელაპარაკებოდა და ყველაფერს აგებინებდაო. ყველა ეს სასახლები მეტად ძვირფასად ნაგებნი ყოფილან.

დავით სოსლანი გარდაიცვალა, ორი წლის შემდეგ იგი გაცოცხლდა და უკან მოვიდა. ქართველებს და ოსებს საყველური უთხრა, რატომ ხარებს არ მიკლავდითო, უსაყველურა, რომ საქონლის სული ჩემთან არ მოდიოდაო. ამაზედ ძალიან გაჯავრდა. მერე წავიდა და თავის ჯავრი თურქებზედ იყარა. ერთ ალაგას წვეულება იყო, იქ ჩამოხტა, მიიწვიეს. ერთმა იქ მყოფმა უთხრა: — ცხენს მე შეგინახამო. დავით სოსლანმა ჰკითხა, რომ გაგიძალიანდეს და თოკი გასწიოსო, რომ გაიქცესო? მიუგო: თუ გაძალიანდება, მაშინ მეც გაუშვებო. ამას არ მისცა ცხენი და თავი მოსჭრა. მერე მეორე კაცმა უთხრა: მე შეგინახამო, ამასაც ისევე ჰკითხა; ხაბელი რომ გასწიოს და გაგექცეს, მერე რას იქმო? მიუგო: თუ კი გაძალუანდება მეც მიუშვებო. მასაც თავი მოსჭრა. მესამემ უთხრა: მე შევინახამო. საბელი რომ გაგიწყვიტოსო, რას იქმო? ამან უთხრა კისერშე დავიჭრო, კისრით რომ დაგჯაბნოს. მაშინ რას იქმო? მიუგო: კუდს დაუჭრ და მარც არ გაუშვებო. ცხენი ამას მიაბარა, თვითონ მასპინძელთან მივიდა. ნადიმის გათა-

ვების შემდეგ, ოურქეთი აიკლო, თავის ქვეყნის ჯავრი ამოა-
ყარა, დიდი ძალი საქონელი იშოვნა, ყველა ესენი საქართვე-
ლოში მოიტანა და რაღვანაც თავის ხა ხი უყვარდა ეს სა-
ქონელი სულ მათ დაურიგა. თანვე მოიყვანა ერთი ლურჯი
ხარი, რომელსაც რქები აბრაშუმით შეუკრა, იალბუზის მთა-
ზედ წაიყვანა, იქ, იგი ღმერთს შესწირა და თითონ ბარასტ-
თან (აბრამი) გაფრინდა, სამოთხეში, ანუ საიქიოს, მათს გვერ-
დით დაჯდა და თამარიც იქ ზის.

60 წლის წინედ, ერთი მოხუცი კაცი იტყოდა ხოლმე:
რომ მე იალბუზის მთაზედ აველ, იქ ვნახე, რომ ეს მთა გა-
რეთ სულ თოვლით არის მორთული, ხოლო შიგ კი მშვე-
ნიერი ქალაქია, სახლებს სულ ბროლის კედლები აქვს, აქვა
არის ძვირფასად ნაკეთი კოშკები, იგინი სავსეა სულ ძვირფას
ხაქონლით, ნადირიც ბევრია. ერთ ალაგას სამი ოქროს კუ-
ბო არის, ერთზედ ეწერა: თამარ მეფე, სუფთა ასოებით, ვნა-
ხე, შიგ ანგელოზის მჩგავსი ქალი ესვენა, მე შევშინდი.
შეორე კუბო დავით სოსლანის იყო და მესამე რუსულანის.
მათს ახლოს ორი წყარო მოდის, ერთი ოქროსი, მეორე
რძისა.

დავით სოსლანს ოსები არტენს უწოდებენ, იგი იყო გმი-
რი კაცი, ტანი ჰქონდა ფოლადის, იგი ბევრს ხალხს ხოცავ-
და, ამიტომ იგი ღმერთმა ცაში გაათრინა და მთვარეზედ და-
აბა. მთვარეზედ იგი დღესაც მოჩანს ჩრდილი ღრუბლებივთ,
მთვარეზედ მობმულმა დავით სოსლანმა ღმერთს ერთი რამი
ნება რთვა სთხოვა, ღმერთმაც ნება მისცა, მაშინ დავით სოს-
ლანმა იქ მოკრიბა გველი, ხვლიკი, ჯოჯო, ბაყაყნი და სხვ
ისეთნი და მაღლილან ძირს გადმოყარა ქვეყანაზედ და მათ
მიტომ დაერქვათ ქარულად ქვეწარმავალნი. ამას შემდეგ გან-
დენ თურმე ქვეყანაზედ ესენი.

დავით სოსლანს ერთი ამხანაგი ჰყვანდა ბათრაჯა, რკინის კაცი, მერე ეს ზეცაში ავიღა, ნი დღე და ღამე იქ სამჭედლოში იყო, გადაღნა. მერე ფოლადად გადაიქცა, მერე იქიდან შავ ზღვაში გადისროლეს, ამით მან ზღვა დაშრო. მის შემდეგ ზარბაზნებს ამ ფოლადის კაცით ისროდნენ და მიტომ ალარაფერი რჩებოდა დაუნგრეველი და თვით მთებიც კი ინგრეოდა, რაისა გამო ამოდენა დიდი და პატარა მთები არის, ამ კაცის ამხანაგი ამირანი ყოფილა. ერთი კაცი იალბუზედ ასულა, იქ ამირანი უნახავს, ამ ფოლადის კაცის ამხანაგი, ამირანი თურმე ხმა მაღლა სტიროდა და ამბობდა, რომ მე ისე ჩემი ტანჯვა არ მაღარდებს, როგორც ჩემი ამხანაგებისაო ჩვენ სამნი როცა ბურთს ვთამაშობდით, მაშინ ნით ქვეყანას ვანგრევდით, ამიტომ მთებიც ზოგი დაბალია, ზოგი მაღალიო. ყოველივეო ხდებოდა თამარ მეფის დროსაო.

თამარ მეფე იმერეთში მოგზაურობდა, სახლი მოახლეებს ჩაბარა, ერთს ოთახში, სკივრში ცისკრის ვარსკვლავი ჰყვანდა დაჭერილი, ეს სკივრი შეცდომით მოახლეოდ გააღო, ცისკრის ვარსკვლავი გაიქცა, მალე თოვა დაიწყო, თორემ მინამ თოვა არ იცოდაო. თამარმა ყველაფერი გაიგო, დადარდინდა, მალე უკან დაბრუნდა, გზაში სთქვა თურმე რამე უბედურება მეწვევაო. რაჭაში სოფ. ღართან რომ მივიღა ცხენმა თოვლის ღარის კეთება დაიწყო, ამიტომ ამ სოფელს ეს სახელი ეწოდა-ღარი. აქედამ მალე მივიღნენ ერთ ალაგას, გზაში თოვლი ცხენს ბეჭებამდის აუვიდა, ამიტომ ამ ალაგას ოსურად ონი უწოდეს, ოსურად ბეჭებს ნიშნავს. აქედამ სოფ. კუდაროში მივიღნენ, თოვლმა ცხენი მოუკლა, მიტომ ამ სოფელს კვდარი დაერქვა, თორემ წინედ სხვა სახელი რქმევია. აქედამ წავიდენ, გზაში დიდი ყინვები ნახეს, ერთ ალაგას ჩამოხდენ, ამიტომ ამ ალაგას ზამთარეთი უწოდეს, აქედამ ჯავში ასულან, აქ ვარსკვლავის გაფრენაზედ დიდად იჯავრა და მიტომაც სოფელს ჯავა დარქვეს. ამის შემდეგ იგი ზეცაში აფრინდა.

ზოგნი იტყვიან ზეცაში კი არა იალბუზედ აფრინდა, იქ მიი-
ცვალა და ახლაც კი ოქროს კუბოში ასვენია.

ვიღრე თოვლით შეიმოსებოდა ეს მთები, მინაშდის იგი-
ნი სულ ზვრებით იყო შემოსილიო: ეხლაც არის ამის ნიშ-
ნებიო. ამ მთებს სოფელ ქეშელეთელნი წელიწადში ოთხ
ხარს სწირავდენ თამარის სახელისათვის. იქ რომ წვიმა მოდის
იტყვიან თამარ დედოფალი სტირისო და თავის მსხვერპლს
თხოულობსო. ესენივე იტყვიან: თამარ მეფე ყველა ნადირის
ენაზედ ლაპარაკობდაო. მოსამსახურედ-ჭრანიკი და დომბაი
ჰყვანდაო, ესე იგი ლომი და ვეჯხვიო.

თამარ მეფე ერთხელ მოსდოკში ლოცულობდა, ამ ლოკ-
ვის დროს, მან მღვთის მშობლისაგან მიიღო ის ხატი, რომე-
ლიც ეხლა მოსდოკის საყდარში ასვენია და რომელსაც პატივს
სცემენ ასები, ჩეჩნები, ქისტები, ჩერქეზები და ინგუშები.

ოსები ამბობენ ჩეჩნების სიტყვით, რომ მთვარე თამარ
დედოფალიაო. ცისკრის ვარსკვლავის გაფრენამდის მთვარე
ცაზედ არ იყოვო. როცა ვარსკვლავი აფრინდა, მაშინ თამარ
მეფეს ძრიელ ჯავრი მოუვიდა და აფრინდა ცაში და იქ მთვა-
რეო იქცაო. ჩეჩნებივე ამბობენ, რომ თამარ მეფე ერთის ნა-
ბიჯით ცამდის იარებოდაო.

ესენივე ამბობენ შედეგს: ქრისტე როცა ამაღლდა, მა-
შინ მან თავის გვირგვინი ბაგრატიონთ ერთს გვარის წევრს
გარდასცაო. მერე ეს გვირგვინი მემკვიდრეობით თამარ მეფეს
ერგოვო. შემდეგ თამარის ეს გვირგვანი დაიკარგაო.

ზოგნი იტყვიან, რომ თამარ დედოფალი ისეთი წმინდა-
ნი იყოვო. რომ მას სამეფო გვირგვინი ზეციდამ დაედგაო. ამ
დადგმის მიზეზად ის გახდა, რომ იგი მეტად მღვთის მოყვარე
იყო, დატაკთ შემბრალე და ქვრივ-ობოლთა და მოხუცებულ-
თა გამდელიო. უამისოდ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ

თამარი ამ გვირგვინს ვერ მიიღებდაო. თამარ მეფეს ქმარი არ ჰყავანდა, ლაშა გიორგი მღვთის ბრძანებით დაებადაო. მერე ეს ყმაწვილი ტყეში ერთს ხის ძირას დასტოვესო. იქ ამ ყმაწვილს ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმაწვილს ძუძუს აწოვებდა და სდიდაო. გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ ნაღირობის დროს, თამარი ამ ყმაწვილს თავის მაწოვარის ირმით ერთ ალაგას შეჰყარაო. ეს ყმაწვილი და ირემიც თამარ მეფემ თავის სახლში წააყვავინაო. ეს ყმაწვილი იყო ლაშა გიორგიო, ამაზედ არის ნათქვამი.

„ბაგრატიონთ გვარის კაცსა ირმის ძუძუ უწოვნია,
ჭალაში გადაგდებული მონადირეს უპოვნიათ“.

ამიტომ თამარ მეფეს წესად დაუდგენია, რომ ბაგრატიონთ გვარის კაცებმა ირმის ხორცი არა ჭამონ და მიტომ იგინი არც სჭამენო.

ეს ადგილი გადასხვაფერებით მოყვანილია ერთ ლეგენდაში. რომელიც დაბეჭდილია 1901 წ. უურ. „მოგზაურის“ მერვე წიგნში. ლეგენდა დაუწერია ბ. ებანოიძეს სოფ. საქარაში, ეს ლეგენდა მე აქ მთლათ უნდა მომეუვანა, მაგრამ ვერ მოვიყვანე აქ იმ მიზეზის გამო, რომ იქ პირველ მაჰმადიანებზედ შეუფერებელი ლაპარაკია და მეორე თვით თამარ მეფეც ისეა მოხსენებული, რაც არ არის ლირსი დაბეჭდის, დავსძენთ აქ, რომ ამ ლეგენდაში მოთავსებულია ცნობები „ბაგრატიონთ გვირგვინისა“ ხოლო „ბაგრატიონთ გვირგვინი“ სხვას მეფეს შეეხება, ჩვენ მაინც ამ ლეგენდის ადგილიც მოვიყვანეთ შემოკლებით ვისაც სურს ამ ვრცელი ლეგენდის წაკითხვა იმან იგი წაიკითხოს „მოგზაურში“.

ოსური გადმოცემანი.

სოფელ ყორსევში არის ძველებული ციხე და კოშკი, ხალხის გადმოცემით ეს ციხე და კოშკი თვითონ თამარ მეფე

და დავით სოსლანს ეკუთხის შათი დროინდელი აშენებულიათ.
და თვით დავითი და თამარი იმაში ბძანდებოდნენ, რაღანაც.
თვით იგი ციხე იყო ოსეთის სამეფო ტახტი ესე იგი თამარ
მეფე და დავით სოსლანის საბრძანებელი ამ ზემო ხსენებული
ციხე კოშკის მახლობლათ მეორე შესანიშნავი კოშკიც იყო
რომელიც ხალხმა დაანგრია.

მთიელი ხალხური გადმოცემით იმ ციხე და კოშკი როცა
აშენებდნენ ხალხი მაშინ იესო ქრისტე და წმინდა გიორგის
სახელობაზე, ახლო ყორსევში ერთი დიდი და უზარ-მაზარი
კლდის წვერზე ეკალესიაც ააშენეს, რომელიც დროთა ტრია-
ლის გამო დაინგრა.

ამ ციხე კოშკში და ეკალესიიდგან რამდენიმე ვერსზე
არის თამარ დედოფალი და დავით სოსლანის ძეგლი, რომელ-
საც ხალხი ბეთლემიდგან მოტანილს უწოდებს ამიტომ
ქვიან სახელათაც ბათლონ სიტყვა ბეთლემიდგან წარმომდგარა

იმ მთაზე სადაც მის ძეგლი არის ესე იგი ბეთლემის ქვა
იმას სახელათ რაროს მთა ქვიან, რაღანაც თამარ მეფე და
დავით სოსლანის საზაფხულო და სააგარაკო და სამეფო სალა-
რო იყო. ოსების ხალხის ფიქრით თამარ დედოფალი ამ რა-
როს ბათლონის ძეგლის ქვეშ ასვენია.

მას ზემო ხსენებული ნაშთები ეკუთვნიან თედეევებს ხალ-
ხური გადმოცემით თედეევები და ბაგაევები თამარ მეფე და
დავით სოსლანის ჩამომავლობის არიან, თედეევებს ბაგრატიონ
თამარიანათაც უწოდებენ, რაღანაც თამარის და დავით სოს-
ლანის ჩამომავლობიდგან წარმომდგარან თედეევებს თე-
დეევებად, იმიტომ იძახიან რომ მათი წინაპარი თევ-
დერ მეფე ბაგრატიონი იყო ოსეთში ბაგრატიონების გვა-
რი და თამარის სახელს რომ ახსენო, მაშინ ყველა პირჯვარს
გამოისახავს ბაგრატიონები ღვთის ნათესავნიათ და თუმცა
ოსეთში მაღლა დგანან ოსების ხალხის რწმენით რაც იქ ცი-
ხე კოშკები და ეკალესიებია ისინი სუსველი თამარ-დედოფალი
და დავით სოსლანის აშენებულებია ამას გარდა დავით სოს-

კართველ მაჟმალიანო ცხოვრება

50

ალი ვაჟა თავდგირიძე

„ნახამ ჩვენ ბედ-შაობას,
ჩვენს ერთობას დარღვეულს.“
ილ. ჭავჭავაძე.

თბილისი
სტამა ტ. მ. როტინიანცის
1916

პლი ფაზა თავდგირიძე

ქამთა ვითარებამ საქართველო აღამალლა, დაწინაურა, შინაგან და გარეგან ძლიერის ძალოვნებით შემოსა. ერთ დროს, ქართველნი თანაბარნი იყვნენ ძველის განათლებულ სახელმწიფოებისა. ქართველნი განვითარების მხრით მაღა აღვიდნენ უმაღლეს წერტილამდის. საქართველოს ერთ მოირთო სწავლა მეცნიერებით, ხელოვნებით, მხატვრობის ცოდნით, ჩუქურთმის ჭრით, მიწის მზომელობით, ექიმობით, სამხედრო ძალით, მოქალაქობით და მამულის მოკუვარე გლეხ-კაცობით. ქართველი ერთ და საქართველო ორმ ისეთის ძლიერებით იყო გარემოცული, ამას აშკარათ ამჟამიცებენ დღევანდლამდე აქა იქ დარჩენილი უზარმაზარი ეკულესია, ციხე-კოშკ-მონასტრები და ხიდები. ასე იცის ერთობამ და ერთობის ძალამ; ეს ნათები მოწამენი არიან იმ წუთების, როცა ამაღლდა ჩვენი სამშობლო და ამასვე ხატავს შემდეგი:

„აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა, როგორც
ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“

გაეიდა ხანი და ეამთა ვითარებამვე დასკა საქართველო და სასტიკათ დააუძლეურა ქართველი.

გარეშე მოსეულ მტრებთა მეოხებით შინათ აეიშალენით, ერთი ოჯახის და ტომის შეილებმა ერთმანეთს დაუწყეთ ქეჯი და ლალატი, კერძო პიროვნულის ანგარიშებით გატაცებულებმა ულალატეთ ქვეყანას და ერის ერთობის საქმე და ჩვენის ხელით ჩვენს თავზე ექმენით ის რაც ჩვენზე მოსეულ მტრებს უნდა ექმნათ თავიანთის ხელით. უკანასკნელ ფამს

ქართველთა შეილებს ისე გაგვილალდა გული, ისე გარდაგვე-
ბანა წმიდა გულის ძერა, ისე შევიცვალენით და ისე ვაღა-
სხვა ტერდით, რომ თვით ჩვენვე გავხდით ჩვენის სამშობლო
ქვეყნის მტერნი, ჩვენი მამულის დამაქცევარნი, ჩვენს მოსის.
ლე მტრებს მივენდ-მოვენდევით, მათ დროში, ქვეშ შევეთიდ;
მათ ერთგულებას და სამსახურს მივეცით თავი, მათგან ველო-
დით ჩვენს შეებას, ამალებას და დიდებას, ქვეყანა და ერთ
თითქმის გაეყიდ გავცვალეთ, ამაზე სთქვა პოეტმა: „შენ რა, რომ
ამშენებ შენს დამღუპვედს ოსმალეთსა“ უველა ეს გულმოსაკლავ
და სამწუხარო მოვონებანი მკაცრათ გვფლობენ და გვაგონ-
დებიან მაშინ, როცა კი ჩვენ მოვიგონებთ დასავლეთ ქართ.
ველთა და საქართველოს ბედს, ოსმალთაგან ამ ერისა და აღ-
გილების დაკავებას, მათგან ატეხილ დიდის ხნის ბრძოლის და
უკანასკნელ ქართველთა ისე დამორჩილებას და დაუძლეურე-
ბას, რომ ქართველნი თვით გახდნენ მტერნი ქართველობისა,
საქართველოსი, თავის ოჯახის და გუშინ წინ თავის სამშობ-
ლოსაგან გამდგარი ქართველი, ოჯახიდამ, მამულიდამ, ეროვ-
ნობიდამ ხელ აღებული, დღეს თავის ტომისავე ქართველს და
საქართველოს მტერს წინ მოუძლოდა და ყველაფრის დანთქმა
დანაცრებას უქადა. ასეთ პირებს, ასეთს იუდა გამცემლებს,
გული და სული გარდაბანილებს და გაფუჭებულებს, ჩვენ,
ჩვენს ისტორიაში ასობით და ორასობით ეპოეებთ.

ამას ჰელოვობს ჩვენი ისტორია, ამას ჰკენესიან ჩვენი მგო-
ნები, ამას სწუხან უველა ჩვენი მოწინავე მამულის შეილები
და მწერლები. ამას შეეხო ბ. ნიკოლოს ნიკოლაძე 1873 წ.
ამასვე შეენენ მრავალნი სხვანი და ამასვე მისეცირი მე. ესლ-
გევარ არსიანის მთახე, ცუმშერ მთელ დასავლეთს საქართვე-
ლოს, ვტირი მწარეთ, გული ვერ მითმენს, ესწუევლი ჩემს გა-
ჩენის დღეს და ასეთ სამგლოვიროს მღელვარებით აღვესებულს...
მაგრამ რას ეიზამთ, ეს არის მხევდრი მისი, ვინც ჩვენს სამშობ-
ლოს გაიცნობს, ნამეტურ დასავლეთს საქართველოს ოსმალ-
თავან მთლათ ფერფლათ ქცეულს.

II.

ჩეენის დიდებულის საშობლოს საუბედუროთ, საკმარი-
სად განვითარებულს და ამაღლებულს ქართველების დასაღუ-
პათ, ზოგიერთის ჩეენს ჩეილის მეფებისაგან, საქართველოში
იწყეს თავად-აზნაურობამ გამრავლება. ამ ვამრავლებას საქართ-
ველოსტვის მეტათ ცუდი შედეგი მოჰყვა, რაღაც თავად აზ-
ნაურებში ათი და ოცი თუ რიგიანი პირები იყვნენ, მიტომ
მის მაგიერ ასობით ურიგო და უხეირო პირებიც ჩნდებოდნენ,
რომელნიც თავიათ უმაღლესის გვარ შთამაოებით და მედილუ-
ბით ყოველთვის მერყეობაში იყვნენ შთაცვივნული, გონება
და ხასიათით გალალებულნი აქა იქ ლტოლვას ეძლეოდნენ და
ათას ნაირს ხრიკებს, რომ ერთს მეორესთვის გაესწრო წინ,
ერთი დაწინაურებულიყო და მთელი ქვეყნის ბეჭი ხელთ ეპ-
ურა. ამის მოსაპოებლათ იგინი აღარაფერს ერიდებოდნენ, ყო-
ველნაირს ლონისძიებას ხმრობდნენ, თეით მეტისა და ქვეყნის
ლალატსაც, ოლონდ კი იგი ერთი ამათგანი დალუპულ ქვეყ-
ნის რომელიმე კუთხის მფლობელათ გამხდარიყო.

ასეთ პირებს მზე და მთვარე გაუბრწყინდათ მაშინ, რო-
ცა საქართველო უძლურებას მიეცა და გარეშე მოსეულ ჩტრებ-
მა გვიწყეს აოხრება, ამ გარეშე მოსეულ მტრებისთვის საჭი-
რონი იყვნენ შინათ გამცემელნი, იუდანი და აგერ ამათ მა-
ლე ჰერეს ჩეენს ერისთავებში ქართველთა მოღალატენი, ქართ-
ველთა მეუკადრისენი, ქართველთა მგმობელნი და დამნაცრე-
ბელნი. გალალებულთა ქართველთა ზოგთა იწყეს მტრის ერთ-
გულება და ქართველთა ორგულება. მტრებმა ესენი ისე ალ-
ბორეს, ისე აღამხედრეს ბილწის გონებით და ჰაზროვნებით,
ისე მოდრიკეს და გაამხეცეს ვითარცა დაბრმავებულნი და ბნელ-
სა შინა მავალნი იუდინა.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩეენს სმშობლოს რა
გაჭირება უნდა მოსელოდა? სრულოდ არაფრის. იგი გაძლი-
ერებოდა, წინ წაეიდოდა და ამაღლდებოდა ყოველნაირის. ძა-
ლოვნებით. მაგრამ ასე ცცის იქ, საღაც მოწინავე ძალა ეცემა,

სადაც ის ჰერიგავს სულის სრმალლეს, მამულის სწორ კეშა. რიტს სიყვარულს, უზოშო პატრიოტობას და ერთ უბრალო რამის გამო, ერთ რამ კერძო სიამოვნების გულისთვის ჭვეუ-ნის ღალატს და ბოროტებას ეძლევა.

გარემოებამ ესენი ისე შესცვალა, ისე გადაასხვაფერა, რომ მათ მალე დაუწყეს უჩინბა თეით მეფეებს, ესენი არას ეპო-ბოდნენ მათ, მთავრების მორიდება ხომ სულ არ ჰქონდათ, უოველი მათგანი იმ ანგარებით იყო გარემოცული და აღბორ-გებული, რომ მე თეით ვარ ამა და ამ ხეობის თავადი, მთავა-დი, ბატონი და მეფეო, მე თეით მაქვს ჩემს ხეობაშა ჩემი სა-კუთარი კოშკი, ციხე და ტაძარი. რათ მინდა მთავარი, რას ვაქნევ მეფეს, ჩემის მხრის ერის ბედი ჩემს ხელში უნდა იყოს, მეფეც მე უნდა ვიყო და კანონ მდებელიცაო!

ჩეენდა საუბედუროთ ჩეენს სამშობლოში ასეთი მოლა-ლატე პირები იქამდის გამრავლენენ და გახშირდნენ, რომ ესე. ნი ალარც მეფეს ეპოებოდნენ და ალარც ბატონიშვილებს, ამათ მეფეები ხელზე დაიხვიდეს, პამპულათ გახადეს, მეფე ამათ სიტ-ყვის და ძალის მორიცილებას მიეცე, ამათ როცა სურდათ მე-ფეს მაშინ დასვამდნენ, ტახტზედ, როცა უნდოდათ ჩამოაგდებ-დნენ; გარეშე მტრებსაც ეს სურდათ, ამათაც ეს უნდოდათ, იგინი ამის მეტს სხვას არას ეძიებდნენ. ეს იყო მათთვის სა-სარვებლო და სანატრი, ამას მოითხოვდა მაჰმადიანთა პოლი-ლიტიკა.

ჩეენი მეფები სააბრალო არსებებათ შეიქმნენ ერისთავე-ბის წინაშ, მათ ალარაფრის ძალა არ ჰქონდათ. ხანდისხან კი ჩიდებოდნენ ისეთი გულოვანი მეფეები, რომლებიც შინათ მო-ლალატე პირების გაცემას მრისხანეს თვალით უმზერდნენ, რის ხეას სცემდნენ მათ ბოროტებას და თავისუფლათ ნავარიდობის ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ გმირი მეფეები ჩეენ ქვეყანას უკანასკნელს საუკუნოებში ხშირათ ალარ ევლინებოდნენ, ამიტომ ერისთავები და სხვა კეთილ შო-ბილ სისხლნი ჩადიოდნენ იმას, რაც მათ სიამოვნებით სავს

გულსა და სულს ენატრებოდათ, ერთი უბრალო ამათი შური და მტრობა ჰქალავდა ქვეყნის აღრევას და ელეტას, მაგალითებრ: ერთის თავადის ქალი რომ მეორე თავადის შეილს სდომიყო შესართავად და მესამე ოჯახის შეილს შეერთო, მაშინ ამათში ჩეუბი და ომი ატყდებოდა და ამ სამი ოჯახის გლეხკაცობა ერთ მანეთს ელეტლენ და სწუვეტლენ, ერთი გვარის ხალხი, ხშირათ ნათესავნიც კი თავიანთ ბატონების მეონებით მტრებათ უჩნდებოდნენ ერთმანეთს და უწყალდ ელეტავდნენ! ასეთ მებატონეთაგან ვინ იცის რა ნაირი ვნება არ მოსდიოდა საქართველოს და ნამეტურ გურია-იმერეთს. აი ასეთ მოღალატ და გალალებულ გვართა რიცხვს ეკუთვნიან თავადი თავდგირიძეები.

თავდგირიძეები იმერეთში ძველათვე იქმნენ ცნობილნი და მეჩვიდმეტე საუკუნეში საქმარისათაც ამალლდა ეს გვარი, ამათ ბინათ სადგური იყო გურიისაკენ, ესენი გურიის მთავართაც ენათესავებოდნენ და ხშირი მისელა-მოსელაც ჰქონდათ ერთმანეთში. მთავრებთა შორის ნათესაობამ უფრო გაამედურა თავდგირიძეების გვარი და აამალლა უმეტესად. საქმე იქამდის მიეიღა, რომ გურიის იქით, ბათუმამდის, სადაც კი ამ გვარის თავადის შეილნი სცოვრობდნენ, იქ გამოცხადნენ ესენი მთავრებათ, თავადობა აღარ იკადრეს, თავადთა უმაღლესობა ინდომეს და სრული გამთავრება და ბატონობა ქობულეთში. თავდგირიძეების გვარის ასე ამალლებამ ცოტა არ იყოს გურიის მთავარზედაც იქონია გავლენა, გურიის მთავრის წევრნი თვალშილულათ მიხედნენ მას, რომ მათგან გათამამებულ და გალალებულ თავდგირიძეების გვარის ამალლება იყო მათი გაურკვეველი შეცდომა, მაგრამ ამ შეცდომას რაღა უშეელიდა. აღართერი, გურიის მთავრება თავიანთ შეცდომას და სხვაფერ დამოკიდებულებას თავდგირიძეებთან წმინდა ნათესაურ მნიშვნელობას აძლევედნენ, ნათესაცურს კაეშირს და ასე და ამისთანა მხარეებით შოშმინდებოდნენ და აწყნარდებოდნენ თეის მჩქროლგვარე გულს, განაზებულს თეისებას და გვართ შთამაობის ოცნება.

მაგრამ განლო დრო და ემშან და თავდგირიძეებს და გუ-
რიელებს შორის მცირე რამ უკმაყოფილება ჩამოვარდა ამათ-
მა სიამოვნების გულმა ერთმანეთს უკმაყოფილება ვერ აიტა-
ნა. იგინი ერთმანეთს სასტიკად ეწინალმდეგნენ და ერთმანეთის
შებმა ისურვეს. სამართალი და კანონი მოითხოვდა, რომ თავ-
დგირიძეები გურიელების მორჩილებაში უნდა ყოფილიყვნენ
და მათ მათი მორიცება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ თავდგირი-
ძეებმა ეს არ ინდომეს; ესენი აღიესნენ მედიდურებით და კე-
თილ ქობილურის მისხლით და დაიწყეს გურიის მთავრების
წინაალმდეგ მოქმედება. აი სწორეთ ამ დროს შეესწრა ვინმე
მამუკა თავდგირიძე, რომელიც საკმარისად განლალებულ იყო
თვით გურიის მთავრებისაგან.

როცა ეს პირი უზომოთ განლალდა, მას შემდეგ მასთან
ველარიეინ გააწყო რა. იგი ქობულების გამოცხადდა ერთ-
უსასტიკეს გვამათ, გურიელის მოქიმპეთ, მთავრის ლირსების
მოტრთიალეთ, მის მოდავეთ მის მოთავთაშეთ, მედიდურთ თა-
ვადთა მეოხებით საქმე ისე მოეწყო, რომ მამუკა თავდგირიძე
გახდა გურიის მთავრის დაუძინებელი მტერი და იმ ზომამდის
წინ წასული, რომ უკანასკნელ თვით გურიის მთავრობის მო-
ტრთიალეთაც კი ალბორინდა, ამან განძრახა გულში გურიე-
ლების ლალატი, ოსმალთ მიმხრობა და მერე ოსმალთა მეოხე-
ბით ყველა თავის განძრახვის შესრულება, მასი წადილი დიდ
ხანს არ დარჩა საიდუმლოთ. იგი მალე იქმნა გურიის მთავრი-
საგან შეტყობილიდა მიტომ მათში ჩამოვარდა სასტიკი მტრო-
ბა და ბრძოლა, ამათ ბრძოლას მეტათ ცუდი შედეგი მოჰყეა.

გურიელებმა თათბირი ჰქმნეს ზოგიერთ კეთილი გვამთა
თანა დასწრებით და უკანასკნელად გადაწყვიტეს, რომ მამუკა
თავდგირიძეს უნდა დავეცეთ, ქობულები ჩამოვართოთ და გუ-
რის შემოუკავშიროთ. ეს პაზრი ყველას მოეწონა, გური-
ელი სამზადისს მიეცნენ, აქ უცბად გაჩნდნენ შინად გამცემ-
ნი და მამუკა თავდგირიძეს მოახსენეს.

— გურიელი შენს დაცემას აპირებს და ამა შენ იცი თუ

გაუმაგრდები და შენ დაცემის მაგიერ მათ დასცემ, გურიელობას წართმევ. გურიელათ შენ გამოცხადდი, ამისთვის ხონთქარიც შეგეწევა.

— ეგ ვიცი, რაც ას წამართმევს გურიელი და თეით შეიკავშირებს, ენახოთ, მოუძებნი მას წამალ.

მამუკა თავდგრირიძეს აღარც აცია, აღარც აცხელა, საჩქაროთ გადავარდა ახალზეცაში და ახალციხის ფაშას მოახსენა შემდეგი:

— დიდის მზისა და მთეარის ფაშავ, მე მსურს ხონთქრის ერთგულება. გურიელი მე მტრობს, ჩემი სამფლობელოს წართმევა უნდა და გურიასთან შეერთება. ეს კი წინააღმდეგია ოსამანის ძლიერებისა. ამიტომ ეითხოვ თქვენგან მფარველობას, თქვენ მე დახმარება მომეცით და მერე მე ვიცი როგორც გიერთგულებთ თქენა, მე წმინდის მაჭმალის სჯულს მიეიღებ, დასამტკიცებლათ იმის, რომ ერთგული ვიქნები ოსმალის, მე წარმოვადგენ ჩემს შეიღლს მძევლათ.

— ძალიან კარგი, ეგ კარგი პირობა არის; შენ შენი შეიღლი მძევლათ წამომიდგენი და მერე მე ვიცი შენის დახმარებისა.

მამუკა თავდგირიძემ მალე წარუდგინა თავის შეიღლი მაქსიმე მძევლათ. მაქსიმე დარჩა ახალციხის ფაშის კაზე და აქ მას თათრულებრ დაუწყეს ზრდა, მალე თათრობაც შეაყარეს. ახალ გაზდა მაქსიმე დაარწმუნეს, რომ შენ თათრულებრ იწყებოდა და სხვათერ ფიქრი ნუ გაქვს, შენს საბძანებელს არაეინ გამოგწირავს, ყველათერი შენ დაგრჩებაო და იქნება გურიაც ზედ დაემატოსო.

ამათაც ეს უნდოდათ.

გურილებს ყველათერი ეუწყათ, ამათ მიწერმოწერა დაიწყეს ახალციხის ფაშასთან და საუბირი მასზე, რომ თქვენ აზ შეგვერით, რომ ჩეენ თავადებს, ჩეენს ქვეშერდომთ ჩეენს შეგვერით, რომ ჩეენ თავადებს, ჩეენს ქვეშერდომთ ჩეენს წინააღმდეგ რაზმავთო. ამას ჩეენი მეზობლური კეთილი გინ-წინააღმდეგ წყობილება ვერ აიტანსო, თორებ თქვენ რაც უნდა მიიმხროთ ეგენი, ჩეენ მაინც გადაწვეტილი გვაქვს მათი დამორჩილებაო.

გურიის ეითარება ამას თხოულობსო.

გურიელმა ფაშსაგან ასეთი პასუხი მიიღო:

— ჩვენ შენს მეზობლობასთან საქმე არა გვაქვსო, ჩვენ მუსულმანები უართ და თქვენ ქართველები, ვინც ჩვენს სჯულს ეკედლება. ჩვენ მოვალეები ვართ, რომ იმას დაევებმაროთ, იმას უშველოთ. მამუკა თავდგირიძე მაჰამალის ერთგულია და ჩვენ მიტომ ვეხმარებით მას. თუ გნებავსთ, გათათრდით და მაშინ თქვენც მოგემხრობით, მაშინ თქვენში საღავო არაფერი გვექნება. ამას თხოულობს მუსლიმანობა.

გურიელმა პასუხი მისცა, უარი შეუთვალია, ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ის კაციც, ვინც სჯულს იცელისო. იყოს მაგრეო, როგორც გერჩიოთ ისე მომექეციონ, ვნახავთ ბოლოსაო?

მალე გურიელის, ახალციხის ფაშის და თავდგირიძეებს შუა ომი და ოდიგრები დაიწყო, ეს ომი და ოდიგრები ისე წავიდა წინა, რომ მამუკა თავდგირიძემ ქობულეთი სულ აჭარელის ყაჩალებით გაავსო. აჭარელნი უღვითოთ და ქურდულათ ეცემოდნენ გურიას და ხალხს იტაცებდნენ, მოტაცებულები ოსმალში გადაჰყანდათ და იქ ჰყიდდენ კაი ფასათ. აჭარლები თავდგირიძემ ისე გაათამაშა და გაათერიშა გურიაზე, რომ მასზე უსასტიკესი აღარა იქმნებოდარა. მამუკა თავდგირიძეს სამშობლო ქვეყნის ლალატი, მტრობა სანაქებოდ დაშთა ახალ ციხის ფაშისთვის და ნამეტურ აჭარლებისთვის. ამიტომ თავდგირიძეებს აჭარაში მამულიც აჩუქეს. ესენი მალე გადაეიდნენ იქ ზოგ ამათაგანნი სოფელს მახუნცენთან დასახლდნენ. ეს ხანა მიეწერება 1760—1770 წელსა.

აჭარის ბეგებმა ასე მაუწყეს რომ აჭარაში თავდგირიძეების მოსელი 1770 წლებს მიეწერებაო. ახალციხის ფაშამ ოსმალოს ჯარით და აჭარლებით გურია სძლია, მამუკა თავდგირიძე ქობულეთის მფლობლათ გამოეცხადა, გურიელებს და თავდგირიძეებ შუა მოშობლური განწყობილება დაარსდა და დამტკიცდა, ამისათვის პირობა ხელ წერილით იქმნა დამტკიცე-

ბული. თავდგირიძეები გადგნენ გურიის სამთავრისაგან და იმ დღიდგან ამათ იწყეს თათრობა და თათრობისავე პატივის ცე-
მა და ერთგულება. ამასობაშ მამუკა თავედგირიძის შეილი მაქ-
სიმეც გაიზარდა, ეს თუმცა თათრობაზე იყო გამოზღილი, მაგ-
რამ ამას მაინც საქმარისად ერიდებოდა სჯულის გამოცვლა.
ახალ გაზღა მაქსიმე გურიელებმა დაიხლოებს, ამათ განიძრა-
ხეს მაქსიმეს მეცადინეობით ქობულეთის დამორჩილება და
ერთგულება, იმიტომ მაქსიმე თავდგირიძეს შერთეს და-
ვით გურაელის ქალი, მამიდა ცნობილის გრიგოლ გურიე-
ლისა.

განვლო დრო და ეამმან და აკი მაქსიმე თავდგირიძეც
არ მიიზიდეს ოსმალთა. ამას გვამში მყაცრათ ჩაუნერგეს ფა-
შობის შოვნის ტრფიალი.

ფაშობის მეძიებელი მაქსიმ თავდგირიძე ისე მოხიბლეს,
ისე არიეს, რომ ამან მალე ისურვა თათრობის მიღება და გუ-
რიელებისაგან გადგომა. ამ დროს ამას მამაც მოუკედა. ამან
უფრო წააქეზა იგი. აშკარად უწყო ქეეყანას მტრობა. სასტი-
კათ გადაეკიდა გურიელებს, მათში შეიტანი შუოთი და საგვა-
რეულო განხეთქილიბა. ეს არ იქმარა მტერმა და ქეეყანას და
ერს სხვა მხრით და სხვა გზითაც დაუწყო მტრობა და ლალა-
ტი. მაქსიმე თავდგირიძემ ჩუმათ გაიჩინა აქარელთა ყაჩალებთა
დასი, ამათ იწყეს გურიიდამ ხალხის. ტაციობა და ოსმალში
ვაჭრობა. ამ ხელობას ადგა მამუკა თავდგირიძე და შეილიც
მამას გზას და კუალს გაჟყეა, საქმე სახუმრო ალარ იყო. გამხე-
ცებული თათარ ყაჩალები გურიის ხალხს აქა იქ შეუბრალებ-
ლათ იკლებდნენ და აეიავებდნენ. გურიელები მოთმინებისაგან
გამოვიდნენ, ამიტომ ამათ მიმართეს მაქსიმე თავდგირიძეს და
მოახსენეს.

— ვაერ! დაანებეთ ლალატს თავი, ჩვენი თუ ჯაერი გჭირს,
ჩვენ გვედავე, ჩვემ გვეჩეუბეთ. ე ხალხს თავი გაანებეთ.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაქსიმე თავდგირიძეშ ეს
არ ინდომა.

— რას მიქეიან მორიგება, მე თეით გურიელი ვარ, მე თეით ვარ მთავარი ჩემის მხრისა, ოსმალს მივემხობი და გიჩვენებთ თქვენ სეირს. თქვენ განდათ, რომ ქობულეთი წამართოთ და გურიას შეუერთოთ, ეს არ იქნება, ქობულეთის ბატონათ და მთავრათ მე უნდა დავჯდე.

— იყოს მაგრე, მაგრამ ვინც ინანოს. იგი იყოს მღვეთის წინაშე პასუხის მგებელი, ბატონო, რათ ვინდათ მაგრე მეფობა და გამგეობა. ჩეენი ერთობა აუცილებელს საჭიროებას შაადგენს, თუ ეს არ იქმნა, მაშინ ოსმალი წაგართმევნ ქობულეთს, თქვენ გაგაუქმებენ და მერე გურიას მოადგებიან. ერთ დროს ჩვენ ორივეს დავკარგავთ ჩეენს სამთავრო ძალას, მრუგეს გურიელებმა.

— მაგრე იყოს, მიუგო მაქსიმე თადგირიძემ. მე დაკარგვა მიზანები, ოსმალმა რომ წაილოს ის მიჯობს, ხოლო ჩემ ფერ გურულ კაცს კი არ დაუვარდები ძირს; მე არ დაეიჩიგო. ასე ზომავს ჩემი ჭკუა.

საქმე დროებით დაშოშმინდა. თავდგირიძე ჩუღჩენას მიეცა, ამისთვის საჭირო იყო ფული, ფულის შესაძენათ აი რას შევრებოდა; მიჰყეა თავის ყმებს და გოგო, ბიჭები ალარ დასტოვა, ყველა ოჯახს წაართო ყმაწვილები, ძუძუ მწოვერებს გარდა, თითქმის ხუთ ხუთი წლის ყმაწვილებაც კი იტაცებდა; ყველა ამათ შეაგროვებდა. ერთათ, გადაკრეცდა ახალციხეში, ტრაპიზონში და იქ ოსმალებზედ ჰყიდდა. თავადმა მაქსიმე თავდგირიძემ მთელს ოსმალეთში სახელი განათქვა, როგორც ჩინებულ ქართელთა შეილების დამსყიდავმა. მაქსიმ თავდგირიძე თავის ყმების შეილების დაყიდვებს რომ მორჩი. მერე რამდენიმე ყაჩალ ყმები შემოიხეია გარს, ესენი გაალალა, გააოსტატა, გაოსტატებულებს მიუსვედა ხოლმე სახასო გლეხებს, საეკლესიოს, სათავადოს, შეილებს სტაცებლენენ და ყველა ამით მიერეკებოდნენ ოსმალში დასასყიდათ, ამ პირის მეოხებით ახალციხეში სამარცხეინოთ ქართელთა შერლების დასაყიდი გაზარიც კი განწესდა. ახალციხეში ამისაგან ჩარეკრლს გოგო ბი-

ჭებს ყოველთვის ახალციხის ფაშა ყიდულობდა,

ჩეენ აქ ამ გაყიდ-გამოყიდვაზე ერთობ ადეილათ ულაპა-
რაკობთ. ამ გაყიდვის დროს ყმაწეილებისაგან დიდი გოდება და
ტირილი ისმოდა ხოლძე; დიდი წყევლა და შეჩერება მათის
დამყიდვის, გმობა, მაგრამ დამყიდვეს ეინ რას უჩამდა. იგი
ქეეყანას ღუპავდა და შენ რამდენიც ვინდოდა გეწყევლა? მათ-
თვის სულ ერთი იყო, ოღონდ თავიანთი ველური ჰაზრები და
მოთხოვნილება კი დაეკმაყოფილებინზთ. გლეხების ტაციობით
მაქსიმ თავდგირიძემ დიდ ხანს ვერ ინავარდა და იბატონა. რა-
საც ეს გურულ გლეხებში ფულებს იღებდა ამაზე მეტი მას
ხორცების მისართმევად ეხარჯებოდა რას. მეოხებით თანხას
ვერ აღვენდა, რომ ამ დიდის თანხით შესძლებიყო დიდი ბა-
ტონთბის შესყიდვა. ამას სურდა, რომ ქრთამების მიცემით ქო-
ბულების ფაშობა მიეღო და მიღებისას კიდეც გათარრდებო-
და. ჯერეთ ქობულეთში დამკეიდრდებოდა და გაიმაგრებდა ფეხს
და მერე იქრამ გურიელებს დაუწყებდა ჩხუბს, გურიას აიღებ-
და, გურიელათ თითონ გახდებოდა, გურია ოსმალოს საფაშა-
ლიკოთ გარდაიქცეოდა და მერე გურიასაც გაათარრებდა. ამის
ფიქრი ასე იყო, რომ ერთი ფაშა ახალციხეს ყოფილყო, რო-
გორც იმ დრომდის იყო და მეორე გურიაში, გური ანუ სან-
ჯაყათ დაენიშნათ. მაქსიმ თავდგირიძემ იმდენი იგველაძე,
რომ კინალამ დავით გურიელიც მიიმხრო თვისკენ, მაგრამ ამას
სხვა გარემოება წამოეხირა წინ და ამან შეაბრკოლა მათი გან-
ძრახვა. ამაზე ჩეენ სხვა წერილში ცხრილი.

მაქსიმ თავდგირიძემ ფაშობის შოვნის გამო ულალატა
ქათველებს, თავისი გლეხ ქაცობა მთლათ ოსმალში გადარეკა-
და გაყიდა მაგრამ მაინც ვერა ეშველა რა, სტამბოლს წასვლა
ვერ მოახერხა, ქრთამის მისაცემათ დიდი ძალი ოქრო და ვერც-
ხლი იყო საჭირო და იგი რაც ფულებს შუფლობდა გურულ
ხლი იყო საჭირო და იგი რაც ფულებს სულ ახალციხის ფაშა
გოგო-ბიჭების დაყიდვით ამ ფულებს სულ ახალციხის ფაშობას
სტუცებდა. რაღაც იგი ჰაზრებო-და, რომ გურიის ფაშობას
მაქსიმი გიშოვნიო. დრო გავიდოდა და მაქსიმ თავდგირიძეს კი წა-
მე გიშოვნიო.

დილი არ უსრულდებოდა, თავდგირიძე ამაზე დადათ დარღობდა, აღარ იცოდა რა ექმნა, ახალციხის ფაშსთან თათბირი ჰქმნა ფაშამ უთხრა:

— მაქსიმ! შენ ოლონდ გათათრდი და მას მერე უველავერი ადვილი იქმნება. მე დიდათ დაგეხმარები.

— შენ თუკი მომიხერხებ რამეს, მე მზათა ვარ, დიდის საამოენებით გავთათრდები. მიუვო მაქსიმ თავდგირიძემ.

— უველავერს მოგიხერხებ, ეჭვი ნულარ გაქვს, უთხრა ფაშამ, და ამათ ერთმანეთს სიტყვა მისცეს.

ფაშას ძრიელ გაეხარდა მაქსიმ თავდგირიძეს სიტყვა გათათრებისათვის. ფაშას მით უფრო უხაროდა ეს, რაღაც ასეთის თავადის გათათრებისათვის იგი სულთანისაგან დიდს მაღლობას მიიღებდა. აქამდის თავდგირიძე აძლევდა ფაშას ქრთამებს, რომ მის დახმარებით ფაშობა ეშოვნა, ახლა თვით ფაშამ დაუწყო მას ქრთამით დახმარება, ოლონდ კი იგი გათათრებულიყოს. ესეც მაღლე მოხდა. მაქსიმ თავდგირიძემ თავის ცოლს განუცხადა,

— მე უნდა გავთათრდე, თუ გინდა შენც გათათრდი, ფაშობას ვიშოვნი, გურია არ ამცდება და შენც გურიის დედოფლათ გაგხდი.

— უწინამც დღე დამელევა, მე ვერ გავთათრდები. შენ როგორც გერჩიოს ისე ქენი, მე გურიაში გადავალ.

— უბრალოთ შეიწუხებ თავს. მე გავთათრდები, ფაშობას მიეიღებ, მერე გურიას ავიღებ და შენც გაგათათრებ.

— მაშინ მოხდეს ისე, როგორც შენ გენებოს, თუკი შენ მაგაებს მოახერხებ, რასაც ბრძანებთ. ეგ მერე ვნახოთ. ცოლქმარნი ასე მორიგდნენ ერთიანეთში. მაქსიმ თავდგირიძე მაღლე წაეიდა ახალციხეში და ფაშას გამოუცხადა შემდეგი:

— მე მზათ გახლავართ გათათრებისათვის.

— ძალიან კაჩგი, ჩემო მაქსიმ. მიუვო ფაშამ.

ფაშამ მაღლე იხმო მოლა ხოჯები და მაღლე დიდის ამბით

ახალუინის ჯამეში მაქსიმ თაედვირიძე გაათათჩეს და სახელათ
სულიერიმანი უწოდეს.

ვათათრების დღეს ამას ფაშამ დიდი პატივი სუა და ჩე-
ვა მისცა, რომ სტამბოლში წასულიყო და სულთანს გამოსუ-
ხადებოდა. ფაშამ უჩინა, რომ უფროს ვეზირს და სულთანს
გურიის რამდენიმე გოგო ბიჭები წაუყვანებო და იქ შენ მაში-
ნათვე მოგცემენ ქობულეთის ფაშობასაო. სულეიმან თავდგი-
რიძემ სცნა ფაშის ჩეევა და დიდათ დადარღიანდა, რადგანაც
ამისთვის ადვილი აღარ იყო გოგო. ბიჭების მოგროვება, საკუ-
თარი კედები მას აღარ ჰყავდა და გურიის ხალხიც ემცენე-
ბოდა.

სულისთანავე ამას სულეიმას ბეგი-ქორეფლუას კულტურული და სულეიმან ბეგი ხონთქრის მოწყველებას მუდამ დღე ელოდა, ამიტომ ეს გურულების და ქრისტიანების საენოთ აღდა, ამიტომ ეს გურულების ერიდებოდა. ამან ხელახლავ დაიწყო გორაფერს საძაგლობას ერიდებოდა. ამან ხელახლავ დაიწყო გორაფერს საძაგლობას ერიდებოდა, ცარცვა-გლეჯა, ქრისტიანების შეწუხებო, ბეჭების ტაციობა, ცარცვა-გლეჯა, ქრისტიანების ცარცვას, ბა და ჩაგვერა, ამაებს გარდა იყი მიჰყვა ეკკლესიების ცარცვას,

გაცარცუის შემდეგ ქცევა-ნგრევას. ამან გამოსდევნა ხინო წმი-
ლის ეკულესის ეპისკოპოზი, ამან აკლებინა ეს ეკულესია და
გააცარცუინა. ერთის სიტყვით ეს ურცხვი მოღალატ, ქათველ-
თა სისხლის შსმელათ გარდაიქცა, ამისმა აბეზრებამ და ბორო-
ტებამ გურია შეაწუხა, მის სისტიკის ხმა და ბოროტება სტამ-
ბოლშიაც კი განისმა: ძალადობით, ხმლით, თავის კვეთით და
სიკედილის დაქადებით ამან ბევრი ქართველიც გაათათრა, ქო-
ბულეთის გათათრების საქმე თითქმის ამის მტრობით და საძაგ-
ლობით იქმნა დაწყებული, მაგრამ ეს ბოროტი ამასაც არ დას-
ჯერდა, მალე თავის შვილები მოსტაცა მეულლეს და იგინიც
გაათათრა, ვერც ამით ეშველა ჩამე, დღე ლამდ ფაშობას ელო-
დებოდა, მაგრამ ვერ მოესწრო წალილის შესრულებას და ქვე-
ყნისა და სჯულის მოღალატე გარდაიცვალა უბრალო ბეჭის
სახელ წოდებით. ამ ბოროტის ქართველის უბირეველესი შვი-
ლი იყო მემედ ბეგი თავდგირიძე.

მეძელ ბეგი თავდგირიძე მამამ აღრიდგანვე შეაჩეია მუს-
ლიმანობას, ძართველთა მტრობას, სისხლის სმას და ბოროტე-
ბას; მამა შვილს ავალებდა. რომ შვილს ისეთი ერთგულება
აღმოეჩინა ოსმალეთის მთავრობის წინაშე, რომ მის მეოხებით
ოდესმე ფაშობა მიეღო.

მემედ ბეგს მამამ აღრიდგანვე მიუჩინა მოღა, ხოჯები მას-
წავლებლათ, მოღა ხოჯები სწეროთნიდნენ მას ოათრულ წერა-
კითხვაში, სჯულის შესწავლაში, ამ პირებმა მემედ ბეგს სას-
ტიკათ ჩაუნერგეს ფანატიზმი, მემედ ბეგს ქართული წერა კით-
ხვაც სკოდნია, ამისგან და ამის მამასაგად ქართულათ დაწერი-
ლი წერილები მე თვით ენახე, ესენი თავიანთ თავებს ქობუ-
ლეთის ბეგებად უწოდებდნენ და წერილის ბოლოს თათრულს
ბეჭედს ასომენ. წერილებიდამ სჩანს, რომ მამაცა და შვილიც
დიდი მოღავენი, მოქიშვენი და მოღალატე ყოფილან გურიი-
ლებისა. ეს მასალები მე მოეიპოვე თბილებების სამაზრო სა-
მართველოს ძელს არხივის ქალალდებშ; რომელ არხივის 120
ფუთი ქალალდები თბილებების ვაჭრებზე იქმნა დაყიდული. მე

აქა იქ მეწვრიმლის დუქნებში შევკრიბე ესენი და „წერა-კითხების საქართველოს“ გარდავეც. გურიაში ამით დიდი ძალი მასალელი დაკარგა და ნამეტურ გლეხკაცობაში თავის წინაპირთა თავ-გადასავალთა მრავალ ძეირფასი ცნობები.

ქობულეთში ამათ ჰყეანდათ შედგენილი ახალ გათათჩებულთ ქართველთა დასი და ესენი გურიაში საიდუმლოთ გლეხებში ქადაგებდნენ და გლეხებს აქეზებდნენ; რომ იგინი ქობულეთში გადასულიყვნენ, იქ თათრობა მიეღოთ, ოსმალოს ქვეშ შესულიყვნენ და მაშინ იგინი გათავისუფლდებოდნენ თავიანთ შებატონეთ მონებისაგან და ქართველთა და რუსთა სამეფოის მფლობელობის და ხარჯისაგან. ესენი იხმობდნენ თვისკენ, ვინც კი რამეს დაშავებდა გურიაში და ამას გურიელების სამართლით დასჯას გადუწყვეტილენ, ის იმდენს ეცდებოდა, რომ ქობულეთში გადავიდოდა, იქ თავდგირიძეების მფარველობის ქვეშ რაკი შევიდოდა, მერე ამას აღარათერის შიში აღარ ჰქონდა, იგი გათათრდებოდა და შემდეგ თავისუფალ იყო ყველაფერ შიშასაგან, თათრობა მას პატიოსნებას და სიმართლეს სძებნდა. უნდა ითქვას, რომ თავდგირიძეების მეოხებით ჩვენს სამშობლოს დიდი ზარალი მოუვიდა, გურიას ამათ დიდი უბედურობა დატეხეს თავზე, ესენი უსისინებდნენ ძმას ძმაზე, თავადს თავადზე, აზნაურს აზნაურზე და ყველა ამაებით კი თათრობას შეელოდნენ. გურულ წეალებულს გლეხკაცებს უხვათ იძენდნენ ათათრებდნენ, და თავიანთ ძალას ამაგრებდნენ მით.

სწორეთ ამ დაშლუპავს გვარის მეოხებით მოხდა რომ გურიაში ყაჩალობა და კაცის კვლა გამრავლდა, ყოველ აცის შკელელის და შკელელის და ყაჩალის ბუდეთ ქობულეთი ითვლებოდ და ამათ მფარველათ თავდგირიძეები. ეს ხელობა თავდგირიძეების ისეთ მემკვიდრეობითი საკუთრებათ გარდაიქცა, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორეთ ასეთისაც თვისების და ხელობის იყო მემედ ბეგის შეილი—ალი ფაშა თავდგირიძეს და ხელობის იყო მემედ ბეგის შეილი—ალი ფაშა თავდგირიძე. ზემოხსენებულისაც პირების მეოხებით ოსმალოს ფულით რიცე. ზემოხსენებულისაც პირების მეოხებით ოსმალოს ფულით რიცე. კავკაციის ზოგი ცრა მებატონეთაგან შესყიდულ იქმნა სოფ. ჭავურიის ზოგი ცრა მებატონეთაგან შესყიდულ იქმნა სოფ.

ხათი, კეჭიეთი და რამდენიმეც სხვები, რადგანაც მათი დამორჩილება ოსმალოს შონა თავდგირიძეებმა ვერა ლონის ძიებით ვერ მოახერხეს. სოფლის შესყიდვის შემდეგ ხალხი გათათრე. ბულ იქმნენ სრულიად. ასე და ამ გვარათ მოევლინენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას და უღოთოთ დალუპეს გურიის ერი. მათგან დაყიდულის გურულის გოგო-ბიჭებით აქამდის საესე იყო მისირი, დაირბექირი, სტამბოლი და სხვა ადგილიბი. ამას „კალმასობის“ დამწერიც ხომ მოგვითხრობს, რომ მისირში ყველა ფაშები ქართველები არიანო, საქართველოდგან პატარაობის დროს მოტაცებულნი და დაყიდულნი, რომელთაც შემდეგ იქ ფაშობა მიუღიათო. მაგრამ არც თავდგირიძეებს შერჩათ თავის ავკაცობა, შემედ ბეგი თავდგირიძეც უბრალო ბეგის სახელ წოდებით გარდაიცვალა, იგი არ ღირდა მის სამშობლო ქვეყნის ლალატის ფასათ. სულეიმან ბეგმა თავის სამშობლოს ბეგობის გამო უღალატა. თავადობა ბეგობაზე შესცვალა, ბეგობის სახელით მოკვედა, ისევე დაემართა მის შეილებს.

მაქსიმ (სულეიმან) თავდგირიძის შეუღლე კი, დაეით გურიელის ქალი, დაშთა ქრისტიანობაზე შტკიცეთ, ამ ქალმა არა-ფერს უღალატა, ეს ყოველთვის შეცადინეობდა შივლების და შეილის შვალების ქრისტიანურათ გაწერთნაზე და გამოზრდაზე, მაგრამ იმოდენათ ვეღარას აწყობდა, რადგანაც ქართველთა მტერობის შხამი სულეიმან ბეგის შეილის შვილებს მემკვიდრეობით უფრო სასტიკათ ეძლევოდათ და უფართვედებოდათ. ეს პატიოსანი მანდილოსანი გარდაიცვალა ამ საუკუნის ნახევრის რიცხვებში, იგი დასაფლავეს ქრისტიანულის წესით, ქობულეთის სოფ. გვარას, ხუცუბანს ზეით, თეთროსანის ნაეკკლესიარზედ, თეთროსანის დაქცევის მიზეზები მის მეუღლე სულეიმან ბეგს თავდგირიძესაც ეკუთვნის.

სულეიმან ბეგის შეილს მემედ ბეგს ჰყვანდა ორი ვაჭი, ერთის ალი ერქო და მეორეს ოსმანი, ორივ ესენი ჯერეთ შინა სწავლობდნენ და მერე სტამბოლის სამხედრო სასწავლებელში, სწავლის დამთავრების შემდეგ ალი თავდგირიძე თსმალოს ჯარ

ში აქა იქ მსახურებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს თავის სამ-
შობლოში დაბრუნდა და აქ დაიწყო მოქმედება, მასის მსგავსად
ეს პირი გრიგოლ გურიელსაც ენათესავებოდა და ეკედლებო-
და, ხშირათ ერთმანეთში მისვლა მოსვლაც ჰქონდათ, წევულე-
ბაც ხშირათ იცოდნენ და წერილების მიწერ მოწერაც. აღი
თავდგირიძეც თავის მამისა და პაპის გზას დაადგა, მათის ზნე
ხასიათის მექონი აღმოჩნდა, თუმცა ნათესავი ქართველთა და ისე-
თი სუფთა პირის, როგორც იყო ნეტარ ხელნებული. გრიგოლ
გურიელი, მაგრამ მასთანავე ურცხვი, ჰარამი, ბოროტებით საფ-
სე და შხამიანი გესლის დამნთხვევი. დიდათ მოძულე ქართველ-
თა, დიდათ მოძულე ქრისტიანობისა, თითქმის სისხლის მსმელი
და მასთანავე უზნეო და ზნეობით წამხდარი. ამან თავის სად-
გომი სახლი ყაჩალების ბუდეთ გადააქცია, ამის სახლში მუდამ
ლამ 30—40 ყაჩალი ათიებდა, უველა ეს ყაჩალები კი გურიაზე
ნაეარდობდნენ, გურულებს იტაცებდნენ. ხალს სუარცვამდნენ,
ცხენებს და საქონელს იტაცავდნენ, უველა ამაებს მიერეკებოდ-
ნენ აღი თავდგირიძის სახლში, იქ ჰარავდნენ, მერე ოსმალ-
ში მიჰყანდათ და ჰყილნენ სანახევროთ, ნახევარს ყაჩალ ქურ-
დები ილებდნენ და ნახევარს აღიას აძლევდნენ, ასეთის ასტა-
ტობით, ქურდების და ყაჩალების შენახვით აღიმ ასმალოს მთავ-
რობის წინაშე სახელი მოიგო და უკანასკნელ იგი გახდა. ფა-
შად და იწოდა აღი ფაშა თავდგირიძეთ. ჩვენ ამ პირს ცხოვ-
რების აღწერას დაწერილებით არ შეუდგებით, რადგანაც ეს ბო-
როტი და ყოველად გაუნათლებელი მტერი ამის ლირსი არ არის,
ჩვენ აქ აკენჭსხავთ მარტო იმ საქმეებს და ვნებას, რაც იმან
ჩვენს სამშობლოს და ხალხს დატეხა უკანასკნელ ომის დროს.
აღი ფაშა თავდგირიძე წინეთ მსახურებდა ასმალეთში,
ორდში, მერე კოჭურს, სევაზის ვილავტში, სამსონს იქით, სე-
ვაზის ვილავტის ხალხი ამან თავის უზომო ქრთამებით შეა-
წუხა, ამიტომ ხალხმა სულთანთან უჩივლა, სულთანის ბრძანე-
აით გამოცვალეს, ამის შემდეგ იკი საქართველოში მოშავდა და
სცხოვრობდა ხან ქობულეთში და ხან ბათუმში. იყო ღიღი მე-
სცხოვრობდა ხან ქობულეთში და ხან ბათუმში. იყო ღიღი მე-

ქრისტეა და უსამართლოა ჰმის ხელით სამართალი ფულით იყო.
დებოდა, ანდაზაც ყოფილი აჭირაში დაშეთენილი, რომ „აღი ფს.
შას სამართალი ფულათ იყიდებოდა“, ოსმალოს მთავრობისაგან
ამან ბათუმში სამხედრო ჯარის უფროსობა მიიღო, ამის აღიუ.
ტანტი ვულ აღა. კაიკაცაშეილი იყო, რომელ პატივცემულს
ქართველ მაჰმადიანს ბევრი რამ ახსოეს თავის გენერლის შე.
სახებ, ეს კაიკაცაშეილი სოფ. სამებაში სცხოვრებს, სჯულით
მუსლიმანია, მაგრამ ტომით და ენით ქართველი. ორის ხე.
ლით ცისაკენ გაპყრობილნი ესა და დედი აღა ღმერთს ეცედ.
რებიან მხურეალეთ, რომ მათი მოძმევები ძველს დონეზე დად.
გნენ. შეერთების უმაღლე ესენი ჩვენსკენ გადმოვიდნენ, შეი.
ლები სასწავლებელში შეიყვანეს, კაიკაცაშეილი დღეს ოდესის
უნივერსიტეტში სწავლობს და დედი აღის ნიერაძის. სტავრო.
პოლის გემნაზიაში.

აქ უნდა დაუმატოთ, რომ აღი თავდგირიძისაგან ფაშიბის
შოენის საქმეში ცოტა მონაწილეობის მიღება მის დედასაც
ეკუნის, მისი დედა იყო ლაზელი ქალი, ჰაჯი შაინოლლისა,
დინდინ ხანუმი, მოძულე ქართველთა; თითქმის სისხლის მსე.
ლი ქართველთა, ამ ქალის მამის სასახლეც ქართველთა ტყვე.
ების ბუდეთ იყო გადაქცეული, ამ ქალს ქართველები ისე სძულ
დათ, რომ 1855 წ. რაღვანაც აღი ფაშის მამა მოკლეს, მაში
დინდინ ხანუმმა ლექური მოიკრა და ომში წავიდა. მე ისე ვე
დავბრუნდებიო. რომ ქართველის სისხლი არ დაეკციონეო- ომის
დროს ამ ქალმა სახელი განთქვა, ომის გათავების შემდეგ ის
მალში წავიდა, სულთანი ნახა და ამას გამოსთხოვა აღი მაფ
დვირიძის გაფაშება, ანუ ფაშობა.

უკანასკნელ ომის წინეთ, 1877 წ. ამასთან დიდი მოლ
პარაკება ქონდა გამართული გრიგოლ გურიელს. გრიგოლ გუ.
რიელს აღი ფაშას გარდა სხვა ქართველ ბეგებთანაც ქანდ
ლაპარაკი გამართული. ყველას იმას სთხოვდა, რომ იგინდ რე.
სებს დამორჩილებოდნენ და ბრძოლა არ აეტეხათ. შაგალიშვი
აღი ფაშას ასე მიმართა გრიგოლ გურიელმა.

ალი ფაშა, როგორც ნათესავ კაცს დაგარწმუნებ, რომ ჩუ-
სესთ რაც უნდა დაემართოს და რაც უნდა ბევრი ხალხი და-
ლუპოს, მაინც ციხის ძირის, ბათუმის და აჭარის აღება გადაწ-
ყვეტილი აქვსთ, ამიტომ გირჩევ შენ, როგორც ჩემს ნათესავს,
რომ უბრალოთ რომ თავი გაანებო და გარემოებას დაემორჩილო,
სიტკბოთი და მშევიღობით რუსეთს ჩაბარდეთ, უბრალო ბრძო-
ლით არაფერი გამოვა. ხალხი დაიხოცება, დიდი უბედურება მოხ-
დება. რუსნი შენ მიგიღებენ შესაფერის პატივით, ულუფას მოგ-
ცემენ და ლირსებასაც ავიმალლებენ.

ალი ფაშამ არ ქნა ეს, რადგანაც იმან კარგთ იცოდა, რომ
თავის ყაჩალობას აქ ვერ გაიყვანდა, იმას აქ არავინ რას მოუთ-
მენდა და ამიტომ უარი განაცხადა. მალე ომიც დაიწყეს. ალი
ფაშას დიდი ძალი ჯარი ებარა. მაგრამ ომში ხაქმე ვერ წაუეი-
და კარგათ, ამას ეგონა, რომ ქართველნი უძლურნი არიანო,
მესაქართველოს გზა და კვალი ვიცი, გურიას აეიღებთ, მას შემ-
დეგ ქუთაისს, ქუთაისიდამ თბილისში და მერე მე ფაშობას ეი-
შოენიო. ის კი არა და ამას წინაღმდეგ დაუტრიალდა საქმე, მან
ჩეენ ჯარს დიდი ძალა შენიშნა და ცოტა არ იყოს ამაზე შე-
კრთა, აქა იქიდამ ჩურჩენა დაიწყო და რუსეთისკენ აპირებდა
გადმოსელას. მაგრამ ვერც ამას ახერხებდა, იმ დროს მისთვის
ეს ადვილი აღარ იყო. ამის საიდუმლო განზრახვა ოსმალთაც
კი შეიტყეს, მალე სამხედრო მინისტრები გამოგზავნეს. მინის-
ტერი ჰყევედრიდა ალი ფაშას, რომ თქვენ ქართველები ხართ,
ქართველებისაკენ გიჭირავთ თვალიო. ჩეენ თქვენ აღარ ვენდო-
ბით. ალი ფაშა კი ფიცით ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ
მინისტერს არ სჯეროდა, ხალხში გააურცელეს ხმები, რომ ალი
ფაშამ ხონთქრის ლალატი განიძრახაო. მაშინ ამის შესახებ ქო-
ბულეთელ ქართველ შაჰმადიანებმა გამოთქვეს შემდეგი ლექსი:

„ხვათქართ და რესი ჩეუბობს,“

„იგივ არის თრთვე ეშვი“

„აღი ფაშამ გვიღალატა“

„გვიღებანა გვირიკეში:“

„თვითონ ფულები აიღო“
„ჩენ ჩაგუერა რუსის ხელში,“
„მასაც კაი არ დამართეს“
„ბაწით ჩათრიეს გემში,“
„მისი უკირილი გვესძლა,“
„სუფსის გადა ბაილუთში.“

ეს ლექსი ხალხმა აი რათ შეადგინა ალი ფაშაშ რა ნახა მტრის ძალი და ოსმალთა დამარცხება, ამან თავისის მელიაობით დასწერა წერილი და მაშინდელს რუსის მთავარ მართებლის თანაშემწეს გამოუგზავნა და დან სოხოედა, რომ მე პირობა შევასრულე, თქვენს ჯარს გზა და ძალი მივეცი და თქვენ დანაპირებს რატომ არ მაძლევთო, მე შევიტყე, რომ ჩემი 100 ათასი მანათი, რომელიც მე უნდა თქვენის მთავრობისაგან მიმელო, იგი მიულიათ გრიგოლ და იესე გურიელებსას და დაუსაკუთრებითო. ეითხოვ მის დაბრუნებასაო. ალი ფაშინ წერილი სარდლის თანაშემწეს ბრძოლის ველზედ მოუვიდა გახსნა წერილი და ნახა ქართულათ დაწერილი იყო, აქვე იმუოფებოდა გრიგოლ გურიელი, წერილი, გრიგოლ გურიელს წაკითხეს და საქმო სცნეს; მთავარ სარდალი და სხვები გაჰკვირდნენ დიდათ, რომ ალი ფაშას ასეთი ჭორები სცოდნიათ ჩეენ იმას როდის დაეპირდით ფული, და ან იმან ჩეენ რა სარგებლობა მოგვიტანა ომის დროსაო, სულ არათერიო; გრიგოლ გურიელს ეს ამბავი დიდათ ეწყინა, მაგრამ ყურადღება მაინც არ მიაქცია, რაღვანაც შან ქარგათ იცოდა ალი ფაშაჩ მელიაობა და საქმეები. ეს წერილი მე თვით ენახე გრიგოლ გურიელის სახლში 1890 წ. განსვენებულმა წერილი მიჩეენა და თან ბევრი ამბებიც მიამბო ალი ფაშის შესახებ და მის დიდათ ჰკიცხავდა. წერილიდამ აღმოჩნდა, რომ ალი ფაშას ქართული წერა კითხვა მეტათ უხეიროთ სცოდნია. ზოგიერთებმა მარწმუნეს, რომ არცარა თათრული იცოდა ქარგათაო.

დერუიშ ფაშის და ალი ფაშის უკმაყოფილება ისე გამწ-

უაელა, რომ ალი ფაშამ დერვიშ ფაშა ღროებით თავიდამ მოი-
შორა, სტამბოლში გაისტუმრა და მხოლოდ ომის შემდეგ მიე-
ცა ალი ფაშას ქობულეთში დაბრუნების ნებართვა, ეს მალეც
მოეიდა ბათოში, თავის თანამემამულეთა წინაშე თავი იშართ-
ლა, რომ მე ოსმალოს ლალატი უბრალოთ დამწამესო- მასზე
გამოთქმული ლექსიც არ ყოფილა კეშპარიტის - ცნობებით და
განკითხეით სავსე. ალი ფაშა დიდათ ემდურებოდა დერვიშ ფა-
შას და ეს ეძიებდა ლონისძიებას. რომ ოსმალოს სულთანისთ-
ვის დაემტკიცებინა თავის ერის ერთგულება და დერვიშ ფაშის
შეცდომები და საქმის უცოდინარობა. ალი ფაშას ბედმა გაუ-
ლიმა, ამან ისარგებლა იმ შემთხვევეით, რომ ომის გათავების შემ-
დეგ ქართველ მაჭმადიანთა შლილობა იყო და მრავალნი იმათ-
თაგანი ოსმალში აპირებდნენ გადასახლებას. ყველა ეს აშლი-
ლი ხალხი აღელვებული იყენენ ფანატიკ მოლა ხოჯებისაგან,
ამ ფანატიკს და აშლილს ხალხში დატრიალდა ალი ფაშა თავ-
დგირიძე, დაიწყო საუბარი ოსმალში გადასახლების შესახებ,
რასაკვირველია ფანატიზმით დარაზმული: ხალხს უბნებოდა.

— ხალხო, აქ არ დარჩეთ. თორებ იცოდეთ. რომ მუს-
ლიმიანობა აქ ცუდ დღეში ჩავარდება. ყველას გაგაქართველე-
ბენ, მეუე კაცები და დედაკაცები უნდა წაწყდნენ. გაქართველ-
დნენ, ჯეენეთს თეალით უერ ნახავთ, მე გაფრთხილებთ, რო-
გორც მუსლიმანი, რომ თავს უშველოთ, აქ ქართველში ცხოვ-
რებას ოსმალში დალუპვა უნდა არჩიოთ, მიტომ რომ მუსლი-
მანის ბინა იქ არის, მისი ფალიშანი იქ ზის, იქ ნათობს ცხო-
ნების მზე.

ამის საუბარის ხალხი სულ განაბული ისმენდა, რადგანაც
ალი ფაშა თავდგირიძე ქართველ მაჭმადიანებში დიდს გავლე-
ნიან პირათ ირიცხებოდა. ალი ფაშა ცხადათ დარწმუნდა ქართ-
ველ მაჭმადიანების მლელვარებაზე, ქართველთა სიძულეეილსა
და მტრობაზე. იგი აშკარათ დარწმუნდა, რომ ეს ხალხი აქ
არ დარჩებოდა. საითაც იგი წაეიღოდა, ხალხიც იქით წაჟუე-
ბოდა მას, ამიტომ ალი ფაშა თავდგრიძე საჩქაროთ გაიქცა

ეტამბოლში, წარსდგა სულთანის წინაშე და მოახსენა, რომ მე
მთვლი ჩემი მხრის ხალხი რსმალში მომყავს და ნება მიბოძებ-
თო. სულთანმა დიდის სიამოვნებით მისუა ნებართვა და დიდი
ულუფას დაპირდა. ახლაკი გამართლდა ალი ფაშა, გაქარწყლ-
და მინისტრის ჰაზრები, ალი ფაშა ერთ-გულ კაცათ გამოვიდა.

მინისტრი მაინც არ იყო გასამტყუნარი, ამან როცა სა-
ქართველოს ადგილები ნახა და ქართველი მაჭმალიანები და
ქართველი ბეგ-ფაშები. ეს უეჭოთ ფიქრობდა მასზე, რომ ამ
მშეენიერ ქვეყნის გურჯები ნუ თუ თავიანთ გურჯებს უმტყუ-
ნებენ და უენ მოგემხრობიანო, არა მგონია, ამით იგი რა-
საკვირველია რომ მართალი იყო, ეს ასეც უნდა ყოფილიყოს,
მაგრამ ასე არ იქნა, დიდი ხანია მას შემდეგ გასული, რაც
ოსმალთა მეოხებით ქართველ მაჭმალიანები ქართველთა მტრე-
ბათ შეიქმნენ, მტრობით ამათ ოსმალესაც კი გაღააჭარბეს და
ამიტომ ალი ფაშის მტრობის შესახებ ფიქრები უბრალო უნ-
და ყოფილიყო, რადგანაც ალი ფაშის გულ შუცელი გველ
ბაყაყის ბუდეთ იყო გადაქცეული. მას ყაჩალ ოსმალების და
ქურდების სიყვარულის მეტი სხვა არაფერი ფიქრი ჰქონდა და
ახსოვდა.

ალი ფაშა მალე მოშავდა საქართველოში და ქართველ
მაჭმალიანებს მოუტანა ხონთქრის ცარიელი წყალობის ამბავი.
ფანატიკებს გაეხარდათ, ამათ იწყეს გადასახლებ. ამ გარდასახლების
დროს სახლის საქონელი და ნივთები ჩალის ფასად იყიდებო-
და. მთელი ქობულეთი აჭარა და ქობულეთის გარდა კახაბერ-
სა და მარილიდაც მისწვდა. აქაც მოართვევინა მოლა-ხოჯებს
ქადაგება გადასახლების შესახებ, თორემ გაქართველიდებითო;
ქობულეთელების გადასახლების დროს დიდი უბედურება, დი-
დი გმობა და ტირილი ისმოდა მცხოვრებთაგან, ბევრს არ უნ-
დოდა თავის სახლ-კარის და სამშობლოს დატოვება, მწარეთ
სტიროდა მის გამო, მაგრამ თან გაქრისტიანების ეშინოდა. იმ
დროს რომ ესენი ენახა, ჩვენთაგანს იგი მათი ცოდვით დარ-
წოდა, ვინც კი შეგნებულ ქართველთაგანმა ნახა, იმას სწო-

ନେତ ଏବୁପି ମନ୍ଦିରକିଲା ଓ ଶ୍ରୀଚନ୍ଦ୍ରକଳା. ନେତାଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରକୁ ଧରିବାଲୋ
ଧୂରାଜୀବିରେ ପ୍ରକଟିତ ସତିରାଜକା ତିତକ୍ଷମିତି, ଏହାର ପ୍ରକଳା ରା ଯେ-
ନା- ଏବା ମାଲ୍ଯ ମିଶ୍ରିତା କୁଦୁଲ୍ଲାଗତମି ଏହି ତ୍ରାଣକାନ୍ଦିନ ଓ ଉତ୍ସର୍ଗ:

— ალი ფაშა! შენ ჩემი ნათესავი ხარ, მე შენ პატივს
გცემ, დიდათ ვათასებ შენს შრომას ოსმალთა სასარგებლოთ,
ხოლო გთხოვ, რომ დაწყნარდე და დაშთე აქა, რუსნი შენ
დიდს პატივ მოგცემენ. მე გაძლევ ამის შესახებ სიტყვას და
პირობას.

— არ შემიძლიან, თავი უნდა გაეიმართლო, თორებ და-
ლატი შემწამეს, მე თქვენგან ვერა ავიღე რა, ჩემი დარჩენა აკ-
არ შეიძლება. მიუგო ალი ფაშამ.

— შენ თუ არ იშლი წასელას. შენ წალი. ამ ხალხს კი თავი დაანებე, რა გინდა, რას ემართლები, კაცო, შენ რა მო- გემატება ამათი აქედამ აყრით. გთხოვ ალი ფაშა, რომ მცი- რეთ ჩემს ნათესაობას დასდო პატივი და ხალხს თავი გაანებო. იყვნენ აქ. ნუ აქეზებ იმათ გადასახლებისთვის.

— სულ ერთია. აქ რომ დარჩენ. ესენი გაქართველობები, ბინ, დაიღუპებიან. მუსლიმანის აქ დარჩენა როგორ იქმნება, თქვენ გვერდით ქართველებთან, ეს არ შეიძლება. მე ამის მკაფიო წინაღმდეგი ვარ და ერთ კასაც არ დაესტოვებ აქ, რომ იგი ქართველის შეემატოს.

— გვთიცები პატიოსნებას, ლმერთს და ჩვენს ნათესავობას, რომ აქ ამათ არა ფერს უზმენ, თქვენ წადით და ამათ თავი გაანებეთ, ნუ დალუპავთ ხალხს ეუბნებოდა გრიგოლი.

— მე უნდა ვცალო, რომ ჩაც კი შეიძლება ზეერი ხალა
ხი გადაეცახლო აქედამ, რომ მის საშუალებით სულთნის წი-
ნაშე ჩემი ერთგულება დივამტკიცო და დევრიშ ფაშის სიმ-
ტყუნე.

— ალი ფაშა! მაგრით შენ შენს თავს არას უშეელი, რაც
ხარ ისევ ის იქმნები, ფაშობას არავინ წაგარომეეს. სულთანი-
სარ და რა ულუფა გეძლევა, იმაზე მეტს არ მოგცემენ და-
ხაგა რაც ულუფა გეძლევა. ცოდონი არიან. ნუ იზიმ მას.
ხალხს უბრალოთ დალუპავ.

— არ შეიძლება, გადასახლების საქმე გადაწყვდა. იქ ამათა თეის ადგილებს შაქირ ფაშა ნიშშიაშეილი სტებნის და ამზადებს.

— არ შერებით კაის ჩემო ალი ფაშა, შენ ქართველი კაცის შლამამავალი ხარ და მცირეც არის სიბრალული უნდა გქონდეს შენის ქვეყნის ხალხის, მათს დალუპვას შენ სასტიკათ უნდა ერიდებოდე- მიუგო გრიგოლ გურიელმა.

— აკი ვერიდები და ამათაც ვარიდებ ჩემო გრიგოლ. მაგრამ გოხოდ, შენ ერთი ოცდა ათი ოქრო მასესხე, ამ ჟამად მჭირია ეგ და ამ საქმეზე, საქართველოზე და ქართველებზე მერე ვილაპარაკოთო. რა დროს მავენია, ყველა კაცი თავის დიდების თეის უნდა ზრუნავდეს.

გრიგოლ გურიელმა მაშინათვე მისცა ფული, 30 ოქროს მაგიერ 100 ოქრო, ამას იმედი ჰქონდა, რომ იქმნება ამითი მანც მოულბო გულიო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. რომ მას ეერცა რა ამით ეშველა. არ დასწყნარდა იგი. მალე მიაღწია მიზანს და იწყეს ქართველთ მაჰმადიანებმა ოსმალოს გემებით გარდასახლება. ამათ თან მისდევდა და მოსდევდა ალი ფაშა და ოსმალეთში ამაგრებდა და აქა იქ ასახლებდა. ქამილ ფაშა ნიშშიაშეილი ალი ფაშასაფით ანგარებით იყო საესე, ბოროტი, მტერი ქართველთა და დიდათ მოძულე. ამ ბოროტმაც დიდი ძალი ხალხი დალუპვა და მოატყუილა. გადასახლებულთა რიცხვით ისარგებლეს რამდენიმე მოწინავე კაცებმა და ოსმალოს მთავრობისგან ამათ მიიღეს საჩუქრება და პატივისცემა. გადასახლებულებს აქა იქ ისეთ უხეირო ჭაობიანს ადგილებში ასახლებდნენ, სადაც მათ ცხოვრება დიდათ უჭირდებოდათ, იყანასკნელ კინალამ შიმშილისაგან გაწყდნენ.

უნდა ითქვას, რომ ალი ფაშაზე ნაკლები მტერი არ იყო ჭამილ ფაშა ნიშშიაშეილი: ეს ბოროტი ფაშა უკანასკნელ ომის შემდეგ ოსმალში გადაშავდა, იქ დაიწყო გველა ძუობა. სულთანს ბევრი რაღაც ხმები მოახსენა ქართველ მაჰმადიანების შასახებ. ამას მისცეს ნება, რომ ოსმალეთში გადასახლე-

შულ ქართველ მაჰმადიანებისთვის ადგილები მოეძებნა და მე-
რე ამ ადგილებს სულთანი მისცემდა ქართველ მაჰმადიანებს.
ქამილ ფაშა სიმშიაშვილი, ეს მტერი და ქართველთა სისხლით
გაუმაძლარი დაშავდებოდა ოსმალში, აქა იქ ადგილებს ეძება
და და მით აიმედებდა ქართველებს, რომ კაი ალაგები სჩნ-
დებაო.

ამასა და ალი ფაშას უნდა ჰყითხოს ღმერთმა და ნამუს-
მა, რადგანაც ამათის გველა ძუობით და მოტყუილობით გა-
დასახლებუთ ქართველთ მაჰმადიანებს ისე გაუჭირდათ, რომ
ამათ იწყეს ოსმალეთში თავიანთ შეილების დაყიდვა, ამაში
აღებულს ფულს საქართველოში გზანიდნენ, სიმინდ ყიდუ-
ლობდნენ და გემებით მიჰქონდათ საჭელათ. ამ საბრალოებ-
მა დიდი უბედურება და მწუხარება გამოსცადეს ოსმალეთში,
დიდი შიმშილი, გაჭირვება, სიშიშეელე, შეილების დაყიდვა,
და სხვანი, რამდენი ზღვაში ჩაიხრჩო, რამდენი შიმშილმა გაწ-
ყვიტა, ჭირმა და უბედურებამ ყველა ამის კაცი ვერ მოსთვლის.
ყველა ამ უბედურებათა მომხდენათ ალი ფაშა თავდგირიძე
ითვლება, ყველა ეს ბოროტება ამან მხოლოთ თავის თავის ასა-
მალლებლათ მოახერხა და დაულუპა იმოდენა ხალხი.

ოსმალში გადასახლებულ ალი ფაშას დაენიშნა პენსია და
საცხოვრებლათ მიეცა ადგილები სამსონის ქალაქისაკენ. აქვე
მის მახლობლივ იქმჩენ დასახლებულნი ყველა ის ქობულეთ-
ლები, რომლებიც კი ამან გადასახლა, ესენი მის მფარველო-
ბის ქვეშ ირიცხებოდნენ. ალი ფაშამ იქაც არ დაიეიწყა თავის
მამაპაპის გზა, კვალი, იქაც გაიჩინა ყაჩალები. მცარცვაები, კა-
ცის მკლელები და სხვანი, მგზავრებს და ადგილობრივ ქრის-
ტიაებს ეცემოდნენ ხშირათ სცარცვამდნენ, აოხრებდნენ და
ხოცავდნენ, ქობულეთურათ. ამათ შეაწუხეს, მთელი მხარე, ამა-
ზე მცხოვრებნი დიდათ აღელდნენ და ბოლოს ალი ფაშას
უჩივლეს სულთანთან და ყველა მის საიდუმლოებაც გამოშ-
კარავეს. ალი ფაშას მაშინათვე ბრძანება მოუვიდა სტამბოლ-
ში გადასახლების და სამუდამოთ იქ ცხოვრების, ეს გადასახლ-

და და მის შემდეგ სუამბოლში სცხოვრებს, მის ხელ ქვეშ
ყოფილ ქობულეთელი ყაჩალებიც აყარეს და ზოგი მისირში
გარეკეს, სოგი დაირბეჭირს და ზოგიც სტამბოლს იქით. უმე-
ტესი ნაწილი ქობულეთელების მგზაურობში გაწყდნენ, ამათ
თავიანთ ადგილებამდის ვერ მიაღწიეს.. ეს ნაყოფი გამოილო
ალი ფაშას ბორტებამ და შაქირ ფაშა ხამშიაშვილის გველა-
ძუობამ. ამათზე არა ნაკლები ვწება მოუტანა აჭარელებს ოს-
მან ფაშა თავდგირიძემ, რომელიც აღწერილ დროს ქვდაში
სცხოვრებდა აჭარის ხალხი სულ ამ მზე ბნელმა აალელვა და
გადასახლა ოსმალეთში. შემდეგ ეს იმყოფებოდა ტრაპიზონის
გუბერნა ტორათ და თავის საძაგლობას არც იქა სტოვებდა,
იქიდანაც იხმობდა ოსმალში გადასახლებისათვის ქართველ მაჰ-
მადიანებს.

ამ ბოროტ პირების მეოხებით დაიცალა ქობულეთი,
მთლათ მაჭახელი, მაჭახლიდამ 2000 კომლი მეტი წაეიდა,
მთლათ ლივანი და აჭარასაც მისწედნენ, მაგრამ აქ მათს გვე-
ლძუობას წინ დახვდა წინალმდეგი ძალა. ეს ძალა იყო ქედის
მუფთის ქადაგება და ზოგი ერთ ქართველ რიგიან მაჰმადიან-
თა მოღვაწეობა. მურლულსაც ამათ გაჰკრეს კლანჭები, ამ პი-
პირებისაგან აი სადა და რა ადგილებშ რამდენ რამდენ მოსახ-
ლენი სცხოვრებენ ქართველ მაჰმადიანების:

| | | | | | |
|---------------------|------|-------|------------------------|------|-------|
| ხოფას | 100 | კომლი | არაგეს | 120 | კომლი |
| ირაზეს | 100 | კომლი | სურმენს | 100 | კომლი |
| თვეს | 120 | კომლი | ტრაპიზონს | 100 | კომლი |
| ფლატანას | 420 | კომლი | ბელეგანს | 150 | კომლი |
| თრიპოლის | 100 | კომლი | გერესონს | 120 | კომლი |
| თრდას | 1000 | კომლი | აბდალას | 130 | კომლი |
| უნიას | 100 | კომლი | ბაცას | 1000 | კომლი |
| ჩერშემბეს | 100 | კომლი | თერმეს | 100 | კომლი |
| ბაზარას | 100 | კომლი | სამსონს | 150 | კომლი |
| ბოლომანს | 100 | კომლი | სინაპს | 120 | კომლი |
| ახლად დასახლებულნი. | | | უკანასკნელი სამუდეროა. | | |

რამდენიმე კიდევ სხვაგან სახლობენ, სზედის ცნობები ჩვენ ჯერ არა გვაქვს შეკრებილი, რამდენი ამათაგანი მგზავრობის დროს დაიღუპნენ და დაიკარგნენ ულეთოთ, ამას რიცხვი არა აქვს... უველა ეს უბედურება და გარდახახლება ხსენებულ ფაშების მეოხებით და ლალატით მოხდა. რომ ყოველივე ჩვენ მიერ ამ პირების შესახებ მართალია, ამას ბეჭრნაირის საბუთებით დავამტკიცებთ, მაგრამ ჩა საჭიროა ეს, ამაში განა ეჭვი მისმეს ექმნება, მე ვემორჩილები ნეტარ ხსენებულ გრიგოლ გურიელის სიტყვას, რომელიც ქართველ ფაშებს ძრიელ კარგათ იცნობდა და მათთან დაახლოვებული მეგობრობაც ჰქონდა. გრიგოლ გურიელს გარდა შე სხვებმაც ასევე მარწმუნეს ამ ფაშების შესახებ. ამათგან შესყიდვა და გასყიდვა ადვილათ იქმნებოდა ხოლმეო.

ალი ფაშა ყველა თავის ბოროტებასთან ნამდებილი თათრის თვისების მექონიც იყო, ცუი საქმეების მიმყოლი და სხვა და სხვა ცოლების პატრონი, ამის პირეელი ცოლი იყო ქობულეთელი ბეჭანიძის ქალი, მეორე ცოლათ მენაბღის ქალი შეირთო. მერე მესამე ცოლათ შეირთო ქარცივაძის ქალი, სოფ. ქაქუთელის. ამ ქალის დედა დღესაც ცოცხალია, სოფელ ქაქუთში და ქრისტიანია. ამ დედაკაცის ქმარი 1870 წლებში გაუთარებით, ეს კი არ გათათრებულა. ამის ყველა შეილებც თათრები არიან და სცხოვრებენ გურიაში.

ალი ფაშის ბოროტებას უკანასკნელ მრავალ ქართველ მაჰმადიანები მიჩვდნენ და შეიტყოს ყველაფერი, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან, როცა ოსმალში ყოფილნი ქართველნი მთლად დაიღუპნენ და გაწყდნენ. ალი ფაშ დღესაც არ ისუნებს, ამასთან ხშირათ მიღიან ქობულეთ აჭარა, ლიიანის ქართველ მაჰმადიანები, მას ქრისტის აძლევენ და რამე საქმეებში დახმარებას სთხოვენ. იგიც რასაკერძოელია ქრისტებს იღებს და საბრალო ქართველ მაჰმადიანებს ურცხვათ ატყუილებს. ჰპირდება, რომ საქმეს გაგიკეთებთ, რაღვანაც მას აქა იქ კარგად იცნობენ, იციან მისი ბოროტი ყაჩალური ხასიათები. მთელს.

თავის სიცოცხლეს ასე მოტყუილებით ატარებს და ქართველ შაჰიდიანების ყვლეფით. ალი ფაშისაგან ერთ გადასახლებულ-თაგანი დაბრუნდა საქართველოში, მე ვნახე იგი, დავეკითხე:

— აქედამ როცა მიღიოდით ოსმალში, რატომ არ ფიქ- ჩობლით რომ გაჭირვებაში ჩავარდებოდით.

— ლმერთმა ჰერიტენის ალი ფაშა თავდგირიძეს. შაქირ ფაშა ხიმშიაშვილ ოსმან ფაშას, და ყემპერ აღა ტაკიძეს და ხოჯებს, ჩეენი ცოდვით არ ნახოს მათ კეთილი, სული მათ მოგვატყუილეს, მათ დაგვლუპეს, მათის მეოხებით ძრიელ ბევ- რი ხალხი გაწყდა იქ, ნამეტურ ალი ფაშამ მოგვატყუილა, გვპირდებოდა, რომ იქ სულთანისგან დიდი წყალობას მიიღებ- თო, ჩეენც გაებრიყედით, ავიყარენით, სახლ—კარი დავლუპეთ და გადავსახლდით ოსმალში. მაგრამ იქ ჩეენ არაფერი მოგვ- ცეს, მოგვცეს მეტად ცუდი ადგილები, ჭიმით ჩეე ვერ ვიცხოვ- რეთ და ოთხი წლის განმავალობაში 10 ათასზე მეტი მარტო ჭობულეთელები გაწინენ. აქეთაც ალარ გვიშვებდნენ. ეს გვი- ცო ალი ფაშა თავდგირიძემ.

— ახლა რას აპირებთ, წახვალთ კიდევ? ვკითხე მე.

— რას ბრძანებთ. ლმერთმა ნუ ქმნას, აქ დავიხოცებით ბატონი და იქ კი არ წავალთ.

— აქედამ ჩეენ მიტომ გავიქეცით, რომ გაქართველდე- ბიანო, გაქრისტიანდებითო, ასე გვეუბნებოდა ალი ფაშა, სიტ- ყვა ქართველის ჩეენ დიდათ გვეშიან, რადგანაც ქართველი ჩეენ უსჯულოთ მიგვაჩნია, ამას მოეშორდით. ვისმინეთ ჩეენც მისი სიტყვა, გავიქეცით ოსმალეთში და იქ რა ვნახეთ, უვე- ლამ ქართველი გვიწოდა, აქ ამას გავექეცით და იქ თვით ოს- მალებმაც კი ასე ქართველებათ გვიცნეს. ვკითხეთ რამე, გვით- ხრეს რამე ყოველთვის ქართველი გვიწოდეს და აბა აქედამ იქ რას მიერბოდით და ულუპავდით ცოლ შვილსაო.

მაგრამ ლმერთმა ჰერიტენის ავს მოლა და ხოჯებს, ჩეენს წამქეზებელთ და დამყუპავს ფაშებს.

ქართველ მაპმადიანთა სასულიერო წოდება და ქართული ენა.

1. ხოჯა გურჯი ისმაილ ხალიფა შეიღი. 2. აჭარის მუფთი ჭა-
სან-ეფენდი ხალიფა შეიღი. 3. ბათუმის მუფთი ჭასან-ეფენდი გერ-
ძაძე. 4. ულის ყადა ნური ეფენდი ბერიძე და სხვ.

I

ოსმალეთის სასულიერო წოდებამ ქართველ მაპმადიანებს
გულიდან ამოლადრა საქართველოს ხესნება, დაავიწყა უკელა-
ფერი, გარდაქმნა და გადააკეთა სრულს ოსმალის ტომის შეი-
ღლებათ. ქართველ მაპმადიანებში შეიტანა ისეთი შხამი, ისეთი
ნალექლა, რის გამო აჭარელ, ქობულეთელ, ლივანელ და სხვა-
თაც შეიძულებს თავის მოძმე ძმა ქართლელი, იმერელი, სამ-
ცხელი, მეგრელი და სავანი. ერთი სიტყვით, ამათში დაითვა-
ისეთი მტრობა და ბოროტება, რასაც ეეროპიელი კაცის გა-
ნათლებული გონება ეერც-კი წარმოიდგენს.

სამწუხაროთ, ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს სახელმწი-
ფო მოსამართლენი, მათი კანონება, მათი მინისტრები და
თვით სულთანიც იმას კი არ სცდილობდენ, რომ თავისი ქვე-
შევრდომნი დაეტავებინათ თავიანთ სჯულსა და ენაზე. მათ-
თვის ყოველივე ეს არ მოესპოთ, ნაცვლათ აშისა მიეცათ მათ-
თვის მოქალაქობრივ-გზა. განათლების მაძიებლობა, ხელოს-
ნობით, მეურნეობით და ვაჭრობით დაწინაურება, უკულა ამაებს,
რასაკვირველია, მათ ქვეშევრდომთ შორის მათი სიყვარული
და პატივისცემაც მოჰყვებოდა, ეს თავისთავათ აღორძინდებო-

და მთაერობის მაღრიელ ქვეშეერდომთ შორის. ამას ვხედავთ ისტორიაშიც.

არა, იგინი ამაზე არ ზრუნავდენ, მათი ფიქრი იყო მარ-ტოდ უცხო ტომთ დაპყრობა. დამონება, მერე მათი ძალით გათათოება. ასე და ამგვარათ მათ ძალით გათათოეს ბერძნები, სერბი, ბოლგარნი, ჩერნოვორელნი, ალბანელნი, ქართ-ველები, სომხებიც და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ტომისა, ამათ ძალით გათათოებას, ყოველთვის თან სდევდა გვაროვნული მტრობაც, ჰიზლიც და ამიტომ არ არის გასაკვირველი ის გარემოება. რომ ამ ბოლოს ომის დროს, მუსულმან, ალბანელები მტკიცეთ შეუერთდენ თავიანთ მეგვატომე და ერთ ენის ხალხს ქრისტიან ალბანელებს. ასევე მომხდარა თურმე ბოლგარეთში და სხვაგანაც სლავიანთ ტომთა შორის. სადაც ძალით გათათოებულნი სცხოვრებენ.

სულ ამის ბრალი გახლავთ, ვს არის უმთაერესი მიზეზი იმ უბედური მოსავლის, რაც-კი ოსმალეთის სახელმწიფოს 1878 წლიდან მოევლინ. რაცკი ეხლაც განმეორდა ამ უკანას-ქნელ ომის დროს. რალა დარჩა ოსმალეთის, ბევრი აღარაფერი.

ოსმალოს მთაერობას რომ ასეთი ბარბაროსობისთვის გზა აეჭირა, ხალხის განათლების გზას დასდგომოდ, ქვეშეერდომთ არ დევნას, არ შეწუხებას, მაშინ მას ეს ხეედრი შესაძლებელი იქნებოდა, რომ გზაში არ დახვედროდა, ამ ბოლო დროს კი-დევ არ მოვლენოდა თვისი უბედურების დასაწყისი, მაგრამ ესთქვით და ვიტუვიტ კიდევაც, რომ ოსმალოს სახელმწიფო როგორც იქცეოდა და განაგებდა სახელმწიფოს, მას ისეთივე შოსავალი მიეცა, ისეთივე ხვედრი მოევლინა, რასაც იგი სხვე-ბისათვის ფიქრობდა ის თვით მას დახვდა მომავალოდ. ყოვე-ლოვე სულ მათი ბრალია და მათი უკან ჩამორჩენის, გაუნათ-ლებლობის და ათასიც სხვა ამგვერების.

ყოველივე ეს გაგვასენა ჩეენ მათგან საქართველოს ასე აკლებამ და აოხრებამ, ხალხში მტრობის დათესვამ, ამ მტრო-ბის სასარგებლოთ ათასნაირ ცდამ, მათ ეგონათ, რომ ჩეენ ქვე-

შევრდომთა შორის ვითომც ისლამის გაერცელებით და გადა-
გვარებით დავამყარებთ ჩვენს სახელმწიფო ძალას, ჩვენს ზნესა
და ხასიათსათვის, ვითომც ამის საშვალებით დავიმორჩილებთ სუ-
ლიერათო, მაგრამ მოსტყუედნენ ბედშავნი, აზრი შეცდომათ
დაურჩათ, ვინაითგან მართლაც მათგან დანგრეული ქვეშვერ-
დომნი, პირელ დროებში-კი მათი ერთგულნი იყვენ, ვიდრე
იგინი გონებით დაწინაურდებოდენ. როცა ეს მოხდა მათში,
როცა მათ წინ გაუსწრეს თვის ბარბაროს მებატონეებს, მანინ-
კი საქმე სხვაგვარ აღმოჩნდა და მონა ბატოზე უფრო მარჯვე
გამოვიდა, უფრო უკეთეს მოქალაქეთ, უკეთეს გმირათ და მის
მეოხებით ასეთებმა აჯობეს ოსმალეთს და გაუსწრეს წინ მას.

სახელმწიფოს სჯულის ერთობაშ ვერაფერი უშველა. ეს
შენიშნულიც არის. ჩვენშიაც ბომ ცნობილია ოვით პოეტუ-
რის (ნ. ბარათაშვილი) ნაწერითაც, რომ სახელმწიფოს სჯუ-
ლის ერთობა არას არგებსო, თუ მათში, ქვეშეერდომთა და
მთავრობის ერის შორის თვისებითა განსხვავება სძევსო, იგინი
სულიერად ერთმანერთს ვერ დაუკავშირდებიანო. სახელმწი-
ფოს სურს, რომ თვისი ბოროტება მონაცა შორის, ამ სჯუ-
ლის შეერთებით დანერგოს და მასთან მათ მისცეს გადავე-
რების ტრფიალება და ბოროტი შიში მთავრობისო, მაგრამ თქ-
რების ტრფიალება და ბოროტი შიში მთავრობისო, მაგრამ თქ-
რების ტრფიალება და ბოროტი შიში მთავრობის ასეთი
მულა და ითქმის კელევ, რომ შემცდარია მთავრობის ასეთი
მულა და ითქმის კელევ, რომ შემცდარია მთავრობის ასეთი
მხრით.

მხრით. ეს რომ ასე არის. ამას ასაბუთებს ქართველთ გადაგვარების საქმე, მათში სულიერათ თეოთ ცნებიერების დამხობა და ათასიც სხვანი, რაც ქართველ მაკმაღლიანთ ოჯახს დღეს ქარგათ ეტყობა, რასაც ცხადათ მოწმობს მათი გავერანებული ცხოველი, რება, გაველურება, მოშლა ყოველნაირის აღორძინებისაგან, რება, გაველურება, მოშლა ყოველნაირის არიან, აღარც ქართველ-უინაიდან იგინი ტლეს არც ოსმალნი არიან, აღარც ქართველ-ნი, ხოლო შემდეგ რა იქნებიან, რა გახდებიან და რის ულელ-ში შეემდეგიან, ამისი ჯერ ჯერობით არა ითქმის-რა. იქნება მომავალში კი მათმა მოქალაქურათ დაწინაურებამ, განათლე-

ბით ოლორძინებამ და გონიერებით შემოსეამ, მოგვცეს პასუხი. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ მით უფრო, რადგანაც აღრე, როცა ქართველ მაჰმადიანებზე ასმალოს მახეილი სასტიკად მეფობდა, როცა ამათი გადაგვარება მათში სჯულის საჭმეთ იყო გამხდარი, მაშინაც კი იყვნენ ქართველ მაჰმადიანებში. ისეთი ფანატიკი მოლები და ხოჯებიც, რომელთანაც თავიანთის ინერციით იმის შეგნებაც ჰქონდათ, რომ იგინი იყვნენ გვარუომობით და ენით ქართველნი.

II.

ისმაილ-ეფენდი 1840 წლ. სცხოვრებდა, მისი დაბადება XVIII საუკ. ბოლოს. მიეწერება, იყი სოდი. სამხიარელია. რომელ სოფელიც აჭარის გვერდით, მერისის ხეობაზე სდევს. ისმაილ-ეფენდის გვარი ხალიფაშვილი გახლავთ. ეს ცნობები მეშვეობე 1891 წ., როცა აჭარაში და ქობულეთში მის მასოვრათა რიცხვი მრავლათ იყვნენ ცოცხლები.

ისმაილ-ხოჯას პირეელდაწყებითი სწავლა აჭარაში მიულია, რასკვირეელია ეს იქნებოდა ქედის ჯამეს გვერდით, სადაც ხოჯას სასწავლებელი ჰქონდა. აჭარაში სწავლის მიღების შემდეგ იგ როგორც ნიჭიერი კაცი, მოსწავლე, სტამბოლში გაუგზავნიათ სასწავლებლათ, ისმაილ-ეფენდი სტამბოლში დავაკუაცებულა, სასულიერო სწავლი მიულია. მის მერე მოლათაც დაუყენებიათ, მერე ხოჯათ. მის მერე ხაფიზიც გამხდარა, ლეთისმეტყველების ლიჩსების სახელიც. სწოდებია, როგორც ჩემ ში არის. „ლეთისმეტყველების ხარისხის მექონი და ამის შემდეგ ყადის ხარისხიც მაღა მიულია. მერე მოწინავე პირი გამხდარა სტამბოლს.

ისმაილ-ეფენდი ბუნებით ნიჭიერი ყოფილა, თან მეტაც კარგი მოსწავლე, ჩნებულათ სწავლობდა თურმე არაბულს წერა-კითხვას, ასმალურ გნას, თათრულ ენას, ერთი სიტყვით უელაფერს, რაც-კი ამ ტომის ენისა და სჯულის ხალხს ეხება,

გარდა ქართულისა. თვით ისმაილ ხალიფაშვილს, ქართული ენა კი ლამაზათ სცოდნია, კარგი მოლაპარაკე ყოფილა ამ ენით, ხოლო ამის დროს, ოსმალოს სასულიერო წილებას გარდა. ქართული ენის სწავლებას თვით მთავრობაც სპობრა. ამიტომ ისმაილმა ქართული, თავისი დედა-ენის წერა-კითხეა. არ იცოდა,

მაშინ ქართული მათში ისე იყო მიღებული, როგორც
ძალის ენა, ეს ენა მუსულმანთა სასულიერო წოდებისაგან
შეუწყნარებელი იყო, ეს ენა მათის ფიქრით იყო მურტალი ენა,
მურტალი ხალხის და ამის სწავლება კი არა და, თვით გაგრ-
ნებაც კი სძაგლათ, ვინაიდან მათის სიტყვით და ფიქრით სიტ-
ყვა „ქართული“ ნიშნავდა გიაურს, ამას გარდა იგი იყო მურ-
ტალი, ბილწი, გიაურის ენა, მუსულმანშია კაცმა რომ ამ
მურტალი ენით ალაპარაკოს, ეს ერთობ დღი ცოდვა იქმნება
მუსულმანი კაცისათვისათ. ასეთ პირთა ქადაგება იქამდე მი-
უსულმანი, რაკი ეს ენა საერთოდ ვერ მოსხდეს, ვერ ამოავდეს,
ვიდა, რომ რაკი ეს ენა საერთოდ ვერ მოსხდეს, ვერ ამოავდეს,
მის გამო. მას სიტყვა „ქართული“ მოაცილეს და „გურული“
მის გამო. ამით დაიშოშმინეს გული ფანატიკოსებმა და თუ სად-
უწოდეს. ამით დაიშოშმინეს გული ფანატიკოსებმა და თუ სად-
უწოდეს. ამით დაიშოშმინეს გული ფანატიკოსებმა და თუ სად-
უწოდეს. ამით დაიშოშმინეს გული ფანატიკოსებმა და თუ სად-

სიტყვა „ვურჯიც“ მათ გურულათ მიაჩნდათ და არა ქარ-
თულათ, ქართველს აბა როგორ იტყოდა, როცა ეს ნიშნავდა,
უსჯულოს და უსჯულოს ენას, ასე მზერდენ ფანატიკოსები,
ხოჯები, ხაფიზნი დი სხვანი, მიტომაც მოხდა, რომ მათის
ბოროტის ცდით აქტორული ენა დავიწყებულ იქმნა მთელს არა
ტანიის (არდაგანი) ოლქში, სადაც ქართულა ენა ერთ დროს
ანუ 1780 წ. ისე სუფეუდა, როგორც ქართლსა და იმერეთში.

კიდევ სხვა ადგილებში, ენით უთველელ, თითქმის მთელს გუბერნაში. ლაზების უმეტესიც ხომ სულ გადაიძერეს და მოსპეს ლაზრუიც.

მიუხედავათ ასეთის ბოროტებისა, ოსმალეთის მთავრობაშვერ შესძლო და ვერ მოახერხა სრულიათ ქართველების გადაგვარება და ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენის ამოვნებრა, ნაცვლათ გადაგვარბის, ქართველ მაჰმადიანებში ხშირათ სჩნდებოდენ ისეთი ხოჯები, როგორც იყო ისმაილ ხოჯა, ჰასან ხალიფაშვილი, ჰასან ვერძაძე და სხვანი, რომელნიც ყოველთვის და ყველგან თამამათ ანბობდენ, რომ ჩვენ გურჯები—ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანა საქართველოა, ჩვენი ენა და წიგნიც ქართულია და არა თათრული-ოსმალური. ამის სასარგებლოთ მოქმედებდა ჯამეშიცი ქართულათ ქადაგებდენ ყველა აქ მოხსენებული სასულიერო პირნი. ამათ ქართულს ენაზედ არაბულის ასოებით დაწერილი „ყურანისა სწავლის წიგნებიცი აქვთ დაწერილები, რითაც თვითც ქადაგებდენ ყოველთვის.

იყო თუ არა ქართველი მაკმადიანთ შეიხ-ულ-ისლამი.

ოსმალეთის სასულიერო წოდბამ დიდად იმეცადინა და მთელ სამცხე-საათაბაგოს შორის მე-18 საუკუნი გასელამდე ისლამი გაერცელდა. ისლამის გავრცელებას აქ მეტად დიდი და მწვავე ისტორია აქვს. სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიულ წიგნებში ამაზე არაფერია დაშორებული. მარტო გახუშტი სწერს ასე, „ოსმალთ სამცხე აიღეს. და ქართველნი მაჰმადიან ჰყვეს“. ამის შესას კაცი სხვას ვერას ჰპოვებს ძევლს ისტორიულ მწერლობაში,

ეს გარემოაბა დიდად აღონებდა ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს და პაოვესორს ალექსანდრე ხახანაშვილს. დიმიტრი ბაქრაძემ ორჯელ იმგზავრა სამაჰმადიანო საქართველოში, ერთ-ხელ კონსტანტინეპოლიშიაც იყო, იქაური არქიეპიც დასინჯა, მაგრამ პოენით კი ვერსად რა იპოვნა.

ჟუველა ერს აქვს თავის საჩრდინოების მიღების სამშადის ისტორია, მხოლოდქართველ მაჰმადიანთ არა აქვთ იმის ისტორიული ცნობები, თუ მათი ისლამთან დაკავშირება როგორ იყო, ესენი ამით სრულიად დაკარგული არიან და ასეთი ისტორიული ცნობები კი არა, ისიც არ იციან, მათში ოდესმე ქართველ გვარის შეიხ-ულ ისლამი იყო თუ არა, ამის შესახებ თუ იციან რამე, ისიც ისევ ხოჯებმა, ისიც ერთობ მცირედ!

ჩემის მგზავრობის დროს ათის წლის განმავლობაში, სადაც კი მოხუცებულს ხოჯას უნახავდი, უეელას იმას დკითხავდი, იყო თუ არა იმათი მიღეთის ვინმე შეიხ-ულ-ისლამი. ბოლო, მეღლის მელირსა ზოგი რამ ცნობების შეკრება, ამის შესახებ, ეს ცნობები აქვე მომყავს.

ოსმალნი ქართველებს შეიხ-ულ-ისლამის თანამდებობას არ აძლევდნენ, რადგან ქართველნი ახლად გამაჰმადიანებულნ არიან და ერთ თუ, ისევე შალე გადადგნენო. მიზეზი ეს იყო თურ-გე—ახლად გამაჰმადიანებულები არიანო—თორემ ქართველ მაჰმადიანებში შეიხ-ულ-ისლამისთვის შესაფერი ღირსეული კაცები მრავლად იყვნენ თურმე ყოველთვის.

ოსმალეთის სისულიერო წოდებისა და მთავრობის შიში საკმარისად დაეძლია ერთს პირს. ეს ყოფილი არტაანელი (არ-დაგანი) ხოჯა ხერხეულიძე. ამის ამბავი კარგად იცოდა აწარის აღრინდელ მუთთამ, მის შემდეგ, ბათუმის მეორე მუთთმა პასან ეფენდი გვერდაძემ. ამათ მოთხრობილის ამბებით ვსარგებლობთ და მომვავს ეს ცნობები: იქნება შემდეგ ამათ შესახებ სხვაც რამე ცნობებიც გამოჩენდეს.

შეიხ-ულ-ისლამი არტაანელი ხერხეულიძე ცხოვრობდა შე XVIII საუკუნის ბოლო წლებს. იგი აღიზარდა კონსტანტინე-პოლში; ჰქონდა ლირსება „ხაფიზის“ (ლვთის-მეტყველი). იყო კარგად მცოდნე არაბულის და ოსმალურის ენებისა; დიდად გონიერი, სიტყვა პასუხიანი კაცი. ოსმალეთის მთავრობაში ამ კაცის ლირსება სცნო, რადგან გურჯი ხაფიზ ხერხეულიძის შესახებ მთელი სტამბოლი ლაპარაკობდა. ამიტომ 1780 წლებს კონსტანტინეპოლში, მთელის ჩსლამის შეიხ-ულ-ისლამად აირჩიოს ეს არტაანელი ხაფიზ ხერხეულიძე.

ხერხეულიძემ თურმე ჩინებულად მართა თავისი საქმეები და მთელს ის ლამის პირობებსაც კარგად აწარმოებდა, რაც ოსმალეთის მთავრობამაც კარგად შეიტყო; თვით სასულიერო წოდებაც დიდათ მადლობელი იყო ამ ხერხეულიძისა, რომ იგი დიდი ნიჭიერი მართლმაჯული გამოდგა სასულიერო საქმეების წინაშე.

იმ გონიერმა ადამიანმა ქართველების ლირსება აამაღლა, ოსმალეთის მთავრობისა და სასულიერო წოდების წინაშე გაკრა ქართველების შიში და ის ეჭვები, რომელითაც ისინი მა-

თამდე შეპყრობილნი იყენებ და ამის შემდეგ საერთოდ აზრი შესცვალეს ჩეენს შიშიანობაზე. ამიტომაც ამის შემდეგ ქართველები მთავრობის წინაშე სანდონი და ლირსეულად პატივულნი გახდნენ.

ხერხეულიძის სიკვდილის შემდეგ 1805 წლებს შიხ-ულისლამად აირჩიეს მეორე, ქართველი მაჭადიანი, აჭარელი ბარათა შვილი.

შეიხ-ულ-ისლამი აჭარელი ბარათა შვილი, უგონებთ, ბეგის შთამაშავალი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ამ გვარის წევრნი აჭარაში დღეს ველარავინ ენახეთ, თუცა 1840—50 წლებში ბარათა შვილების გვარისა ოსმალეთის მთავრობის წინაშე გამოჩენილი ფაშებიც ყოფილან.

ბარათა შვილიც ხერხეულიძესაებ გონიერი ყოფილა და თავისი თანამდებობა ჩინებულად უსრულებია. ამის მართვა-გამგეობის დროს სტამბოლში ქართველ მაამადიანთ გვარის ნიჭიერი ხოჯები და მოლები მრავლად ყოფილან. ერთი ამათვანი ყოფილა ხაფისი ლეონიძე იმერხეველი.

შეიხ-ულ-ისლამი იმერხეველი ლეონიძე, ბათუმის მუქთი ჰასან ეფენდიმ დიდად აქო ეს შეიხ-ულ-ისლამიც, მხოლოდ ბიოზრაფიული ცნობების ბევრი ვერა მიამბო რა. ჰასან მუქთი ქება-დიდებით მოიხსენებდა იმის მართვა-გამგეობას. შეიხ-ულ-ისლამი ლეონიძეც მეტად სახელოვანი ყოფილა მთელს სტამბოლში. მთელს ოსმალეთში ცნობილი ყოფილა, როგორც მოუსყიდველი კაცი და სულიერი მოსამართლე.

ლეონიძე გარდაცვლილა 1830 წ. მას შემდეგ დღემდე შეიხაულ-ისლამის თანამდებობა ქართველ მაჭადიანს არ ჰლირსებია.

სხვა რამ ცნობები შეიხ-ულ-ისლამების სესახებ მე ვერა შევიტყვე რა. იმასაც მოგვითხრობდნენ მოხუცებულნი, რომ ეს შეიხ-ულ-ისლამები საქართველოშიაც ხშირად მოდიოდნენ ეს შეიხ-ულ-ისლამები საქართველოშიაც ხშირად მოდიოდნენ აქ სცხოვრობდნენო. ბათუმსა და ქობულეთშიაც უცხოვდა აქ სცხოვრობდნენო. ბათუმსა და ქობულეთშიაც უცხოვდა რიათ ამათ. ყველა მათ ქართული ენა კარგად სცოდნიათ და

ხოჯებთან ლაპარაკის დროს სულ ქართულ ენას ხმარობდნენ
თურმე.

იმერხევში მგზავრობის დროს ლეონიძეების გვარში ვი-
კითხე ამ შეიხ-ლო-ისლამის ცნობები, მაგრამ გარდა ამის ცხო-
ვრებისა და არსებობის სხვა რამ ცნობების მომთხრობი ვერა-
ვინ ვპოვე.

იქნება ქართველ მაჭადიანებმა და დაწყრილებითი ცნო-
ბები შეკრიბონ ამ სჯულის თავი-კაცების შესახებ, ასეთი ცნო-
ბების შეკრება ჩვენთვის მეტი არ იქნებოდა. აქედან ბევრი რამ
საგულისხმიერო აღმოჩნდება ქართველი გვარის კაცის უმაღ-
ლესი თანამდებობის და ლირსების შესახები.

დრო არის რომ ქართველ მაჭადიანებმა თვალი გაახილონ
და თავიანთ წინაპირო ასეთ პირთა შესახებ ისტორიული ცნო-
ბები შეკრიბონ. ეხლა, თორებ შემდეგ ველარას მოახერხებენ,
რადგანაც ამათ ცნობების მახსოვარნი აღარ იქმნებიან მერე.

ქართველ მაჭიმადიანთა გამოჩენილი სასულიერო ჰირები

ქართველ მაჭიმადიანებს ჰყავთ თავიანთი მოწინავე კაცები. ლირსეული კაცები, ლირსეულნი პირნი მათში მოიპოვებიან როგორც ერის კაცებში, ისევე სასულიერო წოდებაში. ამიტომ ჩვენის შესძლების და გვარალ ხანდისხან აენუსხავთ თითო იროლა პირთა ცხერების ცნობებს. ამ ფამად ჩვენ შევეხებით ბათუმისა და აჭარის მუფთს ჰასან ეფენდი ვერძაძეს, რომლის ცნობებიც ჩვენ გაგვახსენა სოფ. ზუნდაგაში გაუქმებულ და მოსპობილ ძევლი წიგნების ამბებმა.

ჰასან ეფენდი ვერძაძემ მუფთის თანამდებობა აჭარა-ბათუმის მიიღო 1890 წ. მუფთის ახმედ ხალიფაშვილი სიკედილის შემდეგ. ჰასან ეფენდის მამა-ჰაპანი გამოჩენილნი ყოფილან როგორც ქრისტიანობის ხანაში, ისევე ისლამთან დაკავშირების შემდეგაც. ქრისტიანობის დროს, ამათი წინაპირნი სულ სასულიერო პირნი ყოფილან და ისლამის მიღების შემდეგაც ათ რიცხვს მაღლე გამოჩენია თავი ყურანის სწავლიაში და დროით თავი სასულიერო კაცებიც გამხდარან.

ისლამში ყოფნის დრო, იგინი დიდს ენერგიას იჩენდენ თურქე რსმალურს. არაბულს და სპარსულ ენების შესწავლაში. ყველა მათგანი, თურქე სტამბოლს მიდიოდა და იქ იღებდა არაბულს სწავლა-განათლებას. სწავლის დამთავრების შემდეგ მექასა და მედინაშიაც მოგზაურობდნენ, სადაც მათ ეძლეოდათ მეტი ცოდნა და განვითარება.

ასე ყოფილა ამ გვარის წევრთა განვითარების საქმე, შხოლოდ ამ ჰასან ეფენდის კი სტამბოლი თუალითაც არ უნახავს, მას საქართველოში მიუღია არაბული და ისლამის სწავლა-განათლება, ოსმალური, არაბული და სპარსული ენები მას გა-თუმში შეუსწავლია და ისლამის სწავლა კი აჭარის მუფთის სკო-ლაში, რომელი სკოლაც ქედაში არსებობდა. ქედაში მუფთის სკოლის დაარება ეკუთვნის 1770 წლებს; იგი არსებობდა ქე-დაში 1890 წლებამდის. მუფთი ახმედ ხალიფაშვილი ამ სკო-ლის უკანასკნელი წარმომადგენილი იყო.

ამ სკოლაში ყოველთვის სწელობდენ 100-მდე ქართვე-ლი მაჰმადიანთ მოზარდი შეიღები, რომელთაც მომავალში სასულიერო წოდება ელოდათ, ესე იგი როგორც ჩეენებუ-რი სემენარია. ხსენებული სკოლის გაუქმების შემდეგ ქართ-ველ მაჰმადიანთ ძენი სტამბოლში მიღიან და იქ იღებენ სასუ-ლიერო განათლებას, მერე იქვე ნიშნავენ მათ ხოჯებად და მოლებად. ადრე კი ასეთი პირი თეით საქართველოში მზად-დებოდნენ. ასეთი სასწავლებელი სულ ძველად კი, ანუ XVII საუკუნიდამ ახალციხეში ჰქონიათ გახსნილი, ასეა თქმულება მათში.

ჰასან ეფენდი. მართალია, სტამბოლში არ იყო ნასწავლ-ნამყოფი, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი კარგად იყო განვითა-რებული, ყოველივე ასეთ გონიერებას ეხმარებოდა ის გარე-მოებაც, რომ იგი ბუნებითაც იყო მახვილ-გონიერი და სწავ-ლის მოყვარე. იგი თავის ცოდნით, მოქმედებით და შრომით ბევრს სჯობდა და აჭარბებდა. თეით იტყოდა ხოლმე შემდეგს:

ზოგი ერთი ხოჯიები მისთეის მემდურებიან, რომ შენ სტამბოლში ნამყოფი-ნასწავლი არა ხარო და ამიტომ მუფთი კი არ უნდა იყო, არამედ სოფლის ჯამეზად ხოჯაო.

მყველიან კიდევ: შენ რუსის გუბერნატორს და უფრო-სებს მეჯლისში შემოსელის დროს ფეხზედ უდგები და ხელს ართმევო. ეს დამცირება არის მუსულმანის კაცისაგან ისლამის წინაშეო. მყველიან კიდევ მასაც, რომ ეითომც სამართლის

გარჩევის დროს, მე შერიათის წინააღმდეგ ვიქცევი და საქმეს კალბათ უსჭრიო და სხვაც ბევრი ასეთნი.

დიან, ეს მართალი გახლავთ და თვით მე მქონდა შემთხვევა აჭარაში ისეთ ხოჯებთან ლაპარაკი, როცა მათ მუფთის შესახებ ასეთი საყვედურები უთქვამთ. ამ მუფთის დიდი მტე-იყო ხოჯა იბრაიმ ვფენდი კაპნისთაველი.

ეხლა მოგაბსენებთ იმასაც თუ ეს მუფთი ამ ბრალდება-შასხებ რას ლაპარაკობდა, როგორ მართლულობდა თავს.

ჩემი სიყალბის გამო, ჩემს მტრებს გარდა, მე სხვებს და-ვეკითხები, თუ ისინი იტყვიან ასეთ რამეს, მე მაშინათვე თავს დაუანებებ მუფთის თანამდებობას, თუ არა და ჩემმა მტრებმა რამდენიც უნდა სთქვან რამე.

გუბერნატორს და რუსის დიდ კაცებს ფეხზედ უდგები და მუსლიმანი კაცი და ისიც მუფთი ხელს აძლევო. ამაზედ ვიტ-ყვით შემდეგს:

ჩვენ რუსეთის ხემლწიფასთვის ურთგულებაზედ ფიცი მიგ-ვიცია. საქმით და მსახურებით ერთგულნი ვართ და ახლა ხე-ლის არ მიცემით რომ ეჭვი ავალებინოთ და უბრალოდ საქმე გაგიფუჭოთ, ნუ თუ ეს კაი იქნება? გუბერნატორი ჩეენი უფ-როსია და სხვა არა იყოს რა მარტოდ ზრდილობ არ მომცემს ნებას, რომ მე იმას ხელი არ გაუწოდო იმ დროს, როცა იგი ჩემსკენ წამოვა და ხელს გამომიწედის.

ასეთ გონიერულს შენიშვნებს გარდა იგი იყო შეგნებუ-ლი ქართველი და ქართველების შესახებ ყოველთვის ასე ლა-პარაკობდა აშკარად.

— ძიავ ბატონო, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ჩვე-ნი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი ენა და ქვეყანაც ქართულია. ვინც ამას არ დაიჯერებს, მაშინ იგი მობრძანდეს ჩეენს სო-ფერში, იქ ნახოს ძეველი ნაშთები, ჭურები და სხვაც ბევრი რამ და ის მაშინ ცხადად დარწმუნება ამაზედ. ჩეენს სახლში ჩვენი ქალ ბალანა სულ ქართულ წიგნებს კითხულობდნ, მაშ-ნა ვართ, თუ ქართველები არ ვართ, მაშ ჩვენ ყაზანის თათ-რები ხომ არ ვართ-

მუფთიშ ამ კილოთი ღაპარაკი საჯაროთაც იცოდა. ბევრს
სასრკეთო მხარესთან იგი იყო მეტად გულ-ჭეთილი კაცი. მას
ბათუმში ბევრი ადგილები აქენდა და სახლიც ბევრის ოთახე-
ბიანი, სადაც უმეტესი ნაწილი დგმურების სულ ხელოსნები
და მუშები იყვნენ და ისიც სულ ქართველები.

დგმურები რომელთაც ქირის გადახდა არ შეეძლოთ, მათ
კარგა ხანს აცურიდა, ზოგს პურის ფულსაც ასესხებდა ხოლმე
და დააცლიდა იმ დრომის, ვიდრე ეს გაჭირვებული საქმეს
იშოვნიდა.

ვისაც პასპორტი არ აქვნდა, ან დაეკარგებოდა, ან ძველი
პასპორტი აქენდა და პოლიცია აწუხებდა, იმას პოლიციაში
თავდებათ უდგებოდა და ათავისუფლებდა ახალ პასპორტის
მოსელამდის,

ვისაც ქარხნებში სამუშაოთ დადგომის დროს თავდები
უნდოდა და მას კი ეს არ აქვნდა. იმათ ქარხნებში თავდე-
ბათ უდგებოდა და ბევრს ალაგას ამისთვის ფულიც ეხარჯე-
ბოდა, ასეთებს სხვასაც ბევრს რამეს აკეთებდა, მაგრამ ჩვენ აქ
მარტოდ ეს სამი ცნობა მოვიყენეთ, ესეც კმარა ამის სიბუთად.

მოვიყენოთ კიდევ ერთ ამბავს, რაც განსვენებულმა პირა-
დათ მე მიამბო 1906 წ. და რასაც სიტყვა-სიტყვით მოვიყენ
აქ. ამ ნახვის შემდეგ მე იგი აღარ მინახავს და მით ჩემი მგზავ-
რობაც მოვსპე აქარაში, რადგანაც დიდი შიშიანობა ჩამოვარდა.

1905 წ. ბათომში ზოგიერთმა ბოროტმა პირებმა შეა-
გინეს ერთი წრე, რომელ წრეშიაც რამდენიმე ქართველ მაჲ.
მადიანთ ბეგებიც ერივნენ. ამათ განიძრახეს ქართველ მაჲმალი-
ანთა და ქართველ ქრისტიანებთ შორის მტრობის ჩამოვდება,
მერე დაცემა და ქართველების ამოელეტა ბათომსა და მთელს
მის გუბერნიაში. ამისთვის თურმე დიდი სამზადისი ჰქონდათ.
ამავე მიზნით მათ მიმართეს ბათომის მუფთსაც ჰასან ეფენდის
და სოხოვეს, რომ ესეც მათს კრებას დასწრებოდა. მუფთი კრე-
ბას დადასწრო. აქ თურმე მუფთს გარდა სხვანიც იყვნენ ხოჯიები
და მოლები,

მუფთია ჰასან ეფენდიმ შეკრებილთ განუცხადა: მე არ ვი-
ცოდი თუ აშისთვის მიძარებდით, თორემ რომ მცოდნიყო ეს
ამბავი; მაშინ მე არ მოვიდოდი. მე ამ პირებს არ ვეთანხმები.

ქართველები ჩვენი ნათესავები არიან, ბიძაშვილები, მა-
მიდას შვილები, ჩვენ და ისინი ერთ ენის და სისხლის ხალხი
ვართ და აბა ეს როგორ შეიძლება ჩვენგან. მე ღმერთმა და-
მითაროს აშისაგან და თქვენცა გთხოვთ. რომ მაგ საქმეს თავი
დაანებოთ.

მეორე: მე სასულიერო პირი ვარ და ვალდებულად
ესთვლი, რომ არამცა და არამც ასეთ საქმეს ხელი არ შეეუწყო
და ამიტომ მე რად მომართეთ ასეთის დავალებით და მესამე,
აბა შეხვდეთ ჩემს თეთრის წვერს, ჩემს სახეს და დააფიქრდით
ამასაც, თუ ჩემგან შეიძლება იმ დაეალების ასრულება რასაც
თქვენ მავალებთ, მე განა იგი შემფერის კიდევ, რომ ასეთ
საქმეებში გავერიოო. მეტს აღარას გეტყვით. მე როგორც გი-
ახლით აქ, ისევე წავალ აქედამ და თქვენცა გთხოვთ დაიშალნეთ.

მერე რა იქმნა და რა შოთდა, ეს ხულიგანთა წრე არსე-
ბობდა თუ არა და ან რა განზრახვას მიეცნენ, ამის ჩვენ არა-
ფერი ვიცით.

მცირე ხანს შემდეგ ეს მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძეც
მოკვლულ იქმნა დღისით ბათუმში. მკვლელის ვინაობა კარგად
ვერ მოსძებნეს და ამიტომ მიმალულ იქმნა ყოველივე.

მოკვლის ჭოახებით ზოგნი ქართველებს აბრალებდენ, ზოგ-
ნი სომხებს, ზოგნი რუსებს, მაგრამ ამაოთ, უფრო თვით აჭარ-
ალებმა მოკვლეს და ისიც მოწინავე კაცებმა. სხვა ტომისანი მას
არ მოკლავდენ.

ქართველ გაჭმადიანები

ქართულ ენის დაკარგვის ამბავი

შენიშვნას ბავშველის წერილის გამო.

„სახალხო გაზეთის“ 160 №-ში წავიკითხე წერილი ს. ბავ-
რელისა. ამისაგან გამოცხადებულ წიგნის შესახებ მე მოგახსე-
ნებთ შემდეგს:

ართვინის ოლქში, ქართულ ენაზე, დღემდე ქართველი
მაჰმადიანები ლაპარაკობენ ორს ნაწილში, მაგალითად: იმერ-
ხევსა და მურლელის ხეობაში. მესამე ნაწილში კი ესე ივი
მთელს შავშეთში, დაკარგულია ქართული ენა და ქართველი
მაჰმადიანები ოსმალურად ლაპარაკობენ.

დაიკარგა მთელს ოლთისის ოლქში, ალაგ-ალაგას კი;
ცოტ-ცოტას მოხუცნი საუბრობენ, მათაც მალე დავიწყდებათ.

დაიკარგა მთლად ქართული ენა თორთოსისაკენ, სადაც
მდებარეობს განსაცეიფრებელი ეშობის კათედრა.

დაიკარგა ლაზისტანის ბევრ ადგილას, რომელნიც აკრაენ
თვით უახლოეს ლიგანის ხეობას, ჭოროხისა, ხახულისა და ვინ
იცის, რამდენი კიდევ სად გინდა არა, რომელთა ცნობი ჩვენ
არა გვაქვს და იგინი არც ჩვენს ისტორიას ახსოვს, მაგალი-
თად, როგორც არჯავანიძისანთ ხეობაში, სადაც დღემდე ქართ-
ველ მაჰმადიანთ ქართული ენა აქვთ შენახული, მირატის ხე-

ობა, უფრო აქეთ მდებარე და სხვანი, რომელთაც არც ჩეენი
მთაგორების რუქები (ქარტა) ანუსხავენ და არც თსმალთა...

უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი ეს კუთხე შესდგებოდა კა-
მეტის საეპისკოპოსო კათედრისაგან. ამ კამტ საეპისკოპოსოს
მრევლნიც სულ ქართველნი იყვნენ, ქართულს ენაზე მოღაპა-
რაკენ, დღეს ამოდენა რიცხვიდან დაკარგული აქეთ ქართუ-
ლი ენა რეა საეპისკოპოსოს სამრევლო ქართველობას.

ვიცით ბევრმა თუ არა, ცოტამ მაინც, რომ მე მიელია
აქათკენ დიდხანს, მინახავს აქაური ქართველნი და მიკითხავს ოს-
მალურად.

ნა მიღეთი ადამ სან? (რა ტომის კაცი ხარ).

— მან — გურჯი

სწნ ბაბასი დადასი ნა ადამდე? შენი მამა პაპა რა ტომის
იყვნენ) მას მოუგია:

— გურჯი. (ქართველი).

სწნ მემლექეთი ქიმინდრ, ოსმანი, იოხსა გურჯისტანი?
(თქვენი სოფელი ოსმალის არის თუ საქართველოსი) მათ მო-
უგიათ;

— გურჯისტანი (საქართველოსი).

ბას ნია გურჯიჯა, — სწნ დილბანდი ბილმირსან? (მაშ რა-
ტომ ქართული, თქვენი ენა კი არ იცით) ის გაჩერებულა და
გაშტერებით უთქვამს:

— ბილმალი (არ ვიცითო)

ეს სიტყვები ერთ ალაგას არ უთქვამთ ჩემთვის და ორ
ალაგას; არამედ მრავალთ და მრავალ ალაგას. შავშეთში, ერთ
სოფელში, ერთმა ასეთმა ენა დაკარგულ ქართველმა თავის
გვარიც კი ქართლი სთქვა, ეს გორდაჩეოუძე — ერ გამოთქვა
თავისუფლად.

ასეთ ხალხში მქონია ლაპარაკი, რომ, იყოს ოსმალურ
ქართული წიგნი, იქიდამ თქვენ ინდომებთ ქართული ენის
სწავლას. მათ დიდი სიამოვნება გამოუთქვამთ. ასეთი ნატვრა

მე თვით მათის ხოჯებისა და მოლებისაგან ხშირად გამიგონია. ეს ნამდეილია.

ასეთ დაკარგულ ქართველთათვის, ზემოხსენებული წიგნი იქნება დიდი საქმე, დაღი სინათლის შუქი. იგი ქართველ მაჲ. მაღიანებში უადვილესად შეაშუქებს და თან მარტივადაც გავრცელდება ეს ენა, ვინაიდგან მათ ჯერაც არა აქვთ დავიწყე. ბული ის გარდმოცემა, რომ მათი სამშობლო საქათველოა, იგინიც ქართველთ შთამომვალნი არიან და მათი დედა ენაც ქართლი ენა არის.

განვიმეორებ, რომ ასეთ ქართველთათვის, ს. ბატონის წიგნი უაღრეს მაღამოდ ჩაითვალება, იგი გახდება ქართული ენის აღდგენის და შესწავლის გასაღებად მთელს იმედად. მეტის თქმა ამის შესახებ საჭირო არ არის, წიგნს დაბეჭდვა უნდა. თვით, ს. ბატონიც კარგად მცოდნეა ოსმალური და ქართული ენის და ქართველ მაჲმაღიანებში 30 წალი იცხოვრა, რომელთა შესახებ მას ბევრი წერილები აქვს ქართულს გაზეთებში და ბეჭდილი 1877 წლიდამ 1885 წლამდე.

ლ ա ზ ი ს ტ ა ნ -ჭ ა ნ ე თ ი.

ძეელის ძეელად, ლაზისტან-ჭინეთი იწოდებოდა ეგრისა-თაც. ქრისტეს წინედ, ფარნავიზ ქართველთ მეფემ ლაზისტანი გაანთავისუფლა ბიზანტიიელთ ფლობისაგან. მაშინ ფარნავაზ მეფემ მთელი ლაზისტანი გაყო ოჩს საერისთავოდ და მას თან იგი დაკავშირა ეგრისთან. ამ სიხით, მაშინ მთელი ლაზისტანი გადაბმული იყო სამეგრელოსთან და შავ-ზღვის ნაპირას ტრა-ჭიზონიდან დაწყებული აფხაზეთამდის სულ მეგრელი ლაზები სცხერობდნენ, ეს ხალხი წარმოადგენდა ერთი ტომის სხეულს და ერთს მეგრულ-ლაზურის ერთვულ შტოს.

ქრისტეს დაბადების მეორე საუკუნეს, ლაზისტანი ისევ ბი-ზანტიაშ დაიპყრო. მათ ხელქვეშ დარჩნენ კარგა ხანს, V საუკუ-ვასტანგ გორგასლანმა კვალად დაიპყრო ლაზისტანი და იგი და-კავშირებულ იქმნა საქართველოს სამეფოსთან. მეფემ ლაზისტანის თავის მართველად ლაზთავან ერისთავი დაუდგინა. ვასტანგის ძლიერება ბიზანტიიელთ შეიშურეს, ამიტომ ბერძენთ იმპერა-ტორმა ერეკლემ იმეცადინა და ლაზისტანი ისევ ჩამოვლივა საქართველოს, ქათვეელთა მსგავსად, იმპერატორმა ერეკლემ ლაზისტანში დასვა მართველად ლაზები მოწინავე კაცი.

რამდენიმე ხნის შემდევ იმპერატორს ლაზები აეშალნენ: ამათ აუწყეს: რომ ჩვენ ქართული ცხოვრების წესები უნდა გვა-ქვნდესო. მართველად გინდ ბიზანტიიელი იყოს ჩვენშიო. იმპე-ტორი თანახმა ვასდა ამის, ლაზებს დაუბრუნა ქართული ცხოვ-რების წესები; ვასტანგ მეფის მიერ დადგენილი კანონები და მართველად კი დაადგინა ბიზანტიიელი. ასე და ამგვარად. დამ-შვიდებული ლაზისტანი ბიზანტიიელთა ხელში დარჩა კარგა ხანს. ჟავრატოვანთა გამეფების და გამძლავრების დღემდე კი ლაზის-ტანი ისევ დაკავშირებულ იქმნა საქართველოსთან, ბაგრატოვა-

ნებმა ლაზები, მეგრელები, აფხაზები და სვანები ერთ აკვნის
შვილებად ჩათვალეს და ერთ საერთოსთავოდაც დანიშნეს.

ლაზელ-გეგრელების უსახებ გეპირი პეპები

ლივინაში მურლულის ხეობაში და სხვაგანაც, ქართველ
შაჰმადიანებთ შორის, ლაზეში დაშთენილია ბევრნაირი გარდ-
სოცემანი. ასეთ გარდმოცემის ერთი გარიანტი დიმ. ბაქრაძესაც
შოპყავს თავის მოგზაურობაში, რომელიც რუსულად ცალკე
ტომად დაიბეჭდა პეტერბურგს; 1875 წ. სახელდობრ „არქეოლო-
გური მოგზაურობა გურია-აჭარაში, პეტერბურგი 1876 წ.“ აქ
მეც მრვიყვან ზოგ-ზოგ ცნობებს, რაც ნამბობია თვით ლაზელ
მოხუცებულ ხოჯიებისაგან 1895 წ. ეს ამბები ძევლის ძევლ-
თაგანვე არის მათში დარჩენილი ზეპირ.

ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ვყოფილვართ, აფ-
ხაზეთის შემდეგ მთელი შავი ზღვის ნაპირები სულ ლაზებით
და მეგრელებით ყოფილა დასახლებული, აქეთ იმ ხალხს გარ-
და სხვა ტომის ხალხს არა ჰქონდა ადგილი და ცხოვრება, მარ-
ტოდ ლაზები და მეგრელები ყოფილან. მაშინ თურმე მთელი
ამ ხალხებს ქვეყანა გაიყოფებოდა სამ ნაწილად, ერთ ნაწილს
ეწოდებოდა ლაზისტანი, მეორეს ჭანეთი და მესამეს სამეგრელო.

სამივ ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი, ლა-
ზური—ანუ მეგრული, რომელ ენაც მაშინ მოფენილი იყო
მთელ შავი ზღვის ნაპირებზედ, ეს ენა ლაზებს გარდა მაშინ
თურმე ქართველებსაც კარგად ესმოდათ ყოველი ლაზი თავი-
სუფლათ ელაპარაკებოდა იმერელს, ქართველს და სხვებსაც. რადგანაც ამათაც ესმოდათ თურმე მაშინ ჩვენი ენა, ამისთვის
ძევლი კაცები და ხოჯოები იტყოდნენ შემდეგს:

ჩვენი ხალხი ქართველებთან ისე ხშირად გადადიოდნენ,
ისეთი ხშირი მისვლა მოსვლა აქვდათ და კავშირი, რაისა გამო
ლაზური ენა ქართველებსაც კარგათ ესმოდათ. ლაზებმაც იცო-
დნენ ქართული და ძევლათ თურმე ამ ორივ ხალხში თურმე
თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა, მიტომ ეს-

შოდათ ყველათერი ერთმანეთის. მერე კი, როცა დაეშლილვართ, როცა გაუცალკევებულვართ, მაშინ სიტყვებიც გაყოფილა, გა. დასხვათერებულან და ამიტომ ერთმანეთი მიგვიწყებია და სიტ. ყვების გაგებაც ველარ შეგვძლებია, ერთმანეთი დაგვიწყებია, ამ. გარემოებას სიტყვების დავიწყებაც მოჰყოლია თან.

მეორე გეპირი პეტევი

ქარედიდის უიღოსის უჩასტევის ნაჩალნივის, ახმედ ეფენდი ხალვა-
შისაგან ნაშორის.

ახმედ ეფენდი გონიერი კაცი იყო, შეგნებული ქართველი
და ზეპირ საქართველოს ამბებც ერთობ ბევრი იცოდა. საქართ-
ლოს გარემოების გამო მას გული დარღით აქვნდა სავსე. ყო-
ველთვის მწუხარებით ლაპარაკობდა. ერთხელ კავკავის მთების-
ანუ მყინვარის ამბავი მკითხა, მეც ვუამბე ყოველივე სამხედ,
რო გზის ამბები. იგი შეწუხდა, მერე სთქვა: — აბა ჩეენი უბედუ-
რება ეს არის, იქით ასეთი მთის სიმაგრენი, აქეთ კიდევ ასეთი
სიმაგრენი და განა ეს ქეეყანა უნდა დაცემულიყო და გაყოფი-
ლიყოს, მაგრამ რას ვიქმთ, ყველა ეს სულ ჩეენი ოჯახის არ-
ვამ ქმნა. სამწუხაროდ ამ პირის ბაოგრაფია დღემდე ვერ დაეს-
წერ და ვერ დაებეჭდე. ეს კაცი დიდი მოტროიალი იყო საქარ-
თველოს აღორძინების და ქართველ მაჟმალიანთა გათვრთუნოე-
ბიერების. მაჩალიდში მაშინ ამან ქართული სკოლაც გახსნა, მაგ-
რამ სკოლა მალე დაიკეტა, რადგანაც მასწავლებელი რუსი იყო
და ქართული ენა არ იცოდა, რაც მიზეზი გახდა სკოლის და-
კეტების, ამას ზედ ისიც დაერთო, რომ მასწავლებელი ლოთიც
იყო, არაყი ბოჭკით ედგა სკოლაში: ამის ამბავს მერე მოგახ-
სენებთ. ეხლა ისევ ახმედ ხალვაშის ზეპირ ამბავს მოვიყვანთ ლა-
ზისტანის შესახებ. სამწუხაროდ, ერთ დროს, ლაზებს და მეგრე-
ლებს რაღაც მიზეზებით ქართული ენა დაევიწყებინათ, ამის მი-
ზეზები მგონი ის ყოფილა, რომ ლაზელ ხელოსნებს ქართლსა და
იმერეთში მგზავრობა მოუსპიათ, სამუშაოდ იქითკენ აღარ მი-

დიოდენ თურმე და თუით ჩეენშიც კი ალარ გაღმოდიოდენ, მა გალითად აჭარასა და ლიკანაში, ამიტომაც დროის განმავლობის წყალობით ერთმანეთის ენაც მიუიწყებიათ. ისე, რომ მერე თურმე ერთმანეთის სულ ალარა გვესმოდა რაო.

ამ გარემოებისათვის ქართველ მეფეებს ყურადღებ მიუქცევიათ, იმ ადგილებიდან სადაც დღეს გურია გახლავთ და მის კიდებზედ ზღვის ნაპირებ და ამ ადგილების სოფლები, ყველა იქიდან ლაზები და მეგრელები აუყრიათ, რეინი იმერეთში გადაუსახლებიათ და მათ მაგირ, მათ ალაგას დაუსახლებიათ ქართულად მოლაპარაკე ურიები და ამით სურვეებიათ, რომ სამეგრელო ლაზისტბნში ქართული ენა ისევ განახლებულიყოს და მოფენილიყოს, რომ ამ ენის გაგება ლაზებს, მეგრელებს და ქართველებს ისევე შესალებოდათ, ეს როგორც მათში ძეელის ძეელად იყო, მაგრამ სამწუხაროდ ესეთი ენის შეერთება ვეღარ მომხდარა და ლაზები და ჭანები მეგრელებს მთლად მოსწყვეტიან მერე რა მომხდარა კიდევ. დაახლოების და მდგობრობის მაგიერ ერთმანეთს მტრათაც გადაკიდებიან და მით თეისი მტრები კი გაუხარებიათ. ასე მოხდება იქ სადაც ოჯახის შეილები აირევიან და ოჯახური საქმეც წახდება. თორემ ეს რომ არ მოხდარიყო მაშინ საქართველოს ვერაეინ რას დაკლებდა, ვერც სპარსი და არც სხვებს ჩაუერდებოდა ეს ქვეყანა და ხალხი, ასე იტუოლენ ჩეენში ძეელი კაცები ამის შესახებო.

ძეელად ყველამ იცოდა ზეპირ, რომ ლაზი, ჭანი, მეგრელი და ქართველი ერთი ძმები არიან, ერთი დედმამის შეისანი და ერთი ენის ხალხია, დღეს ეს ასე ალარ გახლავსთო.

ისტორიული გარდობებები

არის ასეთი ისტორიული გარდმოცემაც: ლაზელ-ჭანელ მეგრელები სცხოერებდენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და სოფლებში. ემთა ვითარების წყალობით ლაზელ-ჭანელ მეგრელებს დაეიწყდათ ქართული ენის ხმარება და იგინი გადასხვავერდენ ქართულის ენისაგან. ამ გარემოებას ქართველ-

მა მეეფებმა ყურადღება მიაქციეს, ლაზელ და მეგრელთა ადგილებიდან ერთი ნაწილი ამ ხალხის აკყარეს და ქართლისა და კახეთ იმერეთის სოფლებში დაჭუანტეს დი მათ მავიჯრ, სახელ-ლობრ გურიას და ამის მოსაზღვრე სოფლებში მოიყვანეს ქართულად მოლაპარაკე ურიები და ესენი დაასახლეს, რომ ეგები ამათის დახმარებით, ისევ მოხდეს ენის გაერთიანებათ. მაგრამ ესეთი ენის შეერთება ვეღარ შოხდაო.

ძეელად, ქართველი მეფენი აფხაზეთის მეფებადაც იწოდებოდენ, ასეთია აფხაზთა ქართველთა შემდეგნი: ლეონ მეფე-მოკვდა 806 წ. თეოდორე მეფე, მოკვდა 846 წ. გიორგი მეფე, მოკვდა 876 წ. იოანე მეფე, მოკვდა 890 წ. ადარანაზე მეფე, მოკვდა 896 წ. ბაგრატ, ძე იმიტრი მეფის, 906 წ. კონსტანტინე, ძე ბაგრატის, მოკვდა 921 წ. გიორგი, ძე კონსტანტინე, მეფისა, მოკვდა 984 წ. ლეონ მეფე, მოკვდა 956 წი დიმიტრი მეფე, მოკვდა 979 წ. ამ მეფის სიკვდილით გათავდა ამერ აფხაზთა მეფეთა წოდება და ამიერიდამ აფხაზეთი ქართველისამეფოსთან ერთად მოიხსენებოდა.

საქართველოს ორსამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ, იმერეთში, ჩოგორც საქართველოს მეორე სამეფოში დადგენილი იქმნა მეორე კათოლიკოსიც, რომელიც იწოდებოდა და იმერელ აფხაზთა კათოლიკოზებადა. აფხაზეთის კათოლიკოზების რიცხვი რამდენიმეა და მათ შესახებ აზნუსხული აქვს და წიგნად დასტამბული რუსულს ენაზედ.

X საუკუნის შემდეგ, რაკი ლაზისტანის მეფედ წოდებულის თეოდორე უსინათლოს შემდეგ, თვით ლაზისტანიც შემოერთდა საქართველოსთან, მის შემდეგ, იგი ნელ ნელა ზემო ქართლითან ერთად ძლიერდებოდა და წარმატებას ეძლეოდა. XII საუკუნეში, ლაზისტანმა საქართველოს მეფობის დახმარებით დიდი სიმაღლეს მიაღწია, სწავლა განათლება აქ ერთობ დაწილა ნაურდა, მას გარდა ისედაც ხელოსან ლაზებს ქართველთა მეფენი უფრო ახალისებდენ სახელოსნოთ, ასევე ხელს უწყობდენ მევენახობას, ანუ ბალოსნობას და სხეულაც ბევრს საკუთარ სა-

შეურნეო საქმეებს, ქართველ შეფერა მოქმედობამ ეს ერი სა-
მაგალითოდ გახადა მთელს მესოპოტამიას, ანუ ძეელ კაპადო-
კიას. ამიტომაც მთელი ამ კუთხის მცხოვრებ ბიზანტიელინც სულ-
ლაზისტანის ქართველთა მფარველობის ქვეშ შემოღიოდნენ.

მატომაც კეთილ გონიერმა თამარ მეფემ განიძრახა მთე-
ლის მესპოტამიის, ანუ კაპადოკიის და ლაზისტან-ჭანეთის გან-
თავისუფლება და საკუთარი მათი სახემწიფოს დაარსება. დედო-
ფლის განძრახეას ბიზანტიელთაც დიდის სიხარულით შეხედეს
და ბევრის თათბირების და მოწყობის შემდეგ გონიერმა თამარ
მეფემ დააფუძნა ბიზანტიის იმპერიის ნაწილი, ტრაპიზონს სამე-
ფო, ანუ ბიზანტიის მეორე, ანუ ტრაპიზონის სახელწოდების
მექონი იმპერია მეორე. ამ გარემოებამ ბიზანტიელთა და ქართ-
ველთ შორის დიდი ერთობის ხიდი გადო.

ტრაპიზონის იმპერიის დარსების შემდეგ, მთელს ლაზის-
ტანსა და კაპადოკიაში ქართველთა ხელოვნება ხელშეუხებელი
დარჩა და შეუზღუდავი. მაგალითებრ სადაც კი ქართველთა რიც-
ხეი სცხოვრებდა და ქართველი ერის სოფლები იყო, იქ ქართ-
ველებს ჰყანდათ თავიანთი სოფლის მეთაურებათ ქართველები
და ეს ქართველნი განაგებდნენ სოფლის საქმეებს ქართული
ენით, ეკლესიები ქართველთა აქვნდათ საკუთრებათ და შიგ ყო-
ველთვის წირვა-ლოცვაც ქართულად სწარმოებდა და არა ბერძ-
ნულად. სასწავლებელში ასწავლიდნენ როგორც ქართულს, ისე-
ვე ბიზანტიურს და სხვა ენებს და მწერლობასაც.

მთელს კუთხეში სასულიერო წოდების დამცეცლად იყვნენ
ქართველი ეპისკოპოსნი და უფროსი მღვდელ-მთავარი სცხოვ-
რობდა ტრაპიზონს, რომელსაც სახელად აქვნდა: — ეპისკოპოსი
ზომი ქართლისა“. სასულიერო გამგეობაში ყველგან იხმარებო-
და ქართული ენა და სადაც ბერძნებთა რიცხეი დიდი იყო, იქ
ბერძნული ენა მეფობდა. XII საუკუნიდან ტრაპიზონს ჰქონდა
ნამდვილი ქართული სახე. აქსურობა საესე. იყო ქართველთა ვაჭ-
რებით, ხელოსნებით, მექარხნეებით, მუშებით, და სხვაც ასე-
თის მშრომლებით, ყველა მათში ქართული ენა სუფევდა.

მთელის საქართველოს სავაჭრო ყური ქალაქი ეს ტრაპიზონი გახლდათ. ამიტომაც მთელ ქართველთა სავაჭრო და საქარხნო სამრეწველო ძალა აქ, ამ ტრაპიზონში იდგამდა ფეხს და მაგრდებოდა. შენიშნულია, რომ XII საუკუნის ბოლოს, ტრაპიზონში თავი მოიკრიბეს ვაჭარ ქართველ ებრეელთა. დიდმა რიცხვმა. ესენი აქ დასახლდნენ ერთს ქუჩაზედ, გააჩალეს ვაჭარიბა და ამით დაწინაურდნენ.

ტრაპიზონში ებრეელებმა დაიკირეს ქრისტიანობის კუთხე, გააშენს სახლები, სავაჭრო დუქნები და სხვა. მაშინ ქართველი ურიები უკვე ქართულ ენას ხმარობდენ დედა ენათ და ამათა გან ამიტომაც მთელ ტრაპიზონის კუთხეებში ქართულმა ენა-მაც მკაფიოდ იწყო გამაგრება. შემდეგ საუკუნეებში ტრაპიზონი იყო შესანიშნავ სავაჭრო ქალაქად, სადაც ქართველთა რიც-ხვიც დიდი იყო.

ბიზანტიის დამხმაბის შემდეგ, (1452 წ.) რაკი ისმალთა სლავიანთა სამეფოები მთლად დაიპყრეს და კონსტანტინეპოლის ფეხი მოიმაგრეს, მის შემდეგ იგინი ტრაპიზონისაკენ გადმოვიდნენ და ბრძოლა დაიწყეს. აქ ტრაპიზონის ბრძოლამ 50 წელს გასტანა, ბოლოს მაინც დაიპყრეს მხოლოდ ტრაპიზონის სამეფოც, მოიშალა ტრაპიზონის იმპერია, უზეტესი ნაწილი აღვილების კი საქართველოს სამეფოს და სამთავროს მოეკედლა, ისმალებს მარტოდ ტრაპიზონი ეკავათ. მერე კი ანუ 1520 წ. ტრაპიზონიდამ სხვა აღგილებიც დაიკავეს, მავრამ იგიც მაინც ცოტა ხანს დარჩა, ლაზებმა ისმალნი ტრაპიზონში მერეკეს ისევ.

ისმალთ ტრაპიზონი მესამდ 1580 წ. აიღეს. ამის შემდეგ კი აქ ფეხი გაიმაგრეს და ისლამსაც დაუწყეს ლაზებში ურცელება. 1627 წ. რაკი ისმალთა სამცხე-საათაბაგო მთლად დაიმორჩილეს, მის მერე მთელი ლაზისტანის აღგილებიც სამცხი-თურთ ისმალების სამფლობელოდ დაშთა. მის მერე კი ტრაპიზონის და მთელს ლაზისტანშიაც ქართველობის ყოველისფერმა იწყო შემცირება და მოსპობა.

მე-XVII საუკუნის გასელამდის ტრაპიზონში მოისპო ქარ-

თუელთა ყოვლისფერი ძალოვნება, მოისპო ქართველთ შორის სჯული, მას მიჰყეა ქართული ენის დაკარგა, მოისპო ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა რიცხვი. ხელოსნების და თვით მოხელეების, ამეების მოსპობას მოჰყეა მოსპობა სამღვდელოებისაც და მოკლე დროის განმავლობაში ტრაპიზონში მოისპო ქართული საყდები და ქართველი სამღვდელოება და თვით ქართლის სახელის მექონი ეპისკოპოსის კათედრაც. ქართველების ყოველივე გაქრა ტრაპიზონში.

ქართველთა გვერდით ბერძენთა სურეილი მაინცა და მაინც ისე არ ისპობოდა, როგორც ქართველთა თუმცა ბერძენებიც დიდ დევნაში იყვნენ ჩაერთონილი. ტრაპიზონში, ქართველი ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი და სახელად მას უწოდეს „ეპისკოპოსი“, ე. ი. „ეპისკოპოსი ქართლის“, სიტუვა ქართლი ბერძნულად ასე გამოითქმისო: ასე მიამბეს ტრაპიზონელ ბერძნებმა.

ტრაპიზონის ეილაეთში და თვით ამ ქალაქშიაც სცხოვროვდენ მრავლად ისეთი ქართველნიც, რომლთა ფამთა ეითარების წყალობით ქართული ენა დაუკარგავთ და იგინი დღეს ბერძნულად ლაპმრაკობენ, თუმცა ლაპარაკის დროს კი, იგინი თავს ქართველად სთელიან. ასეთებს ბევრს დღემდე შერჩენილი აქვთ თვით ქართული გვარებიც და სხვა ასეთი გვაროვნული ცნობანიც, ასეთების რიცხვი ტრაპიზონის და მის თემშ ასი ათასზედ მეტი იქნებათ. აქ ქართველების დიდმა ნაწილმა დაკარგა ქართული ენა, მუსულმან ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ და ქრისტიან ქართველებმა შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძნდნენ. ასეთ ქართველთა რიცხვს ტრაპიზონში კაცი აღეილად ჰქოვებს, მათი აქ მთელი უბნებია, იგინი უკეთესად მიზდევენ ვაჭრობას, ანუ აღებ-მიუემობას და ხელოსნობას. ნამეტურ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველადგანვე.

რაკი ლაზისტანს უბედურება ეწვია, მასში მცხოვრებ ქართველნეც დიდ დევნას მიეცნენ, ბევრი ბრძოლის შემდეგ, ქართ

ულ ლაპების უმეტესობა ისლამს დაუკავშირდა, ზოგი დარჩა
ქრისტიანად, მიეკედლნენ ბერძნებს და მათის დახმარებით და-
ცეს თავი, ხოლო სამერმისოდ კი მათც ეწვიათ ეროვნული უბე-
დურება და როგორც ქართველმა შავმაღიანებმა ქართლი ენა და-
კარგეს და ქართულის მაგიერ ისმალური შეითვისე, ისევე
მართლმადიდებელ ქრისტიანად დაშთენილ ქართველებმა, ბერ-
ძნთა ზეგავლენით, დაჲკარგეს ქართული ენა და დღეს იგინი
ბერძნულად ლაპარაკობენ ტრაპიზონის და მასთან მთელ ფილა-
ეთში.

ერთი ნაწილი ქართველობისა დაუკავშირდა კათოლიკის
სარწმუნოებას, ლათანის წესის რიგს და მათი რიცხვი იმოდე-
ლი გახლდათ, რომ რომის ტახტმა ამ ქართველ კათოლიკეთა-
თვის, ტრაპიზონში, XVII საუკ. ეკლესია და სკოლაც გახსნა-
ეს ეკლესია დღესაც არსებობს ტრაპიზონში და რომელი ეკლე-
სიაც ქართველ კათოლიკეთ ტაძრად იწოდება და ტაძარსაც აქვთ
მდიდარი სამკითხველო, სადაც მრავლად არის დაცული სხვა და-
სხვა ისტორიული ცწობები, რომელნიც შეკრებილ და დაცულ-
ქართველ ლათინის წეს რიგის პატრიებისაგან. დღესკი ტრაპი-
ზონში ეს ქართველ კათოლიკენიც ეროვნულად დაკარგულები
არიან და იგინი სომხურად ლაპარაკობენ.

ერთი ნაწილი დევნილი ქართველებასა დაუკავშირდა გრი-
გორიანობას. მათი რიცხვი ტრაპიზონის ვილაეთში საკმარისი
უნდა იყოს და თეით გამაჭმადიანებულ იაშშილები. რომელთაც
ზოგნი სომხის გვარისად სთვლიან ამ ემშილებს, თვით ამათშიაც
კი მრავლად უნდა გახლდენ ქართველ გვარის გასომხებული
ქათველები, რომელთაც ქამთა ვითარების წყალობით ქართული
ენა დაჲკარგეს და დღეს სოხურად ლაპარაკობენ.

ასე თუ ისე, ლაზისტანში, სიოთაც კი ქართველება ფეხი
გადადგეს და რომელიმე რჯულს შეუერთდენ, ყველგან დაჲკარ-
გეს ქართული ენა, გადაგვარდნენ და თავიანთ ქვეყნის წინაშეც
ეროვნულად დაიკარგნენ. ტრაპიზონში და მასთან მთელს ვილა-
ეთში დარჩნენ მხოლოდ ქართველი ებრაელნი, ასეთების რიცხვი
ტრაპიზონში 500 კომლი იყო XVII საუკ. და მთელს ვილა-

აეთშიც კი 1000 მოსახლეზედ შეტი. ებრაელებმა ტრაპიზონში, რაგანაც ერთს კუთხეში სცოვრებდენ, შეინახეს ქართული ენა, ტრაპიზონს ვარეშე კი რაღვანაც ებრაელნი სოფლებში გაფანტულნი ცხოვრობდენ იქვი დაჲკარგეს ქართული ენა და ოსმალური შეითვისეს. ტრაპიზონში იმ კუთხეს, სადაც ქართველი ებრაელნი სცხოვრებდენ, მთელ მხარეს ოსმალურად „ქათველთ კუთხე“ ეწოდებოდა.

ქართველ ებრაელთა წყალობით, მთელს ტრაპიზონში, ქართული ენა დაცული იყო და ვაჭარ ებრაელთაგან მთელს ქალაქში ისმოდა ქართული სიტყვები. ერთის სიტყვით, აქაც ებრაელნი ისე იცავდენ ქართულ ენას, როგორც მათ დაიცეს ქართული ენა მესხეთსა და ჯავახეთში და ნამეტნავად ახალციხეს. 1870 წლის შემდეგ კა, რაღაც მიზეზების გამო, ტრაპიზონიდან ქართველ ებრაელიბმა აქეთ იქით გასვლა იწყეს ვაჭრობის საქმეთაგამო რაյი ტრაპიზონში ამთი რიცხვი დაიქსავსა, ქართული ენაც შეირყა ტრაპიზონში და მთლად მოისპო ქართული ენის ხმარება მთელ ქალაქში, მინამდის კი ვიდრე ებრაელნი ერთა დ სცხოვრობდნენ, მინამ ტრაპიზონში ქათული ენა მკვიდრად არსებობდა და კაცი აღვილად ნახავდა ამ ენის მცოდნე კაცს ტრაპიზონის ქუჩებ ციაც.

ის გარემოეა, რომ ებრაელნი ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ, ტრაპიზონში ეს ყველა ტომის კაცმა კარგად იცოდა.

ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა ორი ქარვასლა არსებობდა და 1839 წლებამდის, ტრაპიზონში საეპროც გადადიოდნენ ახალციხელი ვაჭრები და იქ ისადგურებდნენ კარგა ხანს, ამ ქარვასლებში ყალულობდნენ ფორთოხალს, ლიმონს, ზეთილ-ხილს, ლელეს, რაფლს, წმ^ა სანთელს და იმერეთსა და ქართლში გადმოჰკონდათ გასასყიდათ. ეს საეპრო ქარვასლებ მოისპო 1830 წლების შემდეგ, ვინაიდგან აქ საქართველოს ვაჭრებმაც ამოიკვეთეს ფეხი.

ვიცით, რომ ტრაპიზონში იყო ერთი დიდი სახლი, საქართველოს მეფეების საკუთრება, სადაც ისადგურებდნენ ხოლმე ქართველთ მეფენი, ბატონიშვილები და სხვა და სხვა მოგ-

ზაურნიც, რომელიც სტამბოლში მოგზაურობდნენ ხოლმე სა-
ქართველოდამ. ეს სახლი ისეთი ფართო ყოფილა, რომ 300
კაცი იტევდა სადგომათაო.

ამ საკითხის შესახებ აი რა მიამბო 100 წლის მოხუცმა-
ხუსეინ ქამჯარაძემ, ქართველმა მაჰმადიანმა, გონიერნა კაცმა,
ქობულეთელმა, აქ ეს სიტვა-სიტყვით მოგვყავს: „ჩვენ, ბატონო,
იმ დროს ვიყავ კაი დელეყანდი. როცა რუსები იმერეთში მო-
ვიდნენ და აიღეს, ქობულეთს გიახლონ, აქაურ ბეგიებმა სო-
ლომონ მეფე ტრაპიზონს გაისტუმრეს, ქართველობამ 300 კა-
ცი გააყოლეს ტრაპიზონამდის, მეც იმ კაცებში ეერიე, მეფე
ტრაპიზონში მიბრძანდა, ჩვენც მასთან ჩამოვსტით მის საკუთარ
სახლში, დიდი სასახლე იყო, ამისთვის იტყოდნენ, რომ ის სახ-
ლი ქართველ ხელმწიფების და ფალიშაჰების იყოვო, ამიტომ სო-
ლომონ ბატონიც იქ ჩაშოხტა, ჩვენ სამდლეს დაეისევნეთ, მე-
ფემ საჩუქარი გვიბრძა და მეოთხე დღეს სახლში გამოგვისტუმ-
რა მადლობით და საჩუქრებით. ტრაპიზონში, XVII საუკუნის
ნახევარ, კათოლიკე ბერებმა გააკეთეს კარვი ეკლესია. ეკლესი-
ის გვერდით გააკეთეს მოგზაურთა სადგომი სასახლე და მასთან-
ვე სამკითხველო და საეკლესიო არქიეპი. საქართველოს გარეშე,
ოსმალეთში, ეს აღგილი იყო მეორე, მაგრამ პირველ ბინათ
ხადგური კათოლიკის ბერების და მისიონერების. საქართველო-
ში მოგზაური მისიონერები უსათუოდ აქ ბინავდებოდნენ ხოლ-
მე. ევროპიდან მოგზაურნიც ზღვით ტრაპიზონში გადმოხტე-
ბოდნენ და აქ ისადგურებდნენ. ასევე საქართველოდანაც წასუ-
ლები პირველად ტრაპიზონში ჩამოხტებოდენ მერე აქედან ოს-
მალეთის სხვა და სხვა ქალაქებს გაემგზაურობდნენ.

საქართველოს კათოლიკების მისიონერთა ბინა ტრაპიზონი
გახდა. რასაც კი ეს მისიონერები რამე ცნობებს სწერდენ სა-
ქართველოს შესახებ, ამ მასალების თითო ასლს, ანუ პირს ამ
ტრაპიზონის მისიონერთა არქიეპი ჰერიკ ბერები შესანახავად, თა-
ვის დროს, ამ არქიეპი საქართველოს შესახებ იმდენი მასალები
მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად
გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს.

1752 წ. ამ არქევში გადიტანეს თბილისდამ დიდალი ისტორიული მასალები და წიგნები. ეს ცნობებიც „მისიონერების დღიურიდან“ არის ამოკრეფილი.

1780 წ. ახალციხიდამაც გადაიტანეს ყველა ისტორიული მასალები, რაც კი მინამდის დაცულ იყო ივანე ნათლისმცემელი გვლესის არქევსა და სამკითხველოში.

1795 წ. გორიდან გადიტანეს სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქათველოს შესახებ.

1800 წ. გადაიტანეს ყველა ისტორიული ცნობები, რაც კი არსებოდა და ინახებოდა თბილისშ სხვა და სხვა დროსაც გადაუტანიათ ხოლმე, მათი ცნობები ჩვენ არა გვაქვს. ვიცით კი დევ ისეთი მაგალითებიც, რომ საქართველოს შესახები წიგნები და მასალები საქართველოდამ ტრაპიზონში გაიტანეს შემდეგ ლათინის პატრებმა.

1752 წ. თბილისიდამ გადაიტანეს ბევრი წიგნები და მასალები პატრმა ჯერმინემ, 1780 წ. პატრმა მაერომ, ჰატრმა ნიკოლამ, პატრმა ფილიპე პირველმა 1795 წ. ახალციხის თემიდამ მთლად გადაზიდეს 1829 წ. ასე რომ 1830 წ. ტრაპიზონის არქივი ცნობილი იყო, როგორც ბინა საქართველოს ისტორიის მასალებისა. ტრაპიზონის საქართველოს ისტორიულ არქივს მის თამარიშვილიც მოიხსენებს ხშირად. 1860 წ. ტრაპიზონში მოეიდა მოგზაური მარენგო. ამ მოგზაურს ჰსურდა საქართველოს გაცნობა, ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარჩა, საქართველოში აღარ დაბრუნდა და იქვე არქივის მასალებით და მისი ონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზეც, რომელიც 1880 წ. პარიზში დაიძეჭდა კრდეც.

ამ მოგზაურ მისიონერ მარენგოს გარდა სხვა მისიონერებსაც ბევრჯელ დაუწერიათ საქართველოს შესაბამის შინაგანი წერილები, რომლის მასალები ტრაპიზონის ქართველ კათოლიკთა ეკლესიის სამკითხველოს არქივიდან ამოუკრებიათ. ტრაპიზონის ქართული ისტორიული არქივის ცნობები 1860 წლამ

გამდის საქართველოშიც ხშირად ისმოდა, მერძე კი მისუსტდა და დღეს როგორ არი, ამ ისტორიული ქართული არქივის საქმე ამის შესახებ ჩეენ არაფერი ვიცით. ის კი ვიცით კარგად რომ ამ არქივში ბევრი ისეთი ძეირფასი მასალები იყო დაცული, რომელთა მოპოსებიც სხვაგან შეუძლებელი იყო, დიდათ იშვიათი. ასეთია ასტორია ტრაპიზონის ქართულის არქივისა.

ტრაპიზონის არქივის დაარსება კარგად იქმნა ცნობილი ჰაპის წინაშე. ჰაპის კონგრეგაცია, ტრაპიზონის ქართველ კატოლიკეთა ეკლესია დანაშნეს თვის მისიონერთა და პროპაგანდო ფადის წევრთა შუაგულ შიდა ცენტრად. საქმე ისე მოეწყო, რომ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვანელის დაევალა არქივის ზედამხედველობა და მასთან მოგზაურ მისიონერებისათვისაც დახმარების და გეგმის მიცემა, თუ მათ როგორ უნდა ემოგზაერათ საქართველოში, ანუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჩეენ კარგად ვიცით, რომ ტრაპიზონის არქივს აქენდა ქართულად შედგენილი დაბეჭდილი რუკები, მასთან აქენდათ სახელმძღვანელ სამოგზაურო წიგნები, აქენდათ ქართულ-იტალიურ, ქართულ-ფრანგულ და ქართულ-ოსმალური საელმძღვანელო წიგნები და ენების შესასწავლი სახელმძღვანელონი.

რომიდამ ტრაპიზონში მოდიოდნენ ძმანი დომინიკიანელები, ძმანი ავგუსტიანელები, ფრაციისკელები, თათინელები, სხვა და სხვა ორდენის ძმანი იეზუიტები, ძმანი ლაზარისტები და უვაკუა ესენი ტრაპიზონის არქივის დახმარებით სწავლობდენ ქართულ ენას და ისტორიას, უველა ესენი საქართველოს ამ არქივის დახმარებით ეცნობოდნენ, ამ მისიონერებს ბევრი აქვთ ცნობები როგორც საქართველოს შსახებ, ისევე ლაზისტანის და ლაზების, რის ცნობებსაც მის. თამარაშვილიც მრავლად ასახელებს.

ამ არქივის ცნობებიც მრავლად იყო ანუსხული სხვა და სხვა მისიონარულ დღიურებში, რომელიც თბილისში აქენდა ჰატრის პავლე ყალაიჯოვს, შუაბაზრის, ქართველი-სომხის კათოლიკე ეკლესიის წინამძღვანელს, თვით ამ მოძღვარმაც ბევრი ამ-

ბები იცოდა ტრაპიზონის არქივის შესახებ და მისიონერ მარქუს გოსაგან დაწერილს საქართველოს ისტორია და წმ. ნინოს ცხოვრებაზედ, ყრანგულს ენაზედ დაბეჭდილ, ამ პატივცემულმა ჰატრმა მაჩევნა და ისიც გადმომცა, რომ წიგნები დაწერილია ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივის მასალებიდამო. ასეთი მდიდარია ტრაპიზონის ქართულ არქივით.

ტრაპიზონის არქივში უცხოვრიად მრავლად და ხშირად ქართველ გვარის კათოლიკის მღვდლებსაც, ამათვე დიდიძალი მასალები უწერიათ ოსმალეთის საქართველოს შესახებ და აქ უტოვებიათ ყველა ეს მასალები. ქართველ კათოლიკებმა ტრაპიზონი გახადეს ისეთ ცენტრად და ასეთ რეზიდენციათ მის გამო, რომ საქართველოში კათოლიკოს სომეხთავან ხშირად ეძლეოდენ დევნას, აოხრებას, წამებას და ტრაპიზონში კი მათ ხმას არაფინ სცემდა, იქ ესენი თავისუფლად სცოვრებდენ და მოქმედებდენ.

ქართული მნით ლაშების გათვითხოვის მიზანი

ლაშისტანი ოსმალთ ბევრად ადრე დაიპყრეს, ეინდი სამცხე-საათაბავგო. ჯერ სამცხე დაპყრობილი არ იყო, რომ ლაშისტანში უკვე ისლამი ერცულდებოდა. მთელი ლაშისტანი გაიყოფებოდა ოთხ საეპისკოპოსოდ. მთავარი ეპისკოპოსი ტრაპიზონში იჯდა, ამათ ლაშებზედ დიდი გაელენა ჰქონდათ, ხოლო ისლამის მქადაგებლებს კი წინ ვერ უდგებოდენ, ეინაიდგან მათ ოსმალოს მთავრობაც მფარველობდა.

სამცხე-საათაბავგო ოსმალეთმა დაიმორჩილა 1627 წ. ამ დროს, ლაშისტანში უკვე ისლამი საერთოდ იყო მოფენილი და გა ვრცელდებული. ქართველთ გამაპმალიანების დროს, პირველად ხო ჯები და მოლები ლაშისტანიდან შემოიყენეს მესხეთ-ჯავახეთში, პირველად გათათრებულ ქართველებს ლაშელი ხოჯები და მოლები ჰყეანდათ მოშელელად.

ლაშელებმა ხოჯებმა ისლამის გაერცელების საქმეს მთელ სამცხე-საათაბავგოში, დოდი ვალი დასდევს. ისლამი ასეთის ცდით

უფრო ვრცელდებოდა ქართველებში. ასე და ამ გვარად, მერე 50 წელიწადი სამცხე საათაბაგოში, ხოჯებათ სულლაზები იყვნენ, ქართველის ხოჯის ხსენება არ იყო. მაგრამ ლაზელების ცდით სამცხე-საათაბაგოში 1650 წლებში უკვე ქართველ გვარის ხოჯებიც გაჩნდნენ.

ისლამში ლაზებმა გამოიჩინეს დიდი ფანატიზმი, ფანატიკობით ამათ გადაჭარბეს თვით ოსმალებს. მიზეზი ამის ისიცო თურქე, რომ მუსულმანებში ოთხი სექტა ყოფილა, ერთი მეორეზედ უარესი, მეოთხე სექტა რომელიც უფრო ფანატიკურია, სწორედ ეს სექტა ვაუკრცელებიათ ლაზებში, რომ ამით იგინი დიდი ჩანატიყკები გამოსულიყვნენ, ეს ასეც მოხდა, ლაზები და ქართველები ფანატიკობით ყველა მუსულმანებს სჭარბობენ.

ოსმალთ იმეცადინეს და ლაზები სასტიკათ მოწყვიტეს სა-ქართველოს ნიადაგს, ქართველთ ერის ძალას, ქართულ ენას და ქართულ ანბანს, ქართულ ისტორიას, მწერლობას და სხვა ასე-თებს. ოსმალთა სასულიერო წოდებამ ლაზები თითქმის გაავე-ლურეს, ამას გარდა ლაზები დაარწმუნეს შემდეგს ყალბს ცნო-ბებით.

ლაზები და ჭანები ქართველების ნათესავები არ ხართ, თქვე-ნი ენა ლაზური ენა არის და არა ქართული, თქვენი წიგნი ქარ-თული არ არის. თქვენ ეხლა მუსულმანები ხართ, თქვენი სჯუ-ლი ისლამის არის, ამიტომ თქვენი წიგნი არაბული უნდა იყოს და თქვენ უნდა ისწავლოთ თქვენი სჯულის ენა — არაბული და არა ქართული, ქართველთ თქვენთან კავშირი არა აქვთ. თქვენ ლაზები ხართ და არა ქართველები.

ასეთის ქადაგებით ლაზებში აშოვარდა ქართული ენა, ქარ-თული მწიგნობრობა და მის მაგიერ გაერცელდა არაბული ანბანი და ოსმალური ენა, ეს დაეიწყება ისე წავიდა წინ, რომ 18 საუკ. ლაზისტანში ქართული ენის მცოდნე სანთლით საძებარი გახდა. დაეიწყებას თან ერთოდა ის გარემოებაც, რომ ისლამის სწავ-ლის თანახმად ხოჯები ქართული ენის და წიგნის მტრობასაც ნერგავდენ და ქადაგებდენ.

ქართული ენა იცოდნენ თითო-ოროლა ისეთ ლაზებმა, რომლებიც ხელოსნობის გამო იმერეთში გადადიოდნენ სამუშაოდ, სამცხე-სათაბაგოს და საქართველოს სხვა ადგილებში, ისეთებისაგან გაიღონ ებდით ლაზისტანში ქართულ ენას, თორებ შთელი ლაზისტანი რომ დაგევლოთ, ვერსად სიტყვას ვერ შეიტყობდით ქართულს.

საქმე ისე მოეწყო, რომ ფანატიკ მოლების და ხოჯების დაბარებით ქართული ენა კი არა, თეთი ლაზური ენაც მიეცა დევნას და დავიწყებას. ამის მაგალითია ის გარემოება, რომ ლაზისტანში, ბევრს ალაგას, ლაზებთ შორის ლაზური ენა დავიწყებულია, დაკარგული და მის მაგიერ ასმლებრის ენაზედ ლაპარაკობენ. მე-19 საუკუნის დამდეგიდან, მთელს ლაზისტანში ამ ენას შიშის ხანა დაუდგა. თუმც ლაზებმა ის კი იცოდნენ კარგად, რომ ჩეენ ქართელის ნათესავი ვართ და ჩეენი აშბანი არის ქართულიო.

ასეთი ცნობები მკვიდრად იყო დაცული ლაზელ ბეგებსა და აღებში ანუ თავალ-აზნაურში. ამიტომაც ლაზებში ბევრს დიდებულთ შორის, ქართული ანბანი 1840 წლებამდე თურმე კიდევ ისწავლებოდა. ამ ამის მაგილითი: 1860 წ. ალი ფაშა თავ-დაირიძემ ცოლად შეიჩოთ ლაზი თავადის შაინ-ოლლის ქალი დინდინ-ხანუმი. ეს ქალი სძლად ქობულეთში მოიყენეს, ამ დროს ამ ქალმა ქართული წერა-კითხვა იცოდა, რაც ლაზისტანში ესწავლა მას.

დიახ, ლაზელ ბეგებმა და აღებმა იცოდნენ ეს აშბები, რომ იგინი ქართველთ მონათესავენი არიან და მათი ანბანიც ქართული იყო, ხოლო უმრავლესობამ კი არ იცოდა ესა. ამ ბოლო ღროს კი, ანუ 1910 წლების შეიდეგ ლაზელ ბეგებსა და აღებში ძველ გარდმოოქმათა ცნობებს გაფრცელება დაუწყებია და ლაზებში ბევრი გაოცემულან იმ გარემოებით, რომ იგინი ქართველის ტომის ნათესავნი არიან, შეუგნიათ ისიც, რომ მათი ანბანი ქართულია და არა არაბული.

ამის შეგნებისათვი მათში ქადაგებაც დაწყებულა და მოკ-

ლე დროის განმავლობაში, ამ აზრის შეგნებას ბევრი პატივის მცემლებიც ჰყავს, რომელთაც ხმა-მალლა ულიარებიათ, რომ ჩეენ ქართველთ ნათესავები ვართ და ჩეენი ენის ანბანიც ქართული ანბანი არისო.. ასეთის ქადაგებით ბევრი აღუროთოვანებულია. ბოლოს აი რა მომხდარა:

ლაშისტანის ხოფას იქით, ამავ ქალაქის მაზრის მცხოვრებთ შორის გავრცელებულა ის აზრები, რომ ჩეენი ენა და წიგნი ქართული არისო. ამიტომაც სოფ. აბისლიარში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა შეუდგენიათ მინისტერთან და უთხოვნიათ ნებართვა მის შესახებ, რომ ჩეენ ნება მოგვეცეს, რომ ჩეენს სკოლებში ჩეინი ენის გურჯული, ქართული წიგნი ვასწავლოთ ჩეენ შვილებსაო.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაში აბდულა აშიუ ჰასან-ოლლი, მინისტრებს თხოვნა დიდის პატივისცემით მიუღიათ, ნებართვაც მალე მაუციათ და ლაშებში ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები უნდა მიეხმოთ და ქართულის სწავლება უნდა დაიწყოთ, მაგრამ ამ გარემოებას თმიანობამ შეუშალა ხელიო, საქმე დარჩა ასეო, ომის შემდეგ კი საქმეს დაიწყებენო.

ასეთი ამბები გადმოგვეცეს ლაშისტანიდან ჩამოსულ ლაშებმა და თან მათს სიხარულს საზღვარი არ აქვნდა. მაღლობას უძლენიდენ ღმერთს, რომ ჩეენ ძლივს მიეხვდით ჩეენს ვალიო.

ზემო ქართლის ადგილების ჩამოჭრა.

გაზეთებს ცხობები მოაქვთ, რომ უმაღლესი მთაერობა თანახმა არის, რომ ზემო ქართლის, ანუ მთელ სამცხე-საათაბაგოს ახალციხის, (მესხეთი). ახალქალაქის (ჯავახეთი) და ბორჩალოს (სამშვილდე) მაზრები ჩამოსჭრის ქვემო ქართლს, ანუ ტფ. გუბერნიას და იგი ერევნის გუბერნიას მიაწეროსო.

შეიძლება, მთაერობამ ამას ქვეყნის სიკეთისთვის სჩადის, იქნება ეს კუთხეები ერევანზე უფრო ახლო საევს, ვინემც ტფილისის გუბერნიაზე, იქნება ამით მცხოვრებთ უფრო შეღაუთი მიეცემათ, გუბერნიის ქალაქში ადვილად შეეძლებათ მი-

სულა და შთავრობასთაშ თაეიანთ ჭირ-გარამზე ჩიეილი, ანუ
შოხსენება.

შეიძლება ეს ასე იყოს, ამიტომ ამის არც ჩვენ გახლა-
ვართ წინააღმდეგნი, მაგრამ საქმე აქ, რაში გახლავთ, რასაც
ჩვენმა მთავრობამაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება

პირეელი: თუ ერევნის სიახლოევ არის მხედველობაში,
მაშინ ბათუმის კუთხე უფრო ახლო სძევს მესხეთ-ჯავახეთზე,
ვინემ ერევანი. ახალციხიდამ ბათუმამდის სამხედრო გზატკეცი-
ლიც გახლავსთ გაყვანილი, ახალციხიდამ ბათუმამდე სულ 170
ეკრისი გზა არის. ახალქალაქის მაზრაც ხომ ახალციხეზ ზედ
არის მიკრული. აქედამ მცხოვრებიც მუდამდღე ხშირად დაი-
რებიან ბათუმში, საქონელსაც კი ზიდავენ გასასყიდათ, ერე-
ვანში კი აქედამ წელიწადში ერთი კაციც არ წავა საქმეზე, ან
სავაჭროდ, რადგანაც ერევანი ამ კუთხეებზე კარგა შორს არის.

მეორე: ამ კუთხის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანები
თავს გურჯად სცნობენ: თაეიანთი ქვეყანაც გურჯისტანად მი-
აჩნიათ. გურჯისტანს ეხლა ესენი ცხარეს თვალით უმზერენ,
ამიტომ ამათოვის ძნელი დასათმობი იქმნება ამ კუთხის ერე-
ვანზე მიკერება. ამას გარდა, ეს გარემოება არც ქართველ მარ-
თლმადიდებელისთვის იქმნება საჭირო, იგი მათ დიდ ზარალს
მიაყენებს, არც კათოლიკებისათვის და არც არა სხვა ტომთა-
თვის, ვინაიდგან ერევანი გაცილებით უფრო შორს არის ამათ-
ზე ვიდრე ტფილისი და ნამეტურ ბათუმი.

მესამე: მთელი მესხეთ-ჯავახეთის ქართველნი არიან სუ-
ნის სჯულის მაღიარებელნი, ამ კუთხეებში შეას სჯულის მუ-
სულმანები სულ არ სცხოვრებენ. სჯულის გამო მთელი ამ
ერის საქმეები მიკერებულია ბათუმის სუნის მუფთის გამგეობა-
ზე და მის მერე კონსტანტინეპოლის შეისულ ისლამზე. მთელი
ამ ერის სარწმუნოებრივ გამგეობის სამმართველონი აქეთ არ-
სებობნენ და ამიტომ უნდა ეიქონიოთ მხედველობაში, რომ
ეს გარემოება მცხოვრებთათვის ძრიელ სამძიმო იქნება. ამას
გარეშე ახალციხე-ახალქალაქთათვის დრდად საჯავრელიცა,

რადგანაც მათ სჯულის საქმის ერთობის ძაფი გაუწყდება ჰე-
შოდ დასახელებულ უმაღლეს სასულიერო გამგეობასთან. გარ-
და ამისა, სუნის მექონ ქართველ მაჭმაღიანებს საკმარისად
სტულთ შეას სჯულის მექონი მუსულმანები, ამიტომ არც
ამით იქნებიან იგინი კმაყოფილნი. მისელა-მოსელის და საქ-
შეების ხარჯი მათ გააღატაკებს. ეს მათი სიმძულვარე მე დანა-
მდვილებით ვიცი და სისწორით, რადგანაც მათში მიცხოვრია
და მასზე ხშირად მქონია საუბარი. მეოთხე: ხშირად ყოფილა
ხოლმე, რომ მესხეთ-ჯავახეთი და მასთან მთელი სამშეილდე
ერევნითურთ ოსმალთ, ან სპარსელთ სჭერიათ, მაგრამ მათ
არას დროს არ მოუხდენიათ ესეთი განკარგულება და ქვემო
ქართლისათვის. არას დროს არ მოუცილებიათ, ყოველთუის
მესხეთ-ჯავახეთი ბათუმზე ყოფილა მიწერილი და სამშეილდე
კი, ისიც მთლად არა, როგორც მაგალითად, ჩილდირის ხეობა
და სხვა კუთხენი კი არდაგანზე (არტაანი) ყოფილი ხოლმე მიწე-
ბებული. ასე რომ ერევანთან ამ კუთხეებს არას დროს არავი-
თარი დაახლოება არ ჰქონიათ. ესითი გარემოება ოსმალ-სპარ-
სთაც კარად იცოდნენ. ამიტომ იგინი ასეთ საქმეებს სულ ინ
ახერხებდნენ.

ბორჩალოს მაზრაზედ, შაშინ თუ ერევნის სიახლოევა. გამ-
ხდარი, რასაც თეით კავკასიის ოფიციალური რუკაც გვიჩვე-
ნებს, არტაანი (არდაგანი) უფრო ახლო არის არამც თუ მარ-
ტოდ სამშეილდე და ჯავახეთზე, არამედ ახალციხის მაზრაზე-
დაც. არტაანიც ხომ ზემო ქართლად ითვლება და იგი ყარსის
ნაწილი გახლავთ. თეით აჭარლები, ლიგანელნი და სხვა მაჭმა-
ღიანებიც ხომ შავშეთის გზით არტაანს (არდაგანი) და ყარს
მუდამ დაიარებიან, თან აუარებელი ხილი, თუთუნი და ხის
ჭრუჭელი გაქვსთ და ჰყილიან. ამითი მგხაერები ამ გზებზე
მთელ დღეობით დაიარებიან.

მეხუთე: ყოველივე ამის გარეშე, უნდა მოვიხსენოთ შემ-
დგი გარემოება, რაც არ არის უმნიშვნელო და იურიდიული
სიმძლავეებს მოკლებული: მეფე გიორგის მიერ რუსეთის იმპე-

რატორ პაცლესთან ხელშეკრულობის ტრაქტატის მეხუთე მუხ-
ლიც მოწმობს ცხადათ, რომ საქართველო ნეტარ ხსენებულის
პავლე იმპერატორის, თუ მათის შეილის და შეილის-შეელე-
ბის ხელშიც საქართველო უნდ დაშთეს თავის მთლიანის საზღ-
ურებით და მას არაფერი არ უნდა გამოაკლდეს, აი, თვით ნამ-
დეილი სიტყვებ ტრაქტატისა, რაც მოთავსებული არის „მეფე
გიორგის ცხოვებაში“ „და ესრედ მჩავალნი ადგილნი მდება-
რენი საზღვართა ზედა მთის ერისა, საპირეთისა, თურქთა და
სხვათასა, რომელნიც არიან მჰერობელბისა მეფის ძეთა, თავად-
თა და აზნაურთა და სამღედელოთა ერთასა გვეჩვენების ჩეენ
დაცვისთვის სახემწიფოსათა უშიშრობა შინა უმჯობესად, რა-
თა ესე ვითარნი ადგილნი მათგან გამორთმეულ იქმნენ“. ტრაქ-
ტი გვეუბნება, რომ არამც თუ დაცულ იქმნეს საქართველოს
ის ადგილები რომელნიც დღეს ქართველ მეფეთა საკუთარ სა-
ბძანებელს შეადგენსო, არამედ ოსმალ-სპარსო უნდა ჩამოერთ-
ვათ ის ადგილებიც, რომელნიც მათ ოდესე ქართველებისათ-
ების წაურთმევიათო. ეს ადგილებიც შეერთებულ უნდა იქმნეს
საქართველოსთანაო. აქ თუ კერძო პირებს ადგილები სადმე,
აქვსთ იგი ადგილებიც შესყიდულ უნდა იქმნას, ან ნაცელად
სხვა ადგილები უნდა მიეცეთ მათაო.

ამ პირობებს წმინდად იცავდნენ აქამდე რუსეთის ხელმწი-
ფენი და იმედია, რომ ეს დღეის შემდეგაც ასევე იქმნება და-
ცული, რაგანაც ჩეენ არა ერთხელ დაგვიმტკიცებია მათს წინა-
შე ჩეენი ერთგულება თეით სისხლის ლერითაც. დავსძენთ კე-
ლათ აქ შემდეგს.

მთელ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაპმაღიანთ ბეგებს და
აღებს სახლმწიფო. სათათბიროში თხოვნა აქეთ მიცემული,
რომ მათში ძეელ ქართველ თავად-აზნაურებს, რომელთაც
ფამთა ვითარების წყალობით ეს წოდება დაუკარგავთ, დღეს
მათ სხვა და სხვა ისტორიულის გამოძიებით მთავრობამ აღუ-
დგინოსთ მათ ძეელი წოდებრივი უფლებანი და თუ მათთვის
ცალკე არა, მაშინ იგინი მიწერილ იქმნენ ქართლ-კახეთის თა-
ვად-აზნაურთა საკრებულოზე, ან იმერეთის საკრებულოზე. ეს
კითხვები შარშან ნოემბერში უნდა გაერჩიად, მაგრამ დღემდე

არ გაუჩიევიათ, რადგანაც ცნობები არ ჰქონიად საკმაოდ შეკრებილი.

ყველა ასეთ დამაბრკოლებელ ცნობების შემდეგ ჩეცნ უხერხულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ზემო მოხსენებული კუთხენი თავის ნაწილს მოშორდეს და რაღაც მოსაზრებით სხდას დაუკავშირდეს. ამით მცხოვრიებთ დიდი ზარალი მოუვათ, ეს არც მთავრობისთვის იქმნება კარგი. თუ არა და ახალციხე, ახალქილაქი ბათომზე იქმნეს მიკერებული, რაშიაც ეს კუთხე ბათომზე უფრო ბევრად ახლოა ვინმე ერევანი და სამშებლდე, ანუ ბორჩალოს მაზრა არღავან-ყარსჩე. რადგანაც ბორჩალოს მაზრა ყარსჩე უფრო ახლოს სძევს.

ლოქსი დერვიშ ფაშაზე.

ეს ფაშა იურ დაუძინებელ მტერი ქართველ მაჭმალანების
ქართველებიდან, როგორც ფანატიკები მის პოლიტიკას არ იცნობდენ.

მოწყალევ ბევრი გვიცოცხლე
დევრიშ ფაშა ხეანთქრის ხელში.

ქობულეთში ყხუბი რომ ქნა

აქ დეყარა მტრისა ლეში.

ზოგად მტერსა თავი მოსჭრა,

ზოგი გმდაყარა ლრეშ

მისი ქება და დიდება

იწერება გაზეთებში,



კარდაცვალებულ ჰასან ეფენდი ციციმვდლის შესახებ.

ზედა-აჭარიდამ სამწუხარო ამბავი მოგვიდა. ზედა-აჭარის ლაბა ქედაში მცხოვრები, ქართველ-მაჭადიანთა შორის პატივ-ცემულ აბდულ ბევ ბევანის ძე გვწერს, რომ თებერელის 16-ს გარდაიცვალა, ოთხის დღის აეადმყოფობით, ერთი პატიოსანი ახალგაზდა კაცი ჰასან ეფენდი ციციმვდლით.

ჰასან ეფენდი ციციმვდლი შთამომავალი იყო იმ დიმიტ-რი ციციმვდლისა, რომელიც 1765 წ., მეფე ერეკლეს წინაა-ლშდევ შეთქმაში მონაწილეობას იღებდა. დიმიტრი დასაჯეს მით, რომ ენა მოსჭრეს და განდევნეს საქართველოდამ. დიმიტ-რი აჭარაში დაბინაედა და 1778 წ. მიიღო მაჭადის სარწმუ-ნოება. შეირთო ცოლი, რომლისაგანაც მიეცა ჰასან ეფენ-დი ციციმვდლისა.

აწ განსვენებული ჰასან- ეფენდი ციციმვდლი 25 წ. ყმაწ-ვილი კაცი იყო, ტრაპიზონის თათრის სკოლაში გაზრდილი, ქართული წერა-კითხვა ამ ოთხის წლის წინად ესწავლა, აჭა-რაში მცხორებ ქართველ-მაჭადიანთ დევრიშებევის დედისაგან; ეს მოხუცებული ქალი დღესაც ასწავლის ქართულს წერა-კით-ხვას მაჭადიანთ ბაეშეებსა.

შარშან ჩემი გაცნობა და აჭარაში მისვლა განსვენებულს ძლიერ ესიამოვნა. ესიამოვნა მით უფრო, რომ გაეგო, ქარ-თული წიგნები მქონდა თანა. ბათუმიდამ ქედამდის წამომყვა-და გზაში ბევრი რამ საინტერესო ამბები მიამბო ქართველ-მაჭა-დიანთ შესახებ. ჰასან ეფენდი მსახურობდა აჭარის ასისთავის დასში-ამ ყმაწვილში წიგნების გავრცელებაშა დიდ დახმარება აღმომი-ჩინა. სულ იმას ნატრობდა. ეგები ჩეენს დაცემულს მხარესაც

ეშველოს რამე და ჩეენშიაც სწავლა-განათლება შემოეიდისო. ჩეენმოძმეთა — ქართველების იმედი გვაქსო, თორემ სხვა კინ ას გვიშველისო, სულ ამის ფიქრში იყო, ღმერთო, გვიშველე და სწავლა-განათლების გზაზე დაგვაყენეთ. განსვენებულს ძლიერ ქარგათ ჰქონდა შეგნებული საქართველოს თავ-გადა-სავალი, იცოდა ისტორია და ძეელი ამბავი ჩეენის ქეყუნისა. იცოდა აგრეთვე, რომ გვარით ქართველი იყო, ხოლო სარწ-მუნოება ჰქონდა მაჰმადისა, როგორც იმას, ისე სხვა მის თა-ნამემამულეებს, აჭარ-ქობულელებს. ჰასან ეფენდის ძრიელ ეწ-ყინებოდა ხოლმე, რომ ეთქვათ: „თათარი ხარო“ „მე თათარი რაში ვიქნები, რჯულით მაჰმადიანი ეარდა ტომით ქართვე-ლიო“ იტყოდა ხოლმე.

ქართულ წიგნების კათხვაში იმდენი იმეცადინა, რომ ამ ხუთისთვეის წინად იქიდამ პატარა-პატარა ცნობების მოწე-რაც დაიწყო გაზეთისათვეის. მისი ამბები „ივერია“. ში იბეჭდე-ბოდა. დიდის სიამოვნებით მოიწერა, მაგალითად; რომ აჭარა-ში აბდულ ბეგ ბექანის ძემ მასწავლებელი მოიყვანა და წიგ-ნები გვეკირია. წიგნები მაშინათვე გაეგზავნათ აქედამ. შემდევ იწერებოდა, ქართულ წიგნებისა და ქართულ წერა-კითხეის სა-კმე რა მდგომარეობაშია დღეს აქეთაო. ჯერ-ჯერობით ბევრს დაჰქევენო, ბევრიც ისე დაიკარგებაო, მაგრამა არა უშავსრა. ვიდ-რე გაიგებენ რასმე, ასე იქმნებაო. გეოთოვდა, წელსაც ამოდით და ამოგეიტანეთ სხვა-და-სხვა წიგნებიო. ძრიელ ბევრმა ისწავ-ლა წერა-კითხეა, მასთან შეგნებაც კარგი, უფრო ბევრი ისწავ-ლის, თუ ხელს შეგვიწყობთო. საუბედუროდ, ეელარას მოესწ-რო, აღარ დასკალდა და ასე უცბად, ასე მალე გამოესალმა წუთი-სოფელს ეს მიხდენილი, საკეირეელი თეალ-ტანადი, სი-ცოცხლით სავსე ყმაწეილი კაცი. შარშან განსვენებული სახლშიში ჩამოეიდა. ბ-ნ ანტონ ფერცელაძემ გაიცნო და სახლშიში ჩამოეიდა. მიიწვია იმ დღესვე მიწვეულნი იყვნენ სევნებული სადილად მიიწვია იმ დღესვე მიწვეულნი იყვნენ სადილად რამდენიმე ნასწავლი კაცი. დამსწრენი გაჰკვირ-დნენ ამ ყმაწეილს ვონიერებითა და სიდინჯით. მშეენიერად

ეჭირა თავი და მშეენიერის გურულის კილოთი ლაპარაკობდა დარბაისლურად. რაკ აქამდე მოვალწიეთო, სოქვა მან სხვათა შორის და ჩვენი დედა-ენა არ დავკარგეთ, ეხლა ნურაფრის ფიქრი ნუ გაქვთ, ახლა ადვილათ შევერთდებით სულითა და გულითაო. ბევრი რამ საინტერესო უამბო დამსწრეთ. ბ-ნ ან ფურცელაძემ უთავაზა თავისი თხზულება „ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად“. განსეენებულს დიდად ენატრებოდა აქა-ურ ციციშვილების გაცნობა. ჰასან ეფენდის სიკედილით მოისპო საქართველოში მაჰმადიან ციციშვილების გვარი. ციციშვილები „მუჰაჯარათ“ არიან მხოლოდ ქვეით წასულნი. განსეენებულიც ოსმალეთში გაიჩარდა. იქიდამ ეს ყმაწლი თავის მშობლით აჭარაში გადმოიყენა აბდულ-ბეგ ბევანიძეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება ასე უდროვოდ გარდაცვალებულისა და თავის ქვეუნის დიდად მოსიყვარულე ყმაწეილის კაცისა.

ისმაილ გულო აღა კაიკაცის მეტილი.

სწავლობდა თფილისის სათავად-აზნაურო გემნაზიაში. მე-რე ოდესის უნივერსიტეტში წაეიდა.. ოდესაში, მეორე კურს-ზედ, ფილტვების ანთებით გადაიცვალა. ამ გარემოებამ დიდათ დაულონა მთელი ქართველობა, რაღანაც ისმაილი დიდათ გონიერი კაცი გახლდათ ამისი ამხანაგი რეჯებ დედი აღისძე ნიერაძე.

ქართველები ახალგაზდა ოსმალთა პარტიაში.

„საქართველო“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ოსმალეთიდან. სხვათა შორის კორესპონდენცი სწერს:

„რა თქმა უნდა, ქართველებს მეტად აინტერესებს აქაური ქართველ მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრება. სიამოვნებით და სიამაყით გეტუვით. რომ სტამბოლის ქართველობა დიალაც საქებურია და უეჭველია, ამ ცოტახანში დიდ მნიშვნელოვან ძალად შეიქნება. ახალგაზდა თურქების პარტიებში უმთავრესი აღგილები სულ ქართველებს უჭირავთ და ხალხიც დიდის ნდობით ეპურობა მათ. ჯერ-ხანად პარტიის ლიდერებში ჩამოგითვლით შემდეგ პირთ: საგენერალო შტაბის აფიცერი 28 წლის ყმაწეილი უსუბ-ბეი ლორთქიფანიძე (ბათუმელია). ის იყო პირველი, როგორმაც სალონიკში თავისი ბატალიონი თავისუფლებას შეაფიცა. საუცხოვოდ განათლებულია, განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში და მაღა სამხედრო აკადემიის პროფესორად დაინიშნება. მისი ძმა, საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი „ითიადის“ ლიდერი თვით შტაბის აფიცერთა შორის. საგენერალო შტაბის აფიცერები, პოლკოვნიკები აქმედ და მაჰმად ბეგები თავდგირიძენი (ქობულეთელები) პარტიის ბურჯად ითვლებიან. ახმედ ბეგი ამ ათის წლის წინად „ახალ თურქთა“ პარტიის მიმხრობისათვის როდისში დატყვევეს, მაგრამ მაღა გაიქცა პარიზში და იქ პარტიის გაზეთ „მეშვეობეთ“-ში მუშაობდა,

კან ხწერა ქართველ მაჭიადიანთა შესახებ?

ისტორიულს პლატონ იოსელიანმა—პირველად რამდე-
რიმე სატყვეით მოიხსენია თურქთაგან პირობილი ქართველნი
და მათი გაჰმაპმადიანების ცნობები სხვა და სხვა ნაწერებში.

ისტორიულს დიმიტრი ბაქრაძემ—ორჯელ იმგზაერა ქარ-
თველ მაჰმადიანებში. პირველი ამისი წიგნი იყო რუსულს ენა-
ზე დაბეჭდილი პეტროვერადის სამეცნიერო აკადემიისაგან, „არქ-
ოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომელიც ის-
ტორიულს აკად. მარი ბროსეს უძღვნა. პირველად იმოგზაუ-
რა იმ დროს, როცა ხსენებული კუთხე ისევ თსმალთ ეპყრათ.
მეორეთ, 1879 წ. თავის „მოგზაურობა“ თბილისში წაიკითხა.

გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზგეგმა—მთავრობის მონდობი-
ლობით იმგზაერა იმ დროს, როტა ხსენებული კუთხე ისევ
თსმალთ ეპყრათ. მან დასწერა თვისი მოგზაერობა, სახელდობრ
„სამი თვე თსმალეთის საქართველოში“, რომელ წიგნიც დღე-
საც სამაგალითო წიგნათ ითვლება. მეორე ამისი შჩომაა ვრ-
ცელი სამხედრო შიმოხილვა „ლაზისტანის სანჯაყი“. მეტად
იშეიათია დღეს ეს წიგნი. გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას მე-
ტრად საინტერესო ისტორია აქვს, თვით ქართველ მაჰმადიანე-
ბიც ბევრს ამბებს მოგეითხოვდენ. გ. ყაზბეგი პირველად გური-
ის მთავარის გრიგოლ დავითისძის გურიელის ამილაში იყი, როგ-
ორცმასახური. ყოველ ცნობებს თურმე საიდუმლოდ სწერდა.

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძემ დასწერა თავისი მოგზა-
ურობა საქართველოდამ ევროპაში სახელდობრ „სხვათა შო-

რის”, რომელიც მოთავსებულია 1873 წ. ფურ. „კრებულში” ერთ თაეში ბ. ნ. ნიკოლაძე ოსმალეთის საქართველო და ქართველ მაჰმადიანებს აღვეიწერს ლაშისტანითურთ.

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილმა—გადმოიღო გ. ყაზბეგის წერილები, რაც იძეჭდებოდა 1878 წ. გაზ. „იურია”—ში.

სერგი სეიმონის ძე მესხს დიდი შრომა და ამაგი მიუძლის. 1877 წლებიდამ, ომიანობის დროს, ქართველ მაჰმადიანებში ოჩჯელ იმგზაურა და მათზე ბეჭრიც სწერა.

ივანე მეუნარეგიამ სამისიონერო საზ—ას დავალებით იმოგზაურა სამუსულმანო საქართველოში. თეისი მოგზაურობა გადასცა სამისიონერო საზოგადოებას.

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე—სწერდა გაზეთ „იურია”—ში ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების შესახებ და აზტკიცებდა, რომ იგინი ძმები არიან და საჭიროა დავეხმაროთ.

გ. წერეთელი—გაზ. „დროებაში”.

ვ. გუნია—დიდათ ხელს უწყობდა მათ დაახლოებას.

აკაკი—დიდ უყურადღებას აქცევდა ქართველ მაჰმადიანებს და როცა „კრებული”—ს გამოცემა დაწყო, ამ კურნალში მათ შესახებ ათავსებდა სხვა და სხვა წერილებს. ქობულეთიდან დეკუტაცია ეწერია აკაკის, სოხოვეს მოგზაურობა მთელ სამუსულმანო საქართველოში, პოეტი ფიქრობდა კიდევ მოგზაურობას, მაგრამ ეს აღარ დასცალდა.

თელო სახოკიამ იმოგზაურა გურია-აჭარაში, აღწერა და ფურ. „მოამბე”—ში მოათავსა.

ეინმე მესხმა (ივანე გვარამაძემ) — სწერა სხვა და სხვა ისტორიულ წიგნებში.

ნიკ. ცხვედაძე გულმხურეალედ ადევნებდა თეალურის ქართ. მაჰმადიანთ ძეთა სწავ.-განათლების საქმეს, ამის მეტადინებით 1880 წ. მუხრან-ბატონმა ორი სტიპენდია გაუჩინა გულოა და კაიკაცის შეილის შეილს ისმაილს და დედი ალა ნიქარაძეს შეილს რეჯებას.

იაკობ სეიმონის ძე გოგებაშვილი—ხშირად სწერდა ქართიკავი სეიმონის ძე გოგებაშვილი—ხშირად სწერდა ქართ-

ელ მაჰმადიანთა შესახებ სხვა და სხვა ქართულ გაზეთებში.

ნიკოლოზ მარჩმა, აკადემიკოსმა, — იმოგზაურა მთელს ოსმალეთის საქართველოში, შეკრიბა სხვა და სხვა ცნობები, აღწერა ზავისი მოგზაურობა, რაც ცალკეა დაბეჭდილი და საყურადღებო განძია ჩეენს მწერლობაში ქართველ მაჰმადიანთა შესახებ.

ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე მესხეთ-ჯავახეთში მსახურებდა მომრიგებელ-შუამაელად (1899—1904 წ.) იქ მსახურობის დროს გაეცნო ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას და მალე მათ შესახებ ქართულ გაზეთებში კარგი წერილები მოათავსა. უკანასკნელ დროს ცალკე წიგნად გამოვიდა (1914 წ.) მისივე წიგნი „დიდებული მესხეთი“, რითაც დამწერი დიდს საყურადღებო ცნობებს იძლევა ხსენებულ ხალხისას.

ილია ფერაძე — სწერს სხვა და სხვა წერილებს, ერთი აშის მოთხრობა „ელენე“, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებიდან ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1901 წ. მანვე დასწერა პოემა: „მე და ქართველი მაჰმადიანი“ („განათლება“ № 4, 1915 წ.)

ს. ფირცხალავა ხშირიდ სწერდა და სწერს კიდევ წერილებს ქართველ მაჰმადიანთ შესახებ, ლექციების კითხვა დაიწყეო „სამაჰმადიანო საქართველოში“.

ქართველ მაჰმადიანთაგან ქართულ გაზეთებში სწერდენ:

გულო ალა კაიკაცისშეიღო — ჯერ ბათომი ისმალეთის ხელში იყო, რომ 1875 წ. გაზ. „დროება“. ში ბეჭდავდა წერილებს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე — ოსმალოს მთავრობის დროს ვე დიდი გულშემატკიცარი და მცოდნე იყო ქართულ წერა-კითხებს, შეერთების დღიდან იგი პატარ-პატარი წერილებს სწერდა გაზ. „დროება“-ში და მცს მერე „იზერია“-ში. მეც ბეჭრს მეხმარებოდა წიგნების გავრცელების საქმეში.

მემედ ბეგ აბაშიძე — განათლებულ ქართველი მაჰმადიანი, პირეელ დაწყებითი სწავლა ბათომის ქართველების სკოლაში მიიღო, სხვათა შორის სთარგმნა ოსმალურის ენიდამ პიესა

„სამშობლო“ (დაიბეჭდა „მოამბე“-ში). ნათარები შევს სხვა
პირებიც.

ჰაიდარ ბეგ აბაშიძე—განათლებული ქართველი მაკმადიანი,
ანი, პირველად წერა დაიწყო „ბათუმის გაზეთში“ დღეს სხვა
და სხვა ქართულ გაზეთებში მწერლობს. მასწავლებელია.

არიან სხვა ქართ. მაკმადიანთ მწერლებიც.

ქართველ მაკმადიანთ ქევინებში უცხო ქვეყნისა და ტო-
მის სწავლულნიც მოგზაურობდნენ და აღწერდნენ მათ ქვეყ-
ნებს. ასეთნი არიან დიუბო დე-მომპრე, სენ მარტენი, რეკლიუ,
ლიოზენი და სხვანი.

ედუირდ კარლოს ძე ლიოზენი, შვეიცარიელი მსწავლული,
თბილისის კლასიკურ გიმნაზიის ფრანგულ ენის მასწავლებელი.
რამდენჯერმე იმოგზაურა ოსმალეთის საქართველოში, აღწერა
იგი დაწერილებით, გადაიღო მრავლად სხვა და სხვა სურათე-
ბი და მათი მდიდარი კოლექცია შეადგინა. ცალკე წიგნად
დასტამბა რუსეთის ლაზისტანის აღწერა, რაც პირველ სამაგა-
ლითო საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩერენს მწერლობაში. ლიოზენს
ქართველ მაკმადიანთ შესახებ ბერი სხვა რამ ნაწერებიც აქვს
დასაბეჭდად მომზადებული.

რუსთავან იმგზაურეს გრაფმა უვაროვმა, მერე მისმა შე-
ულლემ, ზაგურსკიმ, ვეინდენბაუმმა და სხ. უველა ესენი ქარ-
თველ მაკმადიანებს ქართველებად მოიხსენებდენ.

მე მოგზაურობა დაერწყე 1889 წ. და წერილებს ვათ-
ვსებდი გაზეთებში.

ქართველ მაკმადიანთა შესახებ მე დაებეჭდე:

- 1) მოკლე ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი,
- 2) ქართველ მაკმადიანთ მუჟავირი გადასახლება და 3) ქართველ მაკ-
მადიანთ სოფლები საქართველოში და ქართველების გათაორება.

დაუბეჭდავნი მაქვს ოცამდე სხვა წიგნი.

რომელი გაჩ. უფრო ეხებოდა ამათ ცხოვრებას? „ბათუმის
გაზეთი“ პირველ ნომრიდანვე შეეხო აჭარელთ ცხოვრებას და
მის შესახებაც აქ ხშირად იბეჭდებოდა წერილები რედაქტორებ.

ს. კელიძესა და ისევე ამ გაზეთმა ბევრს ქართველ მაჰმადიანს შეასწავლა წერა-კითხვა, შეაუფარა გაზეთის კითხვა და ზოგმა წერაც დაიწყო ამ გაზეთში. ამ გაზეთში მარტო ჩემი წერილების დაიბეჭდა 100-ზე მეტი სამი წლის განმავლობაში ფელეტონებად, რასაც ქართველი მაჰმადიანები დიდის ხალისით კითხულობდენ თურმე.

ქობულეთური ლექსი

თქმული სევი ზოიძის შიერ
(ნათქვამი სულეიმან ბეგ ბექანიძის მიერ)

სსფი ზოიძეს 9 ვაეთ შეილი ჰყვანდა, ქობულეთის ბრძოლაშ, უველა შეილები დარხოცეს, დარჩა მარტოთ მოხუცი სუფი ზოიძე. მაშინ უთქვამს ეს ლექსი.

როდესაც ეიყავ ვაფკაცი,
დაუკრითვ ია და ვარდები;
რაც შემესია ქორულებრ უყავ ნავარდი
თავს ვეცი მოლოს გავარდი,
უყურებ ცუდსა სოფელსა,
ბოლოს ეამს როგორ დავარდი.

ქართველ მაჭიმადიანებს რათა სმულო და ეჯაფრებათ სიტყვა «ქართველი და საქართველო».

ბევრისთვის წარმოუდგენია ის გარემოება, თუ ქართველ მაჭიმადიანებს რათა სრული ასე სიტყვა „ქართველი და საქართველო“ და სხვაც ასეთი.

ამ გარემოებას თავის მკაცრი ისტორია აქვს. იგა მეტათ ძეველი დროის ნარჩენი არის და მეტათ მკაცრი ისტორიაც აქვს და მასთან საინტერესოც. ამიტომ აქ ამის შესახებ მოკლეთ მოვიყენოთ ცნობებს მათ შესახებ, უინც ქართველ მაჭიმადიანებს შეაძლო სიტყვა ქართველი და საქართველო.

მაჭიმადის შემდეგ, მუსულმანებში ხშარათ გამოდიოდნენ სხვა და სხვა იმამები, რომელნიც მაჭიმადის სწავლას თვისის სწავლით უფრო ფანატიკურ მიმართელებას აძლევდნენ. და ყოველივე მაჭიმადის სწავლას ერთი ათად აორკეცებდნენ.

მუსულმანებში, მაჭიმადის შემდეგ, გამოსულან ოთხნი ძმანი იშამები, რომელთაც მაჭიმადის სწავლა კარგათ სკოდნიათ, ამათ მაჭიმადის სწავლისათვის თვისი მოძღვრებაც მიუმატებიათ და მუსულმანთათვეს საკუთარი ისლამის სექტა შეუდგენაათ, რითაც მათ ისეთაც ფანატიკი მუსულმანები უფრო გაუფანატიკებიათ იმამი ფაში. ეს იყო პირველი წმიდა იმამი, ამას ჰყოლია სამიც სხვა ძმები. ეს ყოფილი პირველი ძმა, ისლამის სწავლაც კარგათ სკოდნია, ამას თავის მცნების თანხმათ შეუდგენია ისლამის სჯულის სექტა. რაც მაჭიმადის სწავლაზედ გაცილებით უფრო ფანატიკური ყოფილა. ეს სექტა კავკასიაშიც გადმოუტანიათ, იგი დღის პატივის ცემით მოულიათ შირვანელ ლეკის

და სხვა ამათ მოსამზღერე სხვა და სხვა ისლამის მექონ თათარებს.

იმამი ემბელი. შაფის მეორე ძმა. ყურანის კარგა მცოდნე. ამან დაარსა მეორე სექტა მაჰმადის სწავლის თანხმათ, რაც შაფის სექტაზედ უფრო ფანატიკურია, ეს სექტა მან გავრცელა ბუხარას და ავლანისტანს.

იმამი მალიქი. მესამე ძმა, ანუ მიმდევარი შაფის და ემბელის სექტის და სწავლის. ამანაც დაარსა თავის სწავლის სექტა, რაც უფრო ფანატიკური იყო და უარესი წინა გმირის სექტების, ამის სექტა გავრცელებულ იქმნა არაბეთში და არაბეთის მოსამზღერე მუსლმანებში.

იმამი ჰამზი. მეოთხე ძმა იმამისა. ეს ყოფილა უფრო მახვილ გონიერი და კარგათ მცოდნე ისლამისა. ამას დაუარსებია თავის სწავლის სექტა. ეს სექტა ყოფილა მეტათ უკეთურის მიმართელების და მოძულე ქრისტიან ერის, სწორეთ ეს ფანატიკური სექტა შემოუტანიათ და გაუვრცელებიათ ქართველ მაჰმადიანებში, ისლამთან ერთათ ამ სექტარაც აღიარებენ.

სწორეთ ამ სექტის სწავლა გახდა საქართველოს და ქართველი ერის შხამათ, სწორეთ ამ სექტამ შეაძულა სიტყვა ქართველი და საქართველო ქართველ მაჰმადიანებს. ქართველები ფანატიკოსებით გადაქარბებულნი არიან სხვა მაჰმადიანებზედ. ამათი შედარებაც კი არ შეიძლება. ქართველი ყველას სჭარბობს ფანატიკობით და ფანატიკობა მერე სხვა იმამებს უვრცელებიათ ქართველებში, ამიტომ უფრო სძულო მათ საქართველო და ქართველობა.

(აჭარაში დარჩენილი)

ქალების შესახებ.

შუპარჩელი ჰკითხეს: — „ქალი მუსულმინია თუ არა?“
პასუხი მისი:

ერთი მუსულმანი კაცისთვის ერთი ქალია საჭირო.
სამი თვეის შემდეგ კიდევ ჰკითხეს:

ქალი მუსულმანია თუ არა?

პასუხი: — „ერთი მუსულმანისთვის ერთი ქალია საჭირო“
მესამეთ ჰკითხეს: ქალი მუსულმანია თუ არა? პასუხი მისი:

— „ქალი მუსულმანია, ერთი მუსულმანი კაცისთვის ერ-
თი ქალია საჭირო,“ ქალი თუ თავს 40 დღის განმავლობაში
კარგათ შეინახავს, ის წმინდანი გახდება, კაცი კი აშას 40
წლის შემდეგ მიაღწიევსო.

აჭარაში დარჩენილი თქმულებანი

ლაზე სთქვა: — „ფული სულის ნაფოტია. აჭარის სოფ.
სალორეთელ ქალს უთქვაშს შემდეგი:

ეინ ბერი და ეინ ზორიში, ეინ სიზმეთ ქარი და ეინ ზილ-
ფი იალი.

ამის ახსნა:

„როგორც ბერი კაცი გაახალგაძლავება არ შეჰფერის და მსა-
ხურს გაბედნება, ისევე ზოგი ერთებს გაღიამახება არ მოუხდებათ“

აჭარაში ბერი სოჯებისაგან ნათქვაში:

ლმერთს რომ შუპარჩელი არ ვაფჩინა, მაშინ არც დედამიწა
გაჩინდებოდა, არც ჩეენ გაგვაჩენდა.

ბ.

დედამიწის გაჩენის 5000 წლის წინეთ, ღმერთმა მაჰმადის
სინათლე გააჩინა, მერე ეს კვეყანა და ხალხით. მერე ადამიც
გააჩინა, მაჰმადის სინათლე ადამის შუბლზედ მიიტანა. მაჰმადის
შემდეგ რაც მოციქულები დაიბალნენ, ყველა იგინი იმ სი-
ნათლით გაანათლა, ბოლოს ეს სინათლე გადაეცა ისევ მუჰა-
მედს და მის შუბლზედ დადგა. ამიტომ მუჰამედის შემდეგ სხვა
მოციქულების ალარავინ მოვა, ბოლონდელი, ანუ უკანასკნელი
მოციქული ეს არის — მუჰამედი.

ბ.

ღმერთ, მექაში სადაც მაჰმადის სილაზედ ფეხი დაუდ-
გამს, იმ სილის ლირისი გაგუხადე, რომ ზედ ეოლოცოთ.

ძველებური თქმულებანი.

ქართველებს ისლამის მიღების მიტობ ეშინოდათ, ვინაით-
გან ოსმალნი და სპარსენი ქართველების დაუძინელი მტრები
იყვენენ. ეს იყო ქართველთ მაზეზები, თორებ რომ ეს არ ყო-
ფილიყო, უამისოთ ქართველები ისლამს მალე მიიღებდნენ და
მასთან მთელი საქართველოც დღეს გათათრებული იქნებოდა,
ვერ მოხდა ეს იმიტომ, რომ ქართველთა და ოსმალთ შორის
დიდი მტრობა იყო დათესილი და ამიტომ ქართველნიც ერა-
ლებოდნენ თავიანთ მტრის სჯულის მიღებას. თუ იღებდენ,
ისიც დიდის იძულებით და გაჭირვებით.

ძველებური თქმულებანი ძვარაში.

ძვარას სოფ. ქელას, ურთ ჯუმა დღეს, ხალხი შეიყარა. მე-
რე მოწინავე კაცებთა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა, ზოგი ამ

გთისას ამბობდა ზოგი იმ მთისას. მეორე ჯუმა დღესაც ასევე მოხდა. მოწინავე კაცნი ვერ აწყნარებდნენ მოკამათეებს, მოწინავე კაცებმა მოკამათეებს ასეთი წინადაღება შისკუთ:

ყველამ თქვენ თქვენი ჰკუა ამოილეთ თავიდამა და გამოჰუნეთ აქ. ასე ქმნეს ყველამ, თავის ჰკუა გამოჰუნეს. მეორე ჯუმა დღეს ხალხი შეიყარა ისევ და დაიწყეს ისევ კამატი მაშინ ამორჩეულის კაცების პირველმა უთხრა ხალხს ასე; თქვენ ბევრს ნულარ ლაპარაკობთ, აი ყველას ჰკუა აქ არის, გასინჯეთ, ნახეთ, გაიცანით ეს ჰკუა და ვისაც რა მოგეწონებათ, ის აიღეთ და წაიღეთ, იმ ჰკუის გზას დადექთ.

ოსმალოს მთავრობის წინაღმდეგი აჭარლები.

ეთი დღით : ლა შამბაშოღლი მცხოვრებლა 1840 წლებს, ეს
იყო აჭარის სოფ. საღორეთელი, გვარათ დევალიძე. ყიზით აღს,
მტრებმა ყაჩალობის სახელი დაუგდეს, თორებ იგი არ იყო
ყაჩალი.

იგი მტერი იყო ისმალოს უსამართლო მექრთაშე მოხელების და იმ ბევრებისა, რომელნიც ხალხს სჩეგრავდნენ.

მა იძულებულ ჰყვეს, რომ ეს ასეთ გზას დასტუროდა.
ამის დროს, ყაჩალებათ, ქურდებათ და მცარცვებათ თვით
ოსმალოს მთავრობის პოლიციის კაცები იყვნენ, თვით ესენი
სცარცვავდნენ ხალხს და ყველაფერ თავიანთ ბოროტებას ყი-
ზით აღას და ასეთებს აბრალებდნენ. ოსმალოს მთავრობის კაცე-
ბის წყალობით საქმე ისე მოეწყო, რომ მთელი სამუსულმანი
საქართველო ყაჩალებით გაიკო, ამ ბოროტებას ის გარემოე-

ბაც უწყობდა ხელს, რომ ოსმალოს იმპერიიდან სხვა და სხვა უაჩალებს სასჯელათ სხვაგან გადასახლებას რომ აძლედენ, ასე-თებს მაშინ აქეთ, აჭარაში ასახლებდენ, ქ. ი. აჭარა მათი კიბ-ბირი იყო. ეს გარემოება რასაკეირველია აჭარელთა საქმეებსაც ძრიტლ აფერხებდა, ხალხის ცხოვრება უოველთვის ცარცუა გლეჯით იყო გარემოცული.

ყიზით აღა დვალიძე არამც თუ უაჩალობდა, არამედ იგი ყა- ჩალების ბრძოს ყოველთვის შიშით მოსაედა. ძნელათ, რომ ამისა- გან კაცი გაცარცულიყოს. თუმცა უაჩალობით მის სახელი რე გაეარდნილა, რომ მის სახელის ცნობა თეით ჟმაწეილებმაც იცოდნენ. ყიზით აღა დვალიძე იყო თურმე არსენას მსგავსი კაცი და მისივე კარგი ნაცნობი, ესეც მისავ იყო დასჯილი უსა- მართლობისაგან და მით გაეარდნილი ტყეში.

ჩახალ ოღლი ზენდიდელი.

თავის დროის კვალათ, უაჩალი ჩახალ ოღლიც შესამჩნევი პირია. ამ პირის ცხოვრება უწევს სელიმ ფაშა ხიმშიაშეილის დროს. ჩახალ ოღლი დიდი ღონიერი კაცი ყოფილია და მასთან სახელ განთქმულიც, ესეც ყიზით აღა დვალიძესაედ დიდი წი- ნალმდევი ყოფილა ოსმალოს მთავრობის, უნამუსო მოხელეე- ბის და ავის ბოროტის ბეგიების.

სხვათა შორის, ჩახალ ოღლი სასტიკათ გადამტერებია სუ- ლიმ ფაშა ხიმშიაშეილს, ერთ დროს, ამან თურმე სელიმ ფაშა შეაშინა კიდევ. ამიტომ ფაშამ ისურეა მასთან შერიგება და მორიგებით ყოფნა, მაგრამ ეს არ მომხდარა მათში.

ჩახალ ოღლი გვარათ ბერიძე გახლდათ, ამის დროს, აჭა- რაში ისე იყო მოწყობილი რომ ქვითკირით სახლების კეთების ნება რთვა მარტოთ ბეგიებს აქვნდათ, გლეხებსკი ხის ოდებით უნდა დაედგათ, ეს გარემოება ჩახალ ოღლის ძრიტლ აწუხებდა. უკანონო დადგენილება ჩახალ ოღლიმ მთავრობას მოასპობინა. ბეგიებს გარდა ქვითკირის სახლების შენების უფლება გლე-

ხემსაც მიეცათ,

ჩახალ ოლლის დიდი მტერი აყა ზენდიდელი ბევრი შეკა-
ნაძე, ამიტომ ჩახალ ოლლი ზენდიდელი ჩაქვში იქმნა ჯადასახ-
ლებული. ეს გადასახლება ბატონის ბეგის ბრძანებით მოხდა,
ამიტომ ჩახალ ოლლის ეს გადასახლება დიდათ სწყენია, სულ
ეს წყენა კოფილა მის მიზეზთ, რომ ჩახალ ოლლი ტყეში გა-
ვარცხილა, ტყეში სახლებიც გაიკეთ თურქე, 100 მეტი ამხა-
ნაგდიც იშოვნა და ცარცულოთ არაეს სცარცუავდა და ნებრი
კი თუ ვინც რამეს მისცემდა, იპასკი ართმევდა, ჩახალ ოლ-
ლი თავის მმხანაგდის თანხმობით იმ დასკუნას დააღვენენ, რომ
აჭარის ბეგიებს, ვისაცი ქვითკირის სახლები აქვთ, იმათ ეს
სახლები უნდა დაუქციოთ და შასთან გლოხებსაც უნდა შიე-
ცეს ნება, რომ ქვით კირის სახლები დაიღვას. ეს განიძრახეს
მთ და მოახერხეს კადეც. მართლაც ამათ შევჩეს ბეგიებს და-
უძიებეს ქვითკირის სახლები და მით შეაშინეს იგინი სასტიკათ.
ამის გარდა, რაცი უსამართლო ბეგიები იყვნენ, უველა იგინი
ჩახალ ოლლიმ ისე შეაშინა, რომ შაშით აჭარაში ვეღარავინ
დაეგოდა, ბეგიები სულ აქვთ იქით სახლდებოდენ. ამ დროს
ჩახალ ოლლის კარგი სახური აქვნდა სოფ. კვაშტას. ეს სახლი
მას ერთმა ბეგმა დაუქცია, მურა ეს ბეგი შირით ბალაკანეობიში
გადასახლდა. ჩახალ ოლლი მერე მოწამელით მოკვდა, ერთმა
ბეგმა მოწამელა. ამ ჩახალ ოლლის შესახებ სახალხო ლექსებიც
არის გამოთქმული. ნახეთ ამაზედ ზეით დაბეჭდილ ლექსებში.

ახმედ აღა კიკნოლლი

ახმედ აღა კიკნოლლი მცირეთ თანამედროვეა კაშით აღა
დვალიძესი და ჩახალ-ოლლისა. ახმედ აღა აჭარის სოფელი კი-
ბულია. შეესრულო ამისი გვარი კიკნაძეა, მაუ კიკნაველიძე. ამათი
გვარის წევრი აჭარაში დღეს მრავლათ სცხოვრებენ, ახმედ
აღა შეტათ ლამათ გაზრდილი კაცი იყო, თავისუფლების მო-
ვარე, ოსმალოს მთავრობის მონაბა მას დიდათ სძაგლა, ნამე-

ტურ ეჯავრებოდა ის გარემოებაც, რომ ოსმალოს მთავრობამ
სამუსულმან საქართველო ოსმალთა ყაჩალების ციმბირათ გახდა,
ყველა დამნაშავებს ასმალეთიდამ საკრძიროთ, ანუ დასასჯე-
ლათ აჭარაში გზავნილნენ და ასახლებდნენ.

ასეთ დამნაშავებისაგან აჭარა ძველათგანვ ყაჩალების ბუ-
დეთ გახდა. ესეთი გარემოება ბევრს ქართველ მაჰმადიან აღო-
ნებდა და აღარდებდა, ზოგნი ამისთვის წამალსაც ვძებდენ და
მთელის კუთხის დახსნას ფიქრობდნენ. ასეთი იყო ახმედ აღა
კიკნაძეც. ამან თავის ახალგაზრდობაში შეკრიბა 100-მდე ქარ-
თველთ მაჰმადიანთ ახალგაზრდა ბიჭები, მათგან შეადგინა კარ-
გი გუნდი. ამ ამხანაგების დახმარებით იგი გაზავიდა არზრუმის
თემში, თავი შეაფარა იმ კუთხის მთებში, სადაც სცხოვრებდ-
ნენ ქართველ მაჰმადიანები და რომელათაც სახელათ ვაყუფი
ეწოდებოდათ, იქაც იმეცადინა კიკნაძემ და ბევრი ამხანაგები
შეიძინა, ასე რომ მათგან შედგა დიდი რიცხვი.

ამათ მეთაურობით კიკნაძემ ასეთი გეგმა გააკეთა: მთელს
სამუსულმანო საქართველოს ქართველ მაჰმადიანებს მოსვენებას
არ აძლევდენ ასმალოს მთავრობის მოხელენი. იგინი ფუხარის
პირში სულ ხუთაუდენ, მათივის სამართლის კარი ყველგან და-
კეტილი იყო. მოხელენი ხალხს სცარცვავდნენ. ასეთ ბოროტის
მფარველათ გახლდა თურმე ათაბავის შეილი. ამიტომ დაეცნენ
ათაბავის შეილს და ართვინის ახლოს სოფ. სვეტში, სულ აი-
კლეს, სასახლეცი. სულ დაუქციეს, ამ დროს კიკნაძეს ათი
ათასი კაცი ჰყოლია მომხრე.

ათაბავს პირობა ჩამოართვეს, რომ დღეის შემდეგ, იგი
უსამართლო პირების მომხრე აღარ გახდებოდა, პირობა მისცა
და მართლაც ამ დღიდამ უსამართლობასაც გამოეთხოვა იგი.
ხალხის ფიქრით, როგორც ჩახალ თლლი, ისევე კიკნაძე და
ყიზით აღა ყაჩალებათ ტყილათ არიან ცნობილნი, ამათ ყაჩა-
ლების არაფერი მიუძლეით, უველა ესენი იყვნენ ქართველ მაჰ-
მადიანთა სოფლის ფუხარის მფარველნი. ამათ თურმე მოყლი
უჭარას შეგიებიც შეაშინეს და ფიცი ჩამოართვეს, რომ სოფ-

ლის ფუნქარას აღარ დაწახრჩობთო. შერე კიკაძე თავის ამხა-
ნაგებით ისევ არზრუმისაკენ მიმბრულენ თურმე.

ქრისტიან ქართველთ შრომა ქართველ მაჟმადიანებიში

თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი.

„თვალი ხარ ბრმათა, თეით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური უსახლ-სართული;
მამა ობოლთა, მსაჯული ქერცეთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მოხუცებულთა, შრომით რებულთა,
სიმტკიცის კეერთხად მისაყრდნობელი.

შავთელი

გრიგოლ გურიელი შეიღი იყო დავით გურიელისა; და-
ვით რუსობის შემდეგ სტამბოლში გადასახლდა და იქ გარდა-
იცვალა. საქართველოში აღარ დაბრუნდა. მიზეზი დიდია. პატარა გრიგოლი დარჩა კინტრიშის ხეობაზედ, ერთ ქართ-
ველს მაჰმადიანთან, უვარად ჯაშთან. ეს ოჯახი პორტუგალიანებდა
და პირლიდა პატარა გრიგოლს. ვიღრე გურიელები დაშოშ-
მინდებოდნენ, იმ დრომდე გრიგოლ გურიელი ქართველ
მაჰმადიანებში იმყოფებთდა. აქ გაიზარდა ეს ძეირფასკაცი
და ამიტომაც ფამოჰყა ამ მხრისა და ერის ვანუსაზლერელი
სიყვარული.

გრიგოლ გურიელი იმ კაცთაგანი იყო, რომლის მსგავს-
ნიც ძრიელ იშვიათად იძალებიან. ის იყო სახე და სინათლე
ჩვენის ძეელის თაობისა, ის იყო წევრი იმ სახელოვანთა და-
სისა, რომელთაც ეკუთვნოდა დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე და სხ. ერთს სკამზედ მსხდარან სასწავლებელში. ამ ზაფხულს გრი-
გოლმა სთქვა, რომ ბარათაშეიღი ჩემი დიდი მეგობარი იყოვნა;
1833 წ. სახლი გაუჩხრიკეს, რადგანაც ერთის ლექსის დაწე-
რასა სწამებდნენ და ამიტომ მან ბევრი თავისი ლექსიც დასწვა.

განსვენებულის გრიგოლ გურიელისთანა კაცები ჩვენს გა-
თახსირებულს დროში ერთობ იშვიათია. განსვენებული დიდის
გონებისა და პატიოსნების კაცი იყო, ის იყო მამა გურულთა,
მზრდელი, ობოლთა, პატრონი და მფარველი ქვრივთა და
ოხერთ, ფარი ჩაგრულთა და დევნულთა. მისი სახლი სავსე
იყო სხვა-და-სხვა გაჭირებულ კაცთა შეილებით. ბევრს გაჭი-
რებულს კაცს მისცა შველა, ბევრი გამოჩარდა თავისის ხარ-
ჯით, თუ დაბალს სასწავლებლებში და თუ საშუალოსა და
უმაღლესში. დღესაც-კი რამდენიმე მოწაფე ჩმისის ხარჯით
იზრდება სხვა-და-სხვა სასწავლებელში. ჩას გარდა ბევრს გუ-
რულს დაჭირებია, ზოგს ქალის გათხრევებით, ზოგს მცუალე-
ბულის დამარხებით, და სხ. ბევრნი თავის მიწა-მამულზედ და-
უსახლკარებია და საკმარისი დამარებაც მიუტა. ეს მოელძა
გურიამ იცის. გრიგოლ გურიელი დიდად განვითარებული კა-
ცი იყო. კარგათ იცოდა ქართული ძეელი და ახალი მწერლო-
ბა, სიქართველოს ისტორია. რუსულს მწერლობასაც თვალ-
ყურს ადევნებდა. ნაკრთხი ჰქონდა მოელის ახალის დროის სა-
უკეთესო მწერალთ ნაწერები. ამისი სახლი სავსე იყო რუსე-
თისა და უცხოელთ მწერალთ ნაწერებით. აქ მოიპოვებდით
ისეთ წიგნებსაც, რომელთა შოენაც დღეს იშვიათია. წელს ზა-
ფხულს ტაილორის ანტროპოლოგიას კითხულობდა. ყველა
სამეცნიერო წიგნის გამოსვლას დიდის სიაშოვნებით ეგებებო-
და, ამით უმაგალითო იყო განსვენებული ჩვენს ძეელს. კაცებ-
ში. იწერდა ყოველს ქართულს ეურნალ-გაზეთს, სატაცტო ქა-
გაზეთებს დაბეჭითებით ადევნებდა თვალ-ყურს, ნამეტურ რასაც
ჩვენ შესაჩერ სწერდნენ. ქართველების მდგომარეობის შესახებ
განსვენებული ერთავად სწუხდა ჩვენს უძლეულებას და საზოგა-
დო საქმების სილარიბეს რომ ჰქედავდა, დიდათ ჰნალელობდა:
რატომ ჩვენში საზოგადო საქმის პატრონობა არ არის გაჩალე-
ბულიო. საყვედურით იხსენიებდა იმ მდიდარს ქართველებს,
რომლებიც დაიხოცნენ და საზოგადო საქმისათვის-კი არაფერი
დასტოვესო.

წელს ჩემი წასელა მაჰმადიან ქართველებში დოლად სასა-
მოენოდ დარჩენია. სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექმნა.
რომ მნახა, ბევრის გამოკითხვის შემდევ, აღმითქვა, მაჰმადიანთ
ქართველთ ლოცვებს მე გამოცემი, და ვამოსცა კიდევ. დამ-
პირდა, რომ მომავალ წელს, თუ კარგათ გარ, ორის ყმაწევი-
ლის სახარჯო ფულს მოგცემ, რომ თან წაიყვანო. სოფელი-სო-
ფელი იაროთ და მაჰმადიანთ ქართველთ ბავშვები ანბანის კით-
ხვას მიახვედროთ, მერე თითონაც ისწავლიანო. ქართველე-
ბი არიან, შეილო, ცოდონი არიან, რომ ასე უპატრონოდ გვ-
ყვს დატოვებულიო.

ჩურუქსუში ყოფნის დროს, იმასთან ქართველ მაჰმადიანე-
ბი მოდიოდნენ და სალამს აძლევდნენ. აქ ბევრს გაუწია დაბა-
რება, ერთს მაჰმადიანს რსმიალოეთიდები ცოლ-შეიღლის მოსაყ-
ვანი ფული მისცა, შეორეს სხვათრიც შეეწია, შესაბეჭ შეიღლის
აღმირდას ჟაჰბირდა და სხვ. ძევე აღუთქვა განსვენებულმა,
რომ ჩურუქსუში თუ სკოლას გამართავთ, სახლის შესაძენად
შემოგეწევითო. ქართველი მაჰმადიანები დიდი გახარებულნი
იყენენ ახეთის შემწეობის და ჰატიურ ცემისა ვამთ გრიგორ
გურიელი დიღათ უყვარდათ, ამის სახელი ცეკლა ბევრი და
აღამ იცოდა და მეტათ ძეირფას, სამაგალითო ქართველ კა-
ცილ იცნობდნენ. განსვენებულმა თავის იქ ყოფნისა და სამსა-
ხურის დროს ერთი გროშიც არ შეიტანია, რასაც-კი იღებდა
და იძენდა, სულ ქართველ მაჰმადიანებს ურივებდა. ამირობაც
იყო, რომ როცა ბათუმისამ გადმოდიოდა, თან მოსტიროდ-
ნენ მთელი მაჰმადიანი ქართველნი. იგინი დღესაც იგონებენ
განსვენებულს.

ოზურგეთში სტამბის გამართვის საქმე ისე ესიამოვნა, რომ
ასოს ამომწყობის პირველს დღესუე ასე უთხრე: თვ, შენს მარ-
ჯვენის-კი ვენაცეალე, რომ ვურიაში სტამბას, წიგნის საბეჭ-
დავთა ფხელავო. სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექმნა. სტამ-
ბის დაარსებისათანავე ორი სახალბო წიგნი მის ა დასაბეჭდად-
სულითა და გულით ქართველოდა, რომ ოზურგეთში სტამბის

საქმე წინ წასულიყო. ასევე ნატრობდა განსვენებული, რომ ოზურგეთში ბიბლიოთეკა დაარსებულიყო. სჩიოდა, რამდენი-
მე კაცი შეიკრიბა, წიგნთ ხაცავის დაარსება განიზრახეს და
როცა ხაქმე საქმეზედ მივიღა, მაშინ-კი ამხანაგებს ერთმა-
ნეთში ჩხუბი მოუვიდათ, არა იქ უნდა გავმართო და არა, აქა. ერთმანეთის ჩხუბსა და ქიშპობას შესწირეს და ანაცვალეს სა-
ზოგადო საქმის პატივისცემათ. რომ დაეარსებინათ, მაშინ ჩემს
წიგნებს სულ იმათ შევსწირავდიო.

განსვენებულს თავს ზარად დაეკა ის ამბავი, რომ ომის
შემდეგ ქართველ მაჭმადიანებმა ოსმალეთში გადასახლება და-
იწყეს. ბევრს ჰმეცადინეობდა, რომ ქართველი მაჭმადიანები
თავიანთს ქვეყანაშივე დარჩენილიყვნენ და დიდს საჩუქრებსაც
აძლევდა, რომ მაჭმადიანებისთვის გული მოეგო და დაფუვაე-
ბინა. ფულით ბევრს მაჭმადიინს ქართველს მოუგო გული და
ბევრს დაუშალა აქედამ აურა და გადასახლება.

განსვენებული ძალიან დანალექლიანებული იყო ამ ბო-
ლოს დროს. დარდობდა, რომ ჩემი მამულების საქმე ძლიერ
არეულ-დარეულიაო. ჩემს ძმებთან გაუყრელი ვარ, მე მინდა,
რომ ჩემის მამულების უმეტესი ნაწილი „წერა-კითხვა საზოგა-
დოებას“ დაუუტოვო და გურიის შეიდს სოფლის საზოგადოე-
ბას, სადაც ჩენი ნაყმევი გლეხები სკოერობენ და ბევრნი
უზიშა-წყლობით დიდად არიან შეწუხებულნიო. ამისთვის განს-
ვენებულს მთაერობასთან თხოვნაც შეეტანა, მაგრამ პასუხად
მიიღო, რომ მამული ჯერ უნდა განაწილდესო. ახლა ვმეცა-
დინეობ, რომ ჩამე მოვახერხო და არ ვიყი, როგორ მოვაწ-
ყო ეს საქმეო.

თომა სიმონიძე კაჯანდარაშვილი თომა სიმონისძე შთამავ-
მაელობით გურულია, ქართველ მაჭმადიანებთან ახლოს მცხოვ-
რები და მათი კარგათ მცნობი მეზობლობის საშუალებით, თო-
მა სიმონისძე დაიბარა 1859 წ. ოზ. მიზ. სოფ. ლიხაურში, სწავლა
მიიღო ოზურგეთის სამოქალაქო სკოლაში. თომას-

სკოლაში ყოფნის დროს დიდათ უყვარდა ქართული წიგნების კითხეა, ამ გარემოებაშ იგი საქმარისათ დაწინარუსეს და გონებითაც გააფხიზლეს, ნამეტურ იგი მიზღვდა საქართველოს ისტორიული წიგნების კითხეას.

1877—78 წ. ატყდა რუსეთისა და ოსმალეთის ომი, ამ დროს, თომა სიმონისძე უკევ მოწიფული ყმაწვილი კაცი იყო და მასთანეე კარგათ მცნობი იმ დროის ომიანობის ეითარების, მასთან მას სანატჩიელ მცნებათ აქვნდა მიღებული, რომ ოსმალეთის საქართველო-რუსეთის საქართველოს დაკავშირებოდა და მით გაერთიანებულიყო ეს ორი გაყოფილი კუთხე ერთს სამშობლოთ ქართველის ერისა, ამ ნატერით გატაცებული თომა ალფრეთივანებული იყო და დიდის იმედით სავსე. ამიტომ იგი შესულ იქმნა სამსახურათ იმ დროის ახლათ დაარსებრლ გურიის დრუჟინაში. აქ მსახურებით თომას შეუსრულდა წადილი და იგი სხვა გურელ მიღიცავნერებთან ერთათ დანიშნულ იქმნა ოსმალოს საქართველოს აჭარაში სამსახურათ. დიახ, აჭარაში საჭახურის დროს, თომა სიმონიძემ გამოიჩინა დიდი მამულის შეილური ენერგია და ჯერეთ ისევ დაუმშევიდებელს კუთხეში ჩინებულათ დაიწყო მოქმედება და შრომა ქირთველ მაჰმადიანებში. თომას შრომას აჭარაში აქვს მეტათ სიჭპატიური ისტორია.

ამის ენერგიელი შრომის და ამაგის შესახებ ჩეენ ბევრს არ ვილაპარაკებთ, კარგად ცნობილი აბდულ ეფენდი მიქელაძეს ქართულ წერა-კითხეა თურმე თომამ ასწავლა. ეს გახდა თურმე ამ გონიერ ქართველ მაჰმადიანის კარის გახალებათ და საქართველოზედ სინათლის ჩამნერგათ. ამ პირს გარდა თომასაგან კართველ მაჰმადიანებსაც უსწავლიათ ქართული წერა-კითხეა და მით გასპერაკუბულან ქართლის გონიერებით.

მიღიცავაში მსახურების დროს, თომა დაჭრილიც იქმნა ბრძოლაში. მის შემდეგ იგი სამხედრო ნაწილიდამ სამსახურათ გადავიდა სამხედრო აღვილობრივ უფროსის სამართველოში მსახურათ, დღეს თომა სიმონისძე ოზურგეთში სცხოვრებს და მსახურებს იქაურს სამხედრო საბეგრო საკრებულოში. თვით

არის სახლობის პატრინი. მოკლეთ აენუბსეთ, რომ ამ პირის შორ-
ვაწეობას აჭარაში, ქართველ მაჰმადიანთ წინაშე აქვს მეტათ საპა-
ტიო ისტორია, მისგან დათესილი სიკეთეს დღესაც აჭარაში ბე-
კრნი ქება დიდებით მოიხსენებენ, თომას შრომას და სახელს
დილს საპატიო აღვილს უთმოვენ, ასეთი განლავს წარსული
თომას სიდონიძის მოღვაწეობისა.

თ. ივანე ჯაიანი თანამედროვე პირი თომა სიმონისძისა,
კაცი მწიგნაბარი და მასთან ქარგა ხანს მსახურებდა აჭარაში,
ბორიჩხაში იქნდა პატარა სასწავლებელი, საღაც იჯი ქართველი
მაჰმადიანთა შეილებს უფასოთ ასწავლიდა ქართულ წერა-კრთ-
ხეას, ქართული წიგნების გაერცელების საქმებშიც იღებდა
მონაწილეობას. ესევე ივანე ჯაიანი ხშირად სხვა და
სხვა წერილებს ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების შესახვს, რასაც
ქართველი საზოგადოება დილის პატივისცემით კრთხულობდა.

ლუკა ანდოღლაძე. შთამაშეალობით გურული, თანამედროვე
თომა სიმონისძისა, ივანე ჯაიანისა და სხვა ასეთების. ლუკა კარ-
გა ხანს მსახურებდა აჭარაში. იყო განმეოსტრია და აქენდა ბევ-
რი სამხედრო ნიშნებიც. ამ პირის აჭარაში სამსახურს აქვს
მეტი კარგი ისტორია. ლუკა გავრცენი 1890 წ. აჭარ წყალ-
ზედ, მის შემდეგ შე მაქენდა მასთან მეგობრობა და კავშირი, იგი
დილს ტახმარებას მაძლევდა ქართული წიგნების გაერცელების
საქმეებში, ყაველ ჟაფრულს მე თათქმის სულ მასთან ესაკვუ-
რობდი და მისიდე დახმარებით მჯხვერობდი მოყლ სამუსულმანო
საჭართველოში. აჭარ წყალზედ, მას აქენდა სკოლა და ქართ-
ველ მაჰმადიანთა შეილებს მუქთათ ქართულ ანბანს და წერა-
კითხვასც ასწავლიდა, ასევე შან ასწავლა ქართული წერა-კრთ-
ხეა ბევრს თავის ზაფთიებსაც, წერა კითხვას ვარდა მათ საჭართ-
ველოს შეგნების ცოდნითაც სწურონავდა. ლუკა ანდოღლებდეს
შეტათ დიდი შრომა აქვს ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებში
დათესილი. 1905 წ. ლუკა ვალასახლებულ იქნა რუსეთში
დასასჯელიათ.

სიმონ იოსევიანი. თანამედროვე პირი ლუკა ანდოღლა-

ლოდის, იგა უ ჯარინის და სხვათა. კარგა ხანს მსახურებდა აკა-
რაში, ქედის უფროსის აანაშემწე იყო, კაცი მეტა კეთილი
და გონიერი. დიდი გულ შემატეკივარი ქართ. მაჲმად. ცხოვრების.
ჩემი მგზაურობის დროს, 1891 წლიდამ, მე ყოველ ხატხულს
თითქმის სულ მასთან ვსადგურებდი, იყი მე დიდს ქომაგო-
ბას მიწვევდა და უკაველთვის მფარევლობდა დაუზარებლივ.
1905 წ. ტემპერატურაჭმოთ დაშთა, მთავრობამ უერ დააფასა. მი-
სი შრომა და ამავი. გარდაიცვალა 1910 წლებს.

ფილიპე ერქომინშვილი. კაცი მახვილ გონიერი და გულ
მხურვალე ქართველი. კარგა ხანია რაც ეს აკარაში მსახურობს,
არის მეტა თანამეტობის ქართველ მაჲმადიანთა განვითარების
და აღორძინების, მათ სასარგებლობა მას დიდი ამავი მიუძლის,
მეც უოველთვის პატივისცემით მიშერდა და თანაგრძობდა,
1915 წ. გიზ. „თანამეტროვე აზრში“ აკარიდამ წერილი. მოწე-
რა და დაბეჭდა ქართველ მაჲმადიანთ ცხოვრების შესახებ,
ერთ ალავას ისიც მოიყანა, რომ ქართველ მაჲმადიანების გამო,
ერთხელ შევშეთის უფროსმა ზ. კიკინაძეს გრაში. კაცები გა-
აყოლი, რომელთაც ზ. ჭ. უნდა მოეკლათ შეგრამ კაცებმა
არ გაიმეტესო, არ მოკლესო ეს მართალია, დიახ.

კოლა ლორთქიფანიძე: კარგა ხანს მსახურებდა ქედის
გამკეობაში ჩწერლათ, სიმონ იოსელიანთან ერთათ. ჩემის
მგზაურობის დროს, მიწვევდა სათნო ქომაგობას, თანა მოკებნობ-
და წიგნების გაუჩერეცების საქმეში და თეოთაც ასწავლიდა ქარ-
თველ მაჲმადიანთ ბავშვებსა ქართველ წერა-კითხვას. კოლას
უყვარდა „ვეფხის ტყაოსანის“. კითხვა და დმ წიგნსაც ხშირად
უკითხადდა ხოლმე ქართველ მაჲმადიანებს.

კასთ დექანიზოვი: ეს პირი თავისახალვაზღვიდიდამ სულ ქარ-
თველ მაჲმადიანებში მსახურებდა, იგი თავის შეძლებით ქართველ
მაჲმადიანთ განატლებას და აღორძინებას; ქართვ. მაჲმადიანებს იგი
ყოველთვის ხიამოვნებით ეპურობოდა, რითაც კი შეეძლო, იგი
მათ არაფერს ხაქმეში არ დაზარდებოდა ამ ბირსაც ბევრი შრო-

მა და ამაგი მა-უძლეის ქართველ მაჰმადიანთა წინაშე. ამათი შეულ-ლეც ამაგლარია ქართველ მაჰმადიანთა წინაშე სამსახურით.

ჩენ ეს შეიდი კაცი ავნუხსეთ, ბევრის ცნობა ჩენ არ გვაქვს, ამიტომ მათ არც მოვისხენებთ, ამისთვის ზოგი ერთებშა რამე შიზეზები არ დაგიწამონ. ჩენი მიზეზი პირდაპირ ის გახლავს, რომ ბევრის ცნობის ჩენ სულ არა გვაქვს რა, მათ შესახებ სულ არაფერი მოგვეპოვება.

ქართველ გვარის დავიწეებულ შეიხულ ისლამები

ჩაბით ეფენდი ტებილაძე, იგივ გვარათ ორვობაშეილი, იყო სტამბოლის ხოჯათ, ამას აქენდა ხოჯის საპატიო დიპლომი, იყო კარგი მქადაგებული, ერთ დროს, ამან მიიღო ხარისხი შეიხულ ისლამისა, ქადაგებაში ეს შეიხულ ისლამი ყოველთვის ჭეშმარიტებას იცავდა, ამის გამო, იგი, სულთან პაშიდმა არაბეთში გადასახლა, იქ დირჩა სამი წელიწადი, მერე სულთანშა აპატივა, იგი ისევ სტამბოლში დაბრუნდა, იქეე მიეცა ცხოვრებას, გარდაიცვალა 1850 წლებს, მისო ქადაგების კილო ჩენიდან უცნობია, ისკი ჭეშმარიტია, რომ წაბიტ ეფუნდის ქარული უნა კარგამთ სცოდნია, როცა ჯამეში, მლოცველების უმეტესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანები იყენენ ხოლმე, მაშინ ეს ქართულათ ქადაგებდა ხოლმე, ქართულს ენაზე მას ლაპარაკი თუ ქადაგება კარგათ სცოდნია.

ჭაბით ეფენდი ტებილი გვარი უერ გავიგეთ, ესეც წაბიტ ეფენდივით კარგი მქადაგელი ყოფილა, ამან სახელი გაითქვა ქადაგებით სულთან მამულის დროს, გარდაიცვალა სტამბოლის, იყო ქართული ენის კარგათ მ კოდნე, ამ ენით ქადაგებაც ცოდნა ჯამეში. იგი ქართველობას არ ერიდებოდა.

ზაბით ეფენდი აბდი აღა თალღის ტებარით დიასამიდე აჭარის სოფ. გულებელი. სულთან აზიზის ხოჯათ იყო, იცოდა ქადაგება კარგათ, ქადაგების კილო ყოველთვის სიმართლის მომხრე იყო, ამიტონ იგი სულთან აზიზის ბრძანებით არაბეთში იქმნა გადასახლებული, რამდენიმე წნის შემდეგ მას აპატივეს

დანიშაური, დაბრუნდა ისევ სტამბოლს, გარდაიცვალა იქეე, იყო
თურმე ქართული ენის კარგად მცოდნე, ქართველების მოშხ-
რე და ქართული ენის ღიღათ მოყვარე და მფარეველი. ამ შე-
იხულ ისლამის შემდეგ, ქართველების შეიხულ ისლამობას ოს-
მალნი თითქმის აღარეის აძლევდნენ შურით.

თუმცა ქართველ გვარის შეიხულ ისლამები ყოველთვის
გონიერებით და სიმართლით განაგებდნენ.

«მოდი ნახე» ციხის ამბავი აჭარაში.

აჭარას სოფ. ზენდედში, სცხოვრებენ ბეგი ბეჭანიძეენი.
ესენი სამცხიდამ გადასახლებულან აჭარაში XVII საუკ. და შე-
დეგს აჭარაში ესენი დასახლებულან ზენდიდში და ეს ციხე
„მოდი ნახეც“ მაშინ გაუკეთებიათ მათ ძეელებს. ამ ბეგების
ძეელი გვარი დიასამიძეა. ამათ ძეელებს ძეელის ძეელათ პირ
მსახურის ძეთაც იტყოდნენ. პირთ მსახურათ ქართველებში თა-
მარ მეფე იგულისხმება, მაშახადამე ესენი თამარ მეფის მსახუ-
რათაც ყოფილან, თავადობაც მის დროს მიუღიათ.

ამათი ისლამთანდ უკავშირება მიეწერება XVII საუკუნის
დამლექს, ამ დროს, ერთ შათვანს, რომელსაც ისლამი მიუღია,
სახელათ ბეჭანი რქმევია, ამიტომ ისმალთაგან ამათ დიასამიძეს
მაგიერ ბეჭანოლლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის „თუ-
ლუმბაზალეს“ დამატებით. დღეს ესენი იწოდებიამ ბეჭანოლლი
თულუმბაზალეთ.

როგორც სწანს, მუსულმანობაში გამოჩინილი ყოფილა ბერ-
ხედარ ბეგი. ამ ბეგს აუშენებია „მოდი ნახეს“ ციხე თავის მა-
ხუდარ ბეგი. ამ ბეგს გაკეთების დროს, სოფ. ზენდიდში შისული
მულში. ამ ციხის გაკეთების დროს, სოფ. ზენდიდში შისული
ხუცს უკითხავს ბეჭანოლლისთვის.


— თუ მაგისთანა მაღალ ციხეს რათ აკეთებო? ბეგს მიუგია:

— მე მინდა ისეთი მაღალი ციხე გავაკეთო, რომ როცა
მტერი მოვა, რომ მან ჩემს სახლში არაფერი დაინახოს და მით
იქმნეს გადარჩენილორ.

მოხუცებს სიტყვა მოუსმენია და მერე ასეთი პასუხი მიუკია:
 — თქვენ თუ გსურთ და გწადიანთ, რომ მტერმა არ გნახოთ,
 მაშინ ამ ქის ციხის მფიქრ, თქვენ ხალხში მოიპეთ ადგილი,
 ხალხის გულში აღაშენეთ მკეიდრი სამეზობილო ციხე და გარ-
 წევნები, რომ მაშინ თქვენ მტერი უერს გავნებთ, თუ არა და
 ციხეები რამდენიც უნდა აღავლოთ და აღამაღლოთ, მტერს მანიც
 მით უერაფერს და კულებით, საჭმე ხალხი გახლავსთ და ხალხის გუ-
 ლი, თქვენ ხალხის გულში აღავეთ თქვენი ოჯახის მფარველი
 ციხე.

ეს სიტყვა, ბართულარის შეილის შეილს, ციხის ამშენებელს
 ახმედ ბეგს დღლათ მოეწონა, ამ დღიდამ ეს ბეგი შეუდგა სხვა
 გვერ მოქმედებას, ამის შემდეგ აჭარაში 500 აჭარელი ლარიძ
 ლატაკიი კაცნი ისუ ქალანი შემოხა ტანთ-ჩაცმით, ასევე ბევრს
 ლარიძს ტაცრიძე ფული და სხვა და სხვა ნიერები, შემდეგაც ამ
 ბეგს ერთი ხელი სულ ლარიძ ფუხარა ხალხისაკენ აქცნდა და მათ
 უშერიებოდა საკეთეს ამისაგან ნაქნარი სიკეთე ენით დაუთვ-
 ლელია თურქე...

ამ ახმედ ბეგს ჰყანდა ორი შეილი მემედ ბეგი და მუთა
 ბეგი. ერთხელ ახმედ ბეგი შეილებით სანალიროთ წაეიდნენ, შეც-
 დომით ახმედ ბეგმა თავის შეილი მემედ ბეგი მოკლა, ამ შეც-
 დომამ ახმედ ბეგი ერთობ დაალონა. მერე სტამბოლიდამ მარმა-
 რილოს ქვე მოატანინა, შეილს საფლავზედ ძეგლი გაუკეთა, ამით
 გაიქარვა შეილის მოკელის ჭმუნერების დარღი. უწინდელ აჭა-
 რის ბეგები ბეგანოლლები ამ ბეგების შთამომაული გახლავან,
 რომელიც სოფ. ზენდილში სცხოვრებენ, აქ „მოდი ნახეს“ ცი-
 ხე დღესაც მოელი სდგას. არაბულ ქართული ანბანი



მესუთე წიგნის საბიუბელი:

- 1, ქართველ მაჰმადიანთ სახალხო ლოცვები.
- 2, ქართველ მაჰმადიანთ სახალხო ლექსები.
- 3, ხუსეინ ხაბაშის ლექსები.
- 4, წმ. თამარ მეფე აჭარელთ ამბები.
- 5, ალი ფაშა თავდეგერიძე.
- 6, ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება.
- 7, ქართველ მაჰმადიანთ გამოჩენილი სასულიერო პარები.
- 8, ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენის დაკარგვის საქმე.
- 9, ლაზისტან-ჭანეთის აღწერა
- 10, ქართულ ენით ლაზების გათვითცნებიერება.
- 11, ზემო ქართლის ადგილების ჩამოჭრა და ერევანზედ მიწერა.
- 12, ლექსი დევრიშ ფაშაზედ.
- 13, გარდაცვალებულის ჭავან ეფენდი ციციშვალზედ.
- 14, ქართველები ოსმალეთის „ახალ პარტიაში“
- 15, ვინ სწერა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ
- 16, ქართველ მაჰმადიანებს რათა სძულოთ სიტყვა, „ქართველი და საჭართველო“
- 17, აჭარელთ ძელებური ამბები ქალების შესახებ
- 18, ოსმალეთის მთაერობის მოწინაღმდეგე აჭარლები.
- 19, ქრისტინ ქართველთა შრომა ქართველ მაჰმადიანებში.
- 20, გრიგოლ დავითისძე გურიელი.
- 21, ქართველ გვარის დაეიწყებულ შეიხულ ისლამები
- 22, „მოდი ნახე“ ციხის ამბავი აჭარაში.
- 23, ქობულეთური ლექსი ზოიძისა.
- 24, არაბულ ოსმალეთის ქართული ანბანი.

947. 922
Ֆ 551

մայման Բոցնիս մոնակը

- 1, 1625 թ. հա Յոհաննիտ Շեղյերտու Տամպէց Տատամացո ռևմա.
- 2, վարտզել մաքմելունտ գամուցու 1636 թվուամ.
- 3, վարտզել մաքմալունտ մենո հա յնու ունդա ցանատլուցն
- 4, վարտզել մաքմալունտ Արշ Թուրբունցուցն
- 5, ցուրչուսրանու վալու დա մրացալ Կուլուանուա.
- 6, լածուսր. վանցուու ալիցրա.
- 7, աճմել գամա ենմնամշուու.
- 8, վարտզել մաքմալունտ Տասուլուցրու Ռուցուա.
- 9, վարտզել մաքմալունտ Լիցուա արածուլուս յնուտ.
- 10, վարտզել մաքմալունտ Տաթուագու Թուլցանցու.
- 11, Թուկամել Տամու գամա ջապուլու.
- 12, Տալում գամա ենմնամշուու.
- 13, Պուրեարա, անշ վարտզել մաքմալունտա լարուեցու ալիցրա.
- 14, Վարտզել ռևմացուեցու
- 15, "Կուրհանու" տարցմնուս ուսուուրու վարտուլ յնանցել და Տեղան.

Բոցնո ցամուա 500 շո. մերո, հաջան ցամուցուուս Շեղմանց
առ ցայտ, ամուրում ցամուսալումատ եյլուս մուրցրա ունդա ցայմարտուտ.

Հասու ցրտու մանատու.